

აკადემიკოს ანდრია ავაქიძის სახელობის
არქეოლოგიის ინსტიტუტი

ევროპის უნივერსიტეტის
ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი

არქეოლოგია

სამეცნიერო-კვლევითი ჟურნალი

№3





აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის
არქეოლოგიის ინსტიტუტი

ევროპის უნივერსიტეტის
ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი

სამეცნიერო-კვლევითი ჟურნალი

არქეოლოგია

№3



AUREUS

გამომცემლობა AUREUS

ISSN 2587-5175

თბილისი
2020

მთავარი რედაქტორი: პროფ. ალექსანდრე ნონეშვილი

სარედაქციო კოლეგია:

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტი,
პროფ. გურამ ლორთქიფანიძე
2. **პროფ. გურამ გრიგოლია**
3. პროფ. გურამ ყიფიანი
4. პროფ. ვალერი ვაშაკიძე
5. პროფ. ვახტანგ ლიჩელი
6. პროფ. გივი ინანიშვილი
7. ისტორიის დოქტორი თემურ ბიბილური
8. არქეოლოგიის აკადემიური დოქტორი მადონა მშვილდაძე (პასუხისმგებელი რედაქტორი)
9. ლევან ხეცურიანი
10. გოჩა გერაძე

© 2020. აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი

© 2020. ევროპის უნივერსიტეტის ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმი

© 2020. გამომცემლობა AUREUS

მხატვარ-დიზაინერი: გურამ ყიფიანი

საბა ნონეშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: პაატა ახრაბაძე

დაიბეჭდა შპს-ში „ბეჭდვის სამყარო“

ელ-ფოსტა: info@wop.ge



ალექსანდრე კალანდაძე

1909-1976

ალექსანდრე კალანდაძე

გამოჩენილი ქართველ არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ალექსანდრე ნესტორის ძე კალანდაძე დაიბადა 1909 წლის 2 (15) აპრილს ს. ხიდისთავში ჩოხატაურის რაიონი), გლეხის ოჯახში. საშუალო განათლება ფოთში მიიღო, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მაგრამ მის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი ისტორიის სპეციალობით 1931 წელს. 1931-1933 წლებში მუშაობდა ქ. დუშეთის კოლმეურნე ახალგაზრდობისა და ათწლიანი შრომითი სკოლების ისტორიისა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1933-1937 წლებში ალ. კალანდაძე ქ. სანკტ-პეტერბურგში სწავლობდა, იყო მატერიალური კულტურის ისტორიის ნ. მარის სახელობის სახელმწიფო აკადემიის ასპირანტი. თვალსაჩინო მეცნიერების ნ. მარის, ი. მემჩანინოვის, ვ. სტრუვეს და ა. ორბელის ხელმძღვანელობით მუშაობდა პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის პრობლემებზე. ასპირანტურაში სწავლის პერიოდში მონაწილეობდა შუა ურალის (1934 წ.), აფხაზეთის (1935 წ.) და გურია-სამეგრელოს (1936წ.) შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობაში. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, 1937 წლიდან იგი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში მუშაობს პროფ. გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით, ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში არქეოლოგიის განყოფილების (ხელმძღვანელი გ. ნიორაძე) უფროს მეცნიერ თანამშრომლად და აგრეთვე საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტში არქეოლოგი-ინსტრუქტორად. 1937 წ. ალ. კალანდაძე მუშაობდა მეზოლითური და ნეოლითური კულტურის ნაშთების შემსწავლელ ექსპედიციაში დასავლეთ საქართველოში, ხოლო 1937 წლიდან 1941 წლამდე მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთი რაზმის ხელმძღვანელია.

ალ. კალანდაძე მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო, 1941 წლიდან 1945 წლამდე.

1945 წლის ოქტომბრიდან ალ.კალანდაძე დაუბრუნდა სამეცნიერო და საველე-არქეოლოგიურ საქმიანობას. ის ჯერ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა, ხოლო 1951 წლიდან კვლავ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში მუშაობდა, ჯერ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო მოგვიანებით, გარდაცვალებამდე (1976 წ. 15 ნოემბერი) ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი იყო. ალ. კალანდაძემ 1947 წელს დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის, ხოლო 1968 წ. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1970 წ. მას მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება არქეოლოგიის სპეციალობით.

ალ.კალანდაძე ქართველ არქეოლოგთა იმ რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც 30-იანი წლების მეორე ნახევარში პირველი დიდი არქეოლოგიური ექსპედიციის მოწყობა და ხელმძღვანელობა იტვირთეს. იგი იყო ივანე ჯავახიშვილისა და სიმონ ჯანაშიას

თაოსნობით მცხეთაში წამოწყებული დიდი არქეოლოგიური გათხრების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ალ კალანდაძე უძღვებოდა ამ ექსპედიციის პირველ რაზმს, რომელმაც მიაკვლია და გამოამხეურა ანტიკური ხანის ბრწყინვალე ძეგლი- პიტიახშთა ნამოსახლარ-განსასვენებელი არმაზისხევის შესართავთან. ალ. კალანდაძე თანაავტორი იყო ფუნდამენტური მონოგრაფიისა- „მცხეთა I“. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე იგი მუშაობდა სამთავროს სამაროვნის გათხრებზე და იქ მოპოვებული მასალის მეცნიერულ პუბლიკაციებზე, რომელიც ახლო აღმოსავლეთის არქეოლოგიის დიდმნიშვნელოვან ძეგლად არის აღიარებული. 1980 წელს ალ. კალანდაძის ავტორობით გამოიცა მცხეთა IV ხოლო 1981-1982 წლებში მისი თანაავტორობით- მცხეთა V და VI.

ალ. კალანდაძე იყო ნეოლითური კულტურის პირველი აღმომჩენი საქართველოში (ოდიში). ხელმძღვანელობდა შიდა ქართლში წონის მრავალფენიანი მღვიმური ნამოსახლარის არქეოლოგიურ გათხრებს, სადაც აშელის, მუსტიეს, მეზოლითისა და ენეოლითის პერიოდის უძრავი კულტურული ფენების არსებობა დადასტურდა. წონას მღვიმის გათხრების შედეგები დღეს ფართოდ არის ცნობილი როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ. ასევე დიდი მნიშვნელობისაა ალ. კალანდაძის ხელმძღვანელობით განხორციელებული გათხრები სოხუმში, სადაც გამოვლინდა გვიანბრინჯაოსა და ანტიკური ხანის ძეგლები, ხოლო წყალტუბოში გამოიკვლია ძველი ქვის ხანის მეტად საყურადღებო მღვიმური (თეთრი მღვიმე) და ღია ტიპის ნამოსახლარები, რომელთაც არაერთი საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა.

დიდია ალ. კალანდაძის დამსახურება ბრინჯაოს, ანტიკური და შუა საუკუნეების ხანის ძეგლების შესწავლის საქმეშიც. მისი სამეცნიერო ინტერესები მოიცავდა საკითხების ფართო წრეს-ქვის ხანის აქეოლოგიიდან მოყოლებული ადრეული შუა საუკუნეებით დამთავრებული.

ალ. კალანდაძე თანაავტორია „ საქართველოს არქეოლოგიის“ პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოსი (1959 წ.) „ საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ პირველი ტომის (1970 წ.). მას ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ და რომლებიც აშუქებენ ჩვენი შორეული წარსულის მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს.

თავისი კვლევა-ძიების შედეგები ქვის ხანის დარგში ალ. კალანდაძეს ფართოდ გამოჰქონდა სათანადო დარგის სპეციალისტთა მსოფლიო კონგრესებზეც, როგორც დელეგატსა და მომხსენებელს (ანთროპოლოგთა და ეთნოგრაფთა VI მსოფლიო კონგრესი მოსკოვში, 1964წ., სპელეოლოგთა IV მსოფლიო კონგრესი იუგოსლავიაში, 1965 წ. და სხვ.).

ალ. კალანდაძეს, ახასიათებდა ზედმიწევნითი მეცნიერული კეთილსინდისიერება, დინჯად აწონ-დაწონვა საკითხებისა, ჯეროვანი განზოგადების უნარი. მისი თითოეული ნაშრომი ჩვენი არქეოლოგიის დადებითი და უეჭველად ღირებული შენამატია. ალ. კალანდაძე წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მის სახელს უკავშირდება არქეოლოგიის დარგში

მომუშავე სათანადო კადრების მომზადება. მან გამოზარდა ამ დარგში წარმატებით მომუშავე მკვლევარნი, არამარტო საქართველოსთვის, არამედ კავკასიის სხვა რესპუბლიკებისთვისაც (ადიღე, აზერბაიჯანი, სომხეთი), რომელთაც მასთან გაიარეს საველე მუშაობის კარგი მეთოდური და პრაქტიკული სკოლა.

დღეს ალ. კალანდაძის მიერ გამოზრდილი ქართველი, ოსი, თუ აფხაზი მეცნიერები წარმატებით მუშაობენ არქეოლოგიის დარგში და ახალი აღმოჩენებით კიდევ უფრო ამდიდრებენ ჩვენი სამშობლოს ისტორიულ წარსულს.

ბატონი ალ. კალანდაძე ადამიანთა იმ კატეგორიას განეკუთვნებოდა, რომელმაც არქეოლოგიური აღმოჩენებითა და მეცნიერული კვლევა-ძიებით ღრმა კვალი დატოვა მეცნიერებაში; ამასთანავე პიროვნული კარგი თვისებებით ადამიანთა სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა. ეს კარგად ჩანდა მისი ცხოვრების ყოველ ფეხის ნაბიჯზე

მეც კარგი მოგონებები მაკავშირებს ბატონ სანდროსთან. ჩვენ გვერდი-გვერდ, მეზობლად ვცხოვრობდით ერთ სახლში შარტავას ქ. №16-ში და ერთი გრძელი აივანი გვაკავშირებდა. საღამოობით, ხშირად, როდესაც ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი ბ-ნი სანდრო მესაუბრებოდა არქეოლოგიაზე, ჩვენი ქვეყნის წარსულზე, მის პრეისტორიაზე. აგრეთვე მიყვებოდა მამაჩემთან, გიორგი ნიორაძესთან, ერთად, რომელიც იმ დროისათვის უკვე ცოცხალი არ იყო, წარმოებული სამუშაოების შესახებ და სხვა. ყველაფერი ეს ჩემს დიდ დაინტერესებას იწვევდა და ბ-ნ სანდროსთან ხშირად ყოფნის სურვილს მიჩენდა. ყველაფერმა ამან დიდი გავლენა იქონია ჩემი პროფესიის არჩევაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ასპირანტურის კურსის (ხელმძღვანელი ო. ჯაფარიძე, დ. თუშაბრამიშვილი) გარკვეული პერიოდი სანქტ-პეტერბურგის არქეოლოგიის ინსტიტუტში გავიარე. ხელმძღვანელობას მიწევდა ცნობილი პალეოლითმცოდნე ალ. როგაჩოვი, რომელიც კოსტენკოს ღია ტიპის ზედაპალეოლითურ ძეგლებს იკვლევდა და ინსტიტუტში პალეოლითის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ალ. როგაჩოვი, ბ-ნ სანდროს ფრონტელი მეგობარი ყოფილა და მათი მეგობრობა ჩემთვის სასიკეთო აღმოჩნდა. ბ-მა სანდრომ სთხოვა ალ. როგაჩოვს ჩემი მეურვეობა და მე საშუალება მომეცა ასპირანტურის კურსის ნახევარი პერიოდი სანქტ-პეტერბურგის არქეოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვის ხანის განყოფილებაში გამეტარებინა, რომელიც ერმიტაჟის შენობაში იყო განთავსებული. ეს წლები, რომლებიც გასული საუკუნის 60-იან წლებს მოიცავს ჩემთვის ძალზედ ნაყოფიერი აღმოჩნდა. ამ პერიოდში მე შევიძინე კარგი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა პალეოლითმცოდნეობაში. მონაწილეობას ვიღებდი კოსტენკოს პალეოლითურ ექსპედიციაში, სადაც გავიარე საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების კარგი პრაქტიკა. სანქტ-პეტერბურგში გატარებულ სწავლების ამ პერიოდში მნიშვნელოვანი გამოცდილება და ცოდნა შევიძინე ჩემს სპეციალობაში. ამ ყველაფერს ბ-ნ სანდროს უნდა ვუმაძღვოდე.

როდესაც ვაწარმოებდი საკაჟიას და ორთვალა მღვიმეების შუაპალეოლითური ფენების გათხრებს ბ-ნი სანდრო ხშირად ჩამოდიოდა ჩემი სამუშაოების

დასათვალისწინებლად სოფ. გოდოგანში, სადაც მდებარეობენ აღნიშნული მღვიმეები. იგი რჩევებს მამლევედა და დიდ ყურადღებას იჩენდა ჩემი სამუშაოებისადმი. ამავე დროს დიდ სიბოლახსა და სიყვარულს ავლენდა ჩემი შვილების გიორგის და დავითის მიმართ. უყვებოდა მათ საინტერესო ამბებს, ასწავლიდა და უკითხავდა ლექსებს. ბავშვობის ეს თბილი მოგონება დღემდე კარგად შემორჩათ ჩემ ვაჟიშვილებს მეხსიერებაში.

მახსენდება ერთი შემთხვევა, რაც ბ-ნ სანდროს უკავშირდება ჩვენთან ყოფნისას და რომელიც ახლა უკვე ღიმილს მგვრის, თუმც თავის დროზე ამან ჩემში შეშფოთება გამოიწვია.

ბ-ნი სანდრო ახალი ჩამოსული იყო სოფ. გოდოგანში ჩვენი ექსპედიციის მიერ წარმოებული სამუშაოების მორიგი დათვალისწინების მიზნით; ზაფხულის ცხელი დღე იყო, ჩვენ ვისხედით სოფლის მკვიდრ აკაკი აბესაძის სახლის აივანზე, სადაც ჩვენმა ექსპედიციამ დაიდო ბინა. მე ვუყვებოდი ბ-ნ სანდროს საკაჟიას მღვიმის ფენების სტრატეგრაფიის, მონაპოვარ არტეფაქტებზე, ფაუნისტურ და სხვა მასალებზე, რომლებიც მეორე დღეს უნდა გვენახა ველზე. ბ-მა სანდრომ მოიხადა მზის ქუდი, რომელიც იქვე ლურსმანზე ჩამოკიდა. ჩვენი საუბრის დროს ქუდი ჩამოვარდნილიყო, რაც ჩვენ ვერ შევნიშნეთ და ეზოში მოთამაშე ჩემი შვილების ფეხებთან დავარდნილიყო. ბიჭები მაშინ 3-4 წლიანი თუ იქნებოდნენ, მათ დიდხანს არ უფიქრიათ და ბ-ნ სანდროს ქუდი, როგორც ბურთი ისე აგორავეს, აქეთ-იქით. ქუდი, რომელიც ბავშვებს ბურთის მაგივრობას უწევდა, არ იცოდნენ ვისი იყო, ან საიდან მოხვდა მათ სათამაშო მოედანზე.

ეს რომ დავინახე ძალიან შევწუხდი, შევწყვიტე მოყოლა, მაშინვე წამოვხტი, წავართვი ქუდი ბავშვებს, დავტუქსე, გავწმინდე და სადაც ეკიდა ისევ იქ დავკიდე. ბ-მა სანდრომ მთხოვა საყვედური არ მეთქვა ბავშვებისთვის, რომლებიც გაწბილებულები და დატუქსულები იქვე იდგნენ და მითხრა: „რას ერჩი მათ, მე უნდა მეფიქრა და მათთვის ბურთი ჩამომეტანაო“.

ასევე, ძალიან კარგად მახსენდება შიდა ქართლში, წონას მღვიმეში ჩატარებული სამუშაოები. ბ-ნი სანდრო ხელმძღვანელობდა სამხრეთ ოსეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელიც წონას მღვიმეში აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს და მე, როგორც ექსპედიციის წევრი, გასული საუკუნის 60-იან წლებში, აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი ექსპედიციის როგორც საველე, ასევე კამერალურ სამუშაოებში.

წონას მღვიმე ზღვის დონიდან 2150მ. სიმაღლეზე მდებარეობს და ეს ადგილი ნახევრად ალპურ ზონას განეკუთვნება. იქ, ამ სიმაღლეზე მოსახლეობა არ სახლობს და ჩვენი ექსპედიცია მღვიმესთან ახლოს კარვებში იყო დაბანაკებული. ღამე საკმაოდ ციოდა, კარვებში შეყუჟულებს თბილად გვეძინა. ბ-ნი სანდრო ყველაზე ადრე დგებოდა შემახილებით: „ გაიღვიძეთ, ადექით, აღარ დარჩა ჰაერი“ გვამხნევებდა, ბევრი, ძალიან, ბევრი რამ შემძინა წონას ექსპედიციაში მუშაობამ. ეს ითქმის როგორც საველე, ასევე კამერალურ სამუშაოებზე, რაც გულისხმობდა: მონაპოვარი არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური მასალების (ქვის არტეფაქტები, ცხოველთა ძვლები და სხვ.) საველე დავთარში მონაპოვარის რეგისტრირებას, რესტავრირებას, მარკირებას, აღწერას და სხვა.

ასევე კარგი მოგონება მაკავშირებს ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომლებთანაც ბ-ნ სანდროს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ისინი ჩვენ ექსპედიციას ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ მუშაობაში. კავშირი გვექონდა ლენინგრადის არქეოლოგიის ინსტიტუტის კუდაროს არქეოლოგიური ექსპედიციის წევრებთან, რომელსაც ვასილ ლუბინი ხელმძღვანელობდა. კუდაროს მღვიმეც შიდა ქართლის ტერიტორიაზე მდებარეობს, წონას მღვიმის მახლობლად და წონას მღვიმის მსგავსად ადრეული ადამიანის ცხოვრების ნაშთების შემცველია. კუდაროს ექსპედიციის წევრები ხშირად იყვნენ ჩვენი სტუმრები და ჩვენი ურთიერთობა რუს კოლეგებთან მეცნიერებისთვის მხოლოდ სარგებლობის მომტანი იყო.

მრავალი წლების მანძილზე ბ-ნი სანდრო იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილების გამგე, სადაც მე ვირიცხებოდი განყოფილების მეცნიერ თანამშრომლად. ამ წლებმა ბევრი რამ შემძინა ჩემ სპეციალობაში, ამას ბ-ნ სანდროს უნდა ვუმაძღლოდე. ბ-ნ სანდროს ყოველთვის თბილი მოგონებებით იხსენებენ მისი კოლეგები, ისინი, ვინც იცნობდა ამ კეთილ ადამიანს და ცნობილ მეცნიერს.

მედეა ნიორაძე



მარჯვნიდან მარცხნივ: ვერა აუმალი, სიმონ ჯანაშია, ნინო ხოშტარია, გიორგი ნიორაძე. დგას ალექსანდრე კალანდაძე (არმაზი. 1937წ.).



ალ. კალანდაძე აკაკი აბესაძის სახლის აივანზე (სოფ. გოდოგანი, 1975 წელი.).



მარცხნიდან: ანზორ სიხარულიძე, ანდრია აფაქიძე, სანდრო კალანდაძე, ვახტანგ ნიკოლაიშვილი. მცხეთა, 1976.

ალექსანდრე კალანდაძე

(გახსენება)

ალექსანდრე კალანდაძე - ბ-ნი სანდრო (ასე ვუწოდებდით მას)-გამოჩენილი არქეოლოგი-მკვლევარი, პირველყოფილი საზოგადოების და ქვის ხანის უბადლო სპეციალისტი, მისი ერთერთი ფუძემდებელი და მამამთავარი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი (1970 წ.), პროფესორი (1971 წ.). სსრკ-ს საპატიო ორდენის კავალერი და მრავალი მედალის მფლობელი.

1931 წ. უმაღლესის დამთავრების შემდეგ ისტორიკოსის სპეციალობით მან მიზნად დაისახა თავისი საქმიანობა და მეცნიერული მოღვაწეობა პირველყოფილი საზოგადოებისა და მისი მატერიალური კულტურის კვლევისათვის მიემდგნა.

1937 წ. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ალ.კალანდაძე დაუოკებელი ენერგიითა და მონდომებით, ფუნდამენტური ცოდნით აღჭურვილი ეწაფება თავის საყვარელ საქმეს - არქეოლოგიის მსახურებას, 1937-1941 წ.წ ენიმკში, 1939 წ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და შემდეგ ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელად სიცოცხლის ბოლომდე.

1936 წ . საკავშირო მეცნიერებათა აკადემიამ ჩამოაყალიბა აფხაზეთის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიცია პროფ. მ. მეშანინოვის ხელმძღვანელობით. ბ-ნ ალექსანდრე ამ ექსპედიციის ერთ ერთი აქტიური წევრია , იგი გათხრებს აწარმოებს სოხუმის მთაზე , სადაც აღმოჩნდა გვიანბრინჯაო- ადრეანტიკური ხანის საინტერესო მასალები. 1951-1953 წ.წ იგი განაგრძობს მუშაობას სოხუმსა და მის შემოგარენში , აქ მის მიერ აღმოჩენილი და შესწავლილია სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური ძეგლები.

1963-1972 წ.წ იგი თბრის და იკვლევს წონას მრავალფენოვან მღვიმეს.

ალ.კალანდაძის სახელთანაა დაკავშირებული დას. საქართველოში პირველი ნეოლითური ძეგლის -ოდიშის ნასახლარის აღმოჩენა და შესწავლა, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოში ნეოლითური კულტურის განსაზღვრისა და გამოკვლევის საქმეში.

ალ.კალანდაძე ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო, იგი თანაბრად ფლობდა ყველა არქეოლოგიური ეპოქების საფუძვლიან ცოდნას. მის სახელთანაა დაკავშირებული მცხეთის სახელგანთქმული ძეგლების გათხრა, შესწავლა: მცხეთის აკლდამა, სამთავროს სამაროვანი, არმაზისხევის პიტიახშოთა სამარხები, აბანო და აშ. 1937-1941 წ.წ ის მცხეთის ექსპედიციის ხელმძღვანელია. 1946 წ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ განახლებულ მცხეთის ექსპედიციას ისევ ალ.კალანდაძე უდგება სათავეში და ხელმძღვანელობს მას სიცოცხლის ბოლომდე (1976 წ). იგი ავტორია მცხეთისადმი მიძღვნილი ყველა ტომის. უნდა აღინიშნოს, რომ მცხეთა 1 (არმაზისხევის ძეგლები) წარდგენილი იყო სსრკ სახელმწიფო პრემიაზე.

აღკალანდაძე ავტორია საქ.არქეოლოგიის, საქართველოს ისტორიის ნარკვევების 1 ტომი. მონაწილეობდა მრავალ საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში.

აღკალანდაძე გამოჩენილი, აღიარებული და საყოვეთაოდ დაფასებული მეცნიერი იყო და მისი ნაშრომები არქეოლოგიის ყველა მკვლევართათვის სამაგიდო წიგნია, მაგრამ შეიძლება ყველამ არ იცოდეს რა შესანიშნავი პიროვნება და გამორჩეული ადამიანი იყო ბ-ნი სანდრო გასაოცრად კეთილი, კეთილშობილი, თავმდაბალი, ლმობიერი, მეგობრული, მზრუნველი და გულშემატკივარი.

მე ბ-ნ სანდროსთან ბევრი გულთბილი მოგონება მაკავშირებს. 1964 წ საკანდიტატო დისერტაციას ვიცავდი, რომელიც წესისამებრ, მოსკოვში უნდა დაემტკიცებინათ, ამიტომ ქართულთან ერთად რუსულ ენაზე, მაღალ დონეზე შესრულებული ავტორეფერატი უნდა გაგზავნილიყო, ავტორეფერატი მზად მქონდა, მაგრამ ბ-მა სანდრომ თავის სურვილით მოინდომა მისი გადახედვა და დახვეწა , ბ-ნი სანდრო რუსულის ბრწყინვალე მცოდნე იყო და ჩემი ავტორეფერატი მართლაც შესანიშნავი გამოვიდა.

ბ-ნი სანდრო ძალზე ყურადღებიანი იყო თანამშრომლების მიმართ, მის თვალს არაფერი გამოეპარებოდა, ასეთი შემთხვევა გამახსენდა მე და ერთ თანამშრომელს პატარა შელაპარაკება მოგვივიდა, ის დისერტაციას იცავდა , რასაც ჩვეულებრივ „დესერტაცია“ მოჰყვებოდა, მე დესერტაციაზე წასვლას არ ვაპირებდი ბ-ნი სანდრო ეს ცნობილი და ყველასთვის პატივცემული მეცნიერი-მოვიდა ჩემთან სახლში - შელაპარაკა, დამარწმუნა და წამიყვანა „დესერტაციაზე“. ასეთი რამის გაკეთება მხოლოდ მას შეეძლო.

ჩემი ცხოვრების საუკეთესო მოგონებები მცხეთის ექსპედიციას უკავშირდება. 1957 წ. ასპირანტურაში ჩაბარების შემდეგ მცხეთის ექსპედიციაში გამაგზავნეს, როგორც ითქვა ამ ექსპედიციის უცვლელი ხელმძღვანელი ბ-ნი სანდრო იყო. მცხეთის ექსპედიცია ფართო მამტაბიანი, მრავალუბნიანი, მრავალფუნქციური იყო. როგორც წესი ყველას და განსაკუთრებით კი ახლადმოსულ არქეოლოგებს მასში მონაწილეობა უნდა მიეღოთ. შეიძლება ითქვას, რომ მცხეთის ექსპედიცია არქეოლოგთა „სამჭედლო“ იყო. ასე მოვხვდით ექსპედიციაში ასპირანტები: მე და ლეილა წითლანაძე.

იმ პერიოდში ექსპედიციაში მონაწილეობდნენ, როგორც ჩვენი -ისტორიის ინსტიტუტის, ასევე საქ. სახ. მუზეუმის თანამშრომლები: უფროსი მეცნიერ მუშაკები აწ განსვენებულები ტარიელ ჩუბინიშვილი, ნუცა უგრეხელიძე, დომენტი ქორიძე, რამინ რამიშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე და სხვ. და ჩვენ ახალგაზრდები.

ექსპედიცია რამოდენიმე უბანზე მუშაობდა ბ-ნი სანდრო ყოველდღე დაუღალავად დაქროდა ერთი უბანიდან მეორეზე, მეთვალყურეობდა სამუშაოებს, იძლეოდა მითითებსა და გეგმავდა შემდგომ მიმართულებებს. მე სამთავროს სამაროვანზე ვმუშაობდი. ეს იყო ჩვენი პირველი სერიოზული გამოცდა და სრული პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი მას. მთელი დღე ვისხედით სამარხებში ვაკეთებდით პრეპარაციას, შუადღეზე ბიჭებს (კ.კვიციანიძე, აღ.ბოხოჩაძე) მოჰქონდათ ხოლმე ცხელი

ქართული შოთი, ყველი და კიტრი, რასაც პირდაპირ სამარხშივე მივირთმევდით. გოგოები მე „დუხტას“ მეძახოდნენ (შემოკლებული გურანდუხტი-დან) ბ-მა დომენტი ქორიძემ თავისებურად გადააკეთა ის და „ТЮФТЯ“-მეძახდა. ბატონმა სანდრომ რომ გაიგონა ეს სახელი ხუმრობა ნარევი საყვედურით უთხრა „ბატონო დომენტი, რატომ ეძახით ამ ჩვენ კარგ გოგონას „ტუფტას“- ბევრი ვიცინეთ.

სამუშაო დილის 7 საათზე იწყებოდა და ყველა ველზე უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ შაბათ-კვირას თბილისში მოვდიოდით და ორშაბათს დილით გვაგვიანდებოდა ხოლმე ველზე გასვლა.

დაგვიანებით მისულებს ბ-ნი სანდრო დახვდებოდა ჩვენს მაგივრად ჩვენ ადგილზე, მაგრამ არასდროს და არც ერთ ჩვენთაგანს არ ახსოვს მისი უკმაყოფილება, შენიშვნა ან საყვედური ამის გამო.

ბევრნი ვიყავით და სხვადასხვა სახლებში ვცხოვრობდით ერთხელ ჩვენმა დიასახლისმა ბ-ნი სანდროს შესჩივლა „ძალიან ხმაურიანი ხალხია, არ მაძინებენო“ ბ-ნი სანდრომ თავის ჩვეული ლმობიერებით დაამშვიდა იგი „აპატიეთ ქალბატონო ახალგაზრდები არიან და ენერგიას ვერ იკავებენო“, მართლაც ასე იყო. ღამეებიც კი არ გვეძინა, ვაწყობდით ხოლმე ექსკურსიებს და ყველა უკლებლივ ვმონაწილეობდით, უფროსი და უმცროსი. ღამის სიბნელეში სანთლებით ან ფარნის შუქზე ავდიოდით ბებრის ციხეზე, ვესტუმრებოდით მცხეთის ცნობილ აკლდამას და ხშირად არმაზისხევსაც ვეწვეოდით.

ბ-ნი სანდრო ჩვენთან ერთად მონაწილეობდა ყველა ჩვენ წამოწყებაში. სანთლით ან ფარნით ხელში იგი პირველი მიგვიძღვებოდა წინ და გზას გვინათებდა. ისეთი ხალისით აგვეყვებოდა ხოლმე ყველა ჩვენ ღონისძიებებს, როგორც ჩვენი ტოლი და სწორი. არავის ახსოვს მისი შექმუხნული წარბი ან შენიშვნა ან უკმაყოფილება. მართალია მაშინ ბ-ნი სანდრო 50 წლისაც არ იყო, მაგრამ მრავალტევადი სამუშაო, უდიდესი პასუხისმგებლობა და ყველა უბნის ზედამხედველობა ძალიან ღლიდა მას, თუმცა არასდროს არ იმჩნევდა და ჩვენთან ერთად იზიარებდა ჩვენს სიხარულსა და წარმატებას.

ჩვენთან მუშაობდა მცხეთის განთქმული მეზღის მიხეილ მამულაშვილის შვილიშვილი მიშიკო. იგი გვიწყობდა ხოლმე ნავებით სეირნობას მდ. მტკვისა და არაგვის შესართავთან ანტიოქიის ძველ პატარა ეკლესიასთან. ძალიან შთამბეჭდავად ვატარებდით დროს: ზეპირად ვკითხულობდით ლექსებსა და საყვარელ პოემების ნაწყვეტებს, ვმღეროდით ტკბილ ქართულ სიმღერებს, ვბამავდით ცნობილ მსახიობებს. ბ-ნი სანდრო მუდამ ჩვენ გვერდით იყო.

არც მე და არც სხვას, რომელიც კი მაშინ ექსპედიციაში მონაწილეობდა მთელი ცხოვრების მანძილზე არ შეიძლება დაავიწყდეს ეს შესანიშნავი რომანტიკული, სიყვარულითა და ღრმა შინაარსით აღვსილი საღამოები.

ბ-ნი სანდრო ჩვენთვის მხოლოდ უფროსი დაგანყოფილების ხელმძღვანელი კი არ იყო, არამედ სულიერად ახლობელი, კეთილმსურველი და პატრონი. მე და ალბათ ბევრს მამაშვილური დამოკიდებულება გვქონდა მასთან.

მე და ჩემი მეუღლე მალხაზ ბარამიძე ყოველ ახალ წელს (1 იანვარს) წლების განმავლობაში აუცილებლად ვსტუმრობდით ბ-ნი სანდროს და მის სათნო და შესანიშნავ მეუღლეს ქ-ნ სარას . ჩვენ გვიხაროდა მათთვის ახალი წლის მილოცვა და ვიცოდით, რომ მათაც ძალიან სიამოვნებდათ ჩვენი მისვლა.

ბ-ნი სანდროსთან ერთად უნდა გავიხსენოთ მისი კოლეგები და განუყრელი მეგობრები: ბ-ნი ანდრია აფაქიძე და ბ-ნი გერმანე გობეჯიშვილი ჩვენი განყოფილების გამგეები -ეს გასაოცარი ადამიანები ჩვენი დამრიგებლები, აღმზრდელები, მზრუნველები და გულშემატკივრები. მათგან ვისწავლეთ ჩვენ ურთიერთპატივისცემა, სიყვარული, ერთგულება, ერთმანეთის გატანა და ნამდვილი მეგობრობა.

მე გულწრფელად მენანება არქეოლოგთა ახალგაზრდა თაობა, რომელიც ამ შესანიშნავ პიროვნებებს ვერ შეესწრო. მათ ბევრი დაკარგეს ადამიანური და სულიერი თვალსაზრისით.

პროფ. გურანდა ფხაკაძე

მოგონებები პროფესორ ალექსანდრე კალანდაძეზე

ბატონ ალექსანდრეს ასპირანტებთან ურთიერთობა, ისე როგორც სხვებთან, მეგობრული ჰქონდა. მისი ბოლო ასპირანტები მე და გოგი ხუბუტია ვიყავით. ჩვენ, როცა მისაღებ გამოცდებს ვაბარებდით (1965წ.), იგი კრაკოვის უნივერსიტეტში კავკასიის არქეოლოგიას კითხულობდა. როგორც კი დაბრუნდა, ჩვენი ხელმძღვანელობა დაევალა და გარდაცვალებამდე (1976წ.) ერთად ვთანამშრომლობდით (როგორც ველზე, ისე ინსტიტუტში). ასპირანტებისაგან განსაკუთრებით „არქეოლოგიური გათხრების მეთოდის“ სრულყოფილ ცოდნას მოითხოვდა. ექსპედიციაში ყოფნისას, ბატონი ალექსანდრე დღიურს თავადაც წერდა და სხვებისთვისაც სავალდებულოდ თვლიდა. ხშირად იტყოდა: „დღიური, წლიური ანგარიშის ჩონჩხიაო“. სამეცნიერო ანგარიშის წერას ჩვენ გვავალებდა. თანაც, საგაზაფხულო სესიის დაწყებამდე, მასთან, 3-4 დღით ადრე უნდა მიგვეტანა. შენიშვნებს ფანქრით უკანა გვერდზე მიაწერდა (მათ შორის სტილისტურსაც). ერთი ასეთი შენიშვნა, ჩემს პირველ ანგარიშზე, ახლაც მიწერილია: „ზმნა წინადადების ბოლოში გადაიტანეთო“. არასდროს არ მავიწყდება მისი ერთი, რთული დავალება: „მე ასაკოვანი ვარ, შეიძლება მოხსენების დღეს შეუძლოდაც გავხდე, ამიტომ, მოხსენება შენ უნდა წაიკითხოვო“. თუმცა, როგორც მახსოვს, სესიის დროს, იგი ავად არასდროს გამხდარა, პირიქით, ჩვენი მოხსენების დღეს, წინა რიგში ჯდებოდა და ყურადღებით ისმენდა, შემდეგ სიტყვითაც გამოდიოდა და თუ რაიმე გამომრჩებოდა, ან შენიშვნა გაუჩნდებოდა, თავად დაამატებდა. თავდაპირველად, მწყინდა კიდევ ამგვარი ურთიერთობა, რადგან ასეთ საპასუხისმგებლო მოხსენებებს, მეტწილად, ხელმძღვანელები კითხულობდნენ და არა ასპირანტები (თანაც მაშინ, სესია

მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დარბაზში იმართებოდა (მერჟინსკის ქ. №-ში, III ს.), რომელსაც ესწრებოდა, გარდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლებისა (ვისთვისაც სავალდებულო იყო დასწრება), არამედ იმ ინსტიტუტების რიგითი მეცნიერები, რომლებიც ამ შენობაში მუშაობდნენ. მოხსენებებს ესწრებოდნენ, აგრეთვე, ის ვიცეპრეზიდენტები, რომლებიც იმ დროისთვის არქეოლოგიურ კომისიას თავჯდომარეობდნენ და გათხრების უფლებას („ღია ფურცელს“) ხელს აწერდნენ აკადემიკოსები: ის. დოლიძე, ირ. აბაშიძე, შ. ძიძიგური და სხვ.

მე გვიანდა მივხვდი, რომ ამას ჩვენი უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად აკეთებდა.

ერთხელაც მე და ბატონი ალექსანდრე არქეოლოგიური კვლევის ცენტრში, ველიდან, ერთად დავბრუნდით. კანცელარიის წინ, დაფაზე, მოკლე სია იყო გამოკრული, რომელზედაც იმ ღვაწლმოსილი თანამშრომლების გვარები ეწერა (4 თუ 5 კაცისა), რომლებიც აკადემიკოსის წოდებაზე უნდა წარედგინათ. მათ შორის იყო ბატონი ალექსანდრეც. მან, სათვალე მოიმარჯვა, კალამი ამოიღო და თავისი გვარი, თავადვე, გადაშალა, შემდეგ სამუშაო ოთახში შევიდა და მუშაობა ჩვეულებრივ, დინჯად გააგრძელა. არადა, ამ საპატიო წოდების მოსაპოვებლად, მაშინ, ფარული „ომი“ იყო გაჩაღებული.

ბატონი ალექსანდრე, ყოველთვის, ყველას დიდი თავაზიანობით და გულისხმიერებით ეპყრობოდა. იგი ყველას მეგობრულად ექცეოდა, სულერთია დიდი იყო თუ პატარა, უბრალო მუშა თუ ინტელიგენტი, მამაკაცი თუ ქალბატონი. ის ყველას საჭირო ყურადღებას უთმობდა და ღირსეულ პატივს მიაგებდა. თანაც, ამას ხელოვნურად არ აკეთებდა, მას იგი ბუნებრივად გამოსდიოდა, რადგან თავად იყო ბუნებრივად, სიკეთის გამოვლინება. გარშემომყოფნიც გრძნობდნენ ყოველივე ამას, და განუზომლად უყვარდათ იგი. მას, არავინ ივიწყებდა. მუშები ყოველ სეზონის დაწყებისას, მას, დიდი სითბოთი ხვდებოდნენ და მოიკითხავდნენ. ბატონი ალექსანდრეც გულითადი მისალმების შემდეგ, იმ პრობლემების მოგვარებაზეც ესაუბრებოდა, რომლებიც მას, ჯერ კიდევ წინა წლის საუბრიდან ახსოვდა.

ბატონ ალექსანდრეს ძალზედ უყვარდა მასპინძლობა. თუ ის მაგიდასთან იჯდა, ფულის გადახდას ვერავინ დაასწრებდა. ერთხელ ძალიან მოვიწოდებოდა ხარჯის გადახდა, რადგან სტუმრებს შორის, არქეოლოგი, გივი ელიავაც ბრძანდებოდა, რომლისაგან დიდად ვიყავი დავალებული. შუასადილობისას, მანქანის ნახვის მომიზნებით წამოვდექი, „ბუფეთში“ შევედი და ჩუმიად ფული მივაწოდე, მაგრამ ძალზედ გვიანი აღმოჩნდა, მათაც ჩუმიად მანიშნეს: „იმან გადაიხადაო“. ჩემი უფროსი თაობის კოლეგებიც ხშირად სიცილით იხსენებდნენ ასეთ ეპიზოდს: „ბევრნი ვიჯექით მაგიდასთან, ბატონმა სანდრომ, როგორც ხშირად ხდებოდა, დაგვასწრო და ხარჯი გადაიხადა. გადავწყვიტეთ, ფული ჯიბეში დამშვიდობებისას ჩუმიად ჩავგედო. მივაცილეთ სახლამდე და დავემშვიდობეთ. ორმა ჩვენგანმა II სართულამდე ააცილა, რადგან სხვა გზით არ მოხერხდა, ერთმა ხელები დაუჭირა, მეორემ ფული ჯიბეში ჩაუტენა და უკან გამოიქცნენო, მათ ჩამოსვლამდე ფანჯრიდან გადმოყრილი ფული,

ზოგი ჰაერში ფარფატებდა და ზოგიც ბუჩქებში იფანტებოდა. მაშინ ყველამ ვიკადრეთ და ერთდროულად ბუჩქებში გადავეშვით, რათა ჩვენი წილი ფული დაგვებრუნებინა, რაც ერთმანეთზე თავების ხეთქებისა და კოსტუმების დასვრა-დახვევის შემდეგ ძლივლა შევძელითო (იგონებდა ალ. ბოხოჩაძე).

ბატონ ალექსანდრეს მაღალ მეცნიერულ განათლებაზე და დიდ პრაქტიკულ გამოცდილებაზე, გარდა თვალთ ნანახისა, ბევრიც გვსმენია. შეიძლება ითქვას, რომ იგი მართლაც ცოცხალი ენციკლოპედია იყო, ისე, როგორც მისი თანადროული მეცნიერები, ბატონები: ანდრია აფაქიძე, გიორგი ლომთათიძე, გერმანე გობეჯიშვილი და სხვები. ერთხელ ასეთ სურათს შევესწარი: მაშინ არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომლები მუზეუმის შენობაში ვიყავით, დროებით თავშეფარებული (საკუთარი შენობის მოლოდინში) ერთ დიდ დარბაზში, სხვებთან ერთად, დროებითი კომისიაც მუშაობდა, რომელსაც საბოლოოდ უნდა დაეზუსტებინა იმ დამსახურებულ არქეოლოგთა ნუსხა, რომლებიც ენციკლოპედიაში უნდა შეეტანათ, თანაც მთელი „კავშირის“ მასშტაბით. თითქმის ყველა არქეოლოგის გვარსახელი დადგენილი ჰქონდათ, მაგრამ ზოგიერთის მამისსახელი იყო დასაზუსტებელი, რაც საკმაოდ რთული შეიქნა. მაშინ ერთ-ერთმა წინადადება შემოიტანა: „ბატონი სანდრო დავიხმაროთ, ის ხომ ლენინგრადში სწავლობდა და ბევრი მათგანი მისი თანაკურსელიც იქნებოდაო“. ჩქარა ბატონი ალექსანდრეს თანდასწრებით გაგრძელდა მუშაობა. მან კომისიას მუშაობის ასეთი მეთოდი შესთავაზა: „თქვენ მარტო გვარი წამიკითხეთ, მე კი სახელს და მამისსახელს დავამატებო“. დაიწყო კითხვა: „პიოტროვსკი“ – „ბორის ბორისის ძე“, კარნახობდა ალექსანდრე. სწორია!.. ერთხმად ეთანხმებოდნენ კომისი წევრები. სულ ჩქარა, საკმაოდ ვრცელი სია, ბოლომდე ჩასწორდა.

ერთხელ მე და ბატონი ალექსანდრე წყალტუბოდან მანქანით თბილისში ვბრუნდებოდით. მდ. წყალწითელას რომ გამოვცდით და აღმართს შეუდექით, მანქანამ გაწევა დაკარგა. რამდენჯერმე ვცადეთ, მაგრამ ვერ ავედით. მანქანა გაჯიუტდა. უკან ჩავგორდით. მოვიგონეთ ბატონი გივი ბერიკაშვილი და მისი „ვირის სიჯიუტე“, სწორედ ამ ადგილას. იძულებული გავხდით, იქვე მდებარე პროფილაქტიკაში შვევევობინა. შემთხვევით, ჭიშკართან მიბმულმა ძაღლმა ალექსანდრეს ფეხზე უკბინა. აი, აქედან დაიწყო ჩვენი ორმოცდღიანი წამების ათვლა. გამოიძახეს სასწრაფო, გაკეთდა პირველი აცრა, ღამით მგზავრობა აგვიკრძალეს. უახლოეს პოლიკლინიკაში აგვიყვანეს აღრიცხვაზე. პირობა ჩამოგვართვეს, რომ თბილისშიც ასევე დავდგებოდი აღრიცხვაზე და ორმოცი დღის მანძილზე მკურნალობას გავაგრძელებდით. მოითხოვეს მკაცრი მეთვალყურეობა ძაღლსა და პაციენტზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო დიდი უბედურება (ისე, როგორც ეს მომხდარა, სადღაც იმ ხანებში).

დავუკავშირდით ქუთაისის მუზეუმის დირექტორს ბატონ ვ. ნიკოლაიშვილს. ნახევარ საათში მუზეუმის მთელი კოლექტივი ჭირისუფალივით თავს გვეხვეოდა. მანქანა შეგვიკეთეს, ღამის გასათევად მოადგილის კერძო სახლში გადაგვიყვანეს (სამწუხაროდ გვარი დამავიწყდა). სასწრაფოდ ისეთი დიდებული ვახშამი გაიშალა, როგორც ეს ქუთაისლებს სჩვევიათ. დაიწყო მამაპაპური სადღეგრძელოები. ნამდვილი

ქუთათური პურისჭამა გაიმართა. ყველა მღეროდა, ყველა სვამდა, მათ შორის პაციენტიც, რომელსაც დაღევა განსაკუთრებით აუკრძალეს. ქეიფში შემოგვათენდა, სადღეგრძელოებიც შეგვითხელდა. ერთ-ერთი წამოდგა და იმ ძაღლის სადღეგრძელო ითხოვა, რომელმაც „ასეთი გემრიელი და სამახსოვრო პურისჭამა გვაჩუქაო, რომ არა ის ძაღლი ჩვენ ეხლა შუა ძილში ვიქნებოდითო“.

მეორე დღეს თბილისში, როგორც კი დავბრუნდი, პოლიკლინიკას მივადექით. ბატონმა ალექსანდრემ ექიმს ზეპირად უკარნახა პირადობის მოწმობის ნომერი. ვიცით ბატონო! თქვენი თავგადასავალი, ქუთაისიდან შეგვატყობინესო, უთხრა ღიმილით ექიმმა ალექსანდრეს. ამის შემდეგ, ორმოცი დღის მანძილზე ორ დიდ ქალაქს შორის ასეთი შინაარსის ტელეგრამები იგზავნებოდა: „ქუთაისიდან – თბილისს! ძაღლი არ გაცოფებულა, შეგვატყობინეთ პროფესორი როგორაა!“ თბილისიდან – ქუთაისს! პროფესორი არ გაცოფებულა, შეგვატყობინეთ ძაღლი როგორ არის“-ო. (ეს ის დრო იყო, როცა პროფესორის დაფასება ცოტათი მაინც იყო შემორჩენილი).

მახსოვს, ველიდან ახალდაბრუნებულს, ბატონმა ალექსანდრემ ნაღვლიანმა შემომჩივლა: „სამ დღეში, ჩემი დის, ოლიას ორმოცი მოდის, მე კი მას ანდერძს ვერ ვუსრულებ. მან დაიბარა, რომ მისი მცირეწლოვანი ვაჟი, რომელიც 30-იან წლებში დაელუბა, ვაკის დახურული სასაფლაოდან გადმომესვენებინა საბურთალოზე და მის გულზე დამეკრძალა. რადგან ვაკის ძველი სასაფლაო არ ფუნქციონირებს „მცველმა“ ქალაქის საბჭოდან ნებართვის მოტანა მოითხოვა, იქაც მივედით მე და ანდრია, მაგრამ იმდენი რამ მოგვთხოვეს, რომ სამ დღეში კიარა, სამ თვეშიც ვერ ჩავეტევით, რადგან სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ ბავშვი ჩემი დისშვილია“-ო.

ბატონი ალექსანდრე! ერთხელაც ვცადოთ! იქნებ უფრო მოკლე გზა ვიპოვოთ, ვურჩიე მე და სულ ჩქარა ხსენებულ სასაფლაოზე მივედით. ბატონი ალექსანდრე მანქანაში დავტოვე, მარტო გავედი და ვიპოვე შუა ხნის, ქართული აღნაგობის კაცი, რომელსაც ხელი გავუწოდე და ჩემი გვარი დავუსახელე. მანაც მიპასუხა – დევდარიანი! (სახელი არ მახსოვს). მე მაშინვე მივახალე – დევდარიანი შოთა, ძმაკაცი მყავს, მაიორია, საბურთალოზე ორგანოში მუშაობს! – მაგი ჩემი ბიძაშვილია მითხრა და მეორედ ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი. ჩემი მისვლის მიზეზი რომ გაიგო, მითხრა: „მაგ საქმეზე ამასწინათ ორი სოლიდური პიროვნებაც იყო მოსული. ამ საქმეს გაზვიადება არ უხდება. თუ შენ ჩქარა „ურნას“ კუკიიდან მოიტან, მე ბავშვის ნეშტს ამოთხრილს დაგახვედრებო“. სადღაც ნახევარ საათში ჩვენ კუკიის სასაფლაოს ეზოში შევედით. ხალხი ირეოდა, სანტექნიკის სპეციალისტები მიღებს ამონტაჟებდნენ. ერთმა მათგანმა ხელით შემაჩერა და მომესალმა: „აღბათ არ გახსოვარ, ხომ?...ამასწინათ ლუნაჩარსკზე, შენს კორპუსში, მიღები დავამონტაჟეთ და შენი „ადესით“ ვიქეიფეთ!“ მოკლედ, ამ „უცნობის“ შუამდგომლობით, ურნა ერთ საათში ჩვენს მანქანაში გვედგა. როცა ბავშვის ნეშტიც ჩავვილაგეს და საბურთალოსკენ წავედი, ბატონი სანდრო ცოტა ხასიათზე მოვიდა და ჩაილაპარაკა: „ეხლა საფლავის ქვაზე, ორივეს ეპიტაფია დაგვრჩა გასაკეთებელიო“. სასაფლაოზე სრული სიჩუმე იყო. ბოლოს ქვაზე კაკუნი გავიგონეთ, ჩქარა ჩემი სახელიც მოისმა. ბატონმა სანდრომ გადმომილაპარაკა: „მგონი მკვდრები

გემახიანო“. მარცხნივ დავინახე, რომ საფლავზე ჩაცუცქული ხელოსანი წარწერას აკეთებდა, რომელმაც ხელი დამიქნია, ვიცანი, მივედით. ბატონო ალექსანდრე! გაიცანით! ეს კაცი ჩემი ძველი „საბუტილნიკია“ ლუდის სმაში, გოგი ჩიტიაშვილი, რომელიც ქვემო-ვეძისში ჩემი ძმის კარის მეზობელია, სეკას-ში „ნაპარნიკებიც“ ვართ, ვიგებთ კიდეც! მერე გოგის შევჩივლე: „დაგეძებ ძმაო! უნდა გვიშველო, სასწრაფოდ წარწერა გვჭირდება“!.. „კაცო! თქვენ, დღესვე საფლავის ქვა მოიტანეთ, წარწერას ღამით გავაკეთებ, დილით გაგატან, თანაც უფასოდ! აბა ფული რომც გამოგართვა, სეკაში იქნებ მომიგო კიდეც. ამიტომ, ჩათრევას ჩაყოლა არ ჯიბია?“ მერე დილით გამზადებული საფლავის ქვა ადგილზე რომ დავდგით, ბატონი ალექსანდრე ლალი ღიმილით მეკითხება: „კაცო! შენ, შეთავსებით, თბილისში მესაფლავედაც ხომ არ მუშაობ? აბა რავა ყველა სასაფლაოზე გიცნობენ და ის, რაც ორმა პროფესორმა სამ თვეში ვერ შევძელით, შენ სამ დღეში როგორ მოახერხე“-ო და იცინის... პროფესორ ალექსანდრე კალანდაძის ღიმილიანი სახე და უკვდავი საქმე, მუდამ დარჩება მისი ყოფილი ასპირანტებისა და კოლეგების მეხსიერებაში.

კ. კალანდაძე

სახელმწიფოებრიობის დასაბამი საქართველოში და არქეოლოგია

დღევანდელი საქართველოს მინანქალზე საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა ისტორიულ-კულტურული განვითარების ხანგრძლივი და თავისებური პროცესი. ვფიქრობ, პროტოსახელმწიფოებრიობა ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში საქართველოს ტერიტორიის დასავლეთ მხარეს ჩაისახა და შემდეგ აღმოსავლეთი მხარეც მოიცვა. ძვ.წ. III ს-დან კი საპირისპიროდ, კოლხეთის ნაწილი გაძლიერებული და კონსოლიდირებული იბერიის სამეფოს ფარგლებში მოექცა.

პოლიტოგენეზი, პროტოსახელმწიფოების წარმოქმნა-განვითარების კვლევა ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი საკითხია. ძველი საქართველოს პოლიტოგენეზთან დაკავშირებული საკითხების განხილვას არაერთი მეცნიერი შეეხო [იხ. კაკაბაძე 1924: 25-31; ჯანაშია 1952:19-20; სულგულაძე 1951; მელიქიშვილი 1955; მუსხელიშვილი 1977: 32-62; ჯაფარიძე 2012: 248-284; ლორთქიფანიძე 2002: 124-183; ინაძე 2009: 31-50; ყორანაშვილი 2000; მამულია 1979; ქავთარაძე 2006; ფიცხელაური 2013: 305-318; გამყრელიძე 1993; ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან 2001 და იქ დასახელებული ლიტ.].

ახალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გაზარდა ძველი საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიის შესწავლის თვალსაწიერი. ისტორიოგრაფიაში აღიარებულია, რომ ძველ საქართველოში სახელმწიფოს შექმნას საფუძველი შეუმზადა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ეპოქის მეტალურგიის და მინათმოქმედება-მესაქონლეობის განვითარებამ, რამაც აქაური სოციუმის გარკვეული დიფერენცირება გამოიწვია [იხ. ჯაფარიძე 2012: 248-284; მელიქიშვილი 1970; გობეჯიშვილი 1970: 243-311; გობეჯიშვილი 2014; Κυφтин 1949; Κυφтин 1950; ფიცხელაური 2013; მიქელაძე 1974; სადრაძე და სხვ. 2018 და იქ დასახ. ლიტ.].

ძვ.წ. VII ს-თვის კოლხეთში უკვე ჩამოყალიბებულია სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელსაც ე.წ. ჩიფდომს უწოდებენ [იხ. Service 1975: 81-90; Васильев 1981: 157-175]. არქეოლოგიაში ეს წარმონაქმნი „კოლხ-

ური ბრინჯაოს კულტურის“ (resp. არქაული კოლხეთი – ძვ.წ. XV- VI სს.) სახელით არის ცნობილი. ის წარმოჩინდება გრავირებული ცულებით, მრავალფეროვანი სახის და გაფორმების კერამიკით; სპეციფიური სამკაულით და სხვ. [შეად. იხ. ჯაფარიძე 1950: 35-89; ქორიძე 1965; ლორთქიფანიძე 2002: 138-153; რამიშვილი 1974; რამიშვილი 2003: 41-48; აფაქიძე ჯ. 2002; Панцхава, Сулава, Папуашვილი 2003: 102-117; Техов 1985; Козенкова 1989 და მათში მითითებული ლიტ.]. ამგვარი არქეოლოგიური კულტურა ძვ.წ. XV-VII სს-ში ჩანს და ვრცელდება დასავლეთ და ცენტრალურ ტრანსკავკასიაში, შავი ზღვის სამხრეთით მდ. ყიზილ-ირმაქამდე (ჰალისი), მდ. მტკვრის ზემო და შუა აუზში, მდ. ჭოროხის აუზში. მისი ე.წ. ყობანური ნაირსახეობა ვრცელდება აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ „კოლხური ბრინჯაოს კულტურის“ მატარებელი საზოგადოება, რომელიც სახლობდა დღევანდელი საქართველოს დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილში, მეორე ეტაპზე, პროტოსახელმწიფოებრივი განვითარების დონეზე უნდა ყოფილიყო [ამ ეტაპის ქრონოლოგიის შესახებ იხ. გამყრელიძე 1985ა: 123-129].

ძველი სამყაროს ყველაზე მძლავრმა ლითონმა — რკინამ, კაცობრიობის ცივილიზაციის წინსვლა დააჩქარა. ძვ.წ. IX ს-დან საქართველოში თანდათანობით რკინის მეტალურგია იწყება. რკინის ჩასახვა-წარმოებას თან ახლდა იმ დროინდელი ადგილობრივი საზოგადოების სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური დანინაურება. კავკასიაში რკინის ინტენსიური დამუშავება-წარმოების განვითარებისათვის კარგი პირობები არსებობდა. კერძოდ, აქ იყო რკინის მადნით მდიდარი რეგიონები; საწვავისათვის ხე-ტყე და რაც მთავარია ბრინჯაოს ლითონის წარმოების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება [იხ. ინანიშვილი 2018; Деген-Ковалевский 1935: 242; Хахутаიшვილი 1987]. შემდგომ, რკინაფოლადის მაღალხარისხიანმა იარაღის წარმოებამ გამოდევნა შედარებით რბილი ლითონი — სპილენძ-ბრინჯაო. პირველ ეტაპზე რკინის სამეურნეო და საომარი იარაღები

იმეორებენ ბრინჯაოს ნივთების ფორმა-სახეობებს და იგივე, ბრინჯაოს ქურებში მზადდებობდნენ.

საქართველოს ტერიტორიაზე მრავლადაა აღმოჩენილი და ნაწილობრივ გათხრილ-გამოკვლეულია ადრერკინის პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები — სამოსახლოები, სამაროვნები, მეტალურგიული და კერამიკული ნარმოების ნაშთები. ძველი ბერძნული წერილობითი წყაროები ქართველურ მოსახლეობას — ხალიბებს, რომლებიც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ცხოვრობდნენ, რკინა-ფოლადის გამომგონებლად აღიარებდნენ [იხ. კვიციანი 1976]. საქართველოში არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილი რკინის იარაღის შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ ადგილობრივმა ხელოსნებმა მადნის ქურაში დნობა, ყალიბში ჩამოსხმა, ცხლად ჭედვა, წრთობა და სხვა რთული ტექნილოგიური მეთოდები იცოდნენ. ძვ.წ. VIII ს-დან რკინის ნარმოება საქართველოში უფრო ინტენსიური ხდება. რკინის სადნობი ქურებია მიკვლეული მთიან რეგიონებში და ზღვისპირეთში. კოლხეთში რკინის სასოფლო-სამეურნეო და საომარი იარაღების საოცარი სიმრავლეა დადასტურებული. კერძოდ, აღმოჩენილია რკინის მახვილები, ცულები, ისრისა და შუბის პირები, სახნისები, თოხები, ნამგლები, დანები და სხვ. [იხ. Микеладзе 1990].

ძვ.წ. VII ს-დან კავკასიაში რკინა-ფოლადის საყოველთაო გავრცელების პერიოდი იწყება, რაც საზოგადოების განვითარების ტექნიკური პროგრესის მყარ ბაზას ქმნიდა. ეს კი წინაპირობა იყო სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების სამეურნეო-სოციალური და სამხედრო-პოლიტიკური პროგრესის. ამ დროისათვის სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ტერიტორიაზე ურარტული წერილობითი წყაროები ახსენებენ კოლხეთს. კერძოდ, ურარტუს მეფე სარდურ II-ის ძვ.წ. 750 წ-ის წარწერაში: *„გავემართე მე კოულხას ქვეყნის წინააღმდეგ, ქალაქი ილდამუსი, სამეფო ქალაქი... გამაგრებული, ... რკინის ბეჭედი მოვამზადე, ... ციხესიმაგრეები, ქალაქები და ვწვი...“* [იხ. Меликишвили 1960: 304]. ეს წარწერა იმის მონიშნავს, რომ კოლხეთი გარკვეული ადმინისტრაციული სისტემის მქონე პროტოსახელმწიფოს წარმოადგენდა [იხ. მელიქიშვილი 1965:68-92]. იმდროინდე-

ლი კოლხეთი დღევანდელი საქართველოს დასავლეთი და აღმოსავლეთი მხარის დიდ ნაწილსაც მოიცავდა.

არქეოლოგიური მონაცემები მოწმობს, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისისათვის კოლხეთი საკმაოდ კარგად იყო განსახლებული სამოსახლო ბორცვებით. საცხოვრებლად და სამეურნეო საქმიანობისათვის ათვისებული იყო დაბლობი და მთისწინა ბორცვგორაკები. სადღეისოდ, 300-მდე ნამოსახლარია აღნუსხული. სამოსახლო ბორცვების განსაკუთრებული სიმრავლე მდ. რიონის ქვემო წელზე შეინიშნება. აქ სამოსახლოები ძირითადად ხელოვნურად მოზვინულ ბორცვებზეა განლაგებული. ბორცვების არქეოლოგიური გათხრების შედეგად ხელოვნურად მოზვინურ გორაკზე აგებული ხის ძელებიანი ნაგებობები დასტურდება, რომლებიც შემოზღუდული იყო ძელებითვე ნაშენი დამცავი კედლებით. ნამოსახლარების გარშემო გათხრილი იყო სადრენაჟე და თავდაცვითი არხები. სამოსახლო ბორცვები უმეტესად ჯგუფურად არის განლაგებული. ამ ჯგუფებში გამოირჩევა შედარებით დიდი ზომის სამოსახლო ბორცვები, რომლებიც უფრო ფართო ორმაგი თხრილებითაა გამაგრებული. ეს სამოსახლო გამაგრებული ბორცვი სხვებზეა გაბატონებული. მთავარი ბორცვების დიამეტრი 80 — 150 მ-მდე მერყეობს; ხოლო დაქვემდებარებული მცირე ბორცვების დიამეტრი დაახლოებით 30 — 80 მ-მდეა; სიმაღლე — 3 - 7 მ-მდეა. ბუნებრივია, რომ ასეთი სიდიდის ხელოვნური მინაზვინულების შექმნა, ასეთი სადრენაჟე, თავდაცვითი და საკომუნიკაციო არხების გაჭრა შესაბამისი შრომის იარაღებისა და მრავალრიცხოვან ადამიანთა კარგად ორგანიზებული შრომის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. აგრეთვე ბუნებრივია, რომ ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ ცოდნა-გამოცდილების მქონე გამორჩეული პიროვნებები. სწორედ ეს ლიდერები ანხორციელებდნენ ამ ბორცვზე განლაგებული გამაგრებული სასოფლო დასახლებების დაცვას. ამრიგად, თავდაცვითი და საცხოვრებელი პრობლემების ერთობლივი ძალისხმევით გადაწყვეტის პირობებში ხდებოდა გარკვეული პოლიტიკური კონსოლიდაცია, რაც შემდეგ ერთგვაროვანი კულტურის გავრცელებაში აისახებოდა. სამუშაოების მასშტაბების და

თავდაცვითი მზადყოფნის ზრდასთან ერთად იზრდება ლიდერების როლი საზოგადოებაში. ამავდროულად, ჩნდება ერთიანი წინამძღოლი, რომელსაც დანარჩენი ლიდერები ემორჩილებიან. ამგვარ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურას, რომელიც წინასახელმწიფოებრივიდან სახელმწიფოზე გარდამავალ ეტაპს წარმოადგენს, პროტო-სახელმწიფოებრივ საზოგადოებრივ წყობას უწოდებენ. ზემოთ ნახსენებმა გარემოებებმა და ძვ.წ. VII ს-დან ბრინჯაოს უფრო მტკიცე ლითონით, რკინით, ჩანაცვლებამ ძვ.წ. V - IV სს-ში ხელი შეუწყო ძლიერი პოლიტიკური ერთეულის კოლხეთის სახელმწიფოს განვითარებას, რომელიც წერილობით წყაროებში „ოქრომრავალი კოლხეთის“ სახელითაა ცნობილი [იხ. Lordkipanidze 2001: 2-37].

სახელმწიფოს წარმოშობის ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, რომელიც ისტორიკოს-სოციოლოგმა კარლ ვითფოგელმა შეიმუშავა (ე.წ. ჰიდრაულიკური; ირიგაციული; hydraulic state) სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზი გახლდათ ის, რომ მდინარეების ნოციერ ნაპირებზე დაიწყო ინტენსიური მიწათმოქმედება, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფოებრიობის წარმოქმნას. შესაძლოა, ზოგადად ასეთივე მდგომარეობა ცენტრალურ კოლხეთში, მდ. რიონის აუზშიც შეიქმნა. აქ ნამოსახლარების გარშემო კეთდებოდა მოზრდილი თხრილები (≈ 40 მ სიგანისა და ≈ 4 მ სიღრმის), რომლის გათხრაც და შემდეგ ბორცვის მოზინვა დიდ კოლექტიურ ძალისხმევას მოითხოვდა. „ჰიდრაულიკური თეორიის“ მიხედვით მდინარეების რესურსების დამოუკიდებლად გამოყენება დაქსაქსულ ჯგუფებს არ შეეძლოთ. საჭირო იყო მოსახლეობის მობილიზება და კონსოლიდაცია. ამისათვის კი, მათ სამართავად საჭირო შეიქმნა სახელმწიფოებრიობის — ე.წ. მარეგულირებლის გაჩენა. ამ თეორიაში ბიოგეოგარემოს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა [იხ. Wittfogel 1957; შეადარე — გამყრელიძე 1993: 3-45].

სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფენ რიგ ფაქტორებს [იხ. Поздняков 1995: 23-89; Еллинек 1903: 33-41; ენგელსი 1953], რომლებიც თავს იჩენენ სახელმწიფოებრიობის ჩასახვისას — წარმოების პროგრესი და შედეგად პროდუქტის ზედმეტობა, მოსახლეობის სწრაფი დემოგრაფიული ზრდა, თავდასხმის, ომის საფრთხე; მეზობელი ქვეყნებიდან

მომდინარე აგრესია, მეზობელი სახელმწიფოების კულტურის გავლენა; გამორჩეული პიროვნების, ორგანიზატორის, წინამძღოლის აღზევება და სხვ. [იხ. Claessen, Skalnik 1978: 5-26]. ტრანსკავკასიის გეოგრაფიული მდებარეობა, ე.წ. ვიწრო ყელი, განაპირობებდა მომხდურებისაგან პერმანენტულ საფრთხეს. ამიტომ აქაური მაცხოვრებლები მუდმივ საომარ მზადყოფნაში უნდა ყოფილიყვნენ. ყურადსაღებია R. L. Carneiro-ს თეორიის მოდიფიკაცია, რომლის თანახმადაც, მოსალოდნელი ომის საფრთხის არსებობაც კი იძლევა სოციალურ-პოლიტიკური ევოლუციური ცვლილებისათვის ნოციერ გარემოს; ასეთი საფრთხე ქმნიდა უფრო სტაბილური მმართველობის გაჩენის პირობას და ძლიერ ლიდერს (chief) [იხ. ქავთარაძე 2006: 6-14; Carneiro 1970 და იქ დასახელებული ლიტ.]. სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით მეზობელი ქვეყნები ერთმანეთზე ზოგჯერ სასიკეთო, ხოლო ზოგჯერ უარყოფით გავლენას ახდენენ. ძველი საქართველო ძლიერი მეზობელი ქვეყნებისაგან ხშირ აგრესიას განიცდიდა. ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ურარტუს სახელმწიფოს აგრესიულმა მეზობლობამ ძველი საქართველოს (იმ დროინდელი კოლხეთის) ტერიტორიაზე მომხდურთან დასაპირისპირებლად საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მეტი თავდაცვითი ორგანიზება და შეკვრა-კონსოლიდაცია გამოიწვია.

საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესში ბიოგეოგარემოზეა (resp. გეოგრაფიული გარემოზე) დამოკიდებული სოციოგარემოს, სახელმწიფოს განვითარების მდგომარეობა. სოციოგარემოს წარმოქმნა მისი ბიოგეოგარემოსთან ურთიერთზემოქმედების ევოლუციით იწყება, სხვადასხვა საფეხურზე მყოფ სოციუმებს შორის ინოვაციური ზემოქმედებები იწვევს საზოგადოებათა გარკვეულ პროგრესს. დანინაურებული ცივილიზაციების ცენტრებიდან ხდება კულტურის (სამეურნეო-საწარმოო, ინტელექტუალურ-ტექნიკური, სულიერ-კულტურული) დიფუზია (მაგ.: მესოპოტამია-მცირე აზიიდან კავკასიისაკენ). ჰიპოკრატე (იხ. „ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“ 12,16, 24) პირველი იყო, რომელმაც ბიოგეოგარემო, კერძოდ, კლიმატი მიიჩნია ადამიანების, ხალხების ფიზიონომიური და ფსიქიკური წყობის

განმსაზღვრელ ფაქტორად. არისტოტელემ თხზულება — *პოლიტიკაში* — კლიმატის და ლანდშაფტის ზეგავლენა საზოგადოების მმართველობის ფორმებს დაუკავშირა. იგი აღნიშნავდა — დაბლობი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია მონარქია, ხოლო მთაგორიანისათვის — დემოკრატია. იბნ-ქალდუნმა [იხ. Muhsin Mahd 1957] ქვეყნიერება კლიმატური პირობების მიხედვით შვიდ სარტყლად დაყო. იგი ბიოგეოგარემოდან ასახელებს ნიადაგს, მადნეულს, ფაუნას, ფლორას. შარლ ლუი მონტესკიეს მიხედვით, ადამიანის და ბიოგეოგარემოს ურთიერთზემოქმედებაში მთავარია კლიმატი, რომელიც ძირითადად განსაზღვრავს პოლიტიკური მმართველობის ფორმებს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარკვეულ ტერიტორიულ სივრცეს და მდებარეობას, რასაც უკავშირდება სახელმწიფო წყობილების ტიპები. ჰენრი თომას ბოკლის — *ისტორია ცივილიზაციისა ინგლისში* [იხ. Бокль 1906] აზრით, ისტორია ისევე ვითარდება, როგორც ბიოგეოგარემო; საზოგადოებაზე გავლენას ახდენს — კლიმატი, ნიადაგი, საკვები, ინტელექტი. მისი მოსაზრებით, ისინი ერთობლივად მოქმედებენ და ძირითადად განსაზღვრავენ საზოგადოების ისტორიულ განვითარებას; პირველ საფეხურზე, მატერიალური დოვლათის შექმნა დაკავშირებულია ზომიერ კლიმატზე და ნოყიერ ნიადაგზე. ამაზევეა დამოკიდებული საკვების მოპოვება, რომელიც, თავის მხრივ, დემოგრაფიულ მდგომარეობას განაპირობებს. კლიმატი, ნიადაგი და საკვები მოქმედებს მატერიალური დოვლათის შექმნაზე, ხოლო ლანდშაფტი ხალხის ფსიქიკაზე, სულიერ მდგომარეობაზე აისახება. ბოკლი მიიჩნევს, რომ ცივილიზაციების განვითარება დაკავშირებულია როგორც ბიოგეოგარემოს მდგომარეობაზე, ასევე ხალხზე, მათ ინტელექტზე, რათა შემოქმედებითად გაითავისოს გარემოს მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობანი.

გეოგრაფ-სოციოლოგ ლევ მეჩნიკოვის მიხედვით (იხ. „ცივილიზაცია და დიდი ისტორიული მდინარეები“ [Мечников 2013]) ბიოგეოგარემოს მრავალ კომპონენტაგან მთავარია — ჰიდროსფერო. მისი აზრით ცივილიზაციის განვითარებაში უპირველესი როლი შეასრულა მდინარეებმა, ზღვებმა, ოკეანეებმა. მას მიაჩნია, რომ მსოფლიო ისტორიამ განვითარების სამი ეტაპი განვლო.

პირველი სამდინარო ეპოქა, როცა ცივილიზაციები ჩაისახა მდინარეთა ნაპირებზე, კერძოდ, მდინარეების – მაგ.: ტიგროს-ევფრატის, ნილოსის, განგის, ხუანხეს ხეობებში. მეორე ეტაპზე, ე.წ. საზღვაო ეპოქა — ცივილიზაციებმა მდინარეთა ნაპირიდან ზღვის სანაპიროებისაკენ გადაინაცვლა (მაგ.: გენუა, ვენეცია, კონსტანტინეპოლი) — ხმელთაშუა ზღვის და შავი ზღვის ცივილიზაციები (ალბათ, მდ. რიონისაც). მესამე ეტაპი კი (ე.წ. საოკეანე ეპოქა) ამერიკის კონტინენტის აღმოჩენით იწყება, რასაც ცივილიზაციის განაწივლება მოჰყვა შიდა ზღვებიდან ოკეანეთა (მაგ.: ლონდონი, ლისაბონი, ნიუ-იორკი) სანაპიროებზე. ფრიდრიხ რათცელი („*პოლიტიკური გეოგრაფია*“, „*ანთროპო-გეოგრაფია*“ [Ратцель 1897]) დედამიწის ისტორიას ორად ყოფს — ადამიანამდელ და ადამიანის ეპოქად. რამდენადაც დედამიწის გარემო იცვლება, იმდენად იცვლება ადამიანიც. ბიოორგანიზმის მსგავსად, გარემოს ზემოქმედებას განიცდის ხალხი და ქვეყანა. ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის ისტორიულ-კულტურულ განსხვავებას განსაზღვრავს კლიმატი, რელიეფი, ნიადაგი. რათცელის მიხედვით, სახელმწიფოებს შორის ყველაზე უფრო მყარი — გეოგრაფიულ-ზუნებრივი საზღვარია (მაგ.: კავკასიონის ქედი). გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეები ენვაირონმენტალისტებმა სტატისტიკურ-ტიპოლოგიური მეთოდის გამოყენებით უფრო განავითარეს.

გეოგრაფიული გარემო (ჩვენეული ბიოგეოგარემო) საზოგადოების განვითარების ძირითადი დეტერმინატორია [იხ. Huntington 1925; Huntington 1945; Markhem 1942]. მას წამყვანი ადგილი ეჭირა ძველი ცივილიზაციების ჩასახვა-განვითარებაში, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში. ბიოგეოგარემოს თავისებურება განაპირობებს კონკრეტული საზოგადოების, სოციუმის — სამეურნეო-საწარმოო, დემოგრაფიულ, სავაჭრო-კომუნიკაციურ, სამხედრო-სტრატეგიულ, სულიერ-კულტურულ, სახელმწიფოებრივ მდგომარეობას. საყურადღებოა, რომ სხვადასხვა ერების განვითარება კონკრეტულ ბიოგეოგარემოში მიმდინარეობს, რაც შემდგომ მათთვის დამახასიათებელ ზოგად თვისება-ნიშნებს აყალიბებს. საქართველოშიც სახელმწიფოს წარმოქმნაში განსაკუთრებული როლი ადგ-

ილობრივ ბიოგეოგარემოს ენიჭება [იხ. გა-
მყრელიძე 1993: 25].

კოლხეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ
მხარეს ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი,
სამხრეთით აჭარა-ლაზეთის მთიანეთი, აღ-
მოსავლეთით ლიხის ქედი, ხოლო დასავ-
ლეთით შავი ზღვა ერტყმის. კოლხეთის მთი-
ანეთის ბორცვგორაკები, ხეობები, სერები,
ტაფობები და დაბლობი თავიანთი ბუნებრივი
გარემოთი მოსახერხებელ დასასახლებელ
ადგილებს ქმნიან. აქ დიდი რაოდენობით
მოიპოვება საშენი მასალა — ხე, სხვადასხვა
ჯიშის ქვა, თიხა და ა.შ. აქ მეტალურგიული
(სპილენძი, რკინა, თუთია, კალა, ვერცხლი)
ნედლეულის მოპოვების ძირითადი ადგილე-
ბია — რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, აფხაზეთი,
აჭარა. ცნობილია მეზობელი ხალიბების, მო-
სუნიკებისა და მოსხების როლი მეტალურ-
გიული წარმოების საქმეში. მოსახლეობის
მიერ მადნეულის ნაყოფიერმა დამუშავება-
გამოყენებამ აქაური საზოგადოება უკვე ძვ.წ.
II ათასწლეულში ახალი განვითარების საფეხ-
ურზე აიყვანა. რაც შემდგომში საფუძვლად
დაედო მომპოვებელი და გადამამუშავებელი
ხელოსნობა-წარმოების სხვადასხვა დარგე-
ბის განვითარებას. მდინარეების ენგურის,
ცხენისწყლის, ტეხურის და რიონის ქვიშა
გარკვეული რაოდენობით ოქროს შეიცავს.
ამას ადასტურებს სტრაბონი (იხ. სტრაბონი,
XI, II, 19). იგივეს აღნიშნავს II ს-ის ავტორი
აპიანეც (იხ. აპიანე, მითრიდატეს ომები, 103)
ოქროს მოპოვების შესახებ გადმოგვცემს I
ს-ის ავტორი გაიუს პლინიუს სეკუნდუსიც
(უფროსი) (NH, XXXIII).

კოლხეთის რელიეფი მთა-მთისწინეთად და
ბარ-დაბლობად იყოფა. ის შემოსაზღვრულია
მთებით (ქედები, ხეობები, სერები, ტაფობე-
ბი, ბორცვ-გორაკები), რაც მოსახერხებელ
თავდაცვით გარემოს ქმნიდა. მდინარეებიდან
ხოზზე, ტეხურზე, ფიჩორზე, ჭოროხზე, სუფ-
საზე და განსაკუთრებით რიონ-ყვირილაზე
ნავეებით დაცურავდნენ. ზღვამ მნიშვნელო-
ვანი როლი ითამაშა კოლხეთის სოციალურ-
ეკონომიკურ განვითარებაში. წერილობითი
და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით
ზღვის სანაპიროზე მთელი რიგი ნაქალაქარე-
ბი და სხვა დასახლებული პუნქტებია მიკვ-
ლეული: აფსაროსი (გონიოსთან), ციხისძირი,
ქობულეთ-ფიჭვნარი, ურეკი, ფასისი (≈ ფოთ-
თან), ანაკლია, ფიჩორი, გიენოსი (≈ ოჩამ-

ჩირესთან), დიოსკურია- სებასტოპოლი (სოხ-
უმთან), ეშერა, პიტიუნტი (ბიჭვინთასთან) და
ა.შ. სტრაბონის მიხედვით, კოლხეთი ბუნე-
ბრივი რესურსებით საკმაოდ მდიდარ ქვეყ-
ნად წარმოგვიდგება (იხ. სტრაბონი, XI, II, 17).
საყურადღებოა კოლხეთის შესახებ პროკოპი
კესარიელის ცნობაც (იხ. BG VIII, 14).

კოლხეთის დაბლობი რომ დანიინაურე-
ბული სამეურნეო-ეკონომიკური მხარე იყო,
კარგად ჩანს ამ რეგიონში აღმოჩენილი არქე-
ოლოგიური მასალიდანაც. ძველი კოლხეთის
სამეურნეო ყოფისათვის დიდი მნიშვნელობა
ექნებოდა ისეთი მცენარეების გავრცელ-
ებას, როგორც იყო — ხორბალი, ქერი,
ფეტვი, ჭვავი, ვაზი, ნაბლი, კაკალი, თხილი,
ლელვი, ზღმარტლი, ხახვი და სხვ. კოლხ-
ეთში ცხოველთა სამყაროს სიმრავლეზე იყო
გარკვეულწილად დამყარებული მოცემულ
ტერიტორიაზე მოსახლეობის გამოკვება. არ-
ქეოლოგიურად მოპოვებულ მასალაში ხშირია
ოსტეოლოგიური ნაშთები, რაც გარკვეულ
წარმოდგენას გვიქმნის ძველი კოლხეთის
მოსახლეობის მეცხოველეობა-მონადირეო-
ბის შესახებ. რაც შეეხება მეცხოველეობას,
არქეოლოგიურ მასალაში მსხვილი და წვრი-
ლი რქოსანი საქონლის (ხარ-ძროხა, თხა, ცხ-
ვარი) ძვლები მრავლად არის დადასტურე-
ბული. გვხვდება აგრეთვე ღორის, ძაღლის,
ცხენის ძვლებიც. კოლხეთში წვიმების სიუხ-
ვე, თბილი ზამთარი და ხანგრძლივი ზაფხუ-
ლი ხელსაყრელ პირობებს ქმნის სამეურნეო
საქმიანობისათვის, კერძოდ, მემარცვლეო-
ბის, მებოსტნეობის და მევენახეობა-მეხილე-
ობის განვითარებისათვის. სამინათმოქმე-
დო-სამეურნეო დარგების განვითარებას და
მეორე მხრივ, საწარმოო ძალთა განვითარე-
ბას და ჭარბი პროდუქციის წარმოებას კოლხ-
ეთში დემოგრაფიული ზრდა უნდა გამოე-
წვია, რასაც არქეოლოგიური მონაცემებიც
მონიშნავენ. ძველი კოლხეთის ისტორიული
განვითარების პროცესში მონიშნავენ როლი
ითამაშა ზომიერმა კლიმატმა, ნოყიერმა ნი-
ადაგმა, ჰიდრორესურსების სიმრავლემ, სხ-
ვადასხვა მადნეულმა, ფლორისა და ფაუნის
მრავალსახეობამ. რამაც, საზოგადოების
პროგრესისათვის კარგი საფუძველი შექმნა.
უპირატესად კი ამაზე არის დამოკიდებული
საზოგადოების სამეურნეო-ეკონომიკური,
დემოგრაფიული, სავაჭრო-კომუნიკაციური,
ფიზიოლოგიურ-ფსიქიკური, გეოპოლიტი-

კურ-სტრატეგიული, სულიერ-კულტურული განვითარების დონე. აქედან გამომდინარე, კოლხეთში, ცენტრით მდინარე რიონზე, განვითარდა ფრიად თავისებური სახელმწიფოებრივი არე. აქ ისტორიული განვითარების დონე, ეკონომიკა და პოლიტიკური მდგომარეობა სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვანაირი იყო. შემდგომ, ანტიკური ხანის კოლხეთს გეოპოლიტიკურად საკვანძო ტერიტორია ეკავა; აქ მოხდა მაღალგანვითარებული საზოგადოების ჩამოყალიბება; აქ ხდებოდა აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების გარკვეული თანხვედრა.

სახელმწიფოებრივი განვითარების განხილვისას, იერარქიულად პირველ ადგილზე ბიოგეოგრაფიას ვაყენებთ. მასთან ურთიერთზემოქმედებაში ადამიანი ქმნის სოციოგრაფიას, რაზედაც დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული წინსვლის შემდგომი ბედი. მეორე ადგილზე, საგარეო ფაქტორი, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის გეოპოლიტიკური სინამდვილის ნაწილია. მეზობელი ქვეყნები ერთმანეთზე ზოგჯერ სასიკეთო, ხოლო ზოგჯერ უკეთურ გავლენას ახდენენ. საგარეო ფაქტორი სახელმწიფოს ისტორიაში ხან კონსტრუქციულ, ხან კი დესტრუქციულ როლს თამაშობს. კონსტრუქციულია, მაგ.: საგარეო-სავაჭრო, სამეურნეო, კულტურული ინოვაციები; დესტრუქციულია — საომარი თავდასხმის შედეგად ქვეყნის დაპყრობა, საზოგადოებრივი წყობის ტრადიციული სტრუქტურების შეცვლა, საბრძოლო მოქმედებების შედეგად სამოსახლოების დანგრევა, მატერიალურ ფასეულობათა ძარცვა-განადგურება, დასახლებების ეკონომიკური საფუძვლის მოშლა და ა.შ. სამეცნიერო ლიტერატურაში პროტო-სახელმწიფოს ჩასახვის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად ომისათვის მზადებას (თავდაცვას ან თავდასხმას) მიიჩნევენ. ომისათვის მზადება, საომარ მდგომარეობაში ყოფნა, გამორჩეულ წინამძღოლ-პიროვნებათა აღზვევას, საზოგადოების შეკვრა-მობილიზებას და მეტ ორგანიზებულობას იწვევდა, რაც, თავის მხრივ, საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანაში და სახელმწიფოებრიობის წარმოქმნაში გამოიხატებოდა [იხ. Claessen, Skalnik 1978: 619-636]. უკვე ჩამოყალიბებული სახელმწიფოს განვითარებაშიც „საომარ ფაქტორს“, აგრეთვე

დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ჩამოყალიბებულ, განვითარებულ სახელმწიფოში ეს ფაქტორი დადებით (ქვეყნის კონსოლიდაციადარაზმულობა, საზოგადოებრივი წესრიგის ამაღლება, საფორტიფიკაციო მშენებლობა და სხვ.) ან უარყოფით — სახელმწიფოებრიობის დაკარგვა, ტრადიციული ცხოვრების წესის მოშლა, ეკონომიკურ ზარალს იწვევდა.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, კოლხეთის დაბლობზე მოსახლეობის ცხოვრების ხანგრძლივ ნაკვალევს ასახავს ბორცვებზე არქეოლოგიურად შესწავლილი ნამოსახლარები. აქ გვხვდება თხრილებითა და საარხოსისტემებით გამაგრებული მძლავრი სამოსახლო კომპლექსები. კოლხეთის დაბლობზე ბრინჯაოს ხანის განმავლობაში და მის მომდევნო ეპოქებში, არქეოლოგიური არტეფაქტების მიხედვით შეინიშნება განვითარების ერთიანი გენეტიკური ხაზი [იხ. ლორთქიფანიძე 2002]. ბორცვების გარშემო საარხოსისტემები კარგადაა შემონახული მაგ.: ნამარნუში, ნაოხვამუში, ნაკარლალში, ჯვარალეში, ფიჩორში, ანაკლიაში, წყემში და სხვა. ადრერკინა-ანტიკურ ხანაში ნამოსახლარების მასშტაბების ზრდასთან ერთად ხელოვნური თხრილები ფართოვდება. არხების ამოღების სამუშაოებს შრომით ორგანიზაციაზე დამყარებული საგვარეულო თემი აწარმოებდა. ცხადია, ერთი გვარის წარმომადგენლებს გაუჭირდებოდათ 10-20 და 30-40 მეტრის სიგანისა და 3-5 მეტრის სიღრმის არხის გათხრა. სავარაუდებელია, რომ ამ სამუშაოებში რამდენიმე მეზობელი თემის გაერთიანება იყო ჩართული (მაგ.: ნამარნუს მსგავსი საარხოსისტემა). ამ ირიგაციული სისტემების შექმნაში მრავალნაირი სამეურნეო იარაღი გამოიყენებოდა, რაც არქეოლოგიური მონაპოვრებით დასტურდება. შესაძლოა, რომ ცენტრალურ ბორცვებზე თავდაპირველად ცხოვრობდა ერთი დიდი ოჯახის წარმომადგენლები. ქონების დაგროვებისა და მოსახლეობის გამრავლების შედეგად დიდი ოჯახიდან ხდებოდა უფრო მცირე ოჯახების გამოყოფა, ცენტრალური ბორცვის მომიჯნავე ტერიტორიების ათვისება და ახალი სამოსახლოების მთელი კომპლექსების წარმოქმნა. ამგვარი მოდელი, კოლხეთის მთელ გვიანბრინჯაო-ადრერკინა-ანტიკური პერიოდის ნამოსახლარებზე ვრცელდებოდა.

კოლხეთის შედარებით უკეთ შემონახული არქიტექტურულ ნაგებობებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ იმდროინდელი მოსახლეობის საშენი მასალების, ნაგებობათა ტიპებისა და მშენებლობათა ტექნიკის შესახებ. ბუნებრივ-კლიმატური პირობები გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა არქიტექტურულ ნაგებობათა ტიპების ჩამოყალიბებაზე და მშენებლობის ტექნიკაზე. კოლხეთის ბარში და ბორცვიან ზოლში, გვიანბრინჯაო-ადრერკინა-ანტიკურ პერიოდში ჯარგვლური, ძელური ნაგებობები დასტურდება, რომლის ერთ-ერთი სახეობის აღწერილობაც მოგვიანო ხანაში რომაელმა არქიტექტორმა ვიტრუვიუსმა დაგვიტოვა. მისი ცნობის თანახმად ძველი კოლხები ძელებისაგან აშენებდნენ სწორკუთხა სახლებს. ძელები ერთმანეთზე ეწყობოდა ე.წ. უსრულო ქდობით. მათ შორის რჩებოდა სივრცე, რომელიც თიხით ივსებოდა [იხ. Витрувий 1936: 41] (II,1). ეს ნარატივი არქეოლოგიური გათხრებითაც დასტურდება. ჯერ კიდევ ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ჯარგვლურ ნაგებობათა გვერდით გავრცელებული ყოფილა სარ-ლასტზე გამართული ნნულკედლიანი, ნნულკარკასიანი, ფაცხისმაგვარი შენობები. ასევე თირში ჩაჭრილი სათავსოები, მიწურები და ნახევრადმიწურები, რომელზედაც ზემოდან დადგმული იყო ფაცხისმაგვარი სარ-ლასტზე გამართული ნაგებობები. ისინი სითბოს უკეთ შენარჩუნების მიზნით გარედან და შიგნით თიხით ილესებოდა. სამშენებლო ხის მასალად ძირითადად წიფელი, თხმელა, რცხილა, წყავი, იფანი, ფიჭვი გამოიყენებოდა. ზოგან გვხვდება ხის ძელური კედლით ნაგები, წრიული შენობებიც. მათი დიამეტრი 8-6 მ-მდეა. აღმოჩენილია აგრეთვე ნნულკედლიანი, წრიული ფორმის შენობები, რომელნიც თიხით იყო შელესილი (მაგ.: ოჩამჩირე, ნოსირი, ნაოხვამუ, ანაკლია). ნამოსახლარებზე ხშირად დასტურდება რიყის ქვებით იატაკის მოკირწყვის წესი (მაგ.: ოჩამჩირეში, ფიჩორში, ნამჭედურში, ნაკარლალში, კისტრიკში, მოქეში, ბომბორაში და სხვა).

კოლხეთის ნამოსახლარებზე დასტურდება ხორბლეული, რომელთა შორის ჭარბობს სპელტა, მახა, ორმარცვალა, რბილი, ჯუჯა ხორბალი, ფეტვი და ქერი [იხ. მაისაია, შანშიაშვილი, რუსიშვილი 2005: 67-96]. მარცვ-

ლეული კულტურების მოსაყვანად გამოიყენებოდა ამაღლებული ადგილები. კოლხეთის დაბლობის ნამოსახლართა კომპლექსები ზოგჯერ 15-25 ჰა აღწევს (მაგ.: ნამარნუ). ნამოსახლარებზე მინათმოქმედებასთან დაკავშირებული სხვადასხვა იარაღია არქეოლოგიურად გამოვლენილი. მათ შორის ყურადღებას იპყრობს ხის სახენელები [იხ. ჯიბლაძე 1997: 88-91]. სახენელები გამოვლინდა ჩოლოქის (12 ერთეული) [იხ. ჩავლეიშვილი 1999] და ფიჩორის ნამოსახლარებზე. კოლხეთში მინის დასამუშავებელ ძირითად იარაღად გამოიყენებოდა მხრებმომრგვალებული და სამკუთხაპირიანი თოხები, რომელთა ადრეული ნიმუშები ჯერკიდევ ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულში ჩნდება. კოლხეთში მინათმოქმედებასთან ერთად განვითარებული იყო მეცხოველეობა, მეთევზეობა, მონადირეობა და მეურნეობის სხვა დარგები. ნამოსახლარების ფენებში გამოვლენილ ოსტეოლოგიურ მასალებში ჭარბობს საქონლის, ღორისა და ცხვრის სახეობები. არქეოლოგიური მასალებით ირკვევა, რომ რთვასა და ქსოვას უძველესი მოსახლეობის შინამრეწველობაში ერთ-ერთი ნამყვანი ადგილი ეკავა. ამ საქმიანობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ნამოსახლარებზე დიდი რაოდენობით მიკვლეული თიხის კონუსისებური ფორმის კვირისტავეები [ჯიბლაძე 2007].

კოლხეთის ნამოსახლარების შესწავლის შედეგად სადღეისოდ ამ ტერიტორიის ნამოსახლოდ ინტენსიური ათვისება ხდება ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში და გრძელდება ადრერკინა-ანტიკურ ეპოქაში. როგორც უკვე აღვნიშნე აქ, დაბლობზე ნამოსახლართა ძირითად ტიპს ხელოვნური ბორცვები წარმოადგენს. ხელოვნური ბორცვების უფრო მეტი კონცენტრირება შეინიშნება რიონ-ენგურის ორმდინარეთში. ხელოვნური ბორცვების გარდა ჯგუფებად განლაგებული ნამოსახლარები გამოვლენილია ბუნებრივ შემადლებებზეც, მთის ფერდებზე, ზღვისპირა და მდინარისპირა ტერასებზე. სადაც ძირითადად ხის ძელური შენობები და ფაცხისმაგვარი ნაგებობები დასტურდება. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ფოთი-პალიასტომის მიმდებარე ტერიტორიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნასახლარებიდან — ნამარნუ, ძიგური, სირიაჩქონის ოხოჯე, ნანდეგუ, საგვიჩიო

(ზურგანი, კონძა), ნალმიპიჯი, ჭალადიდი (ზურგა, საბაჟო, ჩხარი), გურიფული, ნაოხვამუ (სოფ. რეკა), ერგეტა და სხვ. — ალბათ, ფასისი უფრო დაწინაურდა. მას კომუნიკაციების მიხედვით მოხერხებული ადგილი ეჭირა (კერძოდ, მდ. რიონ-ფასისის დელტა) და ურბანისტულ ცენტრად განვითარდა [დანვრ. იხ. გამყრელიძე 2003: 170-189].

ფოთის შემოგარენში სამოსახლოს კვალი აღმოჩნდა სოფ. ქვემო ჭალადიდიში, მდ. რიონის მარჯვენა მხარეს (1,5 კმ-ზე ჩრდილოეთით), ფოთისაკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს. ამ ბორცვის ფართობი 1800 კვ. მ-ია; აქ გაითხარა ბათქაშიანი და ძელებიანი ნაგებობების ნაშთები. ნამოსახლარზე აღმოჩნდა კერამიკა: ქოთნები, ჯამები, თასები. ისინი შემკულია ირიბ ჭდეებიანი, ტალღოვანი, რომბისებური ორნამენტით. აქვე აღმოჩნდა ყალიბი, ქვის ხელსაფქვაავი, კვირისტავები და სხვ. სოფ. ქვემო ჭალადიდის ე.წ. საბაჟოს მონაკვეთზე. ნამოსახლარებზე აღმოჩნდა ნაგებობების ძელების და ბათქაშების ნატეხები. კერამიკის გარდა მეტალურგიული ქურის საბერველი მილი და ყალიბი აღმოჩნდა [იხ. მიქელაძე 1978: 33-40]. მეორე სამოსახლო, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ ქ. ფასისის სასოფლო-სამეურნეო გარემომორტყმად, აღმოჩნდა სოფ. საქორქიოს აღმოსავლეთ ნაწილში, «სიმაგრეს» სახელწოდებით ცნობილ მონაკვეთში, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე. ბორცვი 3300 კვ. მ-ს მოიცავს. აქ აღმოჩნდა ხის ნაგებობები. ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა ძვ.წ. VII-V სს. თარიღდება. ნაგებობები ოთხკუთხაა და ძელების წყობითაა ნაგები. ერთ-ერთი ნაგებობა 112 კვ.მ-ისაა. მასში კედლების ძელები ძირითადად ერთმანეთში ჩაჭდომის წესით არის ნაგები [იხ. მიქელაძე 1978: 50-78; გამყრელიძე 2016: 185-200].

კოლხეთის ხის ნაგებობების შესახებ საყურადღებო ფაქტებს შეიცავს ბერძნულ-ლათინური და არქეოლოგიური წყაროები. ისინი ძირითადად დაცულია ქსენოფონტის (ანაბასისი, V, 2; 6,7), ჰეკათეოს მილეთელის, ჰიპოკრატეს, ჰეროდოტეს, სტრაბონის, აპოლონიოს როდოსელის, დიოდორე სიცილიელის, პომპონიუს მელას, ვიტრუვიუსის, პლინიუსის თხზულებებში. ამ ავტორთა თხზულებებში საუბარია სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიის გამა-

გრებულ სამოსახლოებზე. კერძოდ, კოლხურ-მოსუნიკურ ძეღურ-ბათქაშიან, კოშკურა ტიპის გამაგრებულ ნაგებობებზე. აქვე ცნობებია გამაგრებული სამოსახლოების აგებისას რელიეფის გამოყენებისა და ამ სამოსახლოთა ურთიერთმიმართების შესახებ. ქსენოფონტის მინიშნებით, სასიმაგრო ნაგებობები შედგებოდა თხრილისაგან, ძირითადი გზისაგან, რომელიც აკავშირებდა დასახლებას შიდა ციხე-კოშკთან და სხვა შედარებით მომცრო კოშკებთან. ყველაფერი ეს შემოსაზღვრული იყო ძელებიანი მესრით, რომელშიც დატანებული იყო ძირითადი ჭიშკარი. ხელისუფალ-მეთაურის კოშკი შემალღებულ ადგილას იყო აგებული და განსხვავდებოდა რიგითი მცხოვრების კოშკისაგან [იხ. გამყრელიძე 2016: 185-200].

არქეოლოგიური კვლევის შედეგად ძვ.წ. VIII-IV ს-ების კოლხეთში დასტურდება გამაგრებული სამოსახლოების ჩამოყალიბებული სისტემის არსებობა. საკმაოდ მჭიდროდ ყოფილა დასახლებული როგორც დაბლობი, ასევე მთისწინეთი და ხეობები. დასახლებები განცალკევებულ-სოფლური ტიპისა იყო, გაშენებული ბუნებრივ ბორცვებზე ან ხელოვნურად გაკეთებულ მინაყრილებზე. ისინი გარკვეულ სისტემას ქმნიდა და გარშემორტყმული იყო თავდაცვითი თხრილებით. მთავარ სამშენებლო მასალას ხის ძელები წარმოადგენდა, რაც კოლხეთში ტყეების სიმრავლემ განაპირობა. აქ, არქეოლოგიურად დადასტურებული ხის უძველესი ნაგებობები, შენობის აგების წესი კი ე.წ. ჯარგვალური იყო. ამგვარი ძეღური ნაგებობები დღესაც გვხვდება დასავლეთ საქართველოში [იხ. ადამია 1979: 15-19; გოგაძე და სხვ. 1982: 58-70; მიქელაძე 1978; ნიორაძე 1941: 21-27; ჩიქოვანი 1999:21-29]. ქსენოფონტისაგან განსხვავებით, ვიტრუვიუსი უფრო ზედმიწევნით აღწერს კოშკურა-ძელებიანი ნაგებობების კონსტრუქციას (იხ. ვიტრუვიუსი, „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“ II, I, 4, 50).

ბუნებრივ ბორცვებზე აგებული ნაგებობის ერთ-ერთი საინტერესო მაგალითია ვანის მუნიციპ. სოფ. მთისძირში ადგიშვილების გორის ზედა ტერასაზე არქეოლოგიურად შესწავლილი ძეღურ-ბათქაშიანი ნაგებობა. ეს ნაგებობა ვანის ნაქალაქარიდან დასავლეთით, რვა კილომეტრზე მდებარეობს. ადგიშვილების გორის ნაგებობა ოთხკუთხაა და

ორი სათავსისაგან შედგება. სამხრეთ სათავსის ფართობია 26, 88 კვ.მ, ხოლო ჩრდილოეთის – 13,44 კვ.მ. ამ სათავსის დასავლეთ კუთხეში შემორჩენილია ძელებით მოგებული იატაკი, რომელზედაც ზედა სართულის გადახურვის ძელების ფრაგმენტები შეიმჩნევა. კედლის ფუნდამენტის შიდა ფართობი ამოვსებულია ქვებით, თიხამინით და გარდ-გარდმოდ დანყობილი ძელებით. ამგვარად, აქ იქმნებოდა ხის ძელებით შემოსაზღვრული კვადრატების კარკასი, რაც ცოკოლს მეტ სიმტკიცეს აძლევდა. ადგიშვილების გორის ნაგებობა ძვ.წ. IV საუკუნით თარიღდება. ეს ნაგებობა წარმოადგენს ცოკოლზე დადგმულ ძეღურ, თიხით შელესილ შენობას. აქ საქმე უნდა გვექონდეს ანტიკური ეპოქის ავტორების — ქსენოფონტეს, პომპონიუს მელას და დიონისიოს ჰალიკარნასელის თხზულებებში ნახსენებ კოლხეთის ხის ნაგებობების ნაირსახეობასთან. ძვ.წ. IV ს-ის მიწურულის, ერთი მხრივ, აზოს და, მეორე მხრივ, ფარნავაზ-ქუჯის მიერ ძალაუფლებისათვის ბრძოლით გამოწვეული საომარი მოქმედებების შედეგებით შეიძლება აიხსნას სოფ. მთისძირის ადგიშვილების გორის გამაგრებული სამოსახლოს დანგრევა [დანვრ. იხ. გამყრელიძე 1982].

კოლხეთში ხის ძელებიანი ნაგებობები არქეოლოგიურად მრავლად არის დადასტურებული სოფ. ანაკლიაში (დიხა-გუძუბა I, II), სოფ. რეკვი ნაოხვამოსთან, სოფ. საქორქიოში სიმაგრესთან, ქობულეთში ჩოლოქთან, სოფ. ნოსირში, ვანის ნაქალაქარზე, სოფ. ვარციხეში ვარდიგორასთან, ქუთაისში გაბაშვილის გორაზე; ქვის საძირკველიანი სათავსოა გამოვლენილი ლეჩხუმში კოვრაშის ნამოსახლარზე [გაბიძაშვილი და სხვ. 2004:121-123]. ხოლო ასეთი ტიპის ნაგებობების ნაშთები, ხის ძელებისა და ბათქაშის სახით, დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გვხვდება. ეს არქეოლოგიური ძეგლები ქრონოლოგიურად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ მათში არქიტექტურული მემკვიდრეობა იგრძნობა. ძეღურ-ბათქაშიანი სამოსახლოები დამახასიათებელია კოლხეთისათვის, სადაც ბუნებრივ თუ ხელოვნურ ბორცვებზე განლაგებული ნამოსახლარებია დადასტურებული მრავალრიცხოვანი სამოსახლო ბორცვებით, რომლებსაც დღეს „გორას“, „ზურგას“ და „დიხაგუძუბას“ უწოდებ-

ენ. კოლხეთის დაბლობის ამ სამოსახლო ბორცვებისათვის (გორანამოსახლარებისათვის) დამახასიათებელია გარშემო თხრილი [ჯიბლაძე 2007]. არსებობს საყურადღებო მოსაზრება, რომ გორა // გორაები, გორანამოსახლარები კავშირშია სოციალურ ტერმინ — გვართან // საგვარეულოსთან და მოსახლეობა მასზე (გორანამოსახლარებზე) ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში სახლობდა. შემდგომ, აქედან დაბა-ქალაქები წარმოიქმნენ [იხ. ბერძენიშვილი 1964: 383-388], რაც საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენდა.

კოლხეთის დაბლობზე, ჭაობიან ადგილებში ხის სახლების აგებისას თიხნარით მოზვიანული, შემადლებული ფართობები, მცირე გორები იქმნებოდა. ნაგებობათა ნაირსახეობად უნდა მივიჩნიოთ სოფ. რეჩხის ბორცვოვან ზოლში გამოვლენილი 600 კვ.მ.-ის ნაგებობა. კოლხეთში თლილი ქვა, ალიზის აგური და კრამიტი მხოლოდ ძვ.წ. III ს-ში იკიდებს ფეხს. როგორც ჩანს, მანამდე ხე ძირითადი სამშენებლო მასალა ყოფილა. ხისგან აგებდნენ საცხოვრებელ სახლებს, კომპებს, ზღუდე-მესრებს და გამაგრებულ სამოსახლოებს. კოლხეთში ხის მასალა უხვად იყო. სტრაბონი გადმოგვცემს: „...აქ იზრდება მრავალი ტყე“ (XI, II, 17). ამასვე აღნიშნავს ვიტრუვიუსი (II, I, 4): „კოლხები პონტოს მხარეში ტყის სიუხვის გამო...“ აშენებენ ხის ნაგებობებს. სენაკის მუნიციპ. სოფ. რეკაში, ნაოხვამუს ნამოსახლარზე, ნაგებობის თიხის მოდელი დადასტურდა, რომლის სიგრძეა 21,5 სმ, სიმაღლე 19 სმ. მოდელი დაზიანებულია და ოთხ ხიმინჯზე დგას. მოდელის კედლებზე ხის ძელებია გამოსახული. ნაოხვამუს ეს მოდელი, კოლხეთში ძვ. წ. I ათასწლეულში გავრცელებულ ბათქაშით შელესილ ხის ნაგებობათა ერთ-ერთ სახეობას გადმოგვცემს [იხ. ჯიბლაძე 2010: 117-124].

ახალმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ თხრილებით გარშემოვლებულ ხელოვნურ ბორცვებზე სამოსახლოს გამართვას კოლხეთის დაბლობზე დიდი ხნის ისტორია აქვს. დასახლების ამნაირი ტიპი კოლხეთში შემთხვევით არ განვითარებულა. ის აქ არსებული ბრტყელი რელიეფითა და ჭარბწყლიანობით იყო განპირობებული. ასეთ სიტუაციაში ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობებ-

ის შესანარჩუნებლად აუცილებელი ხდებოდა ხელოვნური შემადგენლების გაკეთება. თხრილის შექმნა ბორცვის გარშემო განპირობებული უნდა ყოფილიყო იმითაც, რომ ხელოვნური ბორცვისათვის მინა დიდი რაოდენობით იყო საჭირო; სრულიად ბუნებრივია, რომ მას ბორცვის მიმდებარე ადგილებიდან იღებდნენ. გარდა ამისა, თხრილს ჰქონდა თავდაცვითი მნიშვნელობა. ის მოსახლეობას იცავდა მტრისაგან, მტაცებელი ცხოველისა და წყლის სტიქიისაგან. როგორც ჩანს, ამ დროინდელი საზოგადოება მოხერხებულად იყენებდა გეოგრაფიულ პირობებს, ბუნებრივი ბორცვ-გორების ტერასებს და თვითონაც აქტიურად ზემოქმედებდა მასზე ხელოვნური, თხრილშემოვლებული ბორცვების შექმნით. ორივე ეს ტიპი თანაარსებობდა. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ამკარაა, რომ ამგვარი სამოსახლოების გამართვის წესი კოლხეთში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში იკიდებს ფეხს. დასახლების მოწყობა ხელოვნური ბორცვების მოზვინვით, სპეციფიკურ კოლხურ მოვლენად არის მიჩნეული. ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარში კოლხეთისათვის, აგრეთვე, დამახასიათებელია კოლექტიური სამარხები, რომლებიც არქეოლოგიურად გაითხარა — ერგეტაში, ურეკში, დღვაბაში, ნიგვზიანში და სხვ. მათ ახასიათებთ — საკულტო რიტუალის ფართი; კრემაციული მოედნები; მოზრდილი ფართის კოლექტიური სამარხი ორმოები; დაკრძალვის მეორადი წესი. მაგ. ერგეტის ნეკროპოლის (II) №4 სამარხის სიგრძე 11 მ-მდეა, ხოლო სიგანე 6 მ-მდეა. მასში აღმოჩნდა თიხის, ხის, სპილენძის, ბრინჯაოს, რკინის, ოქროს, ვერცხლის სხვადასხვაგვარი დანიშნულების ინვენტარი: სამეურნეო და საბრძოლი იარაღი; სხვადასხვა სახის ხელსაწყოები; ნაირ-ნაირი სამკაული; სამოსის აქსესუარები და სხვ. [იხ. პაპუაშვილი 1998].

ანტიკურ ხანაში, როგორც ჩანს, ადგილობრივმა სამოსახლოებმა ცვლილებები განიცადა. ზოგიერთი სამოსახლო, რომლებსაც უფრო კარგი, მოხერხებული ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-კომუნიკაციური ადგილმდებარეობა ეკავა, დანიშნულა და გარკვეული რეგიონის ქალაქური ტიპის ცენტრად ჩამოყალიბდა. ამ ცენტრს ჰქონდა მასზე დამოკიდებული სასოფლო-სამეურ-

ნეო ტერიტორია. საფიქრებელია, რომ „ვანი“ საქალაქო ცენტრი იყო, ხოლო „მთისძირი“ მისდამი დაქვემდებარებულ სასოფლო ტერიტორიაში შედიოდა. საქალაქო ცენტრს გარშემო გარკვეული თავდაცვითი სისტემა ჰქონდა, რომელიც მის უსაფრთხოებას ემსახურებოდა. ამგვარი გამაგრებული სოფელი იყო ძველი „მთისძირი“. ასეთი გამაგრებული სოფლები, ალბათ, განლაგებული იყო ქალაქისკენ მიმავალი კომუნიკაციების ჩასაკეტად. „მთისძირი“, ერთი მხრივ, აკონტროლებდა მდ. რიონის ხეობის მარცხენა ნაპირზე მიმავალ გზას, ხოლო მეორე მხრივ, მდ. ყუმურის ხეობიდან მომავალ გზას კეტავდა. არქეოლოგიური მასალისა და ძველი წერილობითი წყაროების შეჯერების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: ქართველური მოსახლეობით დასახლებულ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ძვ.წ. III საუკუნის წინა პერიოდში გავრცელებული იყო ბორცვა და გორაზე გამართული, ძელურ-ბათქაშიანი, ძელებიანი მესრით შემოზღუდული, კომპლექსური კომპლექსები, ხისაგან ნაგები გამაგრებული სამოსახლო, რომელსაც მოსუინი ეწოდებოდა. სოციალურად, ადგილობრივი გორისნაირი გამაგრებული ბორცვ-გორები, ალბათ, ნათესაობრივი თემების საცხოვრისს წარმოადგენდა, რომელთა თავშიც ადგილობრივი ხელისუფალი, ბერძნული წერილობითი წყაროების მიხედვით, ბასილევსი იდგა. მაგალითად, ასეთ ადგილობრივ ხელისუფალს ეკუთვნოდა სოფ. მთისძირში აღმოჩენილი ნაგებობების თანადროული მდიდრული სამარხი [დან. იხ. გამყრელიძე, 1982: 69].

გვიანდელი ბრინჯაოს ეპოქიდან მოყოლებული და განსაკუთრებით ძვ.წ. VIII-IV სს-ებში დასავლეთ საქართველოს ბარ-დაბლობი და მთისწინა ფართობი, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, მჭიდროდ დასახლებული ჩანს. შეიმჩნევა ე.წ. დემოგრაფიული აფეთქება [იხ. ლორთქიფანიძე 2002: 167]. არქეოლოგიური მასალების შესწავლა, მონიშნავს, აქ სამინათმოქმედო მეურნეობის განვითარების საკმაოდ მაღალ ნიშნულზე აწევას, რასაც უნდა უზრუნველყო ზედმეტი პროდუქტის წარმოება და აქედან გამომდინარე სასაქონლო ვაჭრობის განვითარება. ამ პერიოდში შეიმჩნევა აგრეთვე ე.წ. კოლხური კერამიკის არაჩვეულებრივი სიმრავლე და მრავალფეროვნება, რაც მონიშნავს მეთუნე-

ხელოსანთა პროფესიონალიზმს. ეს კერამიკა საყოველთაო მოხმარებისთვისაა განკუთვნილი და ამიტომ მისი ძირითადი კომპონენტები გარკვეულ სტანდარტიზაციას განიცდის. ის მთელი კოლხეთის, ტერიტორიაზე გავრცელებული და კოლხეთის ერთიანობის დამაჯერებელი არქეოლოგიური არგუმენტია [დანვრ. იხ. ლორთქიფანიძე 2002: 167]. ზემოთ ნახსენებმა გარემოებებმა და ძვ.წ. VIII ს-დან ბრინჯაოს უფრო მტკიცე ლითონით, რკინით, ჩანაცვლების დაწყებამ ძვ.წ. VI- IV სს-ში ხელი შეუწყო პოლიტიკური ერთეულის კოლხეთის სახელმწიფოს განვითარებას.

მდინარეების მტკვრის, ჭოროხის, ზემო ევფრატის და არაქსის სათავეების მიმდებარე ტერიტორიაზე ძვ.წ. XI-VIII სს-ში ქართველურ ტომთა გაერთიანების შედეგად პროტოსახელმწიფოებრიობა განვითარდა. აქვე, მეზობლად ასურეთის და ურარტუს მძლავრი, აგრესიული ქვეყნები მდებარეობდნენ. ძვ.წ. VIII ს-ის ურარტული წერილობითი წყაროები ქართველური მოსახლეობის ერთ-ერთ შტოზე კო(უ)ლხებზე მიგვანიშნებენ. მათ მდ. ჭოროხის აუზიდან კავკასიონის ქედამდე მოიპოვეს ჰეგემონობა და ძლიერი გაერთიანება შექმნეს. ძვ.წ. VIII-VII სს. კოლხეთი პროტოსახელმწიფოს ტიპის ქვეყანას წარმოადგენდა. მას მმართველობის გარკვეული სისტემა ჰქონდა, რომლის ბირთვიც დროთა განმავლობაში მდ. რიონის აუზში განლაგდა [შეად. მელიქიშვილი 1965: 78].

ქვემოთ, მაგალითად მოგვყავს, კოლხეთის ზოგიერთი გვიანბრინჯაო-ადრერკინა-ანტიკური პერიოდის სამოსახლოების მოკლე ჩამონათვალი:

ნამარნუს ხელოვნურად გამართული ნამოსახლართა სისტემა აბაშის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფ. კეთილარის ტერიტორიაზე, მდ. რიონის მარჯვენა ნაპირთან და მდ. ფიჩორის შუა ნელზე მდებარეობს. ბორცვების მთელი კომპლექსი 13 ჰა ფართობს მოიცავს. ცენტრალურ ნამოსახლარ ბორცვს 2 ჰა ფართობი უკავია და სიმაღლე 5 მ-ა, ხოლო დიამეტრი 160 მ-მდეა. ცენტრალურ ბორცვს გარს უვლიდა 30 მეტრის სიგანის ხელოვნური თავდაცვითი თხრილი. ამ სამოსახლო ბორცვების ხის მრავალრიცხოვან ნაგებობებში დადასტურებული კულტურული ფენები გვიანბრინჯაოს ხანიდან მოყოლილი ადრეული რკინა-ანტიკური ხანის

ჩათვლით თარიღდება [იხ. მიკელაძე ი დრ. 1987: 40; გრიგოლია და სხვ, 1973: 34; პაპუაშვილი 1987: 52].

ანაკლია I-ის ნამოსახლარი ამავე სახელწოდების სოფლის ტერიტორიაზე, მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე, ზღვიდან 1 კმ დაშორებით მდებარეობს. ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვის სიმაღლე 5 მ, ხოლო დიამეტრი 80 მ-მდე. აქ ხის ნაგებობები და სხვა არტიფაქტები აღმოჩნდა; არის აგრეთვე მარცვლეულის ნაშთები. ნამოსახლარს ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოუყვებოდა [იხ. Куфтин 1950: 239- 256; ჯიბლაძე 2007: 20-21].

ანაკლია II-ის ნამოსახლარი ამავე სახელწოდების სოფლის განაპირას ადგილ ჭითანყაროში, მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე, ზღვიდან 2 კმ დაშორებით მდებარეობს. ხელოვნური ბორცვის სიმაღლე 5 მ, ხოლო დიამეტრი 50 მ-მდეა, ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოუყვებოდა. აქვე, ხის ძელური ნაგებობების ნაშთები გამოვლინდა [იხ. მუსხელიშვილი და სხვ. 2010; მიკელაძე, Барამიძე 1976: 98].

ერგეტას ნამოსახლარი ზუგდიდის დასავლეთით 25 კმ-ზე, მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროზე, სოფ. ერგეტასთან (მამულიას ნამოსახლარი) მდებარეობს. ხელოვნური ბორცვის სიმაღლე 5 მ, ხოლო დმ - 70 მ-მდეა. ნამოსახლარს ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოუყვება. ნამოსახლარზე ოთხი კულტურული ფენა დადასტურდა. აქ ფენებში ხის ძელური ნაგებობები, ხორბლეულის ნაშთები და სხვა არტიფაქტები აღმოჩნდა. სოფ. ერგეტას მიდამოებში კიდევ რამდენიმე ხელოვნურად გამართული სამოსახლო ბორცვია მიკვლეული [იხ. პაპუაშვილი 2017: 38-44; პაპუაშვილი და სხვ. 2005: 51].

ნაოხვამუს ნამოსახლარი სენაკის მუნიციპალიტეტის სოფ. რეკას სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. მისი სიმაღლე 4 მ, ხოლო დმ - 60 მ-მდეა. ის ხელოვნურად გამართულ ნამოსახლართა ტიპს განეკუთვნება. ნამოსახლარზე ხის ძელური ნაგებობები გაითხარა. ბორცვს ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოსდევდა. აქ კულტურულ ფენებში სხვადასხვა სახის კერამიკასთან ერთად ბრინჯაოს საკინძები, ბრინჯაოს და რკინის შუბისპირები და ისრისპირები აღმოჩნდა [Куфтин 1950: 168-238; ჯიბლაძე 2007: 22].

ნოსირი III-ის ნამოსახლარი ქ. სენაკის

მუნიციპალიტეტის, ამავე სახელწოდების სოფლის ჩრდილოეთ მხარეს, მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვის სიმაღლე 3 მ, ხოლო ფართობი 2500 კვ.მ-მდეა. აქ ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ოთხი კულტურული ფენა გამოიყოფა. აქ ხის ძელებიანი, ჯარგვლისე-ბური შენობები გაითხარა. მეტალურგიულ ნარმოებასთან დაკავშირებული ლითონის ჩამოსასხმელი ყალიბები და ციცხვები აღმოჩნდა. გამოვლინდა აგრეთვე ყურძნის ნიპნები, ხორბლის სხვადასხვა სახეობა და ოსტეოლოგიური მასალა. ნოსირის ხელოვნური ნამოსახლარის ჩრდილოეთითაც, მდინარე ტეხურის მარცხენა სანაპიროზეც ბორცვ-ნამოსახლარების ნაშთები აღმოჩნდა. ასეთივე ნამოსახლარები დადასტურდა გეჯეთში, ამავე სახელწოდების სოფლის ტერიტორიაზე, მდ. ტეხურის ნაპირას. სოფ. ნოქალაქევის სოფლის მეურნეობის ტერიტორიაზეც და სოფ. ხორშის სამოსახლო ბორცვ „ლომურაზე“, რომელიც მდებარეობს სენაკის მუნიციპალიტეტის, ამავე სახელწოდების სოფლის მიდამოებში [იხ. გოგაძე 1982: 36-38, 51-58].

აბედათის ნამოსახლარი მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს, ამავე სახელწოდების სოფლის განაპირა მხარეს. სამოსახლო ბორცვის სიმაღლე 5 მ, ხოლო დმ - 80 მ-მდეა. ნამოსახლარს ირგვლივ 10 მ სიგანის ხელოვნური თხრილი შემოუყვებოდა [იხ. ფხაკაძე 1978: 138].

ნაჭვის ხელოვნური ბორცვის ნამოსახლარი მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. მუხურჩის დასავლეთით 2 კმ-ზე. მისი სიმაღლე 5 მ, ხოლო დიამეტრი 40 მ-მდეა. აქ ხის ძელებიანი ნაგებობები გამოვლინდა [იხ. გოგაძე 1982: 29-59].

კეკელურის ნამოსახლარი ხელოვნური ბორცვი მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. მუხურჩასთან, მდ. აბაშის ნაპირზე. მისი სიმაღლეა 4 მ, ხოლო ფართობი 1500 კვ.მ-მდეა. აქ გამოვლინდა ძელებიანი ნაგებობები [გოგაძე 1982: 29].

საელიაოს კურზიას ნამოსახლარი ხელოვნური ბორცვი, მარტვილის მუნიციპალიტეტში, მდ. აბაშის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. ბორცვის სიმაღლე 7 მ, რომელსაც ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოსაფარებდა. ბორცვზე ძელებიანი ნაგებობები გამო-

ვლინდა [იხ. ჯიბლაძე 2007].

ლეცავას ნამოსახლარი ბორცვი, მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სოფ. სალხინოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. აქ, ხის ძელებიანი სამოსახლო გაითხარა [იხ. Микеладзе и др. 1980: 35].

ზურგას ხელოვნურად გამართული ნამოსახლარი ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭალადიდში, ე.წ. საბაჟოს უბანთან მდებარეობს. ბორცვის სიმაღლე 5 მ-ია, ხოლო ფართობი 1900 კვ. მ-მდეა. ნამოსახლარზე გამოიყო სამი კულტურული ფენა. აქ გაითხარა ხის ძელებიანი ნაგებობები [იხ. მიქელაძე 1978: 21; ჯიბლაძე 2007; Микеладзе 1990: 32-34].

სავიჩიოს სოფლის მიდამოებში (სენაკის მუნიციპალიტეტი), მდ. რიონის მარცხენა ნაპირის გასწვრივ სადაზვერვო თხრილებით შესწავლილ იქნა სამოსახლო ბორცვების მთელი წყება, რომლებზეც ხის ძელებიანი ნაგებობების ნაშთები აღმოჩნდა. ეს ნამოსახლარები ხელოვნური თხრილებით იყო გარშემოწერილი [იხ. ჯიბლაძე 2007].

ყულევის სოფლის მიდამოებში (ხობის მუნიციპალიტეტი), სანაპიროზე შესწავლილ იქნა ბორცვ-ნამოსახლარები, რომლებიც ხის ძელებიანი ნაგებობების ნაშთებს შეიცავენ [იხ. პაპუაშვილი და სხვ. 2014: 204].

წყემის №3 ხელოვნური ბორცვი (აბაშის მუნიციპალიტეტი) ამავე სახელწოდების სოფლის განაპირა მხარეს, მდ. აბაშის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს. მისი სიმაღლე 6 მ-ია და ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოუყვებოდა. აქ, ხის ძელებიანი ნაგებობები აღმოჩნდა [მიქელაძე და სხვ., 1974: 33-35; ჯიბლაძე 2007].

კოდორი I-ის ხელოვნურად გამართული ნამოსახლარი ამავე სახელწოდების სოფლის ტერიტორიაზე (სოფ. ნაესაკოვოსთან — აბაშის მუნიციპ.), მდ. რიონის და მდ. ნოღელის შესართავთან მდებარეობს. ბორცვის სიმაღლე 3 მ, ხოლო დიამეტრი 60 მ-მდეა. ირგვლივ მას ხელოვნური თხრილი შემოუყვებოდა. აღმოჩნდა ხის ძელებიანი ნაგებობების ნაშთები [იხ. მიქელაძე და სხვ., 1972: 26]. აქვე მდებარეობს **კოდორი II** ხელოვნურად გამართული ნამოსახლარიც, სადაც ხის ძელებიანი ნაგებობების ნაშთები და იგივე ნაირი არქეოლოგიური მონაცემებია აღმოჩენილი [Микеладзе 1990: 33].

პალურის ჟირსუკის ორი გორანამოსახ-

ლარი (ნალენჯიხის მუნიციპ.) ამავე სახელწოდების სოფლის ტერიტორიაზე, მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროს ტერასაზე მდებარეობს. ამ ნამოსახლართან ახლოს სამაროვანიც მდებარეობს [გრიგოლია 1971: 29].

პატრიკეთის ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს. ბორცვის სიმაღლე 7 მ, ხოლო დმ - 90 მ-მდეა. ნამოსახლარს ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოსდევდა. ბორცვის გათხრისას საცხოვრებელი, ხის ძეღური ნაგებობები გამოვლინდა [იხ. Джапаридзе и др. 1979: 25].

დაბლაგომის ნამოსახლარი (სამტრედიის მუნიციპალიტეტი) ამავე სახელწოდების სოფლის ტერიტორიაზე მდებარეობს, ე.წ. ნაციხვარის კონცხის ფერდის ძირას, რიონის დაბლობიდან 200 მეტრის სიმაღლეზე. ბორცვის თხემზე მდებარე ნამოსახლარზე ხის ძეღებიან-ბათქაშებიანი ნაგებობების ნაშთები გაითხარა. აქ ე.წ. კოლხური ცულის ჩამოსასხმელი ყალიბი და შუბისპირები აღმოჩნდა [იხ. თოლორაძე 1977: 71].

მალაკისა და საყულიას ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვები წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს. მათი სიმაღლე 7 მ, ხოლო დმ - 100 მ-მდეა. ბორცვების გათხრისას ხის ძეღური ნაგებობები გამოვლინდა [კალანდაძე და სხვ. 2004: 18].

შუხუთის ტერასული ნამოსახლარი ამავე სახელწოდების სოფლის თავზე, ე.წ. ნაციხვარის ჩრდილო-აღმოსავლეთით 150 მ-ზე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს. გათხრისას ხის ძეღური ნაგებობების ნაშთები გამოვლინდა [სადრაძე და სხვ. 1996: 31].

არგვეთას ნამოსახლარი საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ამავე სახელწოდების სოფელთან, მდ. ლაშურას მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს (იხ. ჯიბლაძე 2007).

საირხის საბადურის გორაზე (I კულტურული ფენა) და მოდინახეში ხის ძეღებიანი ნამოსახლარის ნაშთები და მისი შესაბამისი მასალებია გამოვლენილი [იხ. მახარაძე, ლომთაძე, 1997: 21; ნადირაძე 1975: 21; 1990: 9].

ოჩამჩირის ნამოსახლარი მდ. ჯიხამურის მარცხენა ნაპირთან, მდინარის ზღვასთან

შეერთების ადგილას მდებარეობს. ისინი ხელოვნურ ბორცვთა ტიპს განეკუთვნებიან. ზღვის სანაპიროს გასწვრივ განლაგებული სამი ბორცვიდან დასავლეთისა იყო შესწავლილი. ამ ხელოვნური ბორცვის სიმაღლე 6 მ, ხოლო დიამეტრი 70 მ-მდეა. აქ ხის ძეღებიანი ნაგებობების ნაშთები გაითხარა. ბორცვ-ნამოსახლარს ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოუყვებოდა [იხ. Куфтин 1950: 250-266; Соловьев 1939: 44-48].

მაჭარას ნამოსახლარი დაბალ ტერასაზე, ამავე სახელწოდების მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვიდან 300 მეტრზე მდებარეობს. აქ ხის ძეღებიანი ნაგებობების ნაშთები გაითხარა [იხ. Бжания 1966: 113-124].

სოხუმის მთის ნამოსახლარი მდებარეობს ამავე სახელწოდების მთის თხემზე. აქ ხის ძეღებიანი ნაგებობების ნაშთები გაითხარა. აქ, ფენებში კერამიკასთან ერთად გამოვლინდა მეტალურგიულ ნარმოებასთან დაკავშირებული ნივთები [იხ. კალანდაძე 1953: 18-19].

კისტრიკის ნამოსახლარი გუდაუთასთან, ამავე სახელწოდების მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვისპირა ტერასაზე მდებარეობს. აქ, გათხრისას ხის ძეღური და ჯარგვალისნაირი ნაგებობების ნაშთები გამოვლინდა [იხ. Бжания и др. 1987: 43].

ტამიშის ნამოსახლართა კომპლექსი ქ. ოჩამჩირის ჩრდილო-დასავლეთით, ამავე სახელწოდების მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვიდან 300 მეტრის დაშორებით მდებარეობს. ეს არქეოლოგიური ძეგლი ხელოვნურა ბორცვთა ტიპს განეკუთვნება. გათხრისას ხის ძეღური ნაგებობების ნაშთები გამოვლინდა [იხ. Барамидзе и др. 1980: 113].

ფიჩორის ხელოვნურ ნამოსახლართა კომპლექსი ქ. გალის ჩრდილო-დასავლეთით 40კმ-ზე, მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროდან 4 კმ-ზე, ზღვიდან 500 მ-ში მდებარეობს. ნამოსახლართა კომპლექსის საერთო ფართობი 12 ჰა-მდეა. კომპლექსის შუაში 5მ სიმაღლის ცენტრალური ბორცვია აღმართული. მთელ ამ კომპლექსს ირგვლივ 10 მ-ის სიგანის ხელოვნური თხრილი შემოსდევს. ცენტრალურ ბორცვზე ხის ძეღებიანი, ჯარგვლური ტიპის შენობების ნაშთები გაითხარა [იხ. Барамидзе и др. 1987: 43; ჯიბლაძე 2007:17-18].

ჯვარალების ხელოვნურად გამართული

ნამოსახლართა კომპლექსი (ფართობი 7ჰა) მდებარეობს სოფ. ფიჩორის განაპირა მხარეს, ზღვიდან 3 კმ-ზე. ის 7 ბორცვისაგან შედგება, სადაც გამოირჩევა ცენტრალური ბორცვი (სიმაღლე 4 მ, დმ - 70 მ-მდე). ნასახლარ-ბორცვებს ირგვლივ 3 მ-ის სიგანის და 2 მ-ის სიღრმის ხელოვნური თხრილი შემოსდევდა [იხ. ბარამიძე და სხვ. 1990: 23].

რეფო-შეშელეთის ხელოვნურად გამართული ნამოსახლარი (სიმაღლე 9 მ, დმ - 120 მ-მდე) მდებარეობს გალის მუნიციპალიტეტში, ამავე სახელწოდების სოფლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ბორცვზე ხის ძეღური ნაგებობების ნაშთები დადასტურდა. ნასახლარს ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი მხრიდან ნაარხალი ეტყობა [იხ. Барамидзе и др. 1982: 67-68].

ნაკარღლის ხელოვნურად გამართული ნამოსახლარი (სიმაღლე 5 მ, დმ - 80 მ-მდე) ქ. გალის დასავლეთით 45 კმ-ზე, მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. ფიჩორის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობს. ბორცვს წრიულად შემოსდევდა ხელოვნური თხრილი. ბორცვზე ხის ძეღური ნაგებობების ნაშთები დადასტურდა [იხ. Барамидзе и др. 1987: 46-47].

წიფურიას ხელოვნურად გამართული ნამოსახლარი ქ. გალის რაიონის სოფ. თაგილონში, მდ. ენგურის შენაკადის ხაიას მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს. ბორცვის სიმაღლე 7 მ-ია, ხოლო დმ - 100 მ-მდეა. აქ ხის ძეღური ნაგებობების ნაშთები დადასტურდა [იხ. ბარამიძე და სხვ. 1990: 23-27].

განმუხურის ხელოვნურად გამართული ნამოსახლართა კომპლექსი მდებარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვიდან 400 მ-ზე. ბორცვის სიმაღლე 3 მ, ხოლო დმ - 60 მ-მდეა. ბორცვზე ხის ძეღური ნაგებობების ნაშთები დადასტურდა [იხ. ბარამიძე და სხვ. 1990: 23-26].

ისპანის ნამოსახლარი ქ. ქობულეთის აეროდრომის ჩრდილო-დასავლეთით 2 კმ-ზე მდებარეობს. ნამოსახლარზე უნდა ყოფილიყო გავრცელებული ხის ჯარგვლური ტიპის ძეღური ნაგებობები [იხ. ინაიშვილი 1973: 15; ხახუტაიშვილი 1995: 39].

ნამჭედურის ხელოვნურად გამართული ნამოსახლარი ქობულეთთან მდ. ოჩხამურისა და ჩოლოქის შეერთებდან 1 კმ-ზე

ჩრდილოეთით, ზღვიდან 300 მ-ზე მდებარეობს. ბორცვის სიმაღლე 5 მ-ია, ხოლო საერთო ფართობი 2000 კვ. მ-მდეა. აქ ხის ძეღური ნაგებობათა ნაშთები გამოვლინდა. ნამოსახლარს ირგვლივ ხელოვნური თხრილი შემოსდევდა [იხ. Микеладзе, Хахутаишвили 1985: 11-22].

ჩოლოქისპირა ნამოსახლარი ქობულეთის რაიონში მდინარეების ჩოლოქისა და ოჩხამურის შესართავთან მდებარეობს. ის ხელოვნურად გამართულ ბორცვთა ტიპს განეკუთვნება. აქ, მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული სახელოსნოს ნაშთები გამოვლინდა. ნამოსახლარზე ხის ძეღური, ჯარგვლური ტიპის შენობები დაფიქსირდა [იხ. ჩავლეიშვილი 1991: 17-25; ჩავლეიშვილი 1987: 12].

ჰეროდოტეს (იხ. ისტორია IV, 37) მიხედვით შავი ზღვიდან სპარსეთის ყურემდე სულ ოთხი ხალხი სახლობს. ესენია ირანელები, მიდიელები, კოლხები და სასპერები. სახელი სპერი ძველი სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული პროვინციის სახელში შემორჩა. საყურედღებოა, რომ ჰეროდოტე აღნიშნავს კოლხ და სასპერ მეომრებს ერთნაირი ჩაცმულობა და ბრძოლის მეთოდი ჰქონდათ: „... სასპერები ლაშქრობდნენ კოლხებივით“-ო (ჰეროდოტე, VII, 78, 79). ეს კი კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ მოდგმის ხალხთა (კოლხების და სასპერების) ერთიან წარმომავლობაზე. სასპერები ეს ის ქართველური მოდგმის ტომია, რომლებმაც შემდეგ საზოგადოების კონსოლიდაციის შედეგად, მდ. მტკვრის შუა წელზე ცენტრით მცხეთაში ქართლის სამეფო შექმნეს და რომლებსაც ძველი ბერძნულ-რომაული წერილობითი წყაროები იბერიის სამეფოს უწოდებენ.

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ურარტუელების და ნომადური ტომების აგრესიულმა მეზობლობამ კოლხეთის მთებით შემოსაზღვრულ რეგიონში მომხდურთან დასაპირისპირებლად საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების თავდაცვითი ორგანიზება და შეკვრა-კონსოლიდაცია გამოიწვია. მოცემულ საგარეო ფაქტორს შემდგომში, ძვ.წ. V საუკუნისათვის, კოლხეთის სახელმწიფოს განვითარების პროცესში საგრძობი როლი უნდა შეესრულებინა. კოლხეთის სამეფოს განმტკიცებაში გამორჩეული, კონსტრუქციული ადგილი ეჭირა კულტურულ

ინოვაციებსაც. საგარეო ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ე.წ. ბერძნული კოლონიზაციის მიმდინარეობა კოლხეთის ზღვისპირეთში. საბერძნეთიდან გასული მოსახლეობის ახალშენებს შორის გაიმიჯნა სავაჭრო და აგრარული კოლონია-აპოიკიები [იხ. Vallet 1973: 53-72]. პირველი, კონსტრუქციული საგარეო ფაქტორია — ემპორიონები. მეორე (ხორიანი პოლისები) — დესტრუქციულია ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რადგან მას თან ახლავს ტერიტორიის დაკარგვა და ადგილობრივი მოსახლეობის განდევნა. ე.წ. ბერძნულ კოლონიზაციას, როგორც საგარეო ფაქტორს, კოლხეთისათვის დადებითი ძვრები მოჰყვა. კერძოდ, ადგილობრივი მოსახლეობა გაეცნო იმ ხანად მოწინავე ბერძნულ სამეურნეო და კულტურულ მიღწევებს, რამაც მნიშვნელოვანი სტიმული მისცა კოლხურ საზოგადოებაში საქალაქო ცხოვრების დაწინაურებას. სანაპიროზე განვითარდნენ ქალაქები — ფასისი, გიენოსი, დიოსკურია.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე პროტოსახელმწიფოს შემდგომ, ძვ.წ. V–IV სს.-ში კოლხეთის ძლიერი სამეფო განვითარდა. კოლხეთის სამეფოს კეთილდღეობის ეპოქა თვალნათლივას ასახული როგორც წერილობით წყაროებში, აგრეთვე მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან არქეოლოგიურ მონაცემებში [დან. იხ. ლორთქიფანიძე 2002: 124-237; Braund 1994]. მოცემული ეპოქის კოლხეთის სამეფოს გული მდინარე ფასისის (რიონის) შუაწელზე იყო განლაგებული. ძველი ბერძენი ავტორები მის მთავარ ქალაქს ქ(კ)უთაიას უწოდებდნენ [იხ. ლორთქიფანიძე 2002: 157] კოლხეთში მრავალდარგოვანი ხელოსნური წარმოება იყო განვითარებული. აქ ლითონის დასამუშავებელი, კერამიკის გასაკეთებელი, ხის და ტყავის დასამუშავებელი, სხვადასხვაგვარი სამკაულების დასამზადებელი და სხვ. სახელოსნოები არსებობდა. კოლხეთის სამეფოს ეკონომიკური წინსვლის საყრდენს რკინის კარგად განვითარებული წარმოება წარმოადგენდა, რომელიც მინათმოქმედება-სამეურნეო საქმიანობას მრავალრიცხოვანი სანარმოო იარაღით ამარაგებდა. ამის მოწმობაა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურებული რკინის სახნისები, თოხები, ცულები და სხვ. მინათმოქმედების მაღალი დონის მაჩვენებელია სხვადასხვა ჯიშის

მარცვლეულის აღმოჩენაც. სწრაფმბრუნავ სამეთუნეო ჩარხზეა დამზადებული მრავალფეროვანი კოლხური ჭურჭელი, რომელიც სამეფოს მთელ ტერიტორიაზე ფორმების და გაფორმების მიხედვით გარკვეულად სტანდარტულ-ერთსახოვანია. კოლხეთის სამეფოში ძირითად საამშენებლო მასალად ხე და თიხა გამოიყენებოდა, რაც გენეტიურად უკავშირდება წინამორბედი ეპოქის სამოსახლეობს. ძვ.წ. V–IV სს.-ში კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე იჭრებოდა თავისებური მონეტები — ე.წ. კოლხური თეთრის სხვადასხვა ნომინალები. არქეოლოგიური გათხრებით კოლხეთის სამეფოს უაღრესად თავისთავადი მხატვრული კულტურა წარმოჩინდა. მის ერთ-ერთ დაწინაურებულ დარგს ოქრომჭედლობა წარმოადგენს. მაგ.: ვანში და საირხეში მიკვლეულია ოქრომჭედლობის თავისებური ნიმუშები — ყელსაბამები, დიადემები, საყურეები, სამაჯურები. ეს ნივთები ფრიად ორიგინალურია და მხოლოდ იმ დროინდელი კოლხეთისთვისაა დამახასიათებელი (ჭედვა, ტვიფრვა, რჩილვა, ფილიგრანი, ცვარა) [დანვრ. იხ. ლორთქიფანიძე 1971: 51-63].

წერილობით წყაროებში დაცული ცნობები [იხ. ქ.ც. 1955: 24], რომლის მიხედვითაც აზოს და შემდგომში ფარნავაზის დროს (ძვ.წ. III ს. დასაწყისი) კოლხეთის ნაწილი იბერიის სამეფოს ფარგლებშია მოქცეული, სანდოდ გამოიყურება. ამ დროისათვის კოლხეთის სამეფო დასუსტებულია. ის კარგავს ტერიტორიებს. ჯერ აღმოსავლეთ, ხოლო შემდეგ შიდა კოლხეთზეც ვრცელდება იბერიის გავლენა [მელიქიშვილი 1965: 90; ბრაგვაძე 1990: 137-150]. ამ გარემოებას მხარს უბამს დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მონაცემები. ძვ.წ. IV ს.-ის ბოლოს კოლხეთის მატერიალურ კულტურაში, რომელიც ადრე ერთგვაროვანი იყო, შეინიშნება ცვლილებები. ძვ.წ. III ს.-ში ეს ცვლილებები კიდევ უფრო გაღრმავდა. შემდგომ, განსხვავება შეიმჩნევა შიდა და ზღვისპირა კოლხეთის მატერიალურ კულტურაში [იხ. ლორთქიფანიძე 1972: 40]. პირველად ეს აისახა დაკრძალვის ახალი წესის გაჩენაში (ქვევრსამარხები). ამგვარი სამარხები ძირითადად შიდა კოლხეთშია აღმოჩენილი — ნიგორზღვა, დაფნარი, დაბლაგომი, სოფ. მთისძირი, ფარცხანაყანევი, ქუთაისი, წყალტუბო, მალლაკი, ბანოჯა, ქვიტირი, გოდოვანი, ოდილაური, აჯამეთი, ჩხარი, ბანძა,

ძვერი, ციხესულორი, დიდვანი, ბზვანი, მუხიანი, ჭოგნარი, მესხეთი, უკანეთი, ბუკისციხე, ზენობანი, გოგორეთი, ზემოფარცხმა, თეკლათი, ისულა, ზანათი, ნოქალაქევი, ბატნაოხურო, ლანჩხუთი, ძირულა, საჯავახო, ბორი და სხვ. [იხ. თოლორდავა 1980: ტაბ.1]. კოლხეთში ქვევრში დაკრძალვის წესის გაჩენა არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, დაახლოებით ძვ.წ. IVს. მინურულიდან არის სავარაუდო. ამგვარი სამარხებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალა რამდენადმე განსხვავდება მის წინა პერიოდში არსებულისაგან და მიგვითითებს ცვლილებებზე [იხ. ლორთქიფანიძე 1972: 40]. ქვევრსამარხებში აღმოჩენილ სამკაულებში (მძივები, სამაჯურები, საკისრე და საყურე რგოლები) და კერამიკაში შეიმჩნევა ადგილობრივი და შემოტანილი ფორმა-გაფორმების სიმბიოზი. შიდა კოლხეთის მატერიალურ კულტურაში ცვლილება პირველად საირხის ლომინაურში [იხ. ნადირაძე 1975: 99], ითხვისში და ვანში [იხ. ლორთქიფანიძე 1977: 20] ნითლად მოხატული ე.წ. იბერიული კერამიკის გაჩენით აღინიშნა. ამგვარი ჭურჭელი უცხოა ძვ.წ. III ს-მდე კოლხეთისათვის. ძვ.წ. IIIს-დან შიდა კოლხეთის არქიტექტურაზე, იბერიის გავლენა აისახა, მაგალითად: მსგავსება შეიმჩნევა არმაზციხე, წინამური, ღართის კარი, ციხიაგორა, სამადლო, უფლისციხე და კოლხეთის — ვანი, საირხე, სამშენებლო წესებში (ალიზის აგური; ქვათლილების მშრალი ნყოფის ერთმანეთთან დაკავშირების წესი). სამადლოს, ვანისა და მცხეთის კრამიტების ნიშნებშიც მსგავსება აღინიშნება. მსგავსებაა სამადლოს, სარკინეს და ვანის ნაქალაქარების ტერასული პრინციპით დაგეგმარებაში. სამადლოს ნამოსახლარის სამშენებლო ქვის პეტროგრაფიული შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ასეთი ჯიშის ქვა (ეკლარის კირქვა) მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ქუთაისის მახლობლად მოიპოვება. კოლხეთის მატერიალურ კულტურაში გარდატეხის მიმანიშნებელია ისიც, რომ ძვ.წ. IV ს-ის ბოლოდან ე.წ. კოლხური თეთრი აღარ ჩანს ადგილობრივ სამონეტო მიმოქცევაში. ისინი ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმაქეს მონეტებმა და მინაბადებმა ჩაანაცვლეს.

ძვ.წ. IV ს-ის მინურულის საომარი მოქმედებების შედეგადაა დანგრეული, მაგალითად, ვარციხის „გიორგობიანების გორის“,

ვანისა და სოფ. მთისძირის „ადეიშვილების გორის“ ნაგებობები. სოფ. ვარციხის „გიორგობიანების გორაზე“ აღმოჩენილი ნაგებობა დანგრეულ-გადამწვარია ძვ.წ. IV ს-ის მინურულს [ჯაფარიძე 1977: 43-50]. ამავე პერიოდშია გადამწვარი ვანის ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის თეთრი ქვით ნაგები შენობა და ზედა ტერასაზე გათხრილი ძეღურბათქაშიანი ნაგებობა. ძვ.წ. IV ს-ის მინურულისათვისაა დანგრეული სოფ. მთისძირის „ადეიშვილების გორის“ ძეღურ-ბათქაშიანი თავდაცვითი ნაგებობა (შენობის დანგრევის დრო რადიოაქტიური ნახშირბადის დაშლის მეთოდითაა განსაზღვრული) [იხ. გამყრელიძე 1982: 56-63, 93]. კოლხეთის ძვ.წ. IV ს-ის მინურულის და ძვ.წ. III ს-ის პირველი ნახევრის მატერიალურ კულტურაში ზემოთ აღნიშნული ცვლილებები შეიძლება, ერთი მხრივ, აზოს (აზონ) და, მეორე მხრივ, ფარნავაზ-ქუჯის მიერ ძალაუფლებისათვის ბრძოლით გამოწვეული საომარი მოქმედებების შედეგებით აიხსნას. როგორც ცნობილია, იბერიის სამეფოს ჩამოყალიბების პროცესი სწორედ ძვ.წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე მიმდინარეობს [მამულია 1979: 93-113]. ამ დროისათვის შიდა კოლხეთიც პოლიტიკურად იბერიის სამეფოს ფარგლებში ერთიანდება. საისტორიო გადმოცემა („მოქცევაი ქართლისაი“ და „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“) ქართლის სამეფოს წარმოშობის და აზო-ფარნავაზის ურთიერთობის შესახებ ძირითადად სანდოა. არიან-ქართლიდან (მდინარე მტკვრის, ჭოროხის სათავეების და ვანის ტბის ახლომახლო ტერიტორია. ჰეროდოტე, III, 94) მოსულმა ალექსანდრე მაკედონელის მიერ აღზვევებულმა აზომ ჯერ ქართლის გეოგრაფიულ-სტრატეგიული (მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის შესაყარი) ცენტრი „მცხეთა“ დაიმორჩილა, ხოლო შემდგომში ქართველური მოდგმის ხალხით დასახლებული სხვა მხარეებიც დაიქვემდებარა (მათ შორის ეგრისიც — resp. კოლხეთი) [იხ. ძვ. ქართული აგიოგრაფ... 1963: 81].

კოლხეთში ლეონტი მროველს ნახსენები აქვს ციხე-გოჯის (ნოქალაქევი), შორაპნისა და დიშნის ციხეები [ქ.ც. 1955: 24]. შორაპანი თანამედროვე დაბაა შორაპნის ციხესთან, ხოლო დიშნი სოფ. ზედა დიშის ნაცხართან არის გაიგივებული. იმხანად კოლხეთში

ცალკეული მხარე-ერთეულების გათიშულობა-დაპირისპირებამ იმძლავრა, ხოლო იბერიაში, პირიქით, მეტი საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონსოლიდაცია მოხდა და ცენტრალიზებულ ხელისუფლებიანი სამეფო განვითარდა. იბერიის სამეფომ ჩამოყალიბება-გაძლიერების პროცესში კოლხეთის ნაწილის ინკორპორაცია განახორციელა [იხ. გამყრელიძე 1985: 87-89]. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა მანამდე, ვიდრე კოლხეთის ზღვისპირეთი მითრიდატე VI ევპატორის სამეფოს გავლენის ქვეშ არ მოექცა. კოლხეთის ზღვისპირეთში ძვ.წ. IV ს-ის მიწურულიდან განვითარდა პოლისური ტიპის ქალაქები — დიოსკურია, გიენოსი, ფასისი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ხოლო შიდა კოლხეთი იბერიის სამეფოს პოლიტიკურ გავლენას დაექვემდებარა [დანვრ. იხ. გამყრელიძე 1985: 86-97]. იბერიის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყვნენ კოლხეთის სტრაბონისეული სკეპტუხიები (იხ. სტრაბონი, XI, II, 18) — “საირხე” [იხ. ნადირაძე 1990], „ქუთაისი“ [იხ. ლანჩავა 1975], „ნოქალაქევი“ [იხ. ზაქარაია 1981; ლომოური, 1981: 18-46], „ვანი“ [არქეოლოგიური მასალა იხ. კრებ. „ვანი“, 1972, 1976, 1977, 1979, 1981, 1982, 1983]. ამგვარი ტერიტორიული დანაწილება განვითარდა, პირველ რიგში, ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-კომუნიკაციური მდგომარეობის საფუძველზე. როგორც ჩანს, ზოგიერთი თემი უფრო დაწინაურდა და ჩამოყალიბდა გარკვეულ საქალაქო ცენტრად. საყურადღებოა კოლხეთის შესახებ სტრაბონის „გეოგრაფიაში“ შემონახული ცნობა: „თუ როგორ იყო სახელგანთქმული ძველად ეს ქვეყანა, ... ამის შემდეგ მემკვიდრეებმა სკეპტუხიებად დაჰყვეს ქვეყანა და ჰქონდათ ზომიერი ძალაუფლება“ (იხ. სტრაბონი, XI, II, 18). როგორც სტრაბონის გეოგრაფიის ამ ნაწყვეტიდან ჩანს და არქეოლოგიური მონაცემებიც ამას მოწმობენ, დაახლოებით ძვ.წ. V საუკუნისათვის კოლხეთში უკვე გაფორმებულია ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ-კომუნიკაციურ საფუძველზე წარმოქმნილი ტერიტორიული ერთეულები, რომელთა სათავეში ადგილობრივი დაწინაურებული გვარის წარმომადგენლები იდგნენ. ამ ტერიტორიებიდან ზოგიერთი უფრო დაწინაურდა და ჩამოყალიბდა გარკვეულ საქალაქო ცენტრად თავისი მიმდებარე ტერიტორიით. ასეთებია, მაგალ-

ითად, „ვანი“, „ქუთაისი“, „საირხე“ და სხვ. სტრაბონის გეოგრაფიის ნაწყვეტიდან ჩანს, რომ კოლხეთი სკეპტუხიებად დაანაწილეს, რაშიც უნდა იგულისხმებოდეს ქვეყნის დაყოფა გარკვეულ ტერიტორიულ-სამმართველო ერთეულებად. ეს დანაწილება, ალბათ, ხელისუფლებამ ჩაატარა, რათა, ერთი მხრივ, გაადვილდებოდა ადმინისტრაციულად ქვეყნის მართვა, ხოლო მეორე მხრივ, კიდევ მეტი პოლიტიკური ცენტრალიზაციისათვის მიეღწია [იხ. ინაძე 1961: 783-790; ლორთქიფანიძე 1977:15].

საფიქრებელია, რომ მათი წარმოქმნის პირველ ეტაპზე ისინი უფრო ტომობრივ-ტერიტორიული ერთეულებია, ხოლო თანდათან ერთ-ერთი ამ ერთეულის არისტოკრატიული გვარი წინაურდება და ახერხებს დანარჩენების დაქვემდებარებას. სწორედ ეს არისტოკრატიული გვარი შემდეგ სამეფოს უკეთ სამართავად და ხელისუფლების განსამტკიცებლად ადმინისტრაციულ რეფორმებს ატარებს. აქ, ალბათ, ისეთივე რეფორმები ტარდება, როგორიც იბერიაში გაატარა მეფე ფარნავაზმა [იხ. ქ.ც. 1955: 24]. დროთა განმავლობაში კოლხეთში საგამგებლო ერთეულებს შორის მოხდა გარკვეული დიფერენცირება, რადგან აქაური რეგიონული გეოგრაფიულ-აგროკლიმატური პირობები არათანაბარია (მაგ., რიონის დაბლობის სკეპტუხიები უფრო მდიდარი და შეძლებული უნდა ყოფილიყო, ვიდრე მთიანი გურიის). ამან შემდგომში, დაახლოებით ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარში, საგამგებლოებს შორის ურთიერთდაპირისპირება გამოიწვია, რაც საბოლოო ჯამში კოლხეთის სამეფოს დასუსტებით და იბერიასთან მისი ინკორპორაციით დასრულდა.

ძვ.წ. I ს. დასაწყისიდან კოლხეთის ზღვისპირეთში პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორი გამოჩნდა [იხ. ისტორიოგრაფია — Reinach 1890; სანიკიძე 1956; გოზალიშვილი 1965; დუნდუა 1974: 146-159]. პონტოს სამეფოს თავისი პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესები ჰქონდა. აქ იყო განლაგებული დიოსკურიის, გიენოსის, ფასისის, „ქობულეთ-ფიჭვნარის“ ქალაქები. ამ ქალაქების შემოერთებაში აისახა მითრიდატე ევპატორის ძირითადი მიზნის — მთელი შავიზღვისპირეთის გაერთიანების იდეის განხორციელება. ისეთი ძლიერი ხელისუფალის მმართველობაში შესვლა, როგორც მითრი-

დატე იყო, ვაჭრობა-ეკონომიკასა და თავდაცვაში სტაბილურობის განმტკიცებას მოასწავებდა. იმ სანაპირო ნაქალაქარებზე, რომლებიც დღესდღეობით მეტნაკლებადაა არქეოლოგიურად შესწავლილი — ეშერა, სოხუმი-დიოსკურია, ოჩამჩირე-გიენოსი — არ არის დადასტურებული ძვ.წ. II-ის-ის მიჯნის გადამწვარი ფენები ან რაიმე საბრძოლო მოქმედების კვალი [იხ. გამყრელიძე 1985: 97]. სტრაბონის (XI,II,17,18) ცნობებიდან სჩანს, რომ მითრიდატე დაინტერესებული იყო კოლხეთის სანაპიროთი, საიდანაც მას მისდიოდა მეტი წილი სანაოსნო საშუალებების გასამართავად, ხე-ტყე, სელი, კანაფი, ცვილი, ფისი — გემების ასაგებად. კოლხეთის სანაპირო ის სტრატეგიულ-კომუნიკაციური მხარე იყო, რომელიც აუცილებლად სჭირდებოდა პონტოს სამეფოს თავისი ჩრდილოშავიზღვისპირა ტერიტორიების ზედამხედველობისათვის. მითრიდატემ, დაიკავა რა დასავლეთ კოლხეთი, მის ადმინისტრაციულ ცენტრად აქცია ქალაქი დიოსკურია (იხ. სტრაბონი, XI,II,18).

კოლხეთში სიტუაცია პონტო-რომის პირველი ომის დასასრულისათვის შეიცვალა, როცა მითრიდატემ მარცხი განიცადა საბერძნეთში. იბერიის დამარცხების შემდეგ პომპეუსი გადავიდა კოლხეთში (იხ. პლუტარქე, „პომპეუსი“, 34). რომაელების გამოჩენის დროს შიდა კოლხეთი დანაწილებული იყო სკეპტუხიებად (იხ. დიონ კასიუსი, „რომის ისტორია“, XXXVII, 3). მათი ნაწილი იბერიის პოლიტიკურ გავლენას ემორჩილებოდა (მაგ., შორაპანი, რომელიც უბრძოლველად გაიარა პომპეუსმა), ხოლო ნაწილი კი, ეტყობა შედარებით დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა (მაგ. „ვანის“ სკეპტუხია). სტრაბონის დედის ბიძას, მითრიდატე ევპატორის მოხელეს მოაფერნეს კი დასავლეთი კოლხეთი (resp. პონტოს კოლხეთი) ექვემდებარებოდა (სტრაბონი, XI,II,18). პომპეუსი მდ. ფასისის გაყოლებით ზღვამდე ჩადის (ქ. ფასისში). რომაელები მათდამი დაქვემდებარებულ ქვეყნებში კი არ ცვლიდნენ არსებულ სამართველო აპარატის სტრუქტურას, არამედ მას თავიანთ სამსახურში აყენებდნენ. ისინი, კოლხეთშიც ასევე მოიქცნენ. შიდა კოლხეთის „სკეპტუხიებზე“ (მაგ., ოლთაკეს სკეპტუხიაზე) საფიქრებელია, რომ რომის ძალაუფლება ეფემერული იყო. ჯერ კიდევ ლუკულუსი

მითრიდატესთან ომის დროს აღნიშნავდა ამ მხარის სრულად დამორჩილების სიძნელეებს (იხ. პლუტარქე, ლუკულუსი, 14).

იბერიის სამეფოსთან კოლხეთის ნაწილის ინკორპორაციამ კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური სტატუსის შეცვლა გამოიწვია. კოლხეთისათვის უარყოფითი საგარეო ფაქტორი გამოდგა პონტოს სამეფოს ექსპანსია, რომელსაც ზღვისპირეთის ანექსია მოჰყვა. რომმა გარკვეული ზემოქმედება მოახდინა კოლხეთის განვითარების პროცესზე. ერთი მხრივ, ეს ზემოქმედება უარყოფითი გამოდგა — ქვეყნის დასავლეთი მხარე რომის პოლიტიკურ გავლენაში მოექცა, ხოლო ზოგიერთ რეგიონში კი რომაელთა ცბიერი პოლიტიკის შედეგად არასტაბილური მდგომარეობა შეიქმნა, რაც შემდგომში რომისადმი ნახევრად დაქვემდებარებული „სამთავროების“ განვითარებით დასრულდა (იხ. ფლავიუს არიანე, „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“, 11).

იბერიის (resp. ქართლის) სამეფოში ძირითადი სამეურნეო-სამინათმოქმედო ფართობები შიდა ქართლის ვაკეზე, მდ. მტკვრის ხეობაში, ტირიფონის და მუხრანის ნაყოფიერ ველებზე, ქვემო ქართლის ბარში და ალაზნის ველზე იყო განლაგებული. აქ ჰავა მშრალი კონტინენტურია. ამიტომ ინტენსიური მინათმოქმედებისათვის საჭირო იყო სარწყავი არხების გაყვანა. სტრაბონი, იბერიის შესახებ გადმოგვცემს: „იბერია უმეტესად კარგად არის დასახლებული ქალაქებით და სოფლებით; იქ არის კრამიტის სახურავიანი სახლები, რომლებიც არქიტექტურულად მონყობილია; ბაზრები და სხვა... ქვეყნის ნაწილი კავკასიონის მთებითაა გარშემორტყმული ... შუაში არის დაბლობი, მდინარეებით მორწყული; უდიდესი მათ შორის არის მტკვარი. ... ის მოედინება საძოვრებით მდიდარ ველზე, ერთვის სხვა მრავალ მდინარეს, რომელთა შორის არის ალაზანი,... ესენი ... უერთდებიან კასპიის ზღვას“ (იხ. სტრაბონი, XI, III, 1,2). აქ საკმაო რაოდენობით მოიპოვება საშენი მასალა: ხე, თიხა, ქვა და მეტალურგიული ნედლეული — სპილენძი, რკინა, კალა. აქაური ნოყიერი ნიადაგი, მრავალფეროვანი რელიეფი, ჰიდრორესურსები, მადნეული, ფლორის და ფაუნის მრავალსახეობა საზოგადოების პროგრესის საფუძველს იძლეოდა. აქ დიდი ნაგებობების და

სარწყავი არხების აგება შესაბამისი შრომის იარაღებისა და მრავალრიცხოვან ადამიანთა კარგად ორგანიზებული შრომის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ ცოდნა-გამოცდილების მქონე გამორჩეული პიროვნებები. სწორედ ეს ლიდერები ანხორციელებდნენ ამ მოსახლეობის დასახლებების დაცვას. ამრიგად, თავდაცვითი და საცხოვრებელი პრობლემების ერთობლივი ძალისხმევით გადანაცვების პირობებში ხდებოდა გარკვეული პოლიტიკური კონსოლიდაცია. სამუშაოების მასშტაბების და თავდაცვითი მზადყოფნის ზრდასთან ერთად იზრდება ლიდერების როლი საზოგადოებაში. დროთა განმავლობაში აქ პროტოსახელმწიფოებრივი საზოგადოებრივი წყობა განვითარდა. სოციუმის ამდაგვარი განვითარება, შესაძლოა ჯერკიდევ ე.წ. დიდი ყორღანების კულტურის დროს ჩაეყარა საფუძველი (დაახლ. ძვ. წ. II ათასწლეული). ამ გარემოებებმა შემდგომ ხელი შეუწყო ძლიერი პოლიტიკური ერთეულის იბერიის სამეფოს წარმოქმნას. არქეოლოგიური მონაცემები მოწმობენ, რომ გვიანბრინჯაო ადრერკინის ხანაში, ინტენსიურად იყო დასახლებული ძველი საქართველოს ცენტრალური ნაწილი. მოსახლეობა აქ ძირითადად ბორცვ-გორებზე ცხოვრობდა. მაგალითად, VIII-VI სს. ხოვლეს გორასაცხოვრისი იღებს დაბური დასახლების სახეს. ძვ.წ. VI-V სს. იზრდება ხოვლეგორას საფორტიფიკაციო მნიშვნელობა. მას შემოვლელი ჰქონდა საკმაოდ ღრმა თხრილი. ამ გორას გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს და ის აკონტროლებს ირგვლივ ტერიტორიას [დან. იხ. ხიდაშელი 2009: 24-28].

მდინარეების ზემო ევფრატის, ქოროხის, მტკვრის და არაქსის სათავეების მიმდებარე ტერიტორიაზე ქართველურ ტომთა (კოლხები, სასპერები, მესხები და სხვ...) გაერთიანების შედეგად ძვ.წ. XI-VIII სს.-ში განვითარდა პროტოსახელმწიფოებრიობა, რომელიც ჯერკიდევ უძველეს ლურსმულ წარწერებში მოიხსენიება. კოლხებს და სასპერებს ჰეროდოტეც (იხ. ისტორია IV, 37) ახსენებს. იბერიის ძვ.წ. III - ახ.წ. III სს. ისტორიისათვის ძირითად წერილობით წყაროს წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ ნაწილი — „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, რომლის შემდგენელ-გადამწერია სწავლული ლეონტი მროველი.

ის წინამორბედთა მრავალფეროვანი, ქართული და უცხოური თხზულებებით სარგებლობდა. „ცხოვრება ქართველთა მეფეთაში...“ მოყვანილი ცნობების (პერსონაჟების, პუნქტების და სხვ.) უმეტესი ნაწილი, ახალი არქეოლოგიური გათხრების შედეგად, სადღეისოდ დოკუმენტურად დადასტურებულია. მაგ.: ციხე-ქალაქები — ნასტაკისი, სარკინე, ციხე-გოჯი, არმაზციხე (ბაგინეთი), შორაპანი, დიმნა [იხ. გამყრელიძე, მინდორაშვილი, ბრაგვაძე, კვაჭაძე და სხვ. 2013].

ისტორიული პერსონაჟები — არტაგი (resp. არტოკე), ფარსმან I, ფარსმან ქველი, მითრიდატე (ანუ მიჰრდატი), ამაზასპი. არქეოლოგიურად აღმოჩენილ ეპიგრაფიკულ ძეგლებში დასტურდება ისტორიულ პირთა სახელები: მეფე ფარსმანი ნახსენებია 75 წლით დათარიღებულ ე.წ. ვესპასიანეს წარწერაში, რომელიც მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს არმაზციხესთან აღმოჩნდა. აქვე იხსენიება მეფე მითრიდატე. ის აგრეთვე იხსენიება ე.წ. №1 წარწერაში, რომელიც არმაზში აღმოჩნდა. მეფე მითრიდატე მოიხსენიება ქ. რომში აღმოჩენილ წარწერაშიც. მეფე ფარსმანი ფიგურირებს ქ. რომის ნავსადგურ ოსტიაში აღმოჩენილ წარწერაში. იგივე მეფე ნახსენებია მცხეთაში, არმაზში არქეოლოგიურად გათხრილ ე.წ. „არმაზის ბილინგვაზეც“. ამავე ბილინგვაზევე მოხსენიებულია „იბერთა დიდი მეფე ქსეფარნუგი“. „იბერთა დიდი მეფე ამაზასპე“ მოიხსენიება არმაზციხეში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილ წარწერაში. „ცხოვრება ქართველთა მეფეთაში...“ ნახსენებ ისტორიულ პირთა მოქმედებანი მრვალგზის აღინერება აგრეთვე ბერძნულ-ლათინურ წყაროებში. მაგ.: იბერიის მეფე არტაგს ძვ.წ. 65 წელს პომპეუსის იბერიაში ბრძოლების აღწერისას ახსენებს — აპიანე და დიონ კასიუსი. მეფე ფარსმანს — ტაციტუსი. მეფე ფარსმან II-ს იხსენიებს ფლავიუს არიანე; აელიოს სპარტიანე; იული კაპიტოლინი და სხვ. წერილობით წყაროებში ნახსენები იბერიის მეფეები ქართლის ხელმძღვანელ-ორგანიზატორები იყვნენ. მეფე ფარნავაზის მიერ გატარებულმა სამხედრო-ადმინისტრაციულმა რეფორმებმა საფუძველი დაუდო იბერიის სახელმწიფოს. შემდგომ ეს რეფორმები ფარნავაზიანთა დინასტიის სხვა მეფეებმა განაგრძეს.

ძვ.წ. 334 წელს მცირე აზიაში ალექსანდრე

მაკედონელის ჯარი გამოჩნდა. მაკედონელების მხარდაჭერით სამხრეთ-დასავლეთ ტრანსკავკასიის ერთ-ერთი ქართველური გაერთიანების, არიან ქართლის მეთაურმა, აზონმა ილაშქრა და ციხე-ქალაქი სარკინე აიღო. იბერიაში მაკედონელთა მიერ აღზევებულმა აზონმა ხელთ იგდო ძალაუფლება. ამის შემდეგ, აქ აზონის მიერ, მმართველობის პრობერძნულ-მაკედონურ (resp. ავეროპული) წესრიგი დამყარდა. იბერიის სამეფოს კონსოლიდაცია მტკივნეულად მიმდინარეობდა. ცალკეული მხარეების წარჩინებულ მეომართა გუნდები უცხო ძალის გამოყენებაში ხედავდნენ გამოსავალს, რათა უპირველესები გამხდარიყვნენ და ძალაუფლება ხელთ ეგდოთ. ამ ბრძოლებში ხან კიმერიელ-სკვითებს, ხან ირანელებს, ხანაც ბერძენ-მაკედონელებს იყენებდნენ. აზონს დაუპირისპირდა მცხეთელი წარჩინებული ფარნავაზი თავისი მომხრეებით (აღმოსავლურ-პროირანული). ამ დაპირისპირებას აზონის ხელისუფლების დამხობა მოჰყვა. აზონის და ფარნავაზის მომხრეთა შორის საბრძოლო მოქმედებებით გამოწვეული ნგრევის მოწმობაა საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული ძვ.წ. IV ს. მინურულის გადამწვარი ნამოსახლარები, რომლებიც არქეოლოგების მიერ არის შესწავლილი [იხ. გამყრელიძე, მინდორაშვილი, ბრაგვაძე, კვაჭაძე და სხვ. 2013].

ძვ.წ. III ს-ის დასაწყისში ფარნავაზმა მოახერხა მთელი იბერიისა და კოლხეთის მნიშვნელოვანი ნაწილის გაერთიანება. მან საფუძველი ჩაუყარა ფარნავაზიანების სამეფო დინასტიას. წერილობითი წყაროები მას მიაწერს იბერიის სახელმწიფო-ადმინისტრაციული რეფორმების ჩატარებას. ფარნავაზის დროს კოლხეთის ნაწილი იბერიის სამეფოს ფარგლებშია მოქცეული. ფარნავაზიანთა ეპოქის იბერიის სახელმწიფოს პოლიტიკურ-სამხედრო ორგანიზაციის საკმაოდ კარგი სისტემა ჰქონდა. სახელმწიფო ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებად იყო დაყოფილი. მათ ადგილობრივი სამხედრო-არისტოკრატიის წარმომადგენლები, ერისთავები, მართავდნენ, რომელთაც ბერძნული და არამეული წერილობითი წყაროები მოიხსენებს (იხ. სტრაბონი XI, II, 18). ერისთავის ინსიგნიებს წარმოადგენდა — კვერთხი-სკიპტრა, განსაკუთრებული საბეჭდავი-ბეჭედი, მდიდრული სარტყელი,

შეიარაღება და სხვ. ხსენებული ნივთები დოკუმენტურად დადასტურებულია საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში (იხ. მაგ. მცხეთის არქეოლოგიური აღმოჩენები). სამეფოს ჯარი (იხ. სტრაბონი, XI, III, 3; XI, IV, 5; აპიანე, მითრიდატიკა, 103; ქ.ც.; პლუტარქე, ლუკულუსი, 31) შეიარაღებული იყო — შუბებით, სატევრებით, საბრძოლო ცულებით, მშვილდ-ისრებით, ჯაჭვ-ჯავშნებით, მუზარადებით, ფარებით; საბრძოლო ეტლებით, ქვის ყუმბარების სატყორცნი მანქანებით. მათ, შეტევის და თავდაცვის, იმ დროისათვის მოწინავე, რკინის შეიარაღება ჰქონდათ [დანვრ. იხ. გამყრელიძე 2010]. იბერიის სამეფოს თავდაცვის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი საფორტიფიკაციო ნაგებობებს ეკავა, რომლებიც სტრატეგიულად მოხერხებულ და საჭირო ადგილებზე იყო განლაგებული - მაგ.: მცხეთა, უფლისციხე, ურბნისი, სარკინე, ნასტაკისი, შორაპანი, დიმნა და სხვ. განსაკუთრებით სატახტო ქალაქი მცხეთა იყო დაცული. აქ მთავარ ციხესიმაგრესთან (არმაზციხე) ერთად სხვა, მძლავრი საფორტიფიკაციო სისტემა იყო აგებული [იხ. გამყრელიძე 2010; გამყრელიძე, მინდორაშვილი, ბრაგვაძე, კვაჭაძე და სხვ. 2013].

I ს. პირველ ნახევარში იბერიის სამეფო იმდენად გაძლიერდა, რომ გააფართოვა თავისი საზღვრები და მედგარი ბრძოლით აიღო მდ. არაქსთან მდებარე მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი არტაქსატა. ამ დროისათვის იბერიამ დაიბრუნა სამხრეთ-დასავლეთით, მდ. ჭოროხის, მდ. მტკვრის და მდ. არაქსის სათავეების ტერიტორიები. ფარსმან II ქველი უკვე შეუფარავად ებრძვის რომის იმპერიას და ცდილობს მის განდევნას ზღვისპირა კოლხეთიდან და სამხრეთ ტრანსკავკასიიდან. იბერია, თავისი ინტერესების დაცვისათვის, გაბედულად უპირისპირდება იმ დროისათვის სამხედრო თვალსაზრისით უძლიერეს სახელმწიფოებს, რომსა და პართიას. ხსენებული სახელმწიფოები, როგორც ჩანს, იბერიის სამეფოს ანგარიშგასაწევ ძლიერ ქვეყნად მიიჩნევდნენ. ამიტომ, იმპერატორ ანტონინუს პიუსის (ახ.წ. 138-161 წწ.) დროს იბერიას და რომს შორის ურთიერთობები გამოსწორდა. რომაელი ისტორიკოსი ელიუს სპარტიანი მოგვითხობს, რომ რომის იმპერატორი პატივს სცემდა იბერთა მეფე ფარსმან II-ს, რადგან მისი სამხედრო მხარდაჭერა

სჭირდებოდა სამხრეთ ტრანსკავკასიაში. ამის გამო, იბერთა მეფეს ურიცხვი ძვირფასი საჩუქარი (შესაძლოა, რომ სწორედ ეს ძვირფასი ნივთებია სადღისოდ, არქეოლოგიურად აღმოჩენილი მცხეთაში; იხ. მცხეთის არქ. გათხრების მასალები), საბრძოლო სპილო და ორმოცდაათკაციანი მებრძოლთა რაზმი უბოძა (იხ. ელიუს სპარტიანი). ახ.წ. 140 წელს ფარსმან II ამალით, დიპლომატიური მისიით, იმპერიის სატახტო ქალაქ რომში ჩავიდა. აქ მას ზეიმით შეხვდნენ და პატივისცემის ნიშნად ფარსმანის ქანდაკებაც კი აღმართეს (იხ. დიონ კასიოსი, რომის ისტორია, XX, 2). იბერიის სამეფომ, რომსა და პართიას შორის მოქნილი პოლიტიკის წარმოების და წარმატებული ომების შედეგად საზღვრები გაიფართოვა.

ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, ძველ საქართველოში, მსხვილი ქალაქური ტიპის დასახლებებიდან ქალაქები განვითარდა. ეს ქალაქები, ძირითადად გზების პირას, ვაჭრობის კონცენტრაციის და სამხედრო-სტრატეგიულ ადგილებზე წარმოიქმნენ. მათ შესახებ ინფორმაცია წერილობით და არქეოლოგიურ წყაროებშია შემორჩენილი. ასეთებია: მცხეთა-არმაზციხე — ქ. მცხეთასთან, ნასტაკის-სამადლო — ქ. კასპის აღმოსავლეთით, ძალისა — სოფ. ძალისთან, სარკინე — ქ. მცხეთის დასავლეთით, უფლისციხე — ქ. გორის აღმოსავლეთით და სხვ. [იხ. გამყრელიძე, მინდორაშვილი, ბრაგვაძე, კვაჭაძე და სხვ. 2013]. საქართველოში არქეოლოგიურად გამოვლენილ ძველ ქალაქთა ნაგებობანი შექმნილია იმდროინდელი მონინავე სამყაროსათვის დამახასიათებელი თეორიული და პრაქტიკული მიღწევების საფუძველზე. ქალაქის ყველაზე გამაგრებულ მონაკვეთს აკროპოლისი წარმოადგენდა აქ სახელისუფლო არისტოკრატის რეზიდენცია და მთავარი ტაძარი იყო განლაგებული. ქალაქს მძლავრი თავდაცვითი კედლები ერტყა, რომელშიაც კოშკები იყო ჩაშენებული. გალავანს ხშირად თავდაცვითი თხრილი შემოუყვებოდა. კედლები ოთხკუთხა თლილი ქვებით და ალიზით ანუ გამოუმწვარი აგურით იგებოდა. ქვის, თლილ, ოთხკუთხა კვადრებს თიხის ხსნარით და ლითონის სამაგრებით ამაგრებდნენ. შენობების გადასახურად ბრტყელ და ღარიან კრამიტს ხმარობდნენ. ბუნებრივია, რომ ქალაქების საზოგადოებრი-

ვი, ადმინისტრაციული, სამეურნეო, წყალსადენის (წყარო, ჭა), საკულტო, და თავდაცვითი ნაგებობების შექმნა შესაბამისი შრომის იარაღებისა და მრავალრიცხოვან ადამიანთა კარგად ორგანიზებული შრომის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ სათანადო ცოდნა-გამოცდილების მქონე პიროვნებები. ერთ-ერთი პიროვნების, მცხეთის მთავარი არქიტექტორ-მშენებლის სახელი — ავრელი აქოლისი, ცნობილი გახდა მცხეთაში აღმოჩენილი საფლავის ქვის წარწერიდან.

ქალაქები ხელოსნობის და ვაჭრობის მსხვილ ცენტრებს წარმოადგენდნენ. ისინი ირგვლივ მდებარე სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებს ფლობდნენ, საიდანაც სურსათით მარაგდებოდნენ. იბერიის სამეფოს დედაქალაქი მცხეთა იყო, რომელიც ქალაქური ტიპის დაბების აგლომერაციას წარმოადგენდა. ის მდ. მტკვრის და მდ. არაგვის შესაყართან მდებარეობდა. მცხეთის ძირითადი ქალაქური დასახლებებია: არმაზციხე-მთაქართლი, კაციტავანა, არმაზისხევი, ღართისკარ-წინამურ-ზედაზნის სასიმაგრო ხაზი და მათ შორის ტერიტორია. მცხეთის არმაზციხე, დედაციხე აკონტროლებს მდ. მტკვრისა და მდ. არაგვის ხერთვისს და გზათა შესაყარს. აქ იბერიის მეფეთა რეზიდენცია მდებარეობდა. არმაზციხის ერთ მხარეს მდინარე მტკვარი საზღვრავს, ხოლო დანარჩენს პარალელური ხევები. ხევების კიდეს ოთკუთხა კოშკებიანი სასიმაგრო ხაზი დაუყვებოდა. თლილი ქვის ნაგებობანი აქ, ძვ.წ. III ს. ბოლოდან იქმნებოდა; გამოყენებულია ალიზის აგურებიც. თავდაცვითი კედლის შიგნით განლაგებული იყო სასახლეები, ტაძრები, აბანო და სხვ. არქეოლოგების მიერ აქ აღმოჩენილია დიდი რაოდენობით კაპიტელები, სვეტები, სვეტისბაზები, კრამიტი და სხვა არქიტექტურული დეტალები.

ბერძნულ სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ძველი საქართველოს ეკონომიკურ-კულტურულ წინსვლაში. არსებითად ეს ნიშნავდა მის ინტეგრაციას ხმელთაშუაზღვისპირეთ-სამხრეთ ევროპის ეკონომიკურ სისტემაში. ალბათ, ამანაც, ძველი საქართველოს ორიენტაცია იმ თავითვე ევროპული ცივილიზაციის მიმართულებით განსაზღვრა. მდინარე რიონ-ყვირილა (ფასისი) და მდინ-

არე მტკვარი თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით მოხერხებული სავაჭრო გზა იყო. ცნობები მისი სატრანზიტო მაგისტრალად გამოყენების შესახებ სტრაბონისა და პლინიუსის ნაწერებშია შემონახული (იხ. სტრაბონი, XI, VII, 3 ; პლინიუს სეკუნდუსი, VI, 52). სწორედ ამ გზის გაყოლებაზე მდებარეობს კლასიკური ხანის და ადრეული შუა საუკუნეების ნამოსახლარები, რომელთა არქეოლოგიური კვლევის დროსაც აღმოჩნდა შემოტანილი უცხოური ნაწარმი.

ქართველური მოდგმა უძველესი დროიდან სახლობს დღევანდელი საქართველოს მიწაზე. ქართველები, ქართველური ეთნოსი განვითარების თავდაპირველ საფეხურზე განსახლებული იყო სამი მდინარის — მტკვრის, რიონის და ჭოროხის აუზებში. ეს კი ზოგადად, ვანის ტბიდან შავზღვამდე და კავკასიონის ქედის ჩათვლით ტერიტორიას მოიცავს. ამ ტერიტორიაზე სახლობდა ძველი ქართველური მოდგმის ხალხი, რომელთა სხვადასხვა გაერთიანებებს საისტორიო წერილობითი წყაროები (იხ. ჰეროდოტე, ქსენოფონტი, სტრაბონი, არიანე, ლეონტი მროველი და სხვ.) სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ. კერძოდ — კოლხები, იბერები, ხალიბები, მოსუნიკები, სასპერები, მაკრონები, ჰენიოხები, მოსხები, ტაოხები, აფსილები, ტიბარენები, სანიგები; შემდგომ, ჭანები, ლაზები, სვანები, ეგრნი, ქართნი და ა.შ. [იხ. საქართველო და ქართველების აღმნიშვნელი...1993].

პროტოსახელმწიფოებრიობა უფრო მტკვრის, ჭოროხის მდინარეთა ზემო წელის აუზებში ჩაისახა და შემდგომ მყარი სახელმწიფოებრიობა მდ. რიონის აუზში განვითარდა და მდ. მტკვრის შუა წელიც მოიცვა. ძვ.წ. IIIს-დან კი პირიქით, კოლხეთი, გაძლიერებული და კონსოლიდირებული იბერიის სამეფოს ფარგლებში მოექცა. კოლხეთ-ლაზიკისა და იბერიის ადგილსა და საფუძველზე განვითარდა ერთიანი სახელმწიფო — საქართველო.

ლიტერატურა:

- აღამია 1979:** აღამია ა. კოლხური წნული სახლები, ჟურ. *ძეგლის მეგობარი*, №49, თბ.
- აფაქიძე 2002:** აფაქიძე ჯ. გვიანბრინჯაოსა და ადრეკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგია, ისტ. მეცნ. დოქტ. ხარისხის მოსაპოვებლად

— ავტორეფერატი, თბ.

- ბარამიძე და სხვ. 1990 :** ბარამიძე მ., ჯიბლაძე ლ., ჩიგოშვილი თ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება აფხაზეთის ასსრ სამშენებლო მოედნებზე, ჟურ. *ძეგლის მეგობარი*, №1, თბ., გვ. 23-26.
- ბერძენიშვილი 1964:** ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები, I ტ., თბ.
- ბერძენიშვილი 1969:** ბერძენიშვილი მ. ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, თბ.
- ბრაგვაძე 1990:** ბრაგვაძე ზ. კოლხეთის აღმოსავლეთი რეგიონების (ყვირილისხეობის) ქართიზაციის საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკად. მაცნე, №4, გვ.137-150.
- ბერაძე 1981:** ბერაძე თ. ზღვაოსნობა ძველ საქართველოში, თბ.
- გაბიძაშვილი და სხვ. 2004:** გაბიძაშვილი გ., სახაროვა ლ., სულავა ნ; სულხანიშვილი დ., ლეჩხუმის არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიების შედეგები, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წწ., თბ. გვ.121-123.
- გაგოშიძე 2003:** გაგოშიძე იულ. კოლხური კულტურა (კოლხეთი, იბერია), კრებ. ქართველური მემკვიდრეობა, VII, თბ., გვ. 90-101.
- გაგუა 1988:** გაგუა გ. კოლხეთის აგროკლიმატური რესურსების გამოყენება, თბ.
- გამყრელიძე 1982:** გამყრელიძე გ. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბ.
- გამყრელიძე 1985ა:** გამყრელიძე გ. ანტიკური ხანა თუ იბერიულ-კოლხური ხანა, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კრებ. საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, III, თბ., გვ.123-129.
- გამყრელიძე 1985:** გამყრელიძე გ. აზო-ფარნავაზის დროინდელი კოლხეთის ისტორიისათვის, საქ. მეცნ. აკად. მაცნე (ისტ... სერია), თბ., №3, გვ.86-97.
- გამყრელიძე 1989:** გამყრელიძე გ. მითრიდატე ევპატორი და კოლხეთ-იბერიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, საქ. მეცნ. აკად. მაცნე №2, გვ. 59-69.
- გამყრელიძე 1993:** გამყრელიძე გ. ისტორიულ-ტოპოარქეოლოგიური ძიებანი, თბ.
- გამყრელიძე 2003:** გამყრელიძე გ. ქალაქ ფასისის ადგილმდებარეობის და დეფინიციის საკითხისათვის, საქ. მეც. აკად. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურ. იბერია-კოლხეთი, №1, თბ., გვ.170-189.
- გამყრელიძე 2010:** გამყრელიძე გ. ომი და შეიარაღება იბერია-კოლხეთში, თბ.
- გამყრელიძე და სხვ. 2013:** გამყრელიძე გ., მინდორაშვილი დ., ბრაგვაძე ზ., კვაჭაძე მ. და სხვ. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, თბ.
- გამყრელიძე 2016:** გამყრელიძე გ. ხის კოლხური არქიტექტურა და მისი სოციალური არსის შესახებ, კრებ. „გურია“, VI, თბ. გვ. 185-200.
- გვალია 1991:** გვალია ტ. გეოგრაფიული ფაქტორისა და ქართული კულტურის ურთიერთმიმართების ზოგიერთი საკითხი, თბ., გვ. 52-127.
- გობეჯიშვილი გ. 1970:** გობეჯიშვილი გ. გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა საქართველოში. სინ. ტ. I. თბ., 243-311.
- გობეჯიშვილი ნ. 2014:** გობეჯიშვილი ნ. სამარხთა კონსტრუქცია და დაკრძალვის წესი კოლხური და ყობა-

ნური კულტურების მიხედვით, თბ.

გოგაძე და სხვ. 1982: გოგაძე ე., ქორიძე ე., დარისპა-
ნაშვილი მ., ნოსირ-მუხურჩის არქეოლოგიური ექს-
პედიციის მუშაობის შედეგები, სსმაე VII, თბ. 58-70.

გოზალიშვილი 1965: გოზალიშვილი გ. მითრიდატე
პონტოელი, თბ.

გრიგოლია 1971: გრიგოლია გ., დასავლეთ საქართვე-
ლოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის შედე-
გები, კრებ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქარ-
თველოში 1969 წ., თბ.

გრიგოლია და სხვ. 1973: გრიგოლია გ., ფხაკაძე გ.,
ბარამიძე მ. დასავლეთ საქართველოს საძიებო-არ-
ქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წ. მუშაობის შედე-
გები, მასალები საქართველოს და კავკასიის არქე-
ოლოგიისათვის, V ტ., თბ., გვ. 17-38.

გეორგიკა 1936: გეორგიკა, III (ბერძნულ-ქართული ტე-
ქსტი გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა), თბ.

გეორგიკა 1965: გეორგიკა, II (ბერძნულ-ქართული ტე-
ქსტი გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა), თბ.

გორდეზიანი 2000: გორდეზიანი რ. რჩეული ნაშრომე-
ბი, თბ.

გუგუშვილი 1954: გუგუშვილი პ. მარცვლეული მეურ-
ნეობა საქართველოში, თბ.

დიონ კასიოსი 1966: დიონ კასიოსი, ცნობები საქ.
შესახებ (გამოსცა ნ. ლომოური), თბ.

დუნდუა გ. 1974: დუნდუა გ. იჭრებოდა თუ არა მონეტა
ვანში?, საქ. მეცნ. აკად. აცნე (ისტ... სერია), თბ.,
№2, გვ. 146-159.

დუნდუა და სხვ. 1977: დუნდუა გ., ლორთქიფანიძე გ.
მონეტები ვანიდან, ვანი III, გვ.119-152.

დუნდუა თ. 1993: დუნდუა თ. კოლხეთი, იბერია..., ნუ-
მიზმატიკის მიხედვით, თბ.

ენგელსი 1953: ენგელსი ფ., ოჯახის, კერძო საკუთრე-
ბისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ.

ვაშაკიძე 1991: ვაშაკიძე ვ. ელინისტური ხანის ქარ-
თლის სოციალური ისტორიიდან, თბ.

ვახუშტი ბატონიშვილი 1973: ვახუშტი ბატონიშვილი,
ქართლის ცხოვრება, ტ.IV, თბ., 53.

ზაქარაია პ. 1981: ზაქარაია პ. ნოქალაქევი 1973-77
წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ან-
გარიში, კრებ. ნოქალაქევი-არქეოპოლისი, თბ., გვ.
77-119.

თოლორდავა 1980: თოლორდავა ვ., დაკრძალვა ელინ-
ისტური ხანის საქართველოში, თბ.

ინაიშვილი 1973: ინაიშვილი ა., მასალები ისპანის ძვე-
ლი სამოსახლოდან, საველე არქეოლოგიური კვლე-
ვა-ძიება 1972 წელს, თბ., გვ. 15.

ინანიშვილი 2018: ინანიშვილი გ. ქართული მეტალურ-
გიის სათავეებთან, თბ.

ინაძე 1961: ინაძე მ. კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიათა
საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XXVI ტ.,
№6, თბ., გვ. 783-790.

ინაძე 1982: ინაძე მ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის
ბერძნული კოლონიზაცია, თბ.

ინაძე 1986: ინაძე მ. სატაძრო ცენტრები ძველ კოლხ-
ეთში, საქ. მეცნ. აკად. მაცნე (ისტ... სერია), №4, თბ.,
გვ. 32-53.

ინაძე 1994: ინაძე მ. ძველი კოლხეთის საზოგადოება,
თბ.

ინაძე 2009: ინაძე მ. ძველი კოლხეთის ისტორიის საკ-
ითხები, თბ., გვ.31-50.

კაკაბაძე 1924: კაკაბაძე სარ. ქართული სახელმწიფოე-
ბრიობის გენეზისის საკითხისათვის, კრებ. საისტო-
რიო მოამბე, №1, თბ.

კალანდაძე და სხვ. 2004: კალანდაძე კ., ბუბეიშვილი
თ., იოსელიანი ნ., ქიჯია მ., კალანდაძე ნ., წყალტუ-
ბოს ექსპედიცია. საველე არქეოლოგიური კვლევა-
ძიება 1989-1992 წწ., თბ. გვ.18.

კახიძე 1971: კახიძე ამ. საქართველოს ზღვისპირეთის
ანტიკური ქალაქები, თბ.

კახიძე 1975: კახიძე ამ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირე-
თის ანტიკური ძეგლები (ფიჭვნარის ბერძნული სა-
მაროვანი), ბათუმი.

კალანდაძე 1953: კალანდაძე ალ. სოხუმის მთის არქე-
ოლოგიური ძეგლები, სოხუმი.

კვირკველია 1976: კვირკველია გ. უცხოელი მეცნიერ-
ები უძველესი ქართველი ტომების მელითონეობის
შესახებ, თბ.

კორძახია 1961: კორძახია მ. საქართველოსჰავა, თბ.

ლამბერტი 1938: ლამბერტი არქანჯელო, სამეგრელოს
აღწერა, თბ.

ლანჩავა 1975: ლანჩავა ომ. ქუთაისის ძველი ისტორიი-
სათვის, თბ.

ლიჩელი 1991: ლიჩელი ვ. ძველი ვანი, სამეურნეო უბა-
ნი, თბ.

ლომოური 1955: ლომოური ნ. კლავდიოს პტოლემეაიო-
სის ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები
საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ.
32, თბ.

ლომოური 1981: ლომოური ნ. ნოქალაქევი, კრებ. ნო-
ქალაქევი-არქეოპოლისი, I, თბ., გვ.18.

ლორთქიფანიძე ოთ. 1957: ლორთქიფანიძე ოთ. ანტი-
კურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისკენ მომავალი
გზის შესახებ, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XIX, №3. თბ.,
გვ. 377-384.

ლორთქიფანიძე ოთ. 1966: ლორთქიფანიძე ოთ. ანტი-
კური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ.

ლორთქიფანიძე ოთ. 1971: ლორთქიფანიძე ოთ. მა-
სალები ძვ.წ. V ს. კოლხეთის მხატვრული კულტურის
ისტ.-თვის, თბილისის უნივერსიტეტის შრომები,
№1 (138), გვ. 51-63.

ლორთქიფანიძე ოთ. 1972: ლორთქიფანიძე ოთ. ვანის
ნაქალაქარი, ვანი I, თბ., გვ.7-42.

ლორთქიფანიძე ოთ. 1977: ლორთქიფანიძე ოთ. ვანის
ნაქალაქარი (გათხრები. ისტორია. პრობლემები),
კრებ. ვანი, III ტ., თბ., გვ. 13-27. 54.

ლორთქიფანიძე ოთ. 2002: ლორთქიფანიძე ოთ. ძველი
ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ. გვ. 124-
183.

მაისაია, შანშიაშვილი, რუსიშვილი 2005: მაისაია ი.,
შანშიაშვილი თ., რუსიშვილი ნ., კოლხეთის აგრარუ-
ლი კულტურა, თბ.

მამულია 1979: მამულია გ. კლასობრივი საზოგადოებ-
ისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლ-
ში, თბ.

მახარაძე 1991: მახარაძე გ., „საბადურის“ გორის
სტრატეგრაფია და საირხის ნაქალაქარის ისტორი-
ის ძირითადი ეტაპები, თბ.

- მახარაძე 1997:** მახარაძე გ., ლომთაძე გ., კოლხური კულტურის გავრცელება ყვირილის ხეობაში, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, II, თბ. გვ.21-29.
- მახარაძე 2000:** მახარაძე გ. საირხის ნაქალაქარის ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპი, არქეოლოგიური ჟურნალი, I, თბ., გვ.43-66.
- მელიქიშვილი 1955:** მელიქიშვილი გ. საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკად. გამომც. თბ.
- მელიქიშვილი 1965:** მელიქიშვილი გ. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ.
- მელიქიშვილი 1970:** მელიქიშვილი გ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I., თბ. გვ.
- მიქელაძე და სხვ. 1972:** მიქელაძე თ., ბარამიძე მ., კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე კვლევა-ძიება 1971 წელს. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1971 წელს, თბ., 33-35.
- მიქელაძე და სხვ. 1974:** მიქელაძე თ., ფხაკაძე გ., ბარამიძე მ., ლორთქიფანიძე გ., მუსხელიშვილი დ., ხახუტაიშვილი დ., კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიების შედეგები. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წ., თბ., გვ. 33-35.
- მიქელაძე 1974:** მიქელაძე თ. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბ.
- მიქელაძე 1978:** მიქელაძე თ. არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, I, თბ.
- მუსხელიშვილი 1977:** მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., გვ. 32-62.
- მუსხელიშვილი და სხვ. 2010:** მუსხელიშვილი დ., ჯიბლაძე ლ., პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ. ანაკლია II, თბ.
- ნადირაძე 1975:** ნადირაძე ჯ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ.
- ნადირაძე 1990:** ნადირაძე ჯ. საირხე, საქართველოს უძველესი ქალაქი, თბ.
- ნიორაძე 1941:** ნიორაძე გ., არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში, ენიმკის მოამბე, X, თბ.
- პაპუაშვილი 1987:** პაპუაშვილი რ., არქეოლოგიური გათხრები და დაზვერვები კოლხეთის დაბლობზე (1983-1986), ძეგლის მეგობარი, №4, თბ., გვ. 52-54.
- პაპუაშვილი 1998:** პაპუაშვილი რ. კოლხური კოლექტიური სამარხების შედარებითი ქრონოლოგია იარაღის მიხედვით, თბ.
- პაპუაშვილი და სხვ. 2005:** პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი ნ., კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. ერგეტა, თბ. გვ. 51-56.
- პაპუაშვილი და სხვ. 2014:** პაპუაშვილი რ., პაპუაშვილი იოს. შავიზღვის პალეორეჟიმი და მისი გავლენა კოლხეთის დაბლობის დასახლებებზე (ძვ.წ. III-I ათასწლეული), თბ.
- პაპუაშვილი 2017:** პაპუაშვილი რ. ზუგდიდის არქეოლოგიისათვის, თბ.
- პლუტარქე 1957:** პლუტარქე, პარალელური ბიოგრაფიები (თარგმნა აკ. ურუშაძემ), თბ.
- რამიშვილი 1974:** რამიშვილი ალ., კოლხეთის მატერი-ალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი.
- რამიშვილი 2003:** რამიშვილი ალ., გრავირებულ კოლხურ ცულებიანი სამარხი სოფ. ნაცარგორიდან, აკც-ს ჟურ. ძიებანი, №12, თბ., გვ.41-48.
- რუხაძე 1960:** რუხაძე ჯ. ლომის კულტურა დასავლეთ საქართველოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, თბ., გვ. 75-91.
- სადრაძე და სხვ. 2018:** სადრაძე გ., ხოხობაშვილი თ., ლლივავილი ე. შიდა ქართლის გვიანბრინჯაო-რკინის ფართო ათვისების ხანის ნამოსახლარების კულტურა, თბ.
- სადრაძე და სხვ. 1996:** სადრაძე გ., ძნელაძე მ., დავლიანიძე რ., მურვანიძე ბ., ჭანიშვილი თ., მგელაძე ნ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება გურიაში, 1991-94 წწ., კრებ. გურია I, თბ., გვ. 31-44.
- სანიკიძე 1956:** სანიკიძე ლ. პონტოს სამეფო, თბ.
- საქართველო და ქართველების ... 1993:** საქართველო და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია (რედ. გ. პაიჭაძე), თბ.
- სინ 1970:** საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I ტ., თბ.
- სულგულაძე 1951:** სულგულაძე ივ. სახელმწიფოს წარმოშობა საქართველოში, თბ.
- ურუშაძე 1964:** ურუშაძე აკ. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ.
- ფანცხავა 1988:** ფანცხავა ლ. კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები, თბ.
- ფიცხელაური 2013:** ფიცხელაური კ. სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ეთნოკულტურული სისტემა ბრინჯაო-რკინის ხანაში, თბ.
- ფლავიუს არიანე 1961:** ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავიზღვის გარშემო (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა ნ. კეჭალმაძემ), თბ.
- ფხაკაძე 1978:** ფხაკაძე გ. მასალები აბედათის დიხა-გუძუბადან, მსკა, VI, თბ., გვ. 138-140.
- ქავთარაძე 2006:** ქავთარაძე გ. საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები (აღრეული ხანიდან), - კავკასიოლოგიური სერია, II, თბ., გვ. 3-45.
- ქ.ც. 1955:** ქართლის ცხოვრება (გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა), I ტ., თბ.
- ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან 2001:** კრებ. თბ.
- ქორიძე 1958:** ქორიძე დ. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ.
- ქორიძე 1965:** ქორიძე დ. კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ.
- ყაუხჩიშვილი 1957:** ყაუხჩიშვილი თ. სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 55.
- ყაუხჩიშვილი 1959:** ყაუხჩიშვილი თ. აპიანე, თბ.
- ყაუხჩიშვილი 1965:** ყაუხჩიშვილი თ. ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ.
- ყაუხჩიშვილი 1967:** ყაუხჩიშვილი თ. ბერძენი მწერლების ცნობები..., თბ.
- ყაუხჩიშვილი 1969:** ყაუხჩიშვილი თ. ჰერაკლიდე და


- მისი ცნობები საქართველოს შესახებ, კრებ. აღ-მოსავლური ფილოლოგია, I, თბ., გვ. 186-190.
- ყაუხჩიშვილი 1987:** ყაუხჩიშვილი თ. ვანის ახლად აღ-მოჩენილი ბერძნული წარწერა, კრებ. ქართული წყაროთმცოდნეობა, VII, თბ., გვ. 131-143.
- ყაუხჩიშვილი 2000:** ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, I, II, III, თბ.
- ყორანაშვილი 1975:** ყორანაშვილი გ. გეოგრაფიული გარემო საზ. განვითარებაში, თბ.
- ყორანაშვილი 1994:** ყორანაშვილი გ. საქართველოს ისტორიის საკითხები (ნაწ. I), თბ.
- ყორანაშვილი 2000:** ყორანაშვილი გ. საქართველოში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხი, თბ.
- ჩავლეიშვილი 1987:** ჩავლეიშვილი ირ. არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის უძველეს ნამოსახლარზე 1983 წ., სდსძ, XVI, თბ.
- ჩავლეიშვილი 1991:** ჩავლეიშვილი ირ., კოლხური ბრინჯაოს სანარმოო კერა ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისში, სდსძ, XIX, თბ.
- ჩავლეიშვილი 1999:** ჩავლეიშვილი ირ., გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან, ავტორეფერატი ისტ. მეცნ. კანდ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ.
- ჩიქოვანი 1999:** ჩიქოვანი თ., ჯარგვლური სამშენებლო ტიპის კავკასიური არეალი, აკც-ს ძიებანი, №3, თბ., გვ. 21-25.
- ძვ. ქართული აგიოგრაფიული... 1963:** ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I ნიგნი, თბ.
- ძველაია 1973:** ძველაია მ. კოლხეთის დაბლობი, თბ.
- ძიძიგური 1994:** ძიძიგური ლ. ძველი კოლხეთის სამეურნეო კულტურა, თბ.
- ნერეთელი გ. 1943:** ნერეთელი გ. არმაზის ბილინგვა, *ენიკის მოამბე*, №13, თბ., გვ. 1-83.
- ჭყონია 1981:** ჭყონია ან. ვანის ნაქალაქარის ოქროს სამკაულები, კრებ. ვანი VI, თბ.
- ხახუტაიშვილი 1995:** ხახუტაიშვილი დ., ქობულეთის ქვეყანა, თბ.
- ხახუტაიშვილი ნ. 1986:** ხახუტაიშვილი ნ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ადრერკინის ხანაში, სდსძ, XV, თბ.
- ხიდაშელი 2009:** ხიდაშელი მ. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის გორასაცხოვრისები, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები, IX, თბ. გვ. 24-28.
- ჯავახიშვილი 1960:** ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, I ტ.
- ჯანაშია 1952:** ჯანაშია ს. შრომები, II ტ., თბ.
- ჯანაშია 1952ა:** ჯანაშია ს. ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის ისტორიიდან, შრომები, ტ. II, თბ., გვ. 19-20.
- ჯანაშია 1959:** ჯანაშია ს. შრომები, III ტ., თბ.
- ჯაფარიძე ოთ. 1950:** ჯაფარიძე ოთ. კოლხური ცული. *სსმშ. XVI*. თბ., გვ. 35-89.
- ჯაფარიძე ოთ. 2012:** ჯაფარიძე ოთ. საქართველოს არქეოლოგიის ძირითადი საკითხები (სტატიები, წერილები), თსუ-ს გამომც., თბ., გვ. 248-284.
- ჯაფარიძე 1977:** ჯაფარიძე ვ. ძველი ვარდციხე — ვარდიგორა, ჟურ. *ძეგლის მეგობარი*, № 46, გვ. 43-50.
- ჯიბლაძე 2007:** ჯიბლაძე ლ. კოლხეთის დაბლობის ძეგ.
- III-I ათასწლეულების ნამოსახლარები, თბ.
- ჯიბლაძე 1997:** ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატეგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია (ფიჩორის ნამოსახლარის ცენტრალური ბორცვის მიხედვით), თბ.
- ჯიბლაძე 2010:** ჯიბლაძე ლ. სახლის თიხის მოდელი ნაოხვამუდან და ძველკოლხურ ნაგებობათა სისტემა, ჟურ. *იბერია-კოლხეთი*, №6, თბ., გვ. 117-124.
- Бокль 1906:** Бокль Генри Т. История цивилизации в Англии, СПб.
- Барамидзе и др. 1980:** Барамидзе М., Пхакадзе Г., Квирквелия Г., Чигოшвили Т., Орджоникидзе А., Гунба Л., Археологические исследования в Абхазии. сб. ПАИ в 1977 г. Тб., с. 113-124.
- Барамидзе и др. 1987:** Барамидзе М., Чигошвили Т., Пхакадзе Г., Джибладзе Л., Махарадзе З., Шеразадишвили Б., Датунашвили Т., Работы археологических экспедиции Абхазии. сб. ПАИ в 1984-1985 гг., Тб., 45-50.
- Барамидзе и др. 1982:** Барамидзе М., Пхакадзе Г., Бжания В., Шамба Г., Чигошвили Т., Квициния В., Хубутия Г., Отчет археологических экспедиции Абхазии. сб. ПАИ в 1979, Тб., 67-69.
- Бжания 1966:** Бжания В., Мачарское поселение энеолита и бронзы в Абхазии, СА №1, Мос., с. 113-124.
- Бжания и др. 1987:** Бжания В., Габелия А., Амиров Ш., Раскопки поселения Кистрик. АО Абхазии в 1983 г. Тб. 14.
- Васильев 1981:** Васильев Л. Протогосударство – Чифдом как политическая структура, жур. Народы Азии и Африки, №6., Мос. сс. 157-175.
- Витрувий 1936:** Витрувий, Десять книг об архитектуре (перевод Ф.А. Петровского), Мос.
- Деген-Ковалевский 1935:** Деген-Ковалевский Б., К истории железного производства Закавказья, ИГАИМК, #120, Мос.-Лен., 230-311.
- Джавахишвили 1905:** Джавахишвили И. Государственный строй древней Грузии и древней Армении, СПб.
- Джапаридзе и др. 1979:** Джапаридзе В., Берадзе Т., Джикия Л., Об археологических разведках и раскопах в зоне строительства Вардцхской ГЭС. сб. ПАИ в 1976 г., Тб., с. 25.
- Еллинек 1903:** Еллинек Георг, Общее учение о государстве, СПб.
- Козенкова 1989:** Козенкова В. Кобанская культура (Западный вариант), Археология. . ., Свод археологических источников. Вып. 2- 5., Мос.
- Куфтин 1949:** Куфтин Б. Материалы к археологии Колхиды, I., Тб.
- Куфтин 1950:** Куфтин Б. Материалы к археологии Колхиды, II., Тб.
- Латышев 1904:** Латышев В. Известия древних писателей о Скифии и Кавказе. - Записки классического отделения императорского русского археологического общества, т. II, вып. I, С.-Петербург.
- Меликишвили 1960:** Меликишвили Г. Урартские клинообразные надписи. Мос.
- Мечников 2013:** Мечников Л. Цивилизация и великие исторические реки, Мос.

- Микеладзе и др. 1976:** Микеладзе Т., Барамидзе М., Инашвили А., Хахутаишвили Д., Мухелишвили Д., Исследования Колхидской археологической экспедиции. сб. ПАИ в 1974 г., Тб., 31-35.
- Микеладзе и др. 1980:** Микеладзе Т., Мухелишвили Д., Хахутаишвили Д., Итоги полевых исследований Колхидской археологической экспедиции. сб. ПАИ в 1977 г., Тб., с.21-25.
- Микеладзе, Хахутаишвили 1985:** Микеладзе Т., Хахутаишвили Д., Древне Колхидское поселение Намчедური, Тб.
- Микеладзе и др. 1987:** Микеладзе Т., Папуашвили Р., Чубинишвили Н., О работах Колхидской археологической экспедиции. сб. ПАИ в 1984-1985 гг., Тб., 31-35.
- Микеладзе, 1990:** Микеладзе Т., К археологии Колхиды (эпоха средней и поздней бронзы-раннего железа), Тб.
- Панцхава, Сулава, Папуашвили 2003:** Панцхава Л., Сулава Н., Папуашвили Р., Колхидская, кобанская или колхидско-кобанская? сб. Кавказоведение, #4, 102-117.
- Поздняков 1995:** Поздняков Э. Государство/ природа и происхождение. кн. Философия государства и права, Мос. сс. 23-89.
- Ратцель 1897:** Ратцель Ф. Политическая география, СПб.
- Соловьев 1939:** Соловьев Л. Энеолитические селище у Очамчирского порта в Абхазии. Материалы по истории Абхазии. Сб первый, вып. IV, Сухуми.
- Техов 1985:** Техов Б. Тлийский могильник (комплексы второй половины VII в. до н.э.), III, Тб.
- Хахутаишвили 1987:** Хахутаишвили Д. Производства железа в Древней Колхиде, Тб.
- Andinelli 1961:** Bandinelli R. Archeologia e culture, Milan
- Braund 1994:** Braund D. Georgia in Antiquity (A History of Colchis and Transcaucasian Iberia, 550 BC-562 AD), Clarendon Press, Oxford.
- Carneiro 1970:** Carneiro R.L., A Theory of the Origin of the State, - jour. Science, v. 169.
- Ciceronis 1911:** Ciceronis M Tullii, De imperio en Pompeisive pro LegaManile, oratioadQuirites (ed. A. Gofman), Part I, S.-Peterburg.
- Claessen, Skalnik 1978:** Claessen H. J. M., Skalnik P. Beginning and End of the Early State, - The Early State. New Babylon, Studies in the Social Sciences 32. Mouton Publishers, The Hague, Paris, New York.
- Huntington 1925:** Huntington E. Civilization and climate. Oxford University Press.
- Huntington 1945:** Huntington E. Mainsprings of Civilization, New York.
- Jankins 1959:** Jankins A. Recent Acquisitions of Greck Coins by the British Museum, The Numismatic chronicle, London, pp. 32-37.
- Lordkipanidze 2001:** Lordkipanidze Ot. The Golden Fleece: myth, euhemeristic explanation and archaeology, Oxford Journal of Archaeology, 20, Oxford, pp. 2-37.
- Markhem 1942:** Markhem S. Climate and energy of Nations. Oxford University Press.
- Muhsin Mahd 1957:** Muhsin Mahd, IbnKhaldun's philosophy of history, London.
- Reinach 1890:** Reinach Th. Mitridate Eupator, roi de Pont, Paris.
- Reinhold 2007:** Reinhold S. Die Spätbronze und früheisenzeitim Kaukasus: MaterielleKultur, Chronologie und überregionaleBeziehungen.
- Service 1975:** Service Elman R. Origins of the State and Civilization (The Process of Cultural Evolution), W.W.Norton & Company, INC, New York.
- The loeb classical library 1957:** The loeb classical library, London.
- Vallet 1973:** Vallet G. La Colonisation Grecque en occident, XIII "Mejdunarodni kongress istoricheskix nauk", I vol, III part, M., pp. 53-72.
- Wittfogel 1957:** Wittfogel K. Oriental despotism (A comparative study of total power) Yale University Press, New Haven.

ილუსტრაციების აღწერილობა:

- I - გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის არქეოლოგიური ძეგლების რუკა.
- II - III - "კოლხური ბრინჯაოს კულტურის" ძირითადი არტეფაქტების ზოგადი ტაბულები.
- IV - გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის არქეოლოგიური ძეგლების რუკა არქეოლოგ ლ. ჯიბლაძის მიხედვით.
- V - 1) კოლხეთის დაბლობის სამოსახლოების რეკონსტრუქცია არქიტექტორ გ. ლეჟავას მიხედვით. 2) მთაგორიანი კოლხეთის სამოსახლოები.

G. Gamkrelidze







გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები:

1. ნამარნუ; 2. ძიგური; 3. ნოსირი; 4. წყევი; 5. სირიაჩქონის ოხოჯე; 6. ნანდევე;
7. საგვიჩიო; 8. ნალმიპიჯი; 9. ჭალადიდი (ზურგა, საბაქო, ჩხარი); 10. ჭოლა I, II;
11. ოჩხომური; 12. ბეთლები; 13. ეკი; 14. ხორში-ლომურა; 15. გურიფული;
16. ნაოხვამუ (რეკა); 17. ქვალონის დისა-გუძუბა; 18. გეჯეთი; 19. ნოქო; 20. საკირე;
21. სენაკთან; 22. ბატნაოხურე; 23. ყულევი I; 24. ყულევი II; 25. ფიჩორისპირა ბორცვები; 26. ცივა; 27. ურეკი; 28. ანაკლია; 29. ერგეტა; 30. ჭოპოლა; 31. მუხურჩა;
32. ნიგეზიანი; 33. სიმაგრე (სოფ. საქორქიო); 34. ზურგა (სოფ. ჭალადიდი); 35. ყულევი;
36. ნამარნუ; 37. საგვიჩიო.


II

G. Gamkrelidze



III


G. Gamkrelidze



კოლხეთის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარების
არქეოლოგიური რუკა ლ. ჯიბლაძის მიხედვით




- | | |
|--|--|
| △ — ხელოვნური ბორცვ-ნამოსახლარები | ● — ზღვისპირა და მდინარისპირა ტერასაზე გამართული ნამოსახლარები |
| ▲ — პუნებრივ ბორცვზე გამართული ნამოსახლარები | ■ — საწარმოო ნამოსახლარები |



1

კოლხეთის დაბლობის სამოსახლოები
(გ.ლეჟავას მიხედვით)




2

მთიანი კოლხეთის სამოსახლო

დარნული კულტურის უძველესი ფესვები საქართველოში

საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარსა და II ათასწლეულის პირველ ნახევარში დგება ბრინჯაოს ხანა. საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ მხარეში, აკად. ოთარ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, ეს ეპოქა არქეოლოგიურად კარგად არის შესწავლილი. გამოვლენილია მდიდარი მატერიალური კულტურის ძეგლები; მათ საფუძველზე გაშუქებულია იმ დროის საზოგადოების ეკონომიკური განვითარების, კულტურული დონის, ეთნიკური ხასიათის საკითხები. დგება დიდი გარდატეხის ხანა. დასრულდა წინარე ეპოქის – მტკვარ-არაქსის კულტურის მრავალსაუკუნოვანი ისტორია და საფუძველი ეყრება ახალ, ადრე გორასამარხის კულტურას.

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს გორასამარხის კამერის ნაგებობა, რომელიც გენეტიკურად სრულიად სამართლიანადაა დაკავშირებული საცხოვრებელ სახლთან. სამარხი კამერა წარმოდგენას იძლევა ბრინჯაოს ეპოქის საცხოვრებელ სახლთა ხუროთმოძღვრებაზე და სამშენებლო კონსტრუქციის ტექნიკაზე.





დუმეილა

მსჯელობის საგანია ადრეულ გორასამარხთა ის სახეები, რომელთა საფუძველს იძლევა აფხაზეთში - დოლმენების - მეგალითური კულტურა და აღმოსავლეთ საქართველოში - თრიალეთის, წალკის, ბედენის, მარტყოფის, წნორ-ბაკურციხის და სამგორის დასაკრძალი კამერები; აქ ქვის და ჯარგვლის ტიპის ნაგებობებია გამოყენებული დასაკრძალ კამერად.

აღნიშნულ დასაკრძალ ნაგებობებიდან ვიკვლევთ ქვით ნაგებ კამერებს, რადგან ჯავახეთის დასაკრძალი კამერებიც ამავე სახისაა და მეგალითურ კულტურას მიეკუთვნება.

მდ.მტკვრის ზემო წელში, ისტორიული ჯავახეთის ტერიტორიაზე – არქეოლოგიურად შესწავლილი გორასამარხთა კამერები, ჩვენ დარწმუნებული ტიპის ცნობილი მიწური ნაგებობის – სახლსამყოფად ვაღიარეთ და ამით საშუალება მოგვეცა გამოგვეყო იგი, როგორც არქეოლოგიური კულტურა. "დარწმუნებული კულტურის" გამოყოფამ, ქართველ ტომთა ეთნოგენეზის პრობლემასთან მიგვიყვანა და ამ კულტურის შექმნა ჯავახ-ზაბახე ტომს დაუკავშირეთ. საინტერესოა ისიც, რომ დასაკრძალი კამერით არქეოლოგიური კულტურის გამოყოფა მეორე შემთხვევაა საქართველოს არქეოლოგიაში. "დოლმენური კულტურა", რომელიც ჩვენში აფხაზეთს დაუკავშირდა და მხოლოდ ამ ტერიტორიის გორა-სამარხთა ტიპს გამოხატავს – ევროპაშია შექმნილი და ჩამოყალიბებული, "დარწმუნებული კულტურა" კი ქართულ სინამდვილეში ჯავახი ტომის კულტურაა; იგი ისტორიული ჯავახეთის ტერიტორიაზე იშვა და განვითარდა. მათი უძველესი ფესვები, გორასამარხებისა და ღია სამაროვნებითაა ცნობილი.

თრიალეთური კულტურის გავრცელების არეალში არსებულ გორასამარხთა კულტურა უშუალოდ არ იმეორებს თრიალეთური ტიპის დასაკრძალ კამერას. აქ მიწისზედა ქვით ნაგები დარბაზის სახეა მოცემული, ჯავახეთში კი მხოლოდ დარანია გამოყენებული. თრიალეთური კულტურის გავლენა აქ მაინც

გამოიხატება "დასაკრძალი კამერის" მიწის ზემოთ აშენებით (ბელადების გორასამარხებში), თუმცა დარნის სამშენებლო-კონსტრუქცია მიწური სახლსამყოფის ტიპს წარმოადგენს. ადრეული გორასამარხების ქვით ნაგები "დასაკრძალი კამერების" გეგმიურსივრცობრივი სტრუქტურის განსხვავებული სახეების მიუხედავად, ნაგებობის გადახურვა უძველესი ტრადიციის გამოყენების ერთგვაროვნებით ხასიათდება. იგი შენდება ჰორიზონტალური წყობით, წრიულად, თანდათან შიგნით გადახრით; ე.ი. ჩვენს მიერ შემოთავაზებული "დარნული კულტურა", ცალკე გამოყოფილი არქეოლოგიური ეპოქა კი არ არის, არამედ, გულისხმობს დარნულ შენობებს, რომელსაც თრიალეთური კულტურის ტომობრივი გაერთიანებები ისტორიული ჯავახეთის ლოკალურ ტერიტორიაზე შუა ბრინჯაოს ხანაში დასაკრძალი ნაგებობის სახით ქმნიდნენ. გორასამარხის დასაკრძალი ნაგებობა, როგორც ცნობილია საცხოვრებელ სახლს იმეორებს.




ბერთაყანა

ჯავახეთის მოსახლეობა დარანს უწოდებს მიწისქვეშა სახლს, რომელთა ერთი ნაწილი სახლ-სამაღავებია; უთითებენ კიდევ არაერთ დარანს, რომელიც საცხოვრებელ სახლთან, ტყეში თუ სხვაგან არსებობს. მეორე ნაწილი სამაროვნებია აღმოსავლეთიდან შესასვლელით და ნაგებობის გარშემო წრიულად მოწყობილი ქვით. დარნები მარტივი - ერთსათავსიანი, ან რთული - მრავალსათავსიანი, ერთგვაროვანი ციკლოპური ლოდოვანებია.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: "დარანი არის კლდეში ანუ მიწის ქვეშ შესასვლელი, გინა კლდეში, ან მიწის ქვეშ შესასვლელი სამაღავე". მისივე აღნიშვნით - "დარნად ითქმის სახლი მიწას ქვეშ ნაგები, გინა მიწა და კლდე შეთხრილი უჩინრად".

საბასეული განმარტება სრულიად ეთანხმება ხალხურ ტოპონიმებს. ასე, რომ მასალა (კლდე, ქვა) კი არ განსაზღვრავს დარანს, არამედ მისი მიწისქვეშა განლაგება.



ქაქაარი

გორასამარხების კამერის "დარნული" სისტემა ჯავახეთის ტერიტორიაზე მათი შემქმნელი ტომის ეთნიკურ ერთიანობაზე მიუთითებს. ის განსხვავებულია თრიალეთისა თუ სხვა მეზობელ ტომებისაგან. შუა ბრინჯაოს ეპოქის ეს გორასამარხები ზოგადი კულტურით ერთგვაროვანია თრიალეთურ კულტურასთან. ისტორიული განვითარების პირობებში, სხვადასხვა ეპოქაში ეს ეთნიკური ჯგუფი განაგრძობს ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალში არსებობა-განვითარებას. "დარნის" ტიპის ნაგებობის გავრცელებას ჯავახ ტომთა შორის XVIII ს-მდე გაედევნება თვალი, რაც, აშკარად მიუთითებს, რომ შუა ბრინჯაოს ეპოქაში გორასამარხთა შემქმნელი ტომი, რომელიც ასევე "დარნული" ტიპის კამერას ჰქმნის და შესაბამისად ასეთ საცხოვრებელ-თავშესაფარს ფლობს, ჯავახ ტომთა წინაპარია. აღნიშნული ტომი ადრებრინჯაოს ეპოქაში უკვე არსებობს – წრიული დარნების საფუძველზე, რომელთა გამოყენება შუაბრინჯაოს გორასამარხთა შორის დასტურდება და იგი ადრებრინჯაოდან მომდინარე კამერად არის მიჩნეული (ო.ჯაფარიძე). შუაბრინჯაოს ეპოქაში წაგრძელებული, დარნული კონსტრუქციის კამერაა გავრცელებული, ე.ი. წრიული დარანი ცრუგუმბათოვანი კამარით, რაც დადასტურდა მარტყოფის გორასამარხის ოთხკუთხა, შერბილებული კუთხეებით ქვის კამერის ფიქალით გადახურვაშიც, ერთი ზოგადი ცოდნაა – ყოველი რიგის ზედა ფიქალი თუ ლოდი რამდენადმე შიგნითაა შეწეული და ამით იკვრება ჭერის ცრუგუმბათოვანი კამარა. ეს სწორკუთხედისმაგვარი "დარანი" თავისი კონსტრუქციით ცოცხლობს, როგორც სახლსამყოფი ჯავახეთში გვიანფეოდალური ეპოქის ბოლომდე, ვიდრე არსებობდა ურთიერთმტრობა და საგარეო პოლიტიკური გართულებები. სახლსამყოფი, როგორც მიწისქვეშა თავშესაფარი, უკვე სხვა სახის გვიანდელ მიწისზედა თუ ნახევრადმიწურ საცხოვრებელს დაუკავშირდა. ჯავახეთის მიწური ქვის საცხოვრისის ტიპები ("დარბაზი", "ოდა"), გადახურულია ბანური მიწატკეპნილით.



ახჩიის ველი. გორა-სამარხის ქვის წრე

ისტორიულ-გეოგრაფიული გარემო: 1. ვულკანური ქვათა გროვა, ხრიოკი მთები; 2. მუდმივი შიშიანობა, ტომთა შორის ბრძოლები; 3. მკაცრი კლიმატი, რაც განაპირობებდა დარნული ტიპის საცხოვრებელი სახლის შექმნას.

დარნული გორასამარხების განლაგება ხასიათდება: 1. ინდივიდუალური; 2. ჯგუფური (მცირე დარნები); 3. ერთ დიდ დარანთან, როგორც ცენტრთან შეჯგუფებული მცირე დარნები.

დათარიღებისათვის მნიშვნელოვანია: 1. ლოდების წყობა უფრო დიდი და უხეშად ნაგები ინტერიერით; 2. მორგებული ლოდებით, კედლის სიბრტყის რამდენადმე გასწორებით.

სხვა ხელშესახები მატერიალური კულტურის ძეგლი, ვიდრე დარანია, ბრინჯაოდან – ფეოდალური ხანის ჩათვლით ერთსა და იმავე ტერიტორიაზე არ გაგვანჩია, ამიტომ "დარანი" უნიკალური მასალაა, ეთნოგენეზთან დაკავშირებით. ასე, რომ უცხოური წერილობითი მასალა უნდა გაანალიზდეს "დარანთან" ერთად.

მიწისქვეშა ლოდოვანი კონსტრუქციის ნაგებობას (ეკლესია, სამალავი, საცხოვრებელი), ისევე როგორც კლდეში ნაკვეთ გამოქვაბულს, სოფ. ჭობარეთში მოსახლეობა დარანს უწოდებს. ასეთივეა თმოგვზე – გვირაბული სამიმოსვლო და სამალავი ხერელი; იგი გადადის მიწისქვეშა კლდის ოთახებში; მათ შორის არის კლდე და ყორეთი კომბინირებულად ნაგები დარანი. ამრიგად, **ცნობილია დარნის სამი სახე:** 1. ყორე-ლოდოვანი დარანი; 2. კლდის დარანი; 3. კომბინირებული კლდე და ყორეთი ნაგები დარანი. ამათგან უძველესია გორასამარხის კონსტრუქციის დარნული კამერა ანუ სახლის იმიტაცია; ამ ტიპის საცხოვრებელი სახლის ნასოფლარები ჯერჯერობით არ არის მიგნებული, თუმცა ტ.ჩუბინიშვილს, კამერებთან ერთად ნასოფლარ დუმეილას ლოდოვანებში მითითებული აქვს სახლსამყოფისათვის დამახასიათებელი კერია.



ბერთაყანა. ვოჭა-ხანაძის, ნახარხელისა და გაფახურისა

ჯავახეთში ჯავახ-ზაბახე ტომთა შუაბრინჯაოს ეპოქაში და საერთოდ, ადრებრინჯაოს ხანაში არსებობა, რასაც იძლევა "დარნული კულტურა", აშკარად მიუთითებს, რომ ჯავახი ტომი თითქმის თანამედროვე ტერიტორიაზე მყარად არის დამკვიდრებული ამ უძველესი ხანიდან. აღნიშნული მატერიალური კულტურა ასეთი დასკვნის გამოტანის უფლებას გვაძლევს, რაც ეთანხმება მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებას "სომხური გეოგრაფიისა" (VII-X სს.) და არაბული წყაროების (IX ს.) იმ იდენტურობით, ზემო ქართლის პროვინციების ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევით რომ არის მიღებული.



ბერთაყანა. დარნული დასაკრძალი კამერა




ბერთაყანა. ნატბეური, დარანი №3, ინტერიერი



ბერთაყანა. ნატბეური, დარანი №3, გადახურვა


“ქართლის პროვინციების არაბულ ნუსხასთან” დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ეს ნუსხა “სომხურ გეოგრაფიასთან” შედარებით გარკვეულ განსხვავებას გვიჩვენებს, თუმცა, თანხვედრაც საკმაოდ მნიშვნელოვანია: კერძოდ, ზოგიერთი პროვინცია, განსაკუთრებით გვიანდელი ზემო ქართლისა (კლარჯეთი, შავშეთი, არტაანი, სამცხე, ჯავახეთი), ორივეგან იდენტურია. ამდენად, უნდა ვიფიქროთ, იმ დროის მონაკვეთში, რომელიც, მიჯნავს ზემოხსენებული ორი ნუსხით ფიქსირებულ რეალურ ვითარებას, ამ პროვინციებს არსებითი ისტორიულ-გეოგრაფიული ცვლილებები არ განუცდია. შესაძლებელია, საფუძველს არ იყოს მოკლებული ვარაუდი, რომ ეს პროვინციები, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეულები, შექმნილი სამეურნეო ერთიანობისა და ეთნო-კულტურული სპეციფიკურობის ბაზაზე, გაცილებით უფრო ადრე ჩამოყალიბდა და გამოიკვეთა, როგორც მყარი ერთობები, ვიდრე

საკუთრივ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წვრილი ერთეულები. სავარაუდოდ, ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო უძველესი დროიდანვე აქტიურად იყო ჩაბმული ძველადმოსავლური სახელმწიფოების პოლიტიკური ურთიერთობის ორბიტაში. ამას უნდა დაემატებინა აქ არსებულ წვრილ ერთეულთა კონსოლიდაციის პროცესი. მნიშვნელობას არ არის მოკლებული ის გარემოება, რომ ყველა ზემოხსენებული პროვინცია შემდეგდროინდელი ქართლის სამეფოსი უკვე ძვ.წ. IX-VIII სს-ში მოიხსენიება ძველადმოსავლურ (კერძოდ, ურარტულ და შემდეგ ანტიკურ, ბერძნულ-ლათინურ) წყაროებში. ასე მაგალითად: "კატარზა"|"კოტარზენე", რომელსაც სავარაუდოდ ქართულ კლარჯეთთან აიგივებენ; "შეშეთი", რომელიც თითქოს შავშეთს გულისხმობს; "ვიტერუხი" "ოდრხე", ანუ უფრო გვიანდელი სამცხე, და ბოლოს "ზაბახაე"- ჯავახეთი. კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ ურარტული და ანტიკური წყაროების ყველა ზემოხაზოვლილი ქვეყნის ლოკალიზაცია ხერხდება დაახლოებით იქ, სადაც ისინი ცნობილია ფეოდალურ ხანაში. ყველა ქართული ტომის ქვეყნის, მათ შორის ჯავახეთის, მოხსენიება ლათინურ-ბერძნულ წყაროებში იმაზე მიუთითებს, რომ აქ ამ ტომის გაბმული ისტორია არსებობს. ამას ეთანხმება "დარნის" კონსტრუქციის მრავალსაუკუნოვანი გამოყენება. აღნიშნული წყაროებიც ადასტურებს ჯავახი ტომის ამ ქვეყანაში ცხოვრების გაბმულ ჯაჭვს. ეთნოგენეზის განვითარების კვლევა ურთულესი საუკუნოვანი პროცესია, ტომობრივი გაერთიანებისა. ცალკეული ტომები გარკვეულ ტერიტორიებს ტოვებენ, განიცდიან სხვა ტომებთან აღრევას ან დაუსახლებელ ტერიტორიებს ითვისებენ. ტომები საუკუნეთა ცხოვრების პროცესში ხვდებიან რა ამა თუ იმ კულტურის არეალში, ხდება ამ კულტურის გადმონერგვა და საკუთარ ნიადაგზე დამყვნა. ამის შედეგად, იცვლება ამა თუ იმ ტომის კულტურა და ახალ, ადგილობრივ სახეს იღებს, რასაც ხშირად სხვა ტომების შემოჭრით ხსნიან. ფაქტობრივად, ეს უფრო ხშირად ტომებსა და ხალხს შორის ურთიერთობაში, მშვიდობიანი ცხოვრების პროცესში ხდება. ადამიანთა საცხოვრებელი, კულტურის ერთი ყველაზე უფრო მყარი ფენომენია, რასაც განაპირობებს გარკვეული გეოგრაფიული გარემო და კლიმატი; ამასთან, შინაგანი მოთხოვნილებების ის თავისებურება, რაც ქმნის ზოგად თვითმყოფად კულტურას და საცხოვრისის ელემენტებს. ეს მყარი კულტურა ტომების მრავალსაუკუნოვან განვითარების პროცესში სხვადასხვა ეპოქას გაჰყვება, ინარჩუნებს თავის ძირითად კონსტრუქციულ ელემენტებს და საერთო სტრუქტურის გეგმიურსივრცობრივ სახეს. ეს არის კულტურის მნიშვნელოვანი შენაძენი. საცხოვრისის ეს სახე აშკარად განსაზღვრავს ტომისა და ხალხის ერთგვარობას.




ღრტილა. დარნის ინტერიერი ქვის ქუსლიანი კართით


დარნული ნაგებობის გეგმიურ-სივრცობრივმა სტრუქტურამ განვითარება-ცვლილება განიცადა – ადრებრინჯაოს ეპოქის ოვალურ-ცრუგუმბათოვანი კამარა, შუა ბრინჯაოს ხანაში სწორკუთხედისმაგვარ ბრტყელი გადახურვის კონსტრუქციად ჩამოყალიბდა. ეს სამშენებლო კონსტრუქცია გვიანფოდალურ ეპოქამდე გამოიყენება, რაც აშკარად მიუთითებს მის უძველეს ხანაში საცხოვრებელ-თავშესაფრად ჩამოყალიბებას. საცხოვრებლის ეს სახე, ბუნებრივია, ვერ განვითარდებოდა აკლდამიდან (სამარხი კამერა), პირიქით,



კახეთი მარტყოფი. №1 აკლდამა. გეგმა.



კახეთი მარტყოფი. №1 აკლდამა. ჭრილი.



კახეთი, მარტყოფი. №1 აკლდამა. გეგმა

დასტურდება, რომ ბრინჯაოს ეპოქაში წესად იქცა გორასამარხებში საცხოვრებელი სახლის იმიტაცია. ამ ეპოქის გორასამარხების აკლდამები მთელი თავისი ატრიბუტებით – საომარი და სამეურნეო (ურემი, კერამიკული ჭურჭელი), იარაღი -წარმოადგენენ იმ დროის საცხოვრებლებს. იგულისხმება, რომ ადამიანი იმ ქვეყანაშიც განავრძობს ცხოვრებას. ეს საშუალებას იძლევა დადგინდეს ამა თუ იმ ხალხის საცხოვრებელი სახლის სტრუქტურა. დარანი - ხალხის ცხოვრებაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ხალხურ პოეზიაშიც აისახა "ხიზაბარვა ქარიანი, დარნები აქვს კარიანი". ისტორიულ ჯავახეთში არსებული დარნული ნაგებობა, აშკარად მიუთითებს, "გორების" ეპოქაში აქ შექმნილი აკლდამების შემოქმედ ხალხად გავიაზროთ ჯავახების წინაპრები – ურარტულ წარწერებში დაფიქსირებული "ზაბახაე" სახელით ცნობილი ტომები.



კახეთი, მარტყოფი. №1 აკლდამა




კახეთი, მარტყოფი. №1 აკლდამა


ქვითნაგები მრგვალი შენობები ჩნდება ჯავახეთში ენეოლითის ბოლო ეტაპზე, რაც მეურნეობის შემდგომი განვითარების შედეგია. ეს კი მთისა და ბარის ურთიერ-თობის ადრე ჩასახული ინტენსიფიკაციაა. ამით ხსნიან მრგვალი შენობების ენეოლი-თშივე გამოჩენას (დ.მუსხელიშვილი, ტ.ჩუბინიშვილი) ან მთისწინეთში უკვე მტკვარარაქსის კულტურის ადრეული ეტაპის საგვარეულო სამაროვნებზე (თამარისი, კიკე-თი, ამირანის გორა) ქვის აკლდამების შენებას. გეგმიურ-სივრცობრივი სტრუქტურით ეს სამარხები უძველესი წრიული სახლების იმიტაციაა, რაც დარნული კულტურის საწყისი ეტაპია. ეთნოგენეზის კვლევისას დ.მუსხელიშვილი ფიქრობს, რომ უძველეს ხანაში ქართლში ქართველი ტომებია; ამის საბუთია მცხეთის ელინისტური (და შემდგომი) ხანის მატერიალური კულტურა. აგრეთვე ძვ.წ. VI-V სს-ში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველების შესაძლებელი არსებობის დამადასტურებელი მასალები (პეროდოტე, მეგასთენე). აქ რომ ქართველები სახლობდნენ უძველეს ხანაშივე, ამას ადასტურებს ტოპონიმები, რომ "გორაების" არსებობის პერიოდში ქართული ენა (დიფერენცირებული სვანურ-ზანურისაგან) უკვე არსებობდა, რომ "გორაებზე" ქართული მოსახლეობა იჯდა (დ.მუსხელიშვილი). ასეა ჯავახეთის ქვეყანაშიც, "დარნულ კულტურას" ქმნიდა ადრე და შუა ბრინჯაოს ეპოქაში ჯავახი ტომი, რომელიც ერთ-ერთი ქართველი ტომია. თუ ამ დროს ქართული ენა უკვე არსებობდა, ბუნებრივია, ჯავახი ტომიც ამ ენაზე ლაპარაკობდა. თუ ქართლში ქართველი ტომი სახლობს, მაშინ, ზემო ქართლში ანუ მესხეთში ჯავახი ტომი თავის ტერიტორიაზეა "დარნული კულტურით".

ყოველ შემთხვევაში დღევანდელი ჯავახი თავის ტერიტორიაზე, მდ.მტკვრის ხეობის ზემო წელში – ნიალის ველიდან მოკიდებული მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ერუშეთის მთიანეთის კალთებზე ასპინძამდე (სოფ.ზველი) და ჯავახეთის ზეგანის ძირში – ბერთაყანაში მდ.მტკვრის მარჯვენა მხარეზე, უწყვეტლად სახლობენ უკვე ადრე ბრინჯაო-შუა ბრინჯაოს ეპოქაში. ამასთან, თუ ეს ქართველი ტომია, ბუნებრივია, ლაპარაკობდა ქართულად და არ უნდა ვიფიქროთ, რომ ჯავახი ტომი უფრო გვიან ქარ-თიზაციის შემდეგ იწყებს ქართულ ენაზე ლაპარაკს; ე.ი. ქართლში ქართველი ტომი დ.მუსხელიშვილის არქეოლოგიური კვლევით (ხოვლე) უკვე "გორაების" ეპოქაში სახ-ლობს. ურარტულ წყაროებში მოხსენიებული ჯავახ ტომთა დიდი გაერთიანებაც -

"ზაბახაე", არა თუ ამ დროს, არამედ ასევე "გორაების" ხანაში უკვე ქართულად ლაპარაკობს.



ქვემო ქართლი. იმერის გორა. დასახლება ალიზის სახლ-სამყოფებით



ურბნისი. ქართლი, სოფ. ქვაცხელები

ადრეული გორასამარხების დასაკრძალ ქვის კამერებში გამოყენებული სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი სახლი გადახურვის ერთიანი კონსტრუქციით ხასიათდება. ისტორიული ჯავახეთის კამერები მხოლოდ და მხოლოდ მიწისქვეშა მეგალითური კულტურის ძეგლებია. მისი უძველესი ტიპი წრიული გეგმიურ-სივრცობრივი სტრუქტურისაა (ვარძიის მიდამოების ძეგლები: ნიალისა და ბერთაყანის გორასამარხები), ხოლო ისტორიული კახეთის სოფელ მარტყოფის გორასამარხების კამერები წარმოადგენენ ჯარგვალა და ქვის საცხოვრებელ სახლებს; მათ შორის უძველესი არის ულევის გორასამარხი №1 კამერა. იგი მიწისზედა, კუთხეებმომრგვალებული ქვის სწორკუთხოვანი გეგმის ნაგებობაა. მისი წრიული გადახურვა ჩამხობილი აღმოჩნდა კამერაში. აქ, გადახურვის კონსტრუქციის პრინციპი იგივეა, რაც წრიული დარნისა – ქვის პორიზონტალურ რიგებად განლაგება, სადაც ყოველი ზედა რიგი წრიულად ცენტრისაკენაა წაწეული. ეს კამარულ-გუმბათოვან სივრცეს ქმნის. გადახურვა №1 გორასამარხში ქვის თხელი ფილებით, მიწისქვეშა დარნებში კი ლოდოვანებით იყო განხორციელებული. აღსანიშნავია, რომ მარტყოფის №1 გორასამარხის კამერის გადახურვა ადრინდელ გუმბათოვანი ნაგებობის

მსგავსად უშუალოდ მიწიდან კი არ იწყება, არამედ ვერტიკალური კედლიდან (0,5 მეტრი), სადაც 15 მწკრივია შემორჩენილი. სწორკუთხა კამერის სამხრეთ-აღმოსავლეთ კედლის წინ ქვის ფილებით მოფენილი მოედანია, ამავე კედლის ცენტრში ამოქოლილი კარის ღიობია. ასე, რომ ეს ნაგებობა მტკვარ-არაქსის ეპოქის (ძვ.წ IV-III ათასწლეული) კუთხეებმომრგვალებული იმ სწორკუთხა საცხოვრებლის ტიპს მიეკუთვნება, რაც არქეოლოგიური გათხრებით გამოვლინდა ურბნისის ნაქალაქართან, სოფელ ქვაცხელებში (ქართლში), თუმცა ეს კარიბჭიანი საცხოვრებელი გადახურვის სხვა პრინციპს - დარბაზულ-გვირგვინულ სტრუქტურას ემყარება (აღ.ჯავახიშვილი, ლ.დლონტი). წრიული დარნებისა და მარტყოფის №1 კამერის გადახურვის სისტემა დაფიქსირებულია ისტორიულ ქვემო ქართლში ძვ.წ. VII-VI ათასწლეულში შულავერის გორასა და იმირის გორის წრიულ-გუმბათოვან ალიზისა და აგურის საცხოვრებელ სახლებში (აღ.ჯავახიშვილი).

გუმბათოვანი გადახურვის აღმოჩენა მნიშვნელოვანი მოვლენაა სამშენებლო ხელოვნების ისტორიაში. წრიული საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ერთიანი არქიტექტურული ტრადიციანაა მთელი ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიისათვის.

სამშენებლო არქიტექტურული ტრადიციების იდენტიფიკაცია საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ მხარეში, აქ მოძმე ქართველურ ტომთა დასახლებებზე მიუთითებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს არქეოლოგია, თბ.1959
2. ო.ჯაფარიძე, ქართველი ტომების ეთნო-კულტურული ისტორიისათვის, ძვ.წ. III ათასწლეულში (ადრე ყორღანული კულტურა), თბ.1998.
3. ო.ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია (ქვისა და ბრინჯაოს ხანა), თბ.1991.
4. ო.ჯაფარიძე, ი.კიკვიძე, გ.ავალიშვილი, ა.წერეთელი. მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, თბ.1981.
5. დ.მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980.
6. Г. Меликишвили, К истории древней Грузии.
7. Г. Меликишвили, Урартские клинообразные надписи М., 1960
8. აღ.ჯავახიშვილი, ლ.დლონტი, ურბნისი I, თბ., 1962
9. А. Djavakhichvili, Т.Кигурадзе, premiers agricultures de l'europe, histoire et archeologie, #88/Novembre, 1984/25f
10. Л. Сумбадзе, Архитектура грузинского народного жилища дарбази, Тб., 1984
11. საქ.სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №1, თბ.1986
12. პ.გაფრინდაშვილი, დარნული გორასამარხები და ლოლოვანები ჯავახეთის ოქროყანაში ვარძიასთან, ძეგლის მეგობარი №1, 1989.
13. პ.გაფრინდაშვილი, დარნული კულტურის უძველესი ფესვები საქართველოში. კულტურის ისტორიის საკითხები V, თბ.,1998
14. P. Gaprindashvili, Darnische archijkgbsche kultur und ethnogenese des georgischen dsha wachivolsstamms. Actes du deuxieme congres international de subteranologie mons (Belgique 92-4 aout 1997).
15. დ.გიორგაძე. დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში. თბ.,1987
16. Т.Чубинишвили, Т.Татишвили, О.Гамбашидзе, Археологические разведки в южных районах Грузии (Месхет-Джавახети) в 1953-1955 гг., СА, 4, М., 1957

ლეპისის დარანი

სამცხე-ჯავახეთის ისტორიის შესწავლით დაკავებულ მკვლევართა დაინტერესება დარნებით დიდი ხანია შეინიშნება, მაგრამ მათი სპეციალური კვლევა დღემდე არ განხორციელებულა.

2007 წელს “ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის“ ფონდის ხელშეწყობითა და დაფინანსებით დაიწყო ასპინძის რ-ნის ნასოფლარ ლეპისის (ლეპისის) მიდამოებში მდებარე რამდენიმე დარნის არქეოლოგიური შესწავლა და დაზვერვითი სამუშაოები ძველი ნასოფლარებისა და ცალკეული დარნული ნაგებობების შესწავლის მიზნით. აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებდნენ არქეოლოგები იოსებ ბურდილაძე /ექსპედიციის ხელმძღვანელი/ და კახა კახიანი.

ტერმინ ლეპისის (ლეპისის) წარმომავლობა ჯერჯერობით უცნობია. ადგილობრივი მაცხოვრებლები ადრე მას იქვე მდებარე სოფ. აგარასთან აიგივებდნენ და ლეპისს თუ ლეპისს XVIII-XIX სს. დარქმეულ სახელად მიიჩნევენ.

ნასოფლარი ლეპისი მდებარეობს ვარძიდან დასავლეთით 13 კმ.-ის დაშორებით, ერუშეთის მთიანეთის ერთ-ერთ განშტოებულ ველზე, ზღვის დონიდან 1800 მ. სიმაღლეზე. სოფელი ამჟამად აღარ არსებობს. შემორჩენილია მხოლოდ მშრალი ქვის წყობით ნაშენი საცხოვრებელი ნაგებობების ნაშთები. სოფელი საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო. ნასახლარი დაახლოებით 2 ჰა მოიცავს.

დღეს სოფელი აღარ არსებობს. ტერიტორიაზე ფუნქციონირებს რამდენიმე ფერმა, რომლის მფლობელებმაც შემთხვევით იპოვეს რამდენიმე (ჯერჯერობით დაფიქსირებულია 4) ჩანგრეული გვირაბი.

არქეოლოგიური კვლევა-ძიება დაიწყო ნასახლარის დასავლეთ ნაწილში მდებარე ჩანაქცევის გაწმენდით მიწის ზედაპირიდან ოთხ მეტრამდე სიღრმეში, სადაც აღმოჩნდა დარნის გვირაბი, რომელიც ამოვსებული იყო ქვა-ღორღითა და მიწით. გვირაბი იწყება ჩანგრეული ჩასასვლელიდან, მიემართება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ის საკმაოდ განიერია, შუა ნაწილში ირიბად უხვევს ჩრდილო-დასავლეთისაკენ. ზედა ნაწილში გვირაბი უერთდება ქვის კედლებით ამოშენებულ და მსხვილი ლოდებით გადახურულ გვირაბს, რომელსაც ქვის კარი აქვს. საბოლოოდ გამოიკვეთა ერთმანეთთან დაკავშირებული გვირაბების ერთიანი სისტემა ანუ რთული მრავალსათავსოიანი დარანი, რომელიც აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალით მსგავსია სამცხე-ჯავახეთის ნასოფლარებისთვის დამახასიათებელი მასალისა. ლეპისის დარნის კერამიკული მასალა კეცის, ფორმებისა და შემკულობის გათვალისწინებით არაფრით არ განსხვავდება გვიანი შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი კერამიკული ნაწარმისაგან. არქეოლოგიური კვლევისა და მოპოვებული მასალის საფუძველზე ლეპისის დარანი სავარაუდოდ XVI-XVII სს. თარიღდება.

აღნიშნული კომპლექსი შედგება 12 მცირე და მოზრდილი გვირაბებისგან, რომლებიც ერთმანეთთანაა დაკავშირებული, აღსანიშნავია, რომ გვირაბები ასასვლელებით უკავშირდებოდა მიწისზედა საცხოვრებელ ნაგებობებს. ასევე ყურადღებას იქცევს მასიური ქვის კარი, თავისივე ქვის ქუსლითა და შუაში ამოჭრილი სათვალთვალო ხვრელით.


შემდგომმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ აღნიშნული გვირაბები, რომლებიც მყარ კონგლომერატულ ფენებშია გამოჭრილი, ერთ მთლიან სამალავ კომპლექსს, დარანს წარმოადგენს.

საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით სასურველია მოხდეს ლეპისის ნასოფლარისა და მის ქვეშ არსებული დარნული სამალავების არქეოლოგიური შესწავლა ერთიან კონტექსტში განხილვის მიზნით.




სოფელ ღეპისის ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა



ღეპისის დარანში აღმოჩენილი კერამიკული მასალა.



330h30n N8




0 2 4




0 4 8

330h30n N4




0 4 8




0 2 4

ჭვინძინი N 8






0 2 4


ჭვინძინი N 9








0 2 4



0 2 4



ღეპისის დარნის ჭრილები





ღუბისის დარანი



ღუბისის დარნის ქვის კარი



ღეპისის დარნის ქვის კარი



ღეპისის დარნის გვირაბი მშრალი ქვის წყობით



ღებისის დარანი



ღებისის დარანი



დარნის სამგანზომილებიანი მოდელი



დარნის სამგანზომილებიანი მოდელი



დარნის სამგანზომილებიანი მოდელი



ხიზაბაერის დარანი, ისტორიული “ხიზა”



ღებვისის შეუსწავლელი დარანი № 2



სოფელი ხიზაბავრა



სოფელი ხიზაბაგრა, ისტორიული “ბაგრა”



სოფელი ხიზაბაგრა, ისტორიული “ხიზა”



სოფელი ხიზაბაგრა, ისტორიული “ხიზა”



სოფელი ხიზაბაგრა

ლორის ქანდაკება მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან.

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სხვა ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან ექსპონატებთან ერთად ინახება კოლხური ბრინჯაოს მხატვრულად დამუშავებული ნივთების მრავალფეროვანი კოლექცია, რომელთა შორის გამოირჩევა ზოომორფული მცირე ქანდაკებების ერთი ჯგუფი. ხარის, ძაღლის, მგლის, კატისებრი ცხოველისა და ღორის გამოსახულებებს შორის ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ღორის ქანდაკება.

ღორის ქანდაკება შემთხვევითაა აღმოჩენილი მუხურჩაში (მარტვილის რაიონი), საკმაოდ მოზრდილი ფიგურა დამზადებულია ბრინჯაოსაგან. აქვს მოგრძო, ოდნავ ფერდებშებრტყელებული, მონოლითური სხეული, ოთხი მოკლე და სქელი ფეხი და მასიური თავ-კისერი, ზურგზე (მთელ სიგრძეზე) ოდნავ შესამჩნევი წიბო გაუყვება (ტაბ. I/1). ქანდაკება სტატიკურია, თუმცა ფართოდ დაღებული პირი, მოცულობითი პლასტიკური მასით მინიშნებული ენა, ღრმად ჩამჯდარ პატარა, მრგვალ თვალებზე გადმოფარებული განიერი ყურები და მართკუთხა დინგზე დაჭდებული მოზრდილი ნესტოები ქანდაკებას ექსპრესიულ ხასიათს ანიჭებს (ტაბ. I/3). ღორის ფიგურა მკვეთრად ფალიკურია - დაახლოებით 2 სმ-ის სიგრძის ფალოსი წაგრძელებულია მუცლისაკენ, სადაც სხეული მართკუთხედისებრად მკაფიოდაა შეღრმავებული (ტაბ. I/2). ღორის ორივე ფერდი დაფანჯრულია ერთმანეთისკენ წვერებით მიმართული ორი სამკუთხედით, რომლებიც შევსებულია მინისებური ნივთიერებით (ტაბ. I/1). ქანდაკება გატეხილი ყოფილა და შემდეგ შეუწებებიათ მარტვილის მუზეუმის თანამშრომლებს, თუმცა ბზარები, თავზე, ზურგსა და გავაზე, დღესაც შეინიშნება. ფიგურა დაზიანებულია - ცალ მხარეს მოტეხილი აქვს წინა და უკანა ფეხების ქვედა ნაწილები, ასევე კუდისა და დინგის ბოლოები. კუდის შემორჩენილი ნაწილი მოკლე და სამკუთხაა. ქანდაკება დაფარული ყოფილა პატინით, ამჟამად გაწმენდილია და დაკონსერვებული. ზომები: სიგრძე - 9 სმ; სიმაღლე - 3, 5 სმ. დათარიღებულია ძვ. წ. VIII-VII სს-ით [სულავა ნ. და სხვ... 2014: 38].

შინაურ ცხოველებს შორის ღორს ყველაზე დიდი ნამატი ჰქონდა. შეიძლება ამიტომაც, მისი მომრგვალებული სხეული ნაყოფიერების სიმბოლოდ გაიაზრებოდა, თუმცა არსებობს სხვაგვარი განმარტებაც. როგორც პლუტარქე აღნიშნავს, ღორს თავყანს სცემენ იმ მიზეზის გამო, რომ პირველად ამ ცხოველმა დატოვა დინგის წვერით თოხის კვალი მიწაზე და ამგვარად გუთნის მუშაობა აჩვენა. ღორი (ტახი) წარმოადგენს საკრალურ ცხოველს, დაკავშირებულია მიწასთან და ზეცასთან, აგრეთვე დიდი დედის კულტთან - ვეგეტაციურ და ანიმალურ ნაყოფიერებასთან, არის ფსიქოპომპოსი, ნაყოფიერებისა და განწმენდის რიტუალებში იგი სამსხვერპლო ცხოველია, მითებში კი - იარაღი, რომლითაც მსხვერპლშეწირვა ხორციელდება [ერქომაიშვილი მ. 2002: 83].

როგორც არქეოლოგიური და ეთნოლოგიური მასალა გვიჩვენებს, ღორის (ტახის) კულტი ფართოდ ყოფილა გავრცელებული მთელს წინარექრისტიანული ხანის საქართველოში. ქრისტიანულ ხანაში ღორის გამოსახულებები თითქმის აღარ გვხვდება, თუმცა საზოგადოების რელიგიურმა მენსიერებამ ღორის კულტი და მასთან დაკავშირებული რიტუალები დღემდე შემოინახა.

ქართული ეთნოლოგიური მასალის მიხედვით, ღორი ოჯახის სიუხვის, სიმდიდრის, ხვავისა და ბარაქის მომტანი ცხოველია. იგი არის ოჯახის მფარველ ღვთაებასთან დაკავშირებული არსება, რომელსაც მხოლოდ სიკეთის მოტანა შეუძლია [გოგოჭური ვ, ბერძენიშვილი ი. 2014: 22]. ღორი (ტახი) როგორც ზოომორფემა, ტოტემი, კოსმოგონიური საზრისით მხესა და მთვარეს უკავშირდება. იგი, როგორც მზის სიმბოლო, განასახიერებს მამრულ საწყისს, მამრულ ძალას, ხოლო მთვარესთან დაკავშირებული თეთრი ღორი (ტახი) – ქალურს.

საინტერესოა, რომ იმავე მარტვილის რაიონში, სადაც ჩვენი ქანდაკება აღმოჩნდა, დგას ღვთიშობლის მიძინების სახელობის მარტვილ-ჭყონდიდის მშვენიერი ტაძარი. ჭყონდიდი უხსოვარი დროიდან წარმართული რელიგიური ცენტრი გახლდათ. გადმოცემის თანახმად, აქ ქრისტიანული ტაძრის აღმართვამდე მაღალ ბორცვზე უზარმაზარი მუხა მდგარა. მუხაზე მიბმული იყო ოჯახის მფარველი, კეთილდღეობისა და ბარაქის ღვთაება, თუჯისგან დამზადებული, ადამიანის გარეგნობის პირდაღებული კერპი – კაპუნია (ყვაპუნია), რომელსაც მსხვერპლად დედისერთა ჩვილ ბავშვებს სწირავდნენ. სამსხვერპლო ყრმას კენჭისყრით არჩევდნენ ყრილობაზე მოგვი-ჭყონდარები „თუთამ ღლას“ – მთვარის ღღეს - ორშაბათს, შემდეგ მშობლები ღვთის რჩეულის პატივსაცემად „საბატონ“ ღღეს – შაბათს დიდ ღვინს აწყობდნენ, ხოლო „ბჟას ღლას“ – მზის ღღეს, ანუ კვირას დიდებული ეტლით მიაგზავრებდნენ მუხის ეზოში, სადაც სამსხვერპლო ბავშვის დედა კაპუნიას ღია პირში უდგამდა ჩვილს და ასრულებდა მსხვერპლშეწირვის რიტუალს. ახ. წ. I ს-ში, როდესაც ანდრია პირველწოდებულმა სამეგრელოში ქრისტიანობა იქადაგა, მივიდა მარტვილში, გაანადგურა კაპუნიას კერპი, მოჭრა დიდი მუხა, რომელზეც ღვთაება იყო მიბმული და მის ადგილას აღმართა ჯვარი, ხოლო ჩვილი ბავშვების მსხვერპლშეწირვა ღორებით ჩანაცვლდა. მოგვიანებით მოჭრილი მუხისგან ამ ადგილას ანდრია პირველწოდებულის სახელზე ხის ეკლესია აუგიათ, VII ს-ში კი აშენდა მარტვილ-ჭყონდიდის ტაძარი, რომლის ტრაპეზი დაფლულ სიწმინდეს - მოჭრილი მუხის ფესვებს დაეფუძნა [ფუტკარაძე ტ. 2014: 179]. დღესდღეობით მარტვილის ტაძარში ღორის მსხვერპლად შეწირვის რიტუალი არ დასტურდება, თუმცა კაპუნობის დღესასწაული, რომელიც დიდმარხვამდე 16 დღით ადრე, ყველიერის წინა ხუთშაბათს იმართებოდა და რომლის დროსაც ოკაპუნე-კაპუნიაზე შესახელებულ ღორს კლავენ და სისხლს მიწაზე აქცევდნენ, ამ ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი [ქობალია ა. 2010: 354].

სამეგრელოში ღორის (ტახის), როგორც მამრული საწყისის მატარებელი ტოტემისა და ფალოსური კულტის წიაღში გადმერთებული არსების ანარეკლი გვაქვს ბოლო დრომდე შემორჩენილ რიტუალში – დოდგიმირის ხვამა, რომლის ლოცვის რიტუალში შედის საზვარაკე ხორცის შედგმა მუხის ფულუროში. ეს ხორცი, რაც შეიძლება ბევრი უნდა ეჭვამათ ქალებს, რათა ერთი მხრივ, გაზრდოდან შვილოსნობის უნარი, ხოლო მეორე მხრივ, ეშვით მეომრული სულის, მძლავრი მამრული საწყისის შვილები [აბაკელია ნ. 1997: 88].

ქართულ დღეობათა კალენდარულ ციკლში ღორი მჭიდროდ იყო დაკავშირებული შობასთან. ამ დროს სრულდებოდა მრავალფეროვანი მაგიური ხასიათის რიტუალები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ჯანმრთელობას, ნაყოფიერებას, ავი სულებისაგან დაცვასა და მომავალ კეთილდღეობას. რიტუალურ პროცესში ღორი მონაწილეობდა ისეთ წმინდა ადგილებში, როგორცაა კერა, მარანი და სამჭედლო, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ამ ცხოველის საკრალურსა და წმინდა, სამსხვერპლო ხასიათს [აბაკელია ნ. 1997: 79]. ჩვენს ყურადღებას იქცევს ახალი წლის წინა დღის რიტუალები: გურიაში და რაჭა-ლეჩხუმში – კალანდა, ხოლო სვანეთში – შეშხუამ-შეშხუამი. ორივე ეძღვნებოდა ღორის გამრავლებას, რასაც ამ დღეს ღვთაება ბასილს საგანგებოდ შესთხოვდნენ. წარმოთქმული ლოცვები ნათელყოფს, რომ ბასილს ღორების გამრავლების მფარველობა მიეწერებოდა. მეორე მხრივ, ბასილისათვის ღორის კანჭით დაჩხვლეტილი კვერებისა და ღორის სასქესო ორგანოების შეწირვა აშკარად მიუთითებს, რომ ბასილი მიჩნეული იყო ღორების სქესობრივი განაყოფიერების ღვთაებადაც [ხიდაშელი მ. 1982:84] და ამ ღვთაების ერთ-ერთ ზომორფულ სახეს სწორედ ღორი წარმოადგენდა. სალამოს ოჯახის უფროსი სახლის წევრებს მარანში შეიყვანდა ანთებული სანთლებით, თან შეჰქონდათ გობი, რომელზეც ღოქით ღვინო, ღორის თავი და ხაჭაპური ეწყო. ოჯახის უფროსი ჭურის თავზე დაილოცებოდა, ღვინოს დალევა, შემდეგ ღორის ხორცსა და ხაჭაპურს დააყოლებდა. ასევე იქცეოდნენ დანარჩენებიც. ბოლოს იწყებოდა აგუნას გადაძახილი, რის დროსაც რიტუალის წამყვანი საწნახელს ღორის თავს ურტყამდა [აბაკელია ნ. 1997: 89-90]. სამეგრელოში ღორის მონაწილეობით ტარდებოდა ხეხუნჯობის რიტუალი, რომელიც 31 დეკემბერს იმართებოდა და მჭედლობასთან იყო დაკავშირებული. ამ დღის აუცილებელი შესაწირავი ცხოველი იყო ღორი და რიტუალი აუცილებლად სამჭედლოში ჩაფლულ ღვინით სავსე ქვევრებთან უნდა ჩატარებულიყო [აბაკელია ნ. 1997: 81-82].

ქრისტიანულ ტაძარს საქართველოში ღორი არ ეწირება, მაგრამ გამონაკლისის სახით კახეთში, კერძოდ ნეკრესში, სადაც არქეოლოგიურად დადასტურებული მძლავრი წარმართული და ზოროასტრული რელიგიური ცენტრები არსებობდა [ჭილაშვილი ლ. 2004: 10], დღევანდელ ქრისტიანულ ეკლესიაში დამკვიდრებულია ღორის მსხვერპლად შეწირვის ტრადიცია, რომელიც ზამთრისა და საგაზაფხულო ციკლის დღეობებს უკავშირდება და მას შილდელების მიერ დამკვიდრებულ ანომალიურ წარმართულ ტრადიციად მიიჩნევენ [აბაკელია ნ. 1997: 80]. შილდელებისთვის ეს უძველესი წარმართული ტრადიცია უნდა იყოს, რადგან ცნობილია, რომ შილდაში აღმოჩენილ და ძვ. წ. XIV-XII სს-ით დათარიღებულ სამლოცველოში სხვადასხვა ცხოველების ქანდაკებებთან ერთად აღმოჩნდა ამავე სამლოცველოსთვის შეწირული ღორის (ტახის) ბრინჯაოს ქანდაკებებიც [მაისურაძე ბ., ფანცხავა ლ. 1984: 19, 90, ტაბ. XXIV/5; ტაბ. XXV/8]. ქართული წარმართული რიტუალური ცერემონიების დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ღორის (ტახის) თავი, რადგან სწორედ თავშია შენახული მისი, როგორც გამანაყოფიერებელი არსების ძალა. ამავე დროს, ტახი ირანში ღვთაება ვერეთრაგნას ინკარნაცია იყო და ტახის თავი იქაც ცნობილი ზოროასტრული სიმბოლოა [გაგოშიძე ი., გაგოშიძე გ. 2014: 343]. საინტერესოა, რომ კახეთში - ჭერემისხევში შემთხვევით აღმოჩენილ და ახ. წ. VI-VII სს-ის მიჯნით დათარიღებულ გვიანსასანური ვერცხლის თასის ძირზე გარედან გამოსახულია ორმაგ წრეში

ჩასმული ტახის რელიეფური თავი მარჯვენა პროფილში, ხოლო თასის გარეპირი მთლიანად შემკულია „ყურძნის კრეფის“ - როველის რელიეფური კომპოზიციით, სადაც მტევნებიან ვაზთან ერთად 2 ყურძნის მკრეფავი მამაკაცი, 5 ფრინველი (რომელთაგან 2 ყურძნის მარცვლებს კენკავს), 3 მელია და 1 კურდღელიცაა გამოსახული (ტაბ. II/1). ჭერემისხევის თასი და მასზე გამოსახული კომპოზიციები სასანურ კულტურულ წრეს მიეკუთვნება, მაგრამ მსგავსი სასანური თასებისაგან განსხვავდება იმ ძალზე მნიშვნელოვანი დეტალით, რომ ჭერემისხევის თასის ფსკერზე, შუაგულში, ამოკვეთილია ორმაგი წრეწირით შემოხაზულ მედალიონში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი, რომელიც მოოქროვილია (ტაბ. II/2). სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ გვიანსასანური ტორევეტიკის ეს ბრწყინვალე ნიმუში ტახის თავის გამოსახულებით დაუკვეთა ქრისტიანმა და ეკუთვნოდა ქრისტიანს [გაგოშიძე ი., გაგოშიძე გ. 2014: 341-345]. მაშასადამე, თუ ამ ნივთზე სასანური და ქრისტიანული სიმბოლიკა თანაარსებობს, მაშინ ასევე დასაშვებად მიგვაჩნია, ქრისტიანული ტაძრისთვის ღორის შეწირვის რიტუალის არსებობაც. როგორც ჩანს, ღორის (ტახის) ტაძრისთვის შეწირვის წარმართული და სასანური ტრადიციები ერთმანეთს გადაეჯაჭვა და დღემდე შემორჩა ნეკრესში გადმონაშთის სახით. თუმცა, ნეკრესის ეკლესიისთვის ღორის შეწირვის უცნაურ ტრადიციას ხალხი ერთ სასწაულს უკავშირებს. ლეგენდის თანახმად მრავალრიცხოვან სპარსელთა ლაშქარს შობა დღეს ალყაში მოუქცევია ნეკრესის სალოცავი. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის თავდადებულ ბრძოლაში ქართველებს აზრად მოსვლიათ ღორები დაესერათ და მტერზე მიეშვათ. გააღეს ნეკრესის გალავნის კარი და ტკივილისგან გადარეული კოლტი პირდაპირ მოაღყეებს დაეხვერა. დაბნეული მტერი ქართველთა მცირერიცხოვანმა ლაშქარმა გაანადგურა. მას შემდეგ, შობა დღეს იწყება ნეკრესობის დღესასწაული, რომელიც ერთ კვირას გრძელდება და რაც მთავარია, ტაძარში შესაწირად ღორები მოჰყავთ, თუმცა ღორის შეწირვა რა გასაკვირია, - აკი „უფლისაა ქვეყანა და სავსება მისი“.

ღორი იწირებოდა აგრეთვე მირსობის დღეობაზე სამეგრელოში და მთელს დასავლეთ საქართველოში, რის დროსაც ხუთშაბათს, ოჯახის უფროსი მამაკაცი ღორს უკანა ფეხებზე მოჰკიდებდა ხელს და მისი გამაყრუებელი ჭყვივლის თანხლებით კერის გარშემო შემოატარებდა, შემდეგ ლოცვებს წარმოთქვამდა ოჯახის საკეთილდღეოდ და ავი თუ ბოროტი თვალისგან დასაცავად. ბოლოს ღორს დაკლავდნენ [აბაკელია ნ. 1997: 92-93]. სადილზე დიასახლისი სულზე ორ მრგვალ კვერსა და ორ მოხარშულ კვერცხს ამზადებდა, ოჯახის წევრები თვალეზე იდებდნენ კვერებსა და კვერცხებს და მირსას თვალის ჩინს შესთხოვდნენ [Абакелия Н. 1991: 23]. ს. მაკალათია, აიგივებდა რა მირსას მითრასთან, მირსობის რიტუალში მითრაიზმის ანალოგიურ რწმენა-წარმოდგენებს ხედავდა და იგი წმ. გიორგის ერთ-ერთი წინამორბედად მიაჩნდა [მაკალათია ს. 1938]. დასავლეთ საქართველოში დადასტურებულია „ჯეგე-მისარონის“ ან „ჯეგე-მოისარონის“ რიტუალი, რომელშიც შესაძლებელია მითრას თაყვანისცემის მიკვლევა და ეს უნდა ყოფილიყო „მითრას რომაული მისტერიებიდან შემორჩენილი ფრაგმენტები, რომლებიც გაჟღერებული იყვნენ სპარსული რწმენა-წარმოდგენებით“ [აბაკელია ნ. 2011: გვ. 59].

როგორც ცნობილია, მითრაიზმი ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში, განსაკუთრებით ახალი წელთაღრიცხვის საწყის საუკუნეებში. სინათლისა და მზის, სამართლიანობისათვის მებრძოლი ღვთაება მითრას მთავარი წმინდა ცხოველი ხართან, ცხენთან, ძაღლთან, გველთან,

ყორანთან და მამალთან ერთად იყო ტახტი, რომელსაც განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ამ ცხოველთა შორის, რადგან იგი თავისი ბასრი ეშვებით დიდ დახმარებას უწევდა მითრას ბოროტებასთან ბრძოლაში [მშვილდაძე მ. 2003: 97-99].

საქართველოში მითრას კულტის გავრცელებაზე, მზისა და ცხენის ადგილობრივ კულტთან მის შერწყმაზე მეტყველებს გვიანრომაული ხანის, ახ. წ-ის II-III სს-ით დათარიღებული არქეოლოგიური მასალების ერთი, ადგილობრივი ჯგუფი – ვერცხლის თასები, ფსკერზე ბომონის წინაშე მდგომი ტორაწეული ცხენის გამოსახულებით. ამგვარი თასი, გარდა არმაზისხევისა, ბორისა და ზღუდერისა, ჟინვალის მახლობლად, არაგვისპირის № 13 სამარხშიცაა აღმოჩენილი [რამიშვილი რ. 1975: 7-15]. იმავე № 13 სამარხში აღმოჩენილია ვერცხლის ორი სურა, რომელზეც გამოსახულია წარჩინებული მოისარი მონადირე-მხედრის ცხენდაცხენ ნადირობის სცენები [რამიშვილი რ. 1975: გვ. 10], სადაც იბერიელი დიდებული ერთ სურაზე ირმებზე, ზოლო მეორეზე – ტახებზე ნადირობს (ტაბ. II/3). მოცემული სიუჟეტები კომპოზიციურად და იკონოგრაფიულადაც ღურა-ვეროპოსის ახ. წ-ის II ს-ით დათარიღებულ ფრესკაზე გამოსახულ ნადირობის სცენასთან პოულობს მსგავსებას, სადაც მოისარი მითრა – მხედარი-მონადირე ასევე ირმებსა და ტახებზე ნადირობს [Фрай Р.1972: სურ. 101]. აღსანიშნავია, რომ არაგვისპირული სურები მათზე მოცემული კომპოზიციების თავისებურებათა გამო სასანურ ტორევეტიკასთან გენეტიკურად ვერ დაკავშირდა, რის გამოც სურები ადგილობრივ ნაწარმად ჩაითვა და დათარიღდა ახ. წ. III ს-ის 50-იანი წლებით [რამიშვილი ქ. 1999: გვ. 72]. მიუხედავად აქემენიდური და პართული ხელოვნების ზოგადად მძლავრი გავლენისა, გვიანრომაული ხანის საქართველოში, როგორც ჩანს, ხელოვნების მრავალი დარგი ვითარდებოდა საკუთარი, საკმაოდ ორიგინალური გზით [რამიშვილი ქ. 1999: გვ. 74]. გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ ამიერკავკასია ნადირობის სცენების დინამიკური მანერით გადმოცემისას იკვებებოდა მახლობელი აღმოსავლური ცენტრებიდანაც, კერძოდ, სირიიდან, სადაც ეს სიუჟეტი ფართოდ იყო გავრცელებული, განსაკუთრებით გვიანასურულ ხანაში [კერამი კ. 1972: გვ. 236]. მაგრამ ნადირობის სცენების სირიულ ან აქემენიდურ-პართულ პროტოტიპებს აღმოსავლეთ საქართველოში ბრმად კი არ იმეორებდნენ, არამედ შემოქმედებითად, თავისი ადგილობრივი პირველწყაროს მძლავრი ზეგავლენით, რის გამოც არაგვისპირის სურებზე გამოსახული ნადირობის სცენები ატარებენ მაგ. ღურა-ვეროპოსის ფრესკასთან შედარებით, დამოუკიდებელ ნიშნებს, თუმცა, აქ სახეზეა ადგილობრივი და აღმოსავლურ (სირიულ-პართული) ტრადიციების ურთიერთშერწყმისა და ურთიერთზეგავლენის შედეგი, სადაც აღმოსავლეთიდან შემოსული მითრაიზმის საქართველოში გავრცელებას არცთუ ბოლო ადგილი ეჭირა.

ტახზე შუბოსანი ქვეითებისა და ასევე მხედრების ცხენდაცხენ ნადირობის სცენებია გრავირებული ახ. წ. I ს-ით დათარიღებულ ძვლის ფირფიტებზე დედოფლის გორიდან [Gagoshidze 2008: 88-103, ტაბ. 36/50, 51,53; ტაბ. 37/59]. ნივთები ადგილობრივად დამზადებული და მათზე მოცემულია ქართული გრავირებული მხატვრობა, რომელშიც აქემენიდური და ბერძნულ-სპარსული ტრადიციებია აკუმულირებული და შემონახული [გაგოშიძე ი. 2009: 17, ტაბ. II/16].

ტახისა და ძაღლის შერკინების ძალზე ექსპრესიული სცენა (ორივე ცხოველი მოოქროვილია) გადმოცემული ვერცხლის პინაკის ფსკერზე (ტაბ. II/4) ზღუდერიდან [ნემსაძე გ. 1969: ტაბ. III/2]. ზღუდერის პირგადაშლილი და დატალღულკანელურებიანი თასი რომაული და მცირეაზიული

ტორეტიკის გავლენით შექმნილ ადგილობრივ ნაწარმადაა მიჩნეული, ხოლო ტახი ირანულ (სასანურ) ღვთაება ვერეთრაგნასთანაა დაკავშირებული [Мачабели К. 1976: 89]. თასი აღმოჩენილია № 2 ხის სარკოფაგში, რომელიც საკმაოდ დამაჯერებლად დათარიღდა ახ. წ. 250 წლით [ბრაუნდი დ... 2009: 14, 54]. აღსანიშნავია, რომ ამგვარი კომპოზიცია სასანურ ტორეტიკულ ნაწარმზე არ დასტურდება. როგორც ცნობილია, სასანური იკონოგრაფია ირანში ჩამოყალიბდა არა უადრეს III ს-ის 70-იანი წლებისა [Луконин В. 1969: 97], აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ სავსებით შესაძლებელია, ზღუდერის თასზე არა სასანური ვერეთრაგნა, არამედ მითრისტული რელიგიური-რიტუალური სიუჟეტი იყოს მოცემული, რადგან ტახიცა და ძალიც ღვთაება მითრას თანმხლები ცხოველები იყვნენ.

ფეხებჩაკეცილი ტახის მინიატურული ოქროს საკიდი ფიგურაა აღმოჩენილი არმაზისხევის № 6 სამარხში (ტაბ I/5). ის ავგაროზი უნდა ყოფილიყო, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ტახის სიმბოლურ დანიშნულებას და კავშირს რელიგიურ კულტთან [აფაქიძე ა. და სხვ.. 1955: 70. ტაბ. VI, სურ. 3; ტაბ. XVI, სურ. 36].

საქართველოში ღორისა თუ ტახის კულტის ფართო გავრცელებაზე მეტყველებს აგრეთვე ღორების რიტუალური დაკრძალვის ფაქტები, რომლებიც დასტურდება გვიანელინისტური ხანის სამარხებში, მაგ. ნამოსახლარ შეუპოვარზე (ტაბ. II/7), სადაც ერთ-ერთ სამარხში ორი ტახი საგანგებოდაა პატივით დაკრძალული ერთმანეთის პარალელურად [გოგოჭური გ., ბერძენიშვილი ი. 2014: 12]. ღორის საკულტო დანიშნულებაზე მეტყველებს მისი ორი ჩონჩხის აღმოჩენის ფაქტი წალკაში, სოფ. საყდრიონში გათხრილ და ძვ. წ. III-I სს-ით დათარიღებული ნამოსახლარის სამსხვერპლოსთან [ნარიმანიშვილი გ... 2011: 118, 120]. ღორის ძვლები, როგორც ალაპის ნაშთი, აღმოჩენილია თეთრიწყაროს რაიონში, ძვ. წ. IV-III სს-ის სხალთის სამაროვნის თითქმის ყველა სამარხთან [ნიკოლაიშვილი გ., შატბერაშვილი ვ. 2010: 432-433]. გოჭების მსხვერპლად შეწირვა დასტურდება არადეთის ორგორაზე, სადაც საგანგებოდ დაკრძალული ძუძუთა გოჭების ჩონჩხებია აღმოჩენილი. როგორც ფიქრობენ, ძვ. წ. VI-IV სს-ში აქ წინარეჟისტიანული კულტმსახურების მნიშვნელოვანი ცენტრი უნდა არსებულიყო [გაგოშიძე ი. 1999: 58].

ტახის, როგორც წმინდა ცხოველის შესახებ მნიშვნელოვანი არქეოლოგიური არგუმენტია ვანში, ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ № 19 მდიდრულ სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ფარაკიანი საბეჭდავი ბეჭედი, რომლის ფარაკზე ამოკვეთილია ტახის გამოსახულება [Лордкипанидзе и др..1995:96, ტაბ. 181-182]. ბეჭდის ფარაკი-ინტალიო ოდნავ წაგრძელებული და ბოლოებმომრგვალებულია, ხოლო რკალი – მრგვალგანიკვეთიანი, იგი ფარაკისკენ ოდნავ ფართოვდება და უშუალოდ უერთდება მას (ტაბ. I/8). ტახის გამოსახულება ერთგვარად ხაზობრივ-დეკორატიული მანერითაა შესრულებული, პირდაღებული და ყურდაცქვეტილია. კარგად ჩანს დიდი, ოვალური თვალი. მკერდი და გავა მოცულობითი ფორმებითაა აქცენტირებული. უკანა ფეხები მოხრილი, ხოლო წინა – წინ გაშვერილი აქვს. ტახის გამოსახულების გრაფიკულობას აძლიერებს ისიც, რომ ცხოველის სილუეტი შემოსაზღვრულია ოქროს ვიწრო ზოლით. ბეჭედი საკმაოდ უჩვეულო ტექნიკითაა შესრულებული. იგი უნახავს ჯონ ბორდმანს და ამგვარი ტექნიკით შესრულებული ვერც ერთი ბეჭედი ვერ დაუსახელებია (ცნობა მოგვაწოდა დ. კაჭარავამ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ მას). ტახის გამოსახულება, საფიქრებელია, საჭრისით იყოს ამოჭრილი,

არცთუ ძალიან ღრმად, მკაფიოდ და სხვადასხვა სიღრმით. საკმაოდ კარგი ნახელავია – კვეთას დაუფლებული ხელით შესრულებული. ოსტატს რამდენიმე საჭრისი აქვს გამოყენებული: ბრინჯაოს ნემსი ნახატის კონტურისთვის, ფართოპირიანი საჭრისი დიდი მასების ამოსადებად (ღორის მკერდი, გავა), ასევე ჯაგარისა და ბეწვის საბოლოო დამუშავებისათვის და პატარა ბუტეროლი ღორის თვალების ფორმირებისათვის. გამოსახულების ფონი გაპრიალებულია, მაგრამ არცთუ ძლიერად.

ბეჭედი ფორმით ეკუთვნის ჯ. ბორდმანისეული კლასიფიკაციის VII ტიპს, რომელიც ძვ. წ. IV ს-ით თარიღდება [Bordman 1970: 213, სურ. 217]. ვანურ ბეჭედზე მოცემული ტახის გამოსახულების ზუსტი ანალოგია ვერსად მოვიძიეთ, თუმცა, ბერძნულ გლიპტიკაში ტახის გამოსახულებები მნიშვნელოვან თემას წარმოადგენდა. იგი გაიაზრებოდა როგორც ადამიანისთვის კეთილდღეობისა და ღოვლათის, ომში გამარჯვების მომტანი ცხოველი და დაკავშირებული იყო ისეთ ღვთაებებთან, როგორებიც იყვნენ დემეტრა, არესი, ატლანტი და სხვ. ცნობილია ძვ. წ. IV ს-ის ტემნოსელი ტახის მარმარილოს ქანდაკება დემეტრას ტაძრიდან და ამავე პერიოდის სკოპასის ან მისი სკოლის მიერ შესრულებული ტახის თავის ქანდაკების ფრაგმენტი ათენას ტაძრის ფრონტონზე თეგეოსიდან. ეს ქანდაკებები წარმოადგენდნენ შთაგონების წყაროს, საიდანაც ქვის მჭრელებს გადაჰქონდათ ტახის გამოსახულებები გლიპტიკურ ნაწარმზე და შემდეგ სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირებდნენ. ვანის ბეჭდის გამოსახულება გარკვეულ მსგავსებას ავლენს აღმოსავლეთ ბერძნული წრის ქალცეღონის ორ სკარაბეოიდზე ამოკვეთილ ტახის გამოსახულებებთან, რომლებიც ძვ. წ. IV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდებიან [Никулина 1994: 38, 183, ილ. 180-181], თუმცა საგრძნობი განსხვავებაც შეინიშნება. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ბერძნულ გემებზე მოცემულია ტახები სირბილის დროს, მაშინ როცა ვანურ ბეჭედზე ტახი სტატიკურ პოზაშია წარმოდგენილი. ბერძნულ ბეჭედებზე ტახების ჯაგარი ირიბი პარალელური ხაზებისგან არის შედგენილი და სხეულზე ბეწვი არ აღენიშნებათ, ხოლო ვანურზე - ზურგის გაყოლებაზე მოკლე პარალელური ნაჭდევი ხაზებით შედგენილი ჯაგარია, სხეული კი ბეწვითაა დაფარული, რომელიც მოკლე ნაჭდევი ხაზებისგან შედგენილი მწკრივებითაა გადმოკვეთილი. განსხვავებულია დრუნჩის, ყურებისა და კუდის მოდელირებაც. თუ ვანურ ბეჭედზე გამოსახულება მთლიანად ავსებს სასურათე არეს, ბერძნულ სკარაბეოიდებზე – მხოლოდ ცენტრალურ ნაწილს. ვანური ბეჭედის ფარაკზე ამოჭრილი ტახის გამოსახულება შესრულების გრაფიკულ-დეკორატიული სტილითა და ზოგიერთი დეტალის, კერძოდ კი ჯაგრის გადმოცემის მანერით ახლოს დგას ვანში აღმოჩენილ იმ ოქრომჭედლობის ნივთებთან, რომლებიც ტახის გამოსახულებებით არიან შემკულნი. მაგ. ვანში, № 6 სამარხში აღმოჩენილი და ძვ. წ. V ს-ის ბოლოთი და IV ს-ის დასაწყისით დათარიღებული დიადემა, რომელზეც გამოსახულია ლომების ტახზე თავდასხმის სცენა (ტაბ. I/7). სიუჟეტში, კომპოზიციაში და შესრულების სტილში აღმოსავლურ ბერძნული კერძოდ კი იონიურ-ბერძნული ხელოვნების თვალსაჩინო გავლენა შეინიშნება [ლორთქიფანიძე ოთ. 1972: 14, სქ. 39, სურ. 38]. თუმცა, ცნობილ ძეგლებს შორის ვანის დიადემების გამოსახულებათა პირდაპირი ანალოგიის დაძებნა ვერ მოხერხდა, რის გამოც მსგავსი ფორმისა და შემკულობის დიადემების გავრცელება ძირითადად კოლხეთით შემოიფარგლა [ჭყონია ან. 1981: 14-14, ტაბ. 2/2]. ტახის სკულპტურული გამოსახულებებით არის შემკული ასევე ვანის № 11 სამარხში აღმოჩენილი და ძვ. წ. V ს-ით დათარიღებული ოქროს სამაჯური (ტაბ. I/6). სამაჯური ტახის ფიგურებთან ერთადაა ჩამოსხმული. გამოსახულებები

რამდენადმე უახლოვდებიან ირანისა და მცირე აზიის ტერიტორიაზე ცნობილ ბრინჯაოს ტახის გამოსახულებებს, მაგრამ მათგან განსხვავდებიან ყურებით და რაც ჩვენთვის მთავარია, ჯაგარის გადმოცემით, რითაც იგი ემსგავსება ვანურ ბეჭედზე გამოსახულ ტახის გამოსახულებას. აღსანიშნავია, რომ ამავე სამარხში მიკვლეულია ვერცხლის საკიდები, რომლებიც თითქმის ზედმიწევნით იმეორებენ სამაჯურზე გამოსახულ ტახის ფიგურებს. ეს სამაჯური არ არის ზურგმედრეკილი და იგი ტახისგამოსახულებიან დიადემასთან ერთად ადგილობრივი, ანუ კოლხური წარმომავლობისაა [ლორთქიფანიძე ოთ. 1972: 19].

ვანში აღმოჩენილ ბეჭედზე გამოსახული ტახის გამოსახულება შესრულების გრაფიკულ-დეკორატიული სტილითა და იკონოგრაფიულადაც გენეტიკურად ჩანს დაკავშირებული კოლხური ბრინჯაოს კულტურის უფრო ადრეულ ძეგლებთან, რომლებზეც ასეთივე გრაფიკულ-დეკორატიული სტილით შესრულებული პირდაღებული და ყურდაცქვეტილი ცხოველებია გამოსახული.

ამრიგად, ვანური ბეჭედი ძვ. წ.-ის IV ს-ის ადგილობრივ ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც ერთი მხრივ, დაკავშირებულია ვანში აღმოჩენილ ტახისგამოსახულებიან ოქრომჭედლობის ნიმუშებთან, ხოლო მეორე მხრივ, კიდევ უფრო ადრეულ ადგილობრივ მასალებზე მოცემულ გამოსახულებებთან (მხედველობაში გვაქვს კოლხური ბრინჯაოს ნაწარმზე და სამხრეთკავკასიურ ბრინჯაოს სარტყლებზე გრავირებული ცხოველთა გამოსახულებები). ასევე აღსანიშნავია და ძალზე მნიშვნელოვანი, რომ ოსტატი კარგად იცნობს და ფლობს აღმოსავლურ-ბერძნული გლიპტიკური სკოლის ტრადიციებსაც. ბეჭედი რომ ადგილობრივადაა დამზადებული, ეს შესრულების განსხვავებული, უნიკალური ტექნიკითაც დასტურდება. კოლხური გლიპტიკის აღმავლობის ხანა კი სწორედ ძვ. წ. V-IV სს. ემთხვევა. ჩვენი მოსაზრებით, ვანის ბეჭედი გარდაცვლილის სიცოცხლეში უფლებრივი საბეჭდავი იყო. უფლებრივი საბეჭდავი-ბეჭდები კი ადგილობრივ სახელოსნოში კოლხი მჭრელების მიერ იყო ნაკვეთი, ხოლო საბეჭდავებზე წარმოდგენილი სიუჟეტები კოლხეთში გავრცელებულ კულტებს უკავშირდებოდა [ლორთქიფანიძე მ. 1975: 111]. საინტერესოა, რომ აღნიშნულ სამარხში მიცვალებულს ერთ თითზე ორი ფარაკიანი ბეჭედი ეკეთა, ერთი – ტახისგამოსახულებიანი, ხოლო მეორე – ფრინველისა. გარდაცვალების შემდეგ ტახის გამოსახულება მიცვალებულს იმქვეყნიური სასიცოცხლო ენერგიით ადავსებდა და ფრინველის გამოსახულებასთან ერთად სულის საიქიო მცველად გვევლინება. ცნობილია, რომ ღორის (ტახის) არა მხოლოდ გამოსახულება, არამედ მისი ძვლებიც სულის მცველ-ავგაროზებად მიიჩნეოდა. ჯერ კიდევ მუსტიეს ეპოქაში ტახის ეშვები ავგაროზებად გამოიყენებოდა, ხოლო მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც ადამიანი მწარმოებლურ მეურნეობაზე გადავიდა და ღორი მოიშინაურა, მისი ძვლები საკმაოდ უხვადაა აღმოჩენილი. მაგ. ძვ. წ. VI-V ათასწლეულებით დათარიღებულ არუხლოს ნამოსახლარზე [Беква А. 1984: 95], ასევე, სამარხებში ხშირია გოჭისა თუ ღორის გახვრეტილი ფალანგების აღმოჩენის ფაქტები, მაგ. ძვ. წ. XI-VI სს-ის დიაპაზონით დათარიღებულ მცხეთურ სამარხებში [აფაქიძე ა. და სხვ.. 1999: 23, 40, 64-65; 93; ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007:38-40]. ეთნოლოგიური მასალით დასტურდება, რომ დამცავი ფუნქცია გააჩნდა ასევე ღორის დინგს, ეშვს, კოჭს, ქონსა და განსაკუთრებით ჯაგარს, ვითარცა სამკურნალო თუ დამცავ საშუალებას [გოგოჭური გ., ბერძენიშვილი ი. 2014: 21-22, იქვე იხ. ლიტერატურა].

მარტვილის მუზეუმში დაცული ქანდაკების მსგავსი ღორის ბრინჯაოს მომცრო ფიგურა აღმოჩენილია ძვ. წ. VI-V სს-ით დათარიღებულ ნარეკვავის სამაროვნის № 41 სამარხში. ქანდაკება საკმაოდ რეალისტურადაა შესრულებული (ტაბ. I/4). აქვს მასიური სხეული, ოთხი მოკლე ფეხი, რომელთაგან უკანა ორი ფეხი მორკალულია. ასევე აქვს მკვეთრად გამოხატული დინგი, დაცქვეტილი ყურები და მოკლე, აპრეხილი კუდი. ქანდაკება შუაში გახვრეტილია და ზურგზე განივ ზოლად ჩაღრმავებული. როგორც ჩანს, ფიგურა ხის ტარზე ჩამოსაგებ შტანდარტის თავს წარმოადგენდა და საკულტო რიტუალის დროს გამოიყენებოდა [აფაქიძე ა. და სხვ., 1999: 11, 115. ტაბ. XXXIV/453]. ამ პარალელის გათვალისწინებით შესაძლოა ასეთივე დანიშნულება ჰქონოდა მარტვილის მუზეუმში დაცულ ღორის ქანდაკებასაც და ის მუცლის მხრიდან არსებული შეღრმავებით წამოეცვათ შტანდარტზე ან ხის ტარზე.

ღორისა თუ ტახის კულტზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ვანის ნაქალაქარის ძვ. წ-ის VIII-VII სს-ით დათარიღებულ სამსხვერპლო მოედანზე აღმოჩნდა ამ ცხოველის ორმხრივპროტომიანი ტერაკოტის ოთხფეხა ფიგურები [ლორთქიფანიძე ოთ. 1995: 6. ტაბ. 66/2, 4].

ღორის (ტახის) გამოსახულებები გვხვდება ძვ. წ. VIII-VII სს-ის ბრინჯაოს სარტყლებზე გრავირებულ ნადირობის სცენებში (თლიას სამაროვანზე - სამარხი № 76 (ტაბ. III/1); სამთავროში - სამარხი № 276; თრიალეთში - მარალინ-დერესის სამაროვანზე; საგარეჯოში - სამარხი № 5) [ხიდაშელი მ. 1982: ტაბ. IX, I, XI, XVII].

სარტყლებზე წარმოდგენილ სიუჟეტებს შორის ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სამთავროს სამაროვნის № 211 სამარხში აღმოჩენილ სარტყელზე გამოსახული სცენა, რომელზეც წარმოდგენილია გმირთა სამეულის ღვთაებრივი ნადირობა ირმებსა და თხებზე და ფანტასტიკური არსება, რომელსაც წელსქვემოთა ნახევარი და ფეხები ადამიანისა აქვს, ხოლო წელსზედა ნახევარი - მოხრილი ზედა კიდურითა და ფოთლისებური ყურებიანი თავით - ცხოველის (ტაბ. III/2). სარტყელი შეისწავლა მ. ხიდაშელმა და აღნიშნა, რომ ამ ფანტასტიკური არსების თავი ღორისაა ან ტახის [ხიდაშელი მ. 1982: 145. ტაბ. VII]. არსებას აქვს ფართოდ დაღებული პირი, გადმოშვებული ენა, შემსხვილებულ-წაწვეტებული დრუნჩი და მრგვალი, პატარა წრით აღნიშნული თვალი. ფიგურის ფეხები, მკერდი და თავ-კისერი შემკულია ნაჭდები წერტილებით, ხოლო ტანი - წიწვოვანი ორნამენტით. გამოსახულება პორიზონტალურად, როგორც სარტყელზე გამოსახული ყველა ცხოველი, გართხმულ მდგომარეობაშია მოცემული, რაც იმის მანიშნებელია, რომ ეს არსება, ოდესღაც ადამიანი, ამჟამად ცხოველადაა გადაქცეული და არა პირიქით, რადგან სარტყელზე გამოსახული ადამიანის ყველა ფიგურა ვერტიკალურადაა დაყენებული. ჩვენი მოსაზრებით, სარტყელზე სწორედ ადამიანის ცხოველად გადაქცევის მომენტია აღბეჭდილი და ეს ჰიბრიდული თუ „ფანტასტიკური არსება“ უნდა უკავშირდებოდეს კირკეს ნამოქმედარს - მითს კირკეს შესახებ. როგორც ცნობილია, კირკე იყო გრძნეული ჯადოქარი, რომელიც კუნძულ აიაიაზე ბინადრობდა. იგი იყო ჰელიოსის ასული, კოლხეთის მეფის აიეტისა და კრეტის დედოფალ პასიფაეს და, მედეას მამიდა, ეთნიკურად კოლხი. მას საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ჰომეროსის „ოდისეაში“, ხოლო უფრო ნაკლები - არგონავტების შესახებ თქმულებებში [ერქომაიშვილი მ. 2002: 13]. კირკეს გააჩნდა ღვთაებრივი უნარი ადამიანები სხვადასხვა ცხოველებად გადაექცია, რისთვისაც იგი თავისივე შეზავებულ სასმელებსა და ჯადოსნურ კვერთხს იყენებდა. ანტიკურ

ლიტერატურაში პირველად კირკე ჰომეროსის „ოდისეაში“ მოიხსენიება, სადაც ავტორი მოგვითხრობს ოდისეოსის თანმხლები ადამიანების ღორებად გადაქცევის ეპიზოდს [Гомер: Одиссея X: 133-574] და სწორედ ეს ვერსია ხდება ყველაზე პოპულარული, თუმცა უკვე ჰომეროსის „ოდისეაშიც“ და გვიანდელ ავტორებთანაც საკმაოდ მკაფიოდაა აღნიშნული, რომ კირკე ადამიანებს გადააქცევდა სხვა ცხოველებადაც, განსაკუთრებით კი მგლებად და ლომებად [ერქომიშვილი მ. 2002: 15]. სამთავროს № 211 სამარხის სარტყელზე გამოსახული ამ არსების შედარებამ თანადროულ სხვა სარტყელებზე გამოსახული ღორისა თუ ტახის გამოსახულებებთან (შეად. ტაბ. III/2 „ფანტასტიკური არსება“ და ტაბ. III/1 ღორისა თუ ტახის გამოსახულება) და მათ შორის არსებულმა მკვეთრმა იკონოგრაფიულმა სხვაობამ ცხადყო, რომ ეს გამოსახულება არა ადამიანისა და ღორის ჰიბრიდია, არამედ ადამიანისა და მგელ-ძაღლისა, რადგან როგორც თვით № 211 სარტყელზე, ასევე სამხრეთ კავკასიაში გავრცელებულ სხვა სარტყლებსა და კოლხური ბრინჯაოს არტეფაქტებზე გრავირებული პირდაღებული, ენაგადმოშვებული და ყურაცქვეტილი მგელ-ძაღლები თუ „ფანტასტიკური ცხოველები“ იკონოგრაფიულად დიდ სიახლოვეს ავლენენ სამთავროს № 211 სამარხის სარტყელზე გამოსახულ „ფანტასტიკურ არსებასთან“. აღსანიშნავია, რომ მსგავსადაა გადმოცემული (ძირს გართხმული, ფეხები ადამიანისა აქვს, ხოლო თავ-კისერი – ლომის) ჰიბრიდული არსება - ე. წ. „ლომ-კაცის“ გამოსახულება, რომელიც ამოკვეთილია უფრო გვიანდელ ძეგლზე - ვანში აღმოჩენილ და ძვ. წ-ის V ს-ის დასაწყისით დათარიღებულ ოქროს ფარაკიან ბეჭედზე (ტაბ. III/4). ნივთი შეისწავლა მ. ლორთქიფანიძემ, ბეჭედი ადგილობრივ ნახელავად ჩათვალა, ხოლო სიუჟეტი მაშინვე დაუკავშირა მითს კირკეს შესახებ [ლორთქიფანიძე მ. 1975: 85-88].

მითში არგონავტების კოლხეთში ლაშქრობასთან დაკავშირებით აპოლონიოსი კირკეს კუნძულის - აიაიას აღწერისას აღნიშნავს, რომ კირკე იქ ადამიანებისაგან იზოლირებულად ბინადრობს და იხსენიებს ადამიანთა და სხვადასხვა ცხოველთა შერწყმულსხეულებიან არსებებს, რომლებითაც იყო გარშემორტყმული ჯადოქარი, როცა იგი პირველად იხილეს არგონავტებმა [Аполлоний Родосский 1964: 559-754]. კირკეს შესახებ არსებული მითები და ლეგენდები კოლხებისა და საერთოდ ქართველური მოსახლეობისათვის ისეთივე ნაცნობი და შეთვისებული უნდა ყოფილიყო, როგორც თქმულებები მედეასა და პრომეთეზე. მნიშვნელოვანია ისიც, რომ (რ. ცანავას მიხედვით) „ქართველ ნადირთ პატრონი ქალღვთაებისა (დალი, ტყაში მათა) და კირკეს ფუნქციათა შედარებისას იკვეთება მათი ტიპოლოგიური მსგავსება: 1. ორივე ადამიანებისგან იზოლირებულად ცხოვრობს; 2. ცხოველთა სამყაროს განაგებენ; 3. ჯადოქრები და მაქციები არიან; 4. ამყარებენ ინტიმურ კავშირს გამორჩეულ მონადირეებთან ან გმირებთან და შობენ სახელოვან ვაჟებს; 5. იღუპებიან. აქედან გამომდინარე, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია საკმაოდ საფუძლიანი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სწორედ ქართულ ყოფასა და რწმენა-წარმოდგენებში დადასტურებული არქაული ნადირთ პატრონის სახე დაედო საფუძვლად ლეგენდარულ კოლხეთთან დაკავშირებულ კირკეს მისი მითოსური არსის ჩამოყალიბებისას“ [ცანავა რ. 1982: 134]. ამდენად, სავსებით დასაშვებად მიგვაჩნია ის, რომ კირკეს ჯადოსნურ წრეში მოქცეული „ფანტასტიკური არსებები“ ასახულიყო ქართველური მოსახლეობის სახვითი ხელოვნების ძეგლებზე უკვე ძვ. წ-ის VIII-VII სს-ში და შესაძლოა, რომ სამთავროს №211 სამარხში აღმოჩენილ სარტყელზე გამოსახული უშუალოდ

მეტამორფოზის (ცხოველად გადაქცევის) კომპოზიცია უადრესიც კი იყოს კირკესთან დაკავშირებულ მსგავს იკონოგრაფიულ გამოსახულებათა შორის, რადგან, როგორც ცნობილია, მსგავსი შინაარსისა და იკონოგრაფიის უადრესი გამოსახულებები საბერძნეთში მხოლოდ ძვ. წ. VI ს-ის დასასრულით დათარიღებულ ატიკურ შავფიგურულ ლეკითოსებზე გვხვდება, ხოლო ცხოველებად გარდასახული ადამიანები ძვ. წ-ის II ს-ის ეტრუსკულ ურნებზე [ერქომაიშვილი მ. 2002. იხ. მითითებული ლიტერატურა]. ვფიქრობთ, რომ სამთავროს № 211 სამარხში აღმოჩენილ სარტყელზე გრავირებული ანტროპომორფულ-ზომომორფული არსება კირკეს ჯადოქრობასა და მის გარემოსთან დაკავშირებული შინაარსის მქონე გამოსახულებაა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ ტიპის გამოსახულებები თითქმის ყოველთვის მჭიდროდაა დაკავშირებული ნადირობის თემატიკასთან - სწორედ ირემზე ნადირობის სცენით იწყება ჰომეროსთან კირკეს ეპიზოდი კუნძულ აიაიასზე [ერქომაიშვილი მ. 2002: 89].

ანტიკურ ლიტერატურაში კუნძულ აიაიას ლოკალიზაციის შესახებ არსებობს ცნობები, რომელთაგან უადრესის (ჰომეროსი) მიხედვით კირკეს აღმოსავლეთში - კოლხეთში ათავსებენ. სხვა ცნობით (ჰესიოდე), კირკე დასავლეთში – ტირსენიელების (ეტრუსკთა) მიწაზე ბინადრობს, მაგრამ იქ კოლხეთიდან მზის მოძრაობის მიმართულებით გადაიყვანა, გადაასახლა მამამისმა ჰელიოსმა. ზოგი ავტორი კი ორი კირკეს არსებობას ვარაუდობს დასავლეთსა და აღმოსავლეთში ერთდროულად [ერქომაიშვილი მ. 2002: 42]. აქედან გამომდინარე, არსებობს მოსაზრება კოლხი კირკეს ეტრუსკების კავშირის თაობაზე, რაც მეცნიერებს ეტრუსკულ-ქართველური და საერთოდ ევროპულ-ქართველური ურთიერთობების კვლევის საფუძველს აძლევს.

აღსანიშნავია, რომ „ფანტასტიკური ცხოველის“ მსგავსი გამოსახულებები ფართოდ დაღებული პირით, გადმოშვებული ენითა და დაცქვეტილი ყურებით საკმაოდ გავრცელებული ჩანს ევროპულ მასალებში და განსაკუთრებით ეტრუსკულ ძეგლებზე (ტაბ. III/3), რაც საქართველოში გავრცელებულ ბრინჯაოს კულტურისა და თანადროული ევროპული კულტურების ურთიერთობებზე და რწმენა-წარმოდგენების ნათესაობაზე მიუთითებს [Фармаковский Ф. 1916: 43-44; ხიდაშელი 1982: 124-126; სულავა ნ. 2010: 156] და რაც შესაძლოა, ამგვარი გადასახლებისა და შემდეგ უკვე კონტაქტების შედეგად მოიაზრებოდეს. ქართველურ ტომთა ხმელთაშუაზღვისპირეთში გადასახლების ერთერთი ჰიპოთეზის მიხედვით, ძვ. წ-ის III-II ათასწლეულების მიჯნაზე კავკასიიდან ეგვიპტეში კავკასიურ ტომთა ერთი ნაწილი გადასახლდა. შემდეგ გაქართველებულ ტომთა ნაწილი კრეტისკენ, ნაწილი კი იტალიისკენ უნდა დაძრულიყო [გორდენიანი რ. 1999: 43]. ამდენად, არ არის გამორიცხული, კირკეს მითი, გარკვეული თვალსაზრისით, რეალური მიგრაციების სურათს ასახავდეს. თუ ამ ჰიპოთეზას გავიზიარებთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ სწორედ II ათასწლეულის დასაწყისით – ძვ. წ. XXVIII ს-ით თარიღდება თრიალეთის თასი, რომელზეც გამოსახულია უადრესი ჰიბრიდული არსებების – მგელ-კაცების ტახტზე მჯდომი ქალღმერთისაკენ მიმავალი რიტუალური პროცესია და ისინი „მგლის ხალხადა“ მიჩნეული [ბერიაშვილი მ., სხირტლაძე ზ. 1984: 133-153]. რაც შეეხება ღორის (ტახის) უადრეს გამოსახულებას, იგიც ძვ. წ-ის II ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება - ეს გახლავთ ეგვიპტური ცისფერი ფაიანსისაგან დამზადებული ღორისა თუ გოჭის მინიატურული ქანდაკება,

რომელიც აღმოჩნდა წიწამურის შუაბრინჯაოს ხანის № 13 ყორღანში, დათარიღებულია ძვ. წ. XVIII ს-ით [Садрაძე В. 1993: 56, 66. ტაბ. 37/5].

მარტვილის მუზეუმში დაცული ღორის ქანდაკება ორივე ფერდზე შემკულია ერთმანეთისაკენ წვერებით მიმართული დაფანჯრული სამკუთხედებით (ტაბ. I/1), რომლებიც მინისებური ნივთიერებითაა ინკრუსტირებული – ეს, ჯერ ერთი, იმ ეპოქის - ძვ. წ. VIII-VII სს-ისათვის დამახასიათებელ მხატვრულ ხერხადაა მიჩნეული [სულავა ნ., კალანდაძე ნ. 2005: 13]. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ იმავე ხანის ბრინჯაოს სარტყლებზე ტახებისა თუ ღორების სხეულები უმეტეს შემთხვევაში ასეთივე, ოღონდ გრაფიკულად შესრულებული, ერთმანეთზე წვერებით მიბჯენილი სამკუთხედების მწკრივებითაა შემკული [ხიდაშელი მ. 1982: ტაბ. IX, I, XI, XVII]. სამკუთხედი, გარდა იმისა, რომ მამრული (წვერით ზევით) და მდედრული (წვერით ქვევით) საწყისის სიმბოლოა, როგორც ცნობილია, სამიწათმოქმედო თემატიკასთანაცაა დაკავშირებული, იგი წვიმის ნიშანიც შეიძლება იყოს [Урушадзе Н. 1988: 51]. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ქანდაკება მკვეთრად ფალიკურია, მაშინ სამკუთხედებით შემკული ღორის ქანდაკება, შესაძლოა, როგორც ცხოველთა გამრავლების, ისე მცენარეთა ნაყოფიერების სიმბოლოდაც მივიჩნიოთ.

ამრიგად, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გამოფენილი ღორის ბრინჯაოს ქანდაკება არა მარტო მცირე პლასტიკის მეტად საგულისხმო და საინტერესო ნიმუშია, არამედ მნიშვნელოვანია იმითაც, რომ იგი საკულტო დანიშნულების ყოფილა, ასევე მან საშუალება მოგვცა გვემსჯელა ღორის კულტზე საქართველოში.

ლიტერატურა

- აბაკელია ნ. 1997: სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. თბილისი.
- აბაკელია ნ. 2011: მისტიკური რელიგიების კვალი ქართულ მითორიტუალურ სისტემაში – ახლოაღმოსავლური კრებული XIV, გვ. 47-61. თბილისი.
- აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ. 1955: მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები (რედ. გ. ჩუბინაშვილი), ტ. I, გვ. 1-253. თბილისი.
- აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., ყიფიანი გ., სიხარულიძე ა., გიუნაშვილი გ., გავაშელი ე., ღლონტი ნ., კაპანაძე მ. 1999: ნარეკვავი, I. თბილისი.
- ბერიაშვილი მ., სხირტლაძე ზ. 1971: თრიალეთის ვერცხლის თასის სიუჟეტურ გამოსახულებათა გაგებისათვის - კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები VI, გვ. 133-153. თბილისი.
- ბრაუნდი დ., ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ. 2009: საგანძური ზღუდერიდან, ელიტარული სამარხები კავკასიის იბერიიდან რომაულ ხანაში ახ. წ. 200-250. თბილისი.
- გაგოშიძე ი. 2009: საქართველო და „ბერძნულ-სპარსული“ გემები. იბერია-კოლხეთი - საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი, (გ. გამყრელიძე რედ.), გვ. 14-19. თბილისი.
- გაგოშიძე ი., გაგოშიძე გ. 2014: ვერცხლი თასი ჭერემისხევიდან, საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, V (50-B), გვ. 341-350. თბილისი.
- გოგოჭური გ., ბერძენიშვილი ი. 2014: ტახის/ღორის კულტი ქართულ არქეოლოგიასა და ეთნოკულტურაში - საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, V (50-B), გვ. 10-37. თბილისი.
- გორდენიანი რ. 1999: არგონავტები, ბმს, ლოგოსი. თბილისი.
- ერქომაიშვილი მ. 2002: კირკეს მითი და მისი ინტერპრეტაცია ანტიკურ ლიტერატურაში. თბილისი.
- კერამი კ. 1972: ღმერთები, აკლდამები და მეცნიერები. თბილისი.
- ლორთქიფანიძე მ. 1975: კოლხეთის ძვ. წ. V-III სს. საბეჭდავი-ბეჭდები. თბილისი.
- ლორთქიფანიძე ოთ. 1972: ვანის ნაქალაქარი. ვანი, I. (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე), გვ. 7-42. თბილისი.
- ლორთქიფანიძე ოთ. 1995: ვანი „ოქრომრავალი“ კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი. თბილისი.
- მაისურაძე ბ., ფანცხავა ლ. 1984: შილდის სამლოცველო. თბილისი.
- მაკალათია ს. 1938: ჯეგე-მისარონის კულტი ძველ საქართველოში. თბილისი.
- მშვილდაძე მ. 2005: რომი და აღმოსავლური რელიგიები ახ. წ. I-III სს. თბილისი.
- ნემსაძე გ. 1969: ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964-1966 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები. სსმაე, (რედ. ალ. ჯავახიშვილი), გვ. 45-57. თბილისი.
- ნიკოლაიშვილი ვ., შატბერაშვილი ვ. 2010: სხალთის ნამოსახლარი და სამაროვანი. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში. (რედ. გ. გამყრელიძე). გვ. 432-433. თბილისი.
- რამიშვილი რ. 1975: ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები არაგვის ხეობაში, ძმ, № 39. (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე). გვ. 7-15. თბილისი.

- რამიშვილი ქ. 1999:** ნადირობის სცენები არაგვისპირის ვერცხლის სურებზე – ძიებანი, №3, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი (ოთ. ლორთქიფანიძე რედ.), გვ. 71-75. თბილისი.
- სულაგა ნ. 2010:** ბრინჯაოს ნივთებზე ”ფანტასტიკური” ცხოველების გამოსახულებების გავრცელების შესახებ, ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, №19, გვ. 154-157. თბილისი.
- სულაგა ნ., კალანდაძე ნ. 2005:** გვიანბრინჯაოს ხანის ქრონოლოგიის ზოგიერთი საყრდენი არტეფაქტის არქეოლოგიური და ტექნოლოგიური კვლევა (ნახევარწრიული აბზინდები, ყუამილიანი ცულები, შტანდარტები სამთავროსა და ბრილის სამაროვნის მასალების მიხედვით), აკადემია, № 6-7. თბილისი.
- სულაგა ნ., აღაპიშვილი თ., პატარიძე მ., ჩაგელიშვილი რ., ბუხსიანიძე მ., გოგაშვილი დ., ქორიძე ი., მამარდაშვილი გ., ბაქრაძე ი., კირთაძე ნ., სურმავა ნ., ხელაია თ., კალანდია თ. 2014:** მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. თბილისი.
- ფუტკარაძე ტ. 2014:** ქართველოლოგიის შესავალი, თბილისი.
- ქობალაია ა. 2010:** მეგრული ლექსიკონი. თბილისი.
- ცანავა რ. 1982:** კირკეს მითოსური სახე და ქართული სამონადირეო ღვთაებები. ქართული ფოლკლორი, XII, გვ. 117-136. თბილისი.
- ჭილაშვილი ლ. 2004:** ნეკრესის უძველესი ქართული წარწერები და ქართული დამწერლობის ისტორიის საკითხები. თბილისი.
- ჭყონია ან. 1981:** ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. ვანი, ტ. VI. (რედ. ოთ. ლორთქიფანიძე). თბილისი.
- ხიდაშელი მ. 1982:** ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში. თბილისი.
- Аполлоний Родосский 1964:** Аргонавтика, IV, გრ. წერეთლის თარგმანი. თბილისი.
- Абакелия Н. 1991:** Миф и ритуал в Западной Грузии. Тбилиси.
- Векуа А. 1984:** Животный мир Восточной Грузии в эпоху энеолита по материалам поселения Арухло (VI-IV тыс. до н. э.). Человек и её окружающая среда, (ред. Т. Чубинашвили), сс. 91-122. Тбилиси.
- Гомер:** Одиссея X: 133-574.
- Лордкипанидзе От., Путуридзе Р., Матиаშвили Н., Квирквелия Г., Чкония А., Пирцхალავა М., Кипиანი Г., Инаури Г. 1995:** Археологические исследования Ванского городища, ПАИ в 1987 году. Тбилиси.
- Луконин В. Г. 1969:** Культура сасанидского Ирана. Москва.
- Мачабели К. 1976:** Позднеантичная торевтика Грузии. Тбилиси.
- Никулина 1994:** Искусство Ионии и Ахеменидского Ирана. Москва.
- Урушадзе Н. 1988:** Древнегрузинское пластическое искусство. Тбилиси.
- Садрадзе 1993:** Археологические памятники „ Мцхета великой„ эпохи средней бронзы. Вопросы хронологии и периодизации рамятников Шида-Картли. Тбилиси.
- Фармаковский Ф. 1916:** Архаический период в России, МАР, вып. 34. Москва.
- Фрай Р.1972:** Наследие Ирана. Москва.

Boardman J. 1970: Greek gems and finger rings, Early Bronze A to Age to Late Classical. London.
Furtwangler A., Gagoshidze I., Lohr H., Ludwig N. 2008: Iberia and Rome – The excavations of the palace at Dedoplist Gora and the Roman influence in the Caucasian Kingdom of Iberia. Langenweibbach.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I-1. ღორის ქანდაკება (პროფილი), ბრინჯაო, ძვ. წ. VIII-VII სს. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან.

ტაბ. I-2. იგივე ქანდაკება მუცლის მხრიდან.

ტაბ. I-3. იგივე ქანდაკება ანფასში.

ტაბ. I-4. ღორის ქანდაკება, ბრინჯაო, ძვ. წ. VI-V სს. ნარეკვავე, № 41 სამარხი.

ტაბ. I-5. ფეხებზეაყვანილი ტახის საკიდი ფიგურა, ოქრო, არმაზისხევი, № 6 სამარხი.

ტაბ. I-6. სამაჯური შემკული ტახის სკულპტურული გამოსახულებებით, ოქრო, ძვ. წ. V ს. ვანი, № 11 სამარხი.

ტაბ. I-7. დიადემა ტახზე ლომების თავდასხმის სცენით, ოქრო, ძვ. წ. V-IV სს. ვანი, № 6 სამარხი.

ტაბ. I-8. საბეჭდავი ბეჭედი, ფარაკიანი, ვერცხლი, ძვ. წ. IV ს-ის მეორე ნახევარი, ვანი, № 19 მდიდრული სამარხი.

ტაბ. II-1. ტახის რელიეფური თავი ვერცხლის თასის ძირზე, ახ. წ. VI-VII სს. ჭერემისხევი, შემთხვევით აღმოჩენა.

ტაბ. II-2. მოოქროვილი ჯვარი ჭერემისხევის თასის ფსკერზე.

ტაბ. II-3. ტახებზე ნადირობის სცენა ვერცხლის სურაზე, ახ. წ. III ს. არაგვისპირი, № 13 სამარხი.

ტაბ. II-4. ტახისა და ძაღლის შერკინების სცენა ვერცხლის პინაკის ფსკერზე, ახ. წ. III ს. ზღუდერი, № 2 ხის სარკოფაგი.

ტაბ. II-5, 6. ტახზე ნადირობის სცენები ძვლის ფირფიტებზე დედოფლის გორიდან, ახ. წ. I ს.

ტაბ. II-7. ერთმანეთის პარალელურად დაკრძალული ორი ტახი, გვიანელინისტური სამარხი, შეუპოვარი.

ტაბ. III-1. ტახებსა და ირმებზე ღვთაებრივი ნადირობის სცენა ბრინჯაოს სარტყელზე, ძვ. წ. VIII-VII სს. თლიას სამაროვანი, სამარხი № 76.

ტაბ. III-2. „ფანტასტიკური არსება“ და გმირთა სამეულის ღვთაებრივი ნადირობის სცენა ირმებსა და თხებზე, ძვ. წ. VIII-VII სს. სამთავროს სამაროვანი, № 211 სამარხი.

ტაბ. III-3. „ფანტასტიკური ცხოველის“ გამოსახულება ეტრუსკულ ფარებზე, ძვ. წ. VIII-VII სს.

ტაბ. III-4. ტახის გამოსახულება ვერცხლის ბეჭდის ფარაზე, ძვ. წ. IV ს. ვანი, № 19 სამარხი.



1



2



3



4



5



6




7




8



1




2



3



4




5



6




7



1

2



3



4

უფლისციხეში აღმოჩენილი მუსიკალური საკრავები

უფლისციხე - კლდეში ნაკვეთი უძველესი ქალაქი - ცნობილია ქართული წერილობითი წყაროებით და არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილი მდიდარი მონაპოვრით. ამჟამად ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს უფლისციხეში აღმოჩენილი უძველესი მუსიკალური საკრავები.

საქართველოს არქეოლოგიურ მონაპოვარში მუსიკალური საკრავები ძალიან ცოტაა. უფლისციხეში კი სამი სხვადასხვა სახის მუსიკალური საკრავია აღმოჩენილი: ჩასაბერი, დასარტყამი და სიმებიანი (სალამური, დოლი და ჩანგი).

უფისციხეში - ყათლანიხევის ნამოსახლარის გათხრისას, საკულტო ნაგებობაში აღმოჩნდა წარმართული სალოცავი, რომელიც ასოცირდება და დაკავშირებულია “დიდი დედა” ნანას კულტთან. სალოცავში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ღვთაებისადმი შეწირული ნივთები: თიხის ჭურჭელთა ნაწილები, კვერის გაცვეთილი კოხები და სხვა. მათ შორის აღსანიშნავია ძვლისაგან დამზადებული სალამური. გამთხრელის მიერ სალოცავი დათარიღებულია ძვ.წ. მეორე ათასწლეულის მეორე ნახევრით (ხახუტაიშვილი 1964: 24). ქვემოთ ვიძლევი სალამურის აღწერილობას.

სალამური (ტაბ.I¹)

სალამური ძვლისა (ტაბ.I), დაზიანებულია. დამზადებულია ფრინველის ლულოვანი ძვლისაგან, შუა ნაწილში ერმჩნევა ნახვრეტი.შემორჩენილი სიგრძე-7,5სმ, უდიდესი დმ-0,7სმ, უმცირესი დმ -0,4სმ, ნახვრეტის დმ-0,2სმ .

სალამური არქეოლოგიურ მონაპოვარში საქართველოს ტერიტორიაზე საკმაოდ ხშირად გვხვდება. იგი უძველესი ჩასაბერი სამუსიკო საკრავია. სალამური ორგვარია: უენო და ენიანი. ტემბრი რბილი და მსტვენავია.იცვლება ჩაბერვის ძალის მიხედვით.

უფლისციხის მსგავსი ძვლის სალამური აღმოჩენილია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩოლოქის ნამოსახლარზე. იგი უენო სალამურის უძველეს სახეობას წარმოადგენს. მისი სიგრძე 20 სმ-ია.სალამური ძვ.წ.XV_XIV სს-ით თარიღდება (ჩავლეიშვილი 1988:29) . დაახლოებით ამავე პერიოდისაა მცხეთაში, სამთავროს სამაროვანზე გამოვლენილი „პატარა მწყემსის საფლავში“ აღმოჩენილი გედის წვივის ლულოვანი ძვლისაგან დამზადებული სალამური (ჩუბინიშვილი 1955:40) . ძვლის

სლამური აღმოჩნდა აგრეთვე ნარეკავის ნამოსახლარზე, ძვ.წ. VI საუკუნით დათარიღებულ ფენაში (დავლიანიძე რ., სადრაძე ვ. 1993:) და ქარელის მუნიციპალიტეტში – „დედოფლის გორაზე“, I საუკუნით დათარიღებულ ფენაში (Furtvengler, Gagoshze, Lohr.H. , Ludvig N. 2008)

სპეციალისტთა დაკვირვებით, ჩასაბერ საკრავთა წარმოშობა ბუნების მიერაა ნაკარნახევი. ქარიშხლის მიერ გადატეხილმა ლერწამმა „ქარის მობერვისას“, სტვენისმსგავარი ბგერები გამოსცა. ამ მოვლენას დაუკვირდა პირველყოფილი ადამიანი. მოჭრა ლერწამი, ჩაბერა ღარში და იგივე სტვენისებური ბგერები მიიღო. დაახლოებით ასეთივე ბგერებს გამოსცემდა ცხოველთა და ფრინველთა ლულოვანი ძვლები დამუშავებისას (ხუჭუა 1987: 28). ადამიანი იმასაც დაუკვირდა, რომ წვრილი და მოკლე ლერწამი ან ძვალი მაღალ ბგერებს გამოსცემდა, ხოლო გრძელი და მსხვილი ლერწმები და ძვლები – შესაბამისად დაბალს. ასე ჩაისახა სლამური და სხვა ჩასაბერი საკრავები.

ჩანგი (ტაბ. I²)

ჩანგზე დამკვრელის ლეგა ფერის თიხის პატარა ფიგურა – ტერაკოტა აღმოჩნდა უფლისციხეში – „ბამბების ნამოსახლარზე“ – ძვ. წ. VII-VI სს-ით დათარიღებულ ფენაში. მეჩანგე გადმოცემულია დაკვრის მომენტში, მჯდომარე პოზაში. მას ნიღაბი უკეთია და ჩაჩისმაგვარი ქუდი ახურავს (ინვ. N 82-52). განაზომები: სიმაღლე – 6,2 სმ; სიგანე – 4,5 სმ. უფლისციხელ მეჩანგე მუსიკოსს ხელთ აქვს ჩანგისებრი საკრავი, რომელსაც მუსიკათმცოდნე მ. შილაკაძე ლირას (ქნარს) უწოდებს (შილაკაძე მ. 1970: გვ. 57). როგორც ჩანს, ქართული მუსიკალური ინსტრუმენტების კრებულში მრავალძალიანი სიმებიანი საკრავებიც ითვლებოდა, რაც მუსიკალური კულტურის საკმაოდ განვითარებულ დონეს გულისხმობს. მუსიკოსის მორთულობა (ტანსაცმელი, ნიღაბი, თავსამკაული) გვახარაუდებინებს, რომ ამ დროს საკმაოდ განვითარებული ყოფილა არა მარტო მუსიკალური კულტურა, არამედ აქტიორული ხელოვნებაც. უფლისციხელი ჩანგზე დამკვრელი მუსიკოსის ფიგურა კომპოზიციის ნაწილი ჩანს. შესაძლოა, იგი რომელიღაც წარმართულ დღესასწაულთან დაკავშირებულ სცენას წარმოადგენდა (ხახუტაიშვილი დ. 1964: 73-74).

ჩანგზე დამკვრელი ბრინჯაოს ფიგურა ცნობილია ყაზბეგის განძიდან. იგი წარმოადგენს ბრინჯაოს ქანდაკება – შტანდარტს. ერთ მხარეს გამოსახულია ჩანგზე დამკვრელი მამაკაცი, რომელსაც ერთი ხელი საკრავის ბოლოზე აქვს წავლებული, ხოლო მეორეთი სიმებს ეხება. შტანდარტის მეორე მხარეზე გამოსახულია ფარიანი მამაკაცი, რომელიც თითქოს ნახტომისთვის ემზადება. ეთნოგრაფი ნიკო რეხვიაშვილი განიხილავს რა ყაზბეგურ ქანდაკებას, მიიჩნევს, რომ იქ მოცემულია ყელზარაკიანი ზვარაკის შეწირვისას ჰიმნის საკრავით შესრულება (ალავიძე, რეხვიაშვილი 1964).

დოლი (ტაბ.II)

უფლისციხეში- „ბამბების ნამოსახლარზე“__ ძვ. წ. VII_VI სს-ით დათარიღებულ ფენაში, ჩანგზე დამკვრელი მუსიკოსის გამოსახულებასთან ერთად , აღმოჩნდა მეორე ტერაკოტა, რომელზედაც დოლზე დამკვრელი მუსიკოსი არის გამოსახული. ფიგურა მჯდომარე კაცს გამოსახავს,რომელსაც მარცხენა ხელში ტყავადაკრული დერგისებრი ნივთი-დოლი უჭირავს. განაზომები:სიმაღლე-4,5 სმ, სიგანე -3სმ (ხუნდაძე ნ. 2007: 17)

უძველეს საკრავთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანია დოლი. საინტერესოა მისი წარმოშობის ისტორია. ხის ფულუროში მოკალათებული გარეული ფუტკრის თუ ფრინველის ბუდის ძებნისას პირველყოფილი ადამიანი ადიოდა ხეზე , ხის ტანზე ქვის ან კეტის კოდალისებური კაკუნით მიაგნებდა ფულუროს, სადაც მას საკვები ეგულებოდა. მან შეამჩნია , რომ ფულუროზე დარტყმით გამოიციმოდა საკმაოდ ძლიერი გუგუნი. ასე „აღმოაჩინა“ მან დოლი და დაიწყო მისი კეთება მოჭრილ ხეზე ფულუროს ამოზურღვით, შემდეგ თიხის ქოთანზე ცხოველთა ტყავის გადაკვრით. დოლმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა პირველყოფილ ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში(ხუჭუა 1987: 30)

როგორც განხილული ძეგლების ანალიზიდან ჩანს, მუსიკალური კულტურის მანიშნებელი მნიშვნელოვანი ნივთები - ძვლის სალამური, ტერაკოტებზე გამოსახული ჩანგზე დამკვრელი მუსიკოსი და დოლზე დამკვრელი მამაკაცი,რომლებიც აღმოჩენილია უფლისციხეში არქეოლოგიური კვლევა-ძიებისას, საფუძველს გვაძლევს საქართველოში უძველესი დროიდან ჩასაბერი, სიმებიანი და დასარტყამი ინსტრუმენტების არსებობა ვიგულისხმობთ და შესაბამისად, მუსიკალური კულტურის მაღალი დონე ვივარაუდობთ.

ლიტერატურა

ალავიძე დ., რეხვიაშვილი ნ.1964: ჩანგი,ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, N5, თბილისი
დავლიანიძე რ., სადრაძე ვ. 1993: ნარეკვავის ნამოსახლარი და სამაროვანი, თბილისი
ჩავლეიშვილი ი. 1988: მესაქონლეობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში
გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში.- კრებ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს
არქეოლოგიური ძეგლები,თბილისი

ჩხიკვაძე გ. 1955: სამუსიკო საკრავი ებანი და მისი რაობა, მასალები საქართველოს
ეთნოგრაფიისათვის, VII, თბილისი

ჩუბინიშვილი ტ. 1957: მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი
ხახუტაიშვილი დ.1964: უფლისციხე,I, 1957-1963წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების
შედეგები, თბილისი

ხუნდაძე ნ.2007: უფლისციხე . კატალოგი, თბილისი

ხუჭუა პ. 1987: მუსიკის სამყარო, თბილისი



Furtvengler, Gagoshidze ,Lohr H., Ludvig N.2008: Iberia and Rome,Berli

1


I



2



II



თ. ბიბილური, ა. ნონეშვილი, ი. ბიბილური, კ. ფაჩოშვილი

თემის წყალსაცავის მშენებლობის ზონაში და მშენებლობის მიმდებარე ტერიტორიაზე
2019 წ. განხორციელებული არქეოლოგიური კვლევის ანგარიში

„რაც შეეხება ამ ხეობის ისტორიულ წარსულს, ის დღემდე შეუსწავლელია და ამიტომ მას ნაკლებად ვიცნობთ“ (პროფ. სერგი მაკალათია)

შესავალი.

სახელმწიფო შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ მდ. თემის ზემო წელში, სოფ. ჩაჩუბეთსა და სოფ. რკონს შორის შიდა (შიდა ქართლის რეგიონი, კასპის მუნიციპალიტეტი), დაგეგმილია წყალსაცავის მშენებლობა. აიპ „საქართველოს მემკვიდრეობის“ თავმჯდომარე დოქტ. კახა ტრაპაიძე) ექსპედიციამ (ხელმძღვანელი დოქტ. თეიმურაზ ბიბილური*), წყალსაცავის მშენებლობის ზონაში და მშენებლობის ზონის მიმდებარე ტერიტორიაზე, განახორციელა კომპლექსური - არქეოლოგიურ-სახელოვნებათმცოდნეო კვლევა (საფუძველი: ხელშეკრულება სპეციალური შესყიდვების შესახებ 483/19-2019.29.VIII; არქეოლოგიური სამუშაოებისსანებართვო მოწმობა N 6/17/109-2019.28.10 **).

ზოგადი მიმოხილვა. ა. ისტორიულ-გეოგრაფიული კონტექსტი: 1. წერილობითი წყაროების ცნობები თემისა და მისი შენაკადების ხეობების შესახებ. ქართულ ნარატიულ საისტორიო წყაროებში, თუ არ ჩავთვლით ვახუშტი ბატონიშვილის ენციკლოპედიურ ნაშრომს "აღწერა სამეფოსა საქართველოსა" [1973], თემის ხეობის შესახებ, სრულიად არაა მონაცემები. სიგელ-გუჯრებშიც არაა

*) ექსპედიციის შემადგენლობა: ხელ-ლი დოქტ. თემურ ბიბილური; სამეცნ. კონსულტანტი - დოქ. კახა ტრაპაიძე, მენეჯერი - გიორგი ტრაპაიძე, არქეოლოგები - დოქ. ალექსანდრე ნონეშვილი, მაგისტრი - ივანე ბიბილური; ხელოვნებათმცოდნე - სალომე გოგოლაური; არქიტექტორი - კახი ფაჩოშვილი; ტოპოგრაფი - ნოდარ ყავლაშვილი; ფოტოფიქსაცია - თემურ ბიბილური, ივანე ბიბილური, კახი ფაჩოშვილი, ანა ჭოლაძე; თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტები ნელი გაჩეჩილაძე, მიქაელ გურგენიძე, მარიამ ზარიძე, ქრისტინე კასრაძე, ანა ჭოლაძე; მუშა-პრეპარატორები - სიმონ ახალკაცი, ბესიკ გოჩიაშვილი, ნიკოლოზ მაკარაშვილი, მურმან კავთიაშვილი, ხვთისო მერებაშვილი, გენადი ოხანაშვილი, ხვიჩა პაპიაშვილი, ზურა ქიქოძე, მძღოლები თეიმურაზ კუბათაშვილი, ზურაბ ჯავახიშვილი.

მეგზურობას გვიწევდა სოფ. რკონის მცხოვრები ბატონი მერაბ გაზაშვილი, რისთვისაც მას გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ.

***) დახმარებისათვის მადლობას ვუხდით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურის უფროსს ქალბატონ ლეილა თუმანიშვილს, თანამშრომლებს ბატონ თენგიზ ჩოლოყაშვილს, ბატონ გიორგი ბურჯანაძეს.

ამ მხრივ სიუხვე. გვაქვს აკად. ექვთიმე თაყაიშვილის წყალობით გადარჩენილი, 1259 წლით დათარიღებული, შინაარსითა და ინფორმაციის სიმდიდრით სრულიად უნიკალური ისტორიული ძეგლი - ერისთავთ-ერისთავ კახა თორელის რკონის მონასტრისადმი მიძღვნილი შეწირულობის სიგელი; რკონის პატარა ეკლესიის წარწერამ შემოგვინახა თემურ ლენგის მარბიელი ლაშქრის მიერ რკონის მონასტრისა და მიმდებარე დასახლებული პუნქტების გავერანების ამბავი [ჯავახიშვილი ივ.1982:304]; გვაქვს კიდევ რამდენიმე საისტორიო მონაცემი, მაგრამ ისინი, ამ კონკრეტული მიკრორაიონის კვლევის საქმეში დიდად ვერ გვწევენ წინ.

ერთი, რაც დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ ისაა, რომ საკვლევი ტერიტორია, თემის ხეობის უდიდეს ნაწილთან ერთად, XII-XIII საუკუნეებიდან შედიოდა თორელთა (ჯავახიშვილთა), მფლობელობაში, რაზეც თვალნათლივ მიუთითებს ერისთავთ-ერისთავ კახა თორელის რკონის მონასტრისადმი მიძღვნილი შეწირულობის სიგელი; მოგვიანებით, გადადის სააკაძეთა საკუთრებაში. თუმცა, ამ დროის რაიმე ნივთიერი საბუთი (ცხადია, აქ არ ვგულისხმობ რკონის სამონასტრო კომპლექსში შემავალ ნაგებობებს) არ მოგვეპოვება - თემის ხეობის შუა და ზემო წელი არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, ფაქტობრივად შეუსწავლელია.

ამ ფაქტზე, 1959 წ. გამოსულ, თემის ხეობისადმი მიძღვნილ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნარკვევში, ყურადღებას ამახვილებდა პროფ. სერგი მაკალათია: „რაც შეეხება ამ ხეობის ისტორიულ წარსულს, ის დღემდე შეუსწავლელია და ამიტომ მას ნაკლებად ვიცნობთ [1959:5]. მკვლევარი დანაწევრებით აღნიშნავდა, რომ „...მხოლოდ არსებული მატერიალური კულტურის ძეგლებისა და მცირე და ნაწყვეტი წერილობითი ცნობების მიხედვითაა შესაძლებელი ზოგადად მაინც გაშუქდეს მისი ისტორიული წარსული“ [1959:5].

ნივთიერი კულტურის ძეგლებს რაც შეეხება, აქ გარკვეულ სირთულეებს ვაწყდებით, რადგან თემის ხეობის საკვლევი ნაწილი, განსხვავებით შუა და ქვემო მონაკვეთებისაგან, როგორც უკვე ვთქვი, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით, ფაქტობრივად შეუსწავლელია.

განსვენებული მკვლევარის აღნიშნული ნაშრომის გამოქვეყნებიდან სამოცი წლის შემდეგაც, ამ მხრივ, ისევ და ისევ, თემის ხეობის შუა და ზემო წელთან მიმართებაში, მდგომარეობა თითქმის უცვლელია - საფუძვლიან, ინტერდისციპლინარულ შესწავლას ვინ ჩივის, ქართველოლოგიური მეცნიერების ცალკეული დარგების მხრივაც კი, არავითარი კვლევა არ წარმოებულა.

ვითარება კი, ამ მეტად მნიშვნელოვანი მიკრორაიონის წარსულის შესასწავლად, დღეისათვის გაცილებით გაუარესებულია; მეტიც, ზოგიერთი მიმართულებით (მაგ., ონომასტიკის თითქმის ყველა სემანტი, ეთნოგრაფია) წარსულის ძალზედ ბევრი ნიშანი უიმედოდაა დაკარგული, ან ისეა დამახინჯებულ-გაუცხოებული, რომ მისი თავდაპირველი დასახელების მიკვლევა პრაქტიკულად შეუძლებელია. სამწუხაროდ, მიზეზი ტკივილამდე ბანალურია - ხეობის ამ ნაწილში რამდენჯერმე თითქმის მთლიანად შეიცვალა მოსახლეობა. ავთოხთონი მოსახლეობის - ეთნიკური ქართველების ერთი ჯგუფი, ჩაანაცვლა ასევე ქართული მოსახლეობის მეორე ჯგუფმა, რომელიც გასული საუკუნის

40-50-იან წლებში გასახლეს ხეობიდან და ჩაასახლეს ქვემო ქართლსა (სამგორი) და კახეთში (დედოფლისწყარო). ჟამთა სიავისა და სხვა, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ქართული მოსახლეობის ადგილს, ნაწილობრივ იკავებს შიდა ქართლში ჩრდილოეთ კავკასიიდან გვიან შუასაუკუნეებში ჯერ ინფილტრირებული, შემდეგ კი, XIX საუკუნის მე-2 ნახევრიდან, ქართველი დიდგვაროვნების ნაწილის სიხარბისა და არაშორსმჭვრეტელური ქმედებების გამო, მასიურად ჩამოსახლებული ოსური ეთნოსი... [თოფჩიშვილი რ. 1997; ვახტანგაშვილი მ. 2017]. XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, თემის ხეობის საკვლევი მონაკვეთი თითქმის საერთოდ დაცლილია მოსახლეობისაგან...

ცხადია, გარე ფაქტორებმა და ქართველების გაუაზრებელმა, არც თუ გონივრულმა დამოკიდებულებამ საკუთარი მიწისადმი, ბევრი უარყოფითი მომენტი და მეტად დამაზიანებელი ასპექტების გააქტიურება გამოიწვია, რის შედეგებსაც დღეს ვიმკით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და, თუ ჭკუას არ მოვუხმეთ, მომავალში კიდევ უფრო მეტი უბედურება გველოდება....

განხორციელებული კვლევითი სამუშაოების მომხილვა.

მდ. თემის ხეობის ჩაჩუბეთ-რკონის მონაკვეთზე მჭიდრო და ინტენსიური ცხოვრების კვალია შემორჩენილი. ეს, განსაკუთრებით ითქმის, მდ. თემისა და მისი მარცხენა შენაკადების, ვიცხას, ეკლესიის წყლისა და ფიცვის ორხევეზე, სადაც ბუნებრივ დამრეც ტერასებზე მიყოლებით, გვერდიგვერდ დავაფიქსირეთ არა ერთი დიდ-პატარა ნამოსახლარი, ერთმანეთისაგან გამიჯნული მცირე, კანიონის მაგვარი მშრალი ხევეებით; მოსახლეობის ასეთი სიმჭიდროვე არცაა გასაკვირი, რადგან რკონამდე „...არს თემამი ვენახ-ხილითა ნაყოფიერი“ [ვახუშტი. 1973:341,23]. ენციკლოპედისტს კვერს უკრავენ დღევანდელი ტოპონიმები - ნავენახარი, ნაწისქვილარი...ამას დავუმატოთ მდ. თემისა და მისი შენაკადების აუზებში მეცხოველეობისათვის არსებული ერთობ ხელსაყრელი გარემო. თუმცა, მხოლოდ ეს ფაქტორები არ განაპირობებდა ადამიანის მიერ ამ ტერიტორიის ინტენსიურ ათვისებას.

თემის ხეობის ზემო წელი (ჭყოპიანისა და რკონის მიდამოები), მდიდარი ყოფილა სხვადასხვა წიაღისეულით - „აქა არს ლითონი ბრპენისა მრავალი, იტყვიან ვეცხლსათა“ [ვახუშტი. 1973:341,21-22];

და კიდევ, თემის ხეობაზე გადიოდა გზები, რომელთაც არა მარტო სავაჭრო, არამედ სამხედრო-სტარატეგიული მნიშვნელობაც გააჩნდა. მათი მეშვეობით საკვლევი მიკრორაიონი უკავშირდებოდა: ა. თემის ხეობის ზედა და ქვეთა მონაკვეთებს; ბ. ტანას ხეობას; გ. თორ-ჯავახეთსა და ა. შ. ამ გზებისა და ნაგზეურების კვალი აქა-იქ დღემდეა შემორჩენილი (სურ.137).

ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ შიდა ქართლის ამ ლოკალური რაიონის ათვისება, საკმაოდ ადრეული დროიდან დაიწყო და აქტიურად ხორციელდებოდა გვიან შუასაუკუნეებამდე.

თემის ხეობის საკვლევ მონაკვეთზე, ნივთიერი ძეგლებიდან, დღეის მდგომარეობით, უადრესია რკონის სამონასტრო კომპლექსში შემავალი VII ს. მე-2 ნახევრით დათარიღებული მარიამ ღვთისმშობ-

ბლის სახელობის სამნავიანი ბაზილაკა. თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ საფუძვლიანი კვლევის შედეგად, უფრო ადრეული ეპოქის ძეგლების კვალიც გამოვლინდება. ექსპედიციის სავსე სამუშაოების უპირველესი მიზანიც სწორედ ეს იყო - შეგვესწავლა უკვე ცნობილი და გამოგვევლინა ახალი არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ობიექტები, რომლებიც დატბორვის არეალში ექცეოდნენ. სავსე სამუშაოების პირველ ეტაპზე, მაქსიმალური სისრულით აღვსუსხეთ და შევისწავლეთ სწორედაც, რომ ამ რიგის ძეგლები.

ექსპედიციის მიერ გამოვლენილი კულტურულ-ისტორიული ობიექტები რამდენიმე ჯგუფში გავაერთიანეთ: 1. მდ. თემძის მარჯვენა ნაპირზე არსებული გრძელი ქვაყრილები; 2. მდ. თემძისა და მისი მარცხენა შენაკადების ხერთვისებში არსებული მცირე და საშუალო სიდიდის ნამოსახლარები; 3. ცალკეული ნაგებობების ნაშთები მდ. თემძის ორივე ნაპირზე; 4. მშრალი წყობით ნაგები კედლები, უპირატესად თემძის მარჯვენა ნაპირზე; 5. დიდი დასახლება, რომელიც განცალკევებით დგას საკვლევ ზონაში გამოვლენილ-შესწავლილი ძეგლებიდან.

დაფიქსირებული ობიექტების მოკლე დახასიათებას ვიწყებთ მდ. თემძის მარჯვენა ნაპირზე რამდენიმე ადგილას არსებული გრძელი ქვაყრილებით.

I. გრძელი ქვაყრილები - სოფ. ჩაჩუბეთიდან სოფ. რკონამდე, მდ. თემძის მარჯვენა ნაპირზე (ძირითადად), რამდენიმე მონაკვეთში დავაფიქსირეთ რიყის ქვების სხვადასხვა სიგრძისა და სიგანის ზვინულები.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, გადავწყვიტეთ ერთი მათგანის, სოფ. ჩაჩუბეთიდან 2,8 კმ-ზე არსებული ზვინულის გაწმენდა (ქვაყრილი III; სურ. 11-13). ჯპს კოორდინატები 38 T 0437050; UtM 4632855; H – 788 მ. უშუალოდ მდინარის პირას კიდევ ერთი ქვაყრილია, რომელსაც უფრო საშუალო და დიდი ზომის რიყის ქვით ნაგები ყორე შეიძლება ვუწოდოთ (ქვაყრილი N 3-ა; სურ. 14). ჯპს კოორდინატები: 38 T 0437110; UtM 4632903; H – 787 მ. (სურ. 15)

მწვანე საფარის მოხსნისა და ზედაპირული პრეპარაციის შედეგად, უდავოდ დადგინდა, რომ ესაა მდინარის სეზონური წყალმოვარდნების დროს ჩამოტანილ-მოზვინული ქვაყრილები, რომლებისთვისაც აქაურ მაცხოვრებლებს ალაგ-ალაგ, საჭიროების მიხედვით, გარკვეული სიმწიფობრე მიუციათ; ცხადია, ისევ და ისევ მდინარისაგან სანაპირო ზოლის დასაცავად; მით უფრო, რომ თემძის, როგორც ეს ახასიათებთ მთის მდინარეებს, საკმაოდ დამანგრეველი წყალმოვარდნა სცოდნია. წყალდიდობის ერთი ასეთი კვალი დავაფიქსირეთ ჩაჩუბეთსა და რკონს შორის მონაკვეთზე, ადგილ ნაწისქვილართან, სადაც თვალნათლივ ჩანს, გასული საუკუნის 80-იან წლებში სტიქიის მიერ მოჭრილ-მოწყვეტილი ნიადაგის დიდი მასივი (სურ. 65,66).

II. დამცავი კედლები და ყორეები. მდ. თემძის საკვლევ მონაკვეთზე, ძირითადად მდინარის მარჯვენა ნაპირზე, დავაფიქსირეთ მშრალი წყობით ნაგები კლდისა და რიყის ქვის კედლები. ორ

შემთხვევაში, სამშენებლო მასალად გამოუყენებიათ კარგად დამუშავებული საშუალო ზომის სწორკუთხა ქვები.

- **კედლის ნაშთი I.** (სურ.17,18). ვიცხას ნამოსახლარის პირდაპირ. მდ. თეძმის მარჯვენა ნაპირზე. კე- დლის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, დიდი ალბათობით, აქ არსებული მცირე ხევის ორივე ნაპირზე არსებული ნასახლარის ნაშთი. ამაზე თვალნათლივ მიუთითებს ორ-სამ ადგილას რიყის ქვების წყობის ნაშთი. მოგვიანოდ, ნასახლარის ქვები გამოუყენებიათ აღნიშნული მცირე ხევიდან წამოსული მასისაგან ახლად გაყვანილი გზის დასაცავად აუგიათ.

კედლის დახასიათება. წყობა - მშრალი; მასალა - მცირე და საშუალო ზომის რიყის ქვა; შემორჩენილია 3-4 რიგი. ზომები. კედლის სიმაღლე (ფაქტობრივი მდგომარეობით) -0,67-0,82; სიგრძე - 1,3,1,45; ცალკეული ქვების ზომები: 0,45x0,67; 0,56 x 0,72 და სხვ. ჯპს კოორდინატები: 38 T 0435804; UTM 4631062 (+, - 3 მ.); H-835 მ.

- **კედლის ნაშთი II.**(სურ.19). აღწერილი კედლიდან დასავლეთით, 200-დე მეტრში. ვფიქრობ, იგივე დანიშნულებითაა აგებული. კედლის დახასიათება. მშრალი წყობა; რიყის მოგრძო მოყვანილობის ქვები; შემორჩენილია წყობის 2-3 რიგი. ზომები. კედლის სიმაღლე (ფაქტობრივი მდგომარეობით) – 0,5-07; სიგრძე - 6-7 მ.; ცალკეული ქვების ზომები: 0,2x0,30; 0,24 x 0,4 და სხვ. ჯპს კოორდინატები: 38 T 0435657; UTM 4630809 (+, - 3 მ.); H-852 მ.

- **კედლის ნაშთი III.** (სურ.21,22). მდებარეობს მდ. თეძმის მარჯვენა ნაპირზე, რკონისაკენ მიმავალი საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს. ეს, საშუალო ზომის სწორკუთხა ქვებით ნაგები კედელი, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ნაპირის გასამაგრებლადაა აგებული. სხვა ფუნქცია, მისი მდებარეობიდან გამომდინარე წარმოუდგენელია. კედლის დახასიათება -მშრალი წყობა; რიყის საშუალო ზომის ქვებით. 10-12 რიგი; ზომები. კედლის სიმაღლე (ფაქტობრივი მდგომარეობით) – 1,1-1,45 ; სიგრძე - 9,8-11,5; ცალკეული ქვების ზომები: 0,2x0,45; 0,28 x 0,52; 0,31 x 0,62 მ.და სხვ.; ჯპს კოორდინატები: 38 T 0435562; UTM 4630739 (+, - 3 მ.); H-842 მ.

ყორეს ნაშთი (სურ.20). ნამოსახლარის ძირში, დავაკებაზე შემორჩენილია მშრალი წყობით, კლდისა და რიყის ქვით ნაგები ყორეს ნაწილი. სიგრძე (შემორჩენილი) – 11,7 მ.; ჯპს კოორდინატები: 38T0435827; UTM 4631487; H – 836 მ.

III. ნამოსახლარები. ნამოსახლარებისა თუ ცალკეული ნასახლარების უმეტესობა მდებარეობს მდ.თეძმის მარცხენა ნაპირსა და მისი შენაკადის ვიცხას, ასევე მარცხენა ნაპირზე. მცირე ფართობის ნამოსახლარები უმთავრესად მდინარეთა ნაპირების კლდოვან ტერასებზეა შეფენილი; შედარებით დიდი ნამოსახლარები კი, ნეკერჩხლისა და რცხილის (უპირატესად) ხშირი კორომებით დაფარულ, ნაკლებად დამრეც შეფერდებზეა ტერასულად გაშენებული.

საკვლევ მიკრორაიონში დაფიქსირებული მცირე და საშუალო ფართობიანი ნამოსახლარების ფონ-

ზე, მკვეთრად გამოირჩევა მდ. თემძისა და მისი მარცხენა შენაკადის ვიცხას ორხევი არსებული ნამოსახლარი, რომელიც საკმაოდ დიდ ფართობზეა განფენილი. ამ ნამოსახლარზე, ოდნავ მოგვიანებით, ვრცლად გვექნება საუბარი.

ნამოსახლარებზე არსებული ნაგებობები ნაშენია მშრალი წყობით; მასალად გამოუყენებიათ როგორც რიყის, ასევე ადგილობრივი კლდის სრულიად დაუმუშავებელი, ან ზერელედ ხელშეველებული ქვა. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება მეტ-ნაკლებად გულდასმით დამუშავებული ქვები.

ზემოთ ვთქვით და განვმეორდებით - მდ. თემძის აუზის შუა და ზემო წელი ინტენსიურადაა ათვისებული, ყოველ შემთხვევაში, განვითარებული შუასაუკუნეებიდან მაინც. თემძისა და მისი შენაკადების - შავწყალასა და ვიცხას ნაპირებზე, საცხოვრებლად მეტ-ნაკლებად შესაფერის თითქმის ყველა ფერდობზე ვხვდებით ნამოსახლარებს ან ადამიანის სამეურნეო საქმიანობის სხვა ნაშთებს.

ნასახლარების მთელი წყება დავაფიქსირეთ მდ. თემძის მარცხენა ნაპირზე, ვიცხას დასახლებიდან აღმოსავლეთით, მისგან 1,0-1,2 კმ-ს დაშორებით; ორიც, ვიცხას დასახლებიდან დასავლეთით, კანიონს გადაღმა.

ამ ნამოსახლარებს აერთიანებთ რამდენიმე ნიშანი: ა. ყველა მათგანი გაშენებული იყო დამრეცი, კლდოვანი ნაპირის ბუნებრივ ტერასებზე; ბ. ყველა შენობა მხოლოდ მშრალი წყობითაა ნაგები და სამშენებლო მასალად ადგილობრივი კლდის ქვიშაქვა და რიყის ქვაა გამოყენებული. მიუხედავად მათი ერთმანეთთან სიახლოვისა და ერთგვაროვნობის, რიგ შემთხვევაში, ფრაგმენტულობისა, მომაქვს თითოეული ობიექტის მოკლე დახასიათება, მარშრუტით ჩაჩუბეთიდან სოფ. რკონამდე.

მოკლედ თითოეული ობიექტის შესახებ.

- **ტყემლნარას ნამოსახლარები.** სოფ. რკონის (რომელსაც რატომღაც, ნასოფლარს უწოდებენ, თუმცა აქ ორი კომლი მუდმივად ცხოვრობს) მცხოვრები მერაბ გაზაშვილი (70 წლის), რომელიც მეგზურობას გვიწევდა, თემძის მარცხენა ნაპირის ერთ მონაკვეთს ტყემლანად მოიხსენიებს.

შესაბამისად, აქ გამოვლენილ ნასახლარებსაც ჩვენი საერთო ნუმერაციის გარდა დავუმატეთ შიდა ნომრებიც. მაგალითად, „ნამოსახლარი N 1 (ტყემლანა - 1). სულ ადგილ ტყემლანას ტერიტორიაზე მივაკვლიეთ ექვსი ნამოსახლარის ნაშთს. ნამოსახლარები მდებარეობენ მდ. თემძის მარცხენა ნაპირის დამრეც და ნაკლებად დამრეც კლდოვან ფერდობებზე.

ზოგიერთი დასახლების ადგილად შეურჩევიათ ფერდობზე არსებული მეტ-ნაკლებად სწორი ადგილი, ზოგიც ციცაბო, კლდოვან ფერდობზეა შეკიდული. პირველი ჯგუფის ნასახლარები დაფარულია ცხილნარისა და სხვადასხვა ჯიშის ბუჩქნარის ხშირი ამონაყარით, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის აქ არსებული ნაგებობების ნაშთების ზუსტ ფიქსაციას.

- **ნამოსახლარი I. (ტყემლანა - 1) N 1** ნამოსახლარი ტყემლანა - 1 მდებარეობს უსახელო ხეცსა (ჩვენი

მეგზურის თქმით - „ქვიშიანი ხევი“) და ეკლესიის წყალს შორის არსებულ კლდოვან და დამრეც ტერასაზე. დავაფიქსირეთ მშრალი წყობით, საშუალო და პატარა ზომის რიყისა და კლდის ქვებით ნაშენი, შვიდი ნაგებობის ნაშთი, რომელთაგან ორი გეგმაში თითქმის წრიული მოყვანილობის იყო. მოვახერხეთ ოთხი ნაგებობის ზომების აღება. სახლი N 1 (სურ. 23). - N-S - 12 - 13; NOO - SWW- 4,0; სახლი N 2 (სურ. 24). NWW - SOO - 3,0; სახლი N 4 (სურ. 25). - NOO - SWW- 7,8; სახლი N 7 (სურ. 26). - N-S - 12 - 2,8; O -W- 2,6

ისევე, როგორც თემის აუზის ზედა წელის სხვა ნამოსახლარებზე, აქაც კედლების ერთი რიგია შემორჩენილი. ჯკს კოორდინატები: W - 38T04 35650; UtM 4631777; H - 821მ.; O - 38T04 35653; UtM 4631787; H - 821მ. - ქვედა ტერასა; 38T0435942; UtM 4631597; H - 831მ.- ზედა ტერასა.

- **ნამოსახლარი N 2 (ტყემლანა - 2)** (სურ. 27-32). შედარებით დიდი ნამოსახლარია, რომელიც გაშენებულია ტყემლანა I დასავლეთით, ხშირი რცხილნარით დაფარულ ნაკლებად დამრეც ფერდზე. ნამოსახლარს O მხრიდან საზღვრავს უსახელო მშრალი ხევი. სამშენებლო მასალა და აგების ხერხი, იგივეა, რაც ყველა აქ არსებულ თანადროულ ძეგლზე. ნაგებობების ზომები: სახლი N 1 (სურ. 27)- N-S - 10,0 - 1,1; სახლი N 2 (სურ. 28) - N - S- 12,0; W - O -10,0; სახლი N 3 (სურ. 29) - NWW- SOO - 3,0; სახლი N 4 (სურ. 30) -W-O -4,0; N - S - 5,2 მ.; სახლი N 5 (სურ. 31). W - O - 5,5; N - S - 5,4 მ.; სახლი N 6 (სურ. 32). W - O - 2,6; N - S - 4,2 მ. ნამოსახლარის ჯკს კოორდინატები: W - 38T04 36067; UtM 46 31808; H - 821მ.; O - 38T04 356073; UtM 4631822; H - 820 მ. - ქვედა ტერასა

- **ნამოსახლარი 3 (ტყემლანა - 3)** (სურ. 33,33-ა). ნამოსახლარი ტყემლანა - III მდებარეობს ტყემლანა - 2 უშუალო სიახლოვეს, მისგან დასავლეთით 200-დე მეტრის დაშორებით. მას უკავია მომცრო ფართობი; დავაფიქსირეთ 2 ნაგებობის ნაშთი. ჯკს კოორდინატები: 38T0436747; UtM 4642458; H - 843 მ.

- **ნამოსახლარი 4 (ტყემლანა - 4)** აქაც, N 1 ნამოსახლარის მსგავსად, რამდენიმე შენობას ჰქონდა წრიული მოყვანილობა. ნაგებობების უმრავლესობას კედლების მხოლოდ ერთი რიგი ჰქონდა შემორჩენილი; გამონაკლისია N 5 შენობის ნაშთი, რომლის SOO მხარეს ქვის წყობის 4-5 რიგი დავაფიქსირეთ (სურ.).

ნამოსახლარი თითქმის მთლიანადაა დაფარული რცხილნარით, სხვადასხვა სახის ბუჩქნარითა და ხმელი ბალახით. მწვანე საფარის სიხშირის მიუხედავად, შევძელით ორი ნაგებობის ნაშთის ზომების აღება. ნაგებობების ზომები დიდად არ განსხვავდება, ჩვენს მიერ გამოვლენილ სხვა ნამოსახლარებზე დაფიქსირებული ნაგებობების ზომებისაგან. რამდენიმე ნაგებობის მონაცემი: სახლი N 1(სურ. 34). N-S - 7,0; სახლი N 2 (სურ. 35) - NOO - SWW- 8,4; სახლი N 3 (სურ. 36) - NOO - SWW- 9,7 (+, - 1,0 მ.); სახლი N 5 (სურ. 38) - NOO - SWW- 6,2; სახლი N 4 (სურ. 37); სახლი N 6 (სურ. 39); სახლი N 7 (სურ. 40); ნამოსახლარის ჯკს კოორდინატები: 38T0436723; UtM 4642414; H - 849 მ.

ნამოსახლარი 5 (ტყემლანა - 5) (სურ. 24-30). ნამოსახლარი მდებარეობს ნაკლებად დამრეც ფერდობზე, რომელიც დაფარულია საკმაოდ ხშირი რცხილნარით (32-37). ნამოსახლარზე

დავაფიქსირეთ კუთხეებმომრგვალებული, თითქმის ოვალური გეგმარების სახლები. და, კიდეც - აქ, განსხვავებით ზემოთ აღწერილი ნამოსახლარებიდან, სამშენებლოდ გამოყენებულია გაცილებით დიდი ზომის ადგილობრივი კლდისა და რიყის ქვები (1,0 x 0,8; 0,9 x 0,8; 0,75 x 0,54 და ა. შ.). ცალკეული ნაგებობების ზომები: სახლი N 1 (სურ. 41) - 9,0 x 8,0; სახლ N 3 (სურ. 43) - 11,0 x 9,7 და ა. შ. ამ ფონზეც კი, გამოირჩეოდა N 6 თითქმის წრიული ნაგებობა, რომლის დიამეტრი 13,5 მ-ია. ნამოსახლარის ჯკს კოორდინატები: 38T0436671; UtM 4642387; H - 847-852 მ. (სურ.

- **ნამოსახლარი 6 (ტყემლანა - 6)** (სურ. 43-48). ნამოსახლარი გაშენებული იყო თემის მარცხენა ნაპირზე, უსახელო ხევსა და ეკლესიის წყალს შორის, 1-ელ ტერასაზე, N 7 ნამოსახლარიდან 120-130 მ. ნამოსახლარზე დავაფიქსირეთ 7 ნაგებობის ნაშთი, რომელთაგან მოგვაქვს ხუთის ფოტო და ჯკს კოორდინატები. ნაგებობები იმდენად არასრულადაა შემონახული, პლუს, დაფარული ხშირი ცხილნარით, რომ გეგმისა და ზომების განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელია. სახლი N 1(სურ. 44). ჯკს კოორდინატები: 38T0435840; UtM 4631516; H - 831 მ.; სახლი N 2 (სურ. 45). ჯკს კოორდინატები: 38T0435854; UtM 4631658; H - 828 მ.; სახლი N 3 (სურ. 46). ჯკს კოორდინატები: 38T0435854; UtM 4631658; H - 828 მ.; სახლი N 4 (სურ. 47). ჯკს კოორდინატები: 38T0435830; UtM 4631518; H - 833 მ. სახლი N 5 (სურ. 48). ჯკს კოორდინატები: 38T0435832; UtM 4631528; H - 837 მ.

რამდენიმე ნასახლარი დავაფიქსირეთ მდ.თემის მარცხენა ნაპირზე, უსახელო ხევსა და ეკლესიის წყალს შორის.

-**ნამოსახლარი 7.** მდებარეობს უსახელო ხევსა და 8 ნამოსახლარს შორის. პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ნამოსახლარი. შემორჩენილია ერთ ათეულამდე უწესრიგოდ მიმოფანტული რიყის ქვა.

- **ნამოსახლარი 8** (სურ. 49-51). ნამოსახლარი, მსგავსად N 6-სა გაშენებული იყო თემის მარცხენა ნაპირზე, უსახელო ხევსა და ეკლესიის წყალს შორის; მხოლოდ არა 1-ელ, არამედ მე-2 ტერასაზე, N 1 ნამოსახლარიდან 120-130 მ., ხოლო მდინარის ნაპირიდან 260-280 მ.დაშორებით. ნამოსახლარის ზომები: W - O -190 (+, - 10) მ.; N - S - 65 (+, -10) მ. ნაგებობები იმდენად არასრულადაა შემონახული, რომ ერთის გარდა, გეგმისა და ზომების განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელია. ნაგებობა -1. ოვალური გეგმარების ნაგებობა: დმ. - 12,8 (+, - 1) მ. ნამოსახლარის ჯკს კოორდინატები:38T0433562; UtM 4631647; H - 845 მ.

- **ნამოსახლარი 9** (სურ. 52-55). ნამოსახლარის გაშენებული იყო თემის მარცხენა ნაპირის 1-ელ, კლდოვან და საკმაოდ დამრეც ტერასაზე, უსახელო ხევსა და ეკლესიის წყალს შორის. მდ. თემამის ნაპირიდან დაშორება - 180-220 მ.ზომები: W - O - 67 (+, -10) მ.; N - S - 80 (+, -10) მ. დავაფიქსირეთ 6 ნაგებობა, რომელთაგან ოთხი ნაგებობის ზომების აღება შევძელით: სახლი N 1 (სურ. 52). W - O - 4,8; N - S - 5,6 მ. ჯკს კოორდინატები:38T 0435855; UTM 4631541 (+, -3); H-830 მ.; სახლი N 4 (სურ.53). W - O - 4,0; N - S - 5,2 მ. ჯკს კოორდინატები:38T 0435830; UTM 4631518 (+, -3); H-833 მ.; სახლი N 5 (სურ.54). W - O - 5,5; N - S - 5,4 მ. ჯკს კოორდინატები:38T 0435832; UTM 4631527 (+, -3); H-837 მ.;

სახლი N 6 (სურ. 55). W – O – 2,6; N – S – 4,2 მ.ჯკს კოორდინატები:38T 0435823; UTM 4631500 (+,-3); H-836 მ. სამშენებლო მასალა ადგილობრივი კლდის ქვიშაქვა და უპირატესად რიყის საშუალო და პატარა ზომის ქვები. წყობა - მშრალი.

ეკლესიის გორის ნამოსახლარები. ჩვენი მეგზურის მერაბ გაზაშვილის თქმით, ტყემლანადან დასავლეთით, ორ მცირე ხევს შორის მოქცეულ გორასა და მის კლდოვან დაფერდებას, ოსური მოსახლეობა,რომელიც ამ მიკრორაიონში გამოჩნდა XIX საუკუნის მე-2 ნახევრიდან, უწოდებდა ეკლესიის მთას (ვარიანტი - კლდე). მისივე ცნობით, ზემოთ ნახსენები მცირე ხევებიდან ერთის სახელია (გორადან აღმოსავლეთით) ეკლესიის წყალი, ხოლო მეორის (გარადან დასავლეთით) - ფიცესის ხევი. სწორედ ამ ხევებს შორის არსებულ ეკლესიის გორას კლდოვან და დამრეც ტერასებზე დავაფიქსირეთ რამდენიმე ნამოსახლარი, რომელთა მოკლე დახასიათებას აქ ვიძლევი.

- **ნამოსახლარი N 10 (ეკლესიის გორა-1). (სურ.56-60).** ნამოსახლარი, მსგავსად ამ მიდამოებში არსებული სხვა დასახლებებისა, მდებარეობს მდ. თემძის მარცხენა, კლდოვან დამრეც ნაპირზე. ნამოსახლარს დასავლეთიდან საზღვრავს ფიცესის ხევი, რომლის მარცხენა ფრიალო ნაპირს ებჯინება N - S ხაზზე მშრალი წყობით, კლდის ქვებით ნაგები ზღუდე (სურ.). ზღუდის შემორჩენილი სიგრძე - 19 (+,-3); სიგანე (შუა ნაწილში) – 2 ,0 მ. მ. N 7. W – O – 2,6; N – S – 2,8 მ. ნამოსახლარზე, კედლის გარდა დავაფიქსირეთ ორი ნაგებობის ნაშთი (სურ. 59,60). ჯკს კოორდინატები: 38 T 0435888; UTM 4631571 (+,- 3 მ.); H-837 მ.

ნამოსახლარი N 11 (ეკლესიის გორა - 2) (სურ. 61-63). ნამოსახლარი მდებარეობს ეკლესიის გორის 1-ლი ნამოსახლარის დასავლეთით, ეკლესიის ხევის მარჯვენა კლდოვან ნაპირზე არსებულ ტერასაზე. დავაფიქსირეთ რამდენიმე ნაგებობის ნაშთი. თვალსაჩინოებისათვის მომაქვს რამდენიმე მათგანის მონაცემები: სახლი N 1 (სურ. 61). 38 T 0435855; UTM 4631540 (+,- 3 მ.); H-830 მ.; სახლი N 2 (სურ. 61). W – O –4,0. N – S – 5,2 მ.; 38 T 0435854; UTM 4631534 (+,- 3 მ.); H-832 მ.; სახლი N 3 (სურ. 61). W – O –4,0. N – S – 5,2 მ.;38 T 0435840; UTM 4631516 (+,- 3 მ.); H-831 მ.; სახლი N 4 (სურ. 61). 38 T 0435830; UTM 4631518 (+,- 3 მ.); H-830 მ.; სახლი N 5 (სურ. 62). W – O – 5,5; N – S – 4,4 მ.38 T 0435832; UTM 4631527 (+,- 3 მ.); H-837 მ. ; სახლი N 6. (სურ. 63). W – O – 2.6; N – S – 4,2 მ.; 38 T 0435827; UTM 4631487 (+,- 3 მ.); H-827 მ.

ნამოსახლარი N 12 (ნაწისქვილარი). (სურ. 68,69); თემძის მარცხენა ნაპირი. ადგილი ნაწისქვილარი. ნაგებობის ნაშთი N 1. ზომები: W – O – 9,2; N – S – 7,8 მ. 38 T 0435637; UTM 4631146 (+,- 3 მ.); H-842 მ. ნაგებობის ნაშთი N 2. ზომები: W – O – 5,4; N – S – 3,4 მ. 38 T 0435701; UTM 4631189 (+,- 3 მ.); H-827 მ.

ნამოსახლარი N 13 (სურ.71). ნამოსახლარი მდებარეობს მდ. თემძის მარჯვენა ნაპირზე, საავტომობილო გზის ჩაჩუბეთი რკონის მონაკვეთის მარცხენა მხარეს; ვიცხას ნამოსახლარიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 1,9 კმ. დაშორებით. ჯკს კოორდინატები: 38 T 0435657; UTM 4630809 (+,- 5 მ.); H-852 მ.

-ნამოსახლარი N 14. სოფ. რკონის (სურ.69-69-ბ). სიახლოვეს. მცირედი დასახლება მდ. თემძის მარჯვენა ნაპირზე (სურ.). მშრალი წყობით ნაგები კედელი, მეტად ყორე ეთქმის. მასალა - უპირატესად სხვადასხვა ზომის (L – 1,05, H – 0,35; L – 0,65, H – 0,45; L-0,55, H-0,21 და ა. შ.) რიყის ქვა. კედლის სიგრძე, გარკვეული ხარვეზებით - 21,0, სიგან - 2,3-2,5; შემორჩენილი (?) სიმაღლე - 0,85 - 0,9 მ. (სურ.). ცალკეული ქვის ზომები: L – 1,05; , H – 0,65; L – 0,65; , H – 0,45...ყორედან ჩრდილოეთით ნასხლარის (თუ-ების?) ძალზედ ფრაგმენტული ნაშთები. ჯვს კოორდინატები: 38 T 0435657; UTM 4630809 (+,- 5 მ.); H-852 მ.

ვიცხას ნამოსახლარი. ექსპედიციის მიერ შესწავლილი ნამოსახლარებიდან გამოირჩევა თემძისა და ვიცხის ორხევეში, მდ. ვიცხას მარცხენა ნაპირზე არსებული ორი უბნისაგან შემდგარი ერთი მთლიანი დასახლება, რომელსაც პირობითად ვუწოდეთ „ვიცხას ნამოსახლარი“ *).

ვიცხას ნამოსახლარი აღმოსავლეთიდან განიერი ხევითა და მისი კიდედან 4-5 მ. დაშორებით, მშრალი წყობით ნაგები საკმაოდ მძლავრი კედლით იყო დაცული (სურ. 101-1-3); ჩრდილოეთიდან საზღვრავდა კლდოვანი მასივი, დასავლეთიდან საშუალო სიღრმისა და სიგანის ქვიანი კანიონი (სურ.72,73-ა). სამხრეთიდან დასახლების ბუნებრივ საზღვარს თემძის მარცხენა შენაკადი მდ. ვიცხა წარმოადგენდა (სურ.74,74-ა).. მისი ნაპირიდან იწყებოდა ტერასების წყება, რომლებიც ვიცხელებს გამოუყენებიათ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისა (მდინარიდან პირველი სამი ტერასა) და საცხოვრებლად (4 და 5 ტერასები).

სხვადასხვა სიგანის ტერასები, გაწელილი არიან აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოსაყენებელი ტერასები შედარებით ვიწროა, საცხოვრისად შერჩეულებისაგან განსხვავებით. ამ უკანასკნელების სიგანეა 57 (+,-3) (უკიდურესი ჩრდილო ტერასა, რომელზეც ნათლისმცემლის ეკლესია დგას) და 64 (+,-3) (მისგან სამხრეთით მდებარე). ტერასების სიგანე აღმოსავლეთ დასავლეთ მონაკვეთებში არათანაბარია. ნამოსახლარის საერთო ფართობი (ორივე უბნის) 114000 კვ. მეტრზე მეტია.

ვიცხას მშენებლები ყველანაირ კონსტრუქციის ასაგებად, მხოლოდ მშრალ წყობას იყენებდნენ. ეს სამშენებლო ხერხი საერთო ჩანს საკვლევ რაიონში.

მოკლედ თითოეული უბნის შესახებ. **I უბანი.** ადრეული ჩანს ვიცხას ნამოსახლარის აღმოსავლეთი უბანი, რომელსაც დიდი ალბათობით საკუთარი, წინარექრისტიანული საკულტო ადგილი გააჩნდა - ქვის კერპი, სამხრეთიდან სამსხვერპლო მოედნით (იხ. სურ. 75-84). [თ.ბიბილური.2020]

დასახლების I უბანი, II -სთან შედარებით, გაცილებით მცირე ფართობზეა გაშენებული. მას გააჩნდა

*) ვიცხას ნამოსახლარის შესახებ თ. ბიბილურის მიერ მზადდება გამოკვლევა.

როგორც ბუნებრივი, ასევე ხელთქმნილი საზღვრები. W მხრიდან უბანს დაუყვება მცირე, უსახელო

ხევი, რომლის მარცხენა ნაპირი, გარკვეულ მონაკვეთებში გამაგრებული იყო მოზრდილი ქვებით ნაგები კედლით. დიდი ალბათობით, აგებული წყალმოვარდნისაგან დასაცავად. თუმცა, თუ მისაღებია მოსაზრება, ამ უბნის ადრეულობისა და დროის გარკვეულ მონაკვეთში დამოუკიდებელი დასახლების სახით არსებობის თაობაზე, მაშინ შესაძლოა, ამ კედელს საფორთიფიკაციო დანიშნულებაც ჰქონოდა. [თ. ბიბილური. 2020].

კერპის სამხრეთით მშრალი წყობით ნაგები კედელია (მეტად, რაღაც ნაგებობის ნაშთი), რომელიც O მხრიდან ებჯინება ზემოთ ნახსენები კლდოვანი ბაქნის დასავლეთ კალთას (სურ. 87.87-ა). კედლის ზომები: სიგრძე - 10,4; სიმაღლე W მხარეს - 0,7; W-2 - 1,0; ცენტრი - 0,75. ცალკეული ქვების ზომები: 1. 2,0 x 1,5 x 0,7; 2. 1,6 x 1,6 x 0,55; 3. 1,42 x 0,75 x 0,65 ...ჯგუფს კოორდინატები - W - 38 T 04 35238; UTM 46 30642; H - 882 მ.;

ნაგებობის O მხარეს, N-S ხაზზე - ადგილობრივი კლდის დიდი ზომის ქვებით შედგენილი კედელი, რომლისგანაც შემორჩენილია მიწაში საკმაოდ ღრმად ჩაფლული (უფრო სწორად, მიწით დაფარული) ორი ლოდი და მისგან 3, 5 მეტრით დაშორებით - გამოირჩევა ზომებით გამორჩეული, საკმაოდ კარგად დამუშავებული კლდის ქვის მონოლითი (L - 4.2, H-1.03 (ხილული,საკმაოდ ღრმადაა ჩაფლული მიწაში), Q - 2.4 მ.). (სურ. 88). მსგავსი სიდიდისა და მეტ-ნაკლებად დამუშავებული ქვები ვნახეთ დასახლების W მონაკვეთში და ერთაწმინდიდან ჩაჩუბეთისაკენ და ჩაჩუბეთიდან რკონისაკენ მიმავალი გზის მარცხენა მხარეს.

აღნიშნული ნაგებობა, კერპის ტერიტორიას ჰყოფს სამოსახლო უბნისაგან და ებჯინება კლდის იმ მასივს, რომლის N ბოლოში აღუმართავთ საკერპო ქვა.

მოგვიანებით, უბანი, ისევე როგორც მთლიანი დასახლება, მოექცა ერთიანი თავდაცვითი სისტემის საზღვრებში, რომლის შესახებაც ოდნავ ქვემოთ მექნება საუბარი.

უბანზე მოვახერხეთ 11 ნაგებობის დაფიქსირება, თუმცა, მათი რაოდენობა, გამომდინარე განაშენიანების სიმჭიდროვიდან, გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო. გავწმინდეთ სამი სახლი და დავადგინეთ: ა) მათი გეგმა; ბ) მიმართება მიმდებარე სახლებთან.

სახლი N 1 (სურ. 89, 90). ჯგუფს კოორდინატები: 38 T 04 353248; UTM 4630594; ზომები: 7,1(N-S) x 3,1 (W-O). კედლების შემორჩენილი ნაწილის ასაგებად გამოუყენებიათ ადგილობრივი კლდის (უპირატესად) და რიყის სხვადასხვა მოყვანილობის ქვები.

სახლი N 1-ა (სურ. 94). ჯგუფს კოორდინატები: 38 T 04 353251; UTM 4630600; H - 871. ზომები: 2,5 (N-S) x 9,0 (W-O). კედლების შემორჩენილი ნაწილის ასაგებად გამოუყენებიათ ადგილობრივი კლდის (უპირატესად) და რიყის სხვადასხვა მომთხრობის ქვები. ქვების ზომები: 1. 0,6 x 0,35; 2. 0,4 x 0,3; 3. 0,42 x 0,17; 4. 0,5 x 0,38 მ.

სახლი N 2 (სურ. 89,91-93). ჯკს კოორდინატები: W მხარე- 38 T 04 35246; UTM 4630608; S მხარე - 38 T 0435251; UTM 4630651; N მხარე - 38T 04 35 249; UTM 4630613; O მხარე - 38 T 04 35 246; UTM 4630610; ზომები: 7,1(N-S) x 3,1 (W-O).

სახლი N 3 (სურ. 95). ზომები: 7,1(N-S) x 3,1 (W-O). ჯკს კოორდინატები: T 04 353246; UTM 4630608; H – 873;

სახლი N 4 (სურ. 96). ზომები: 7,6 (N-S) x 7,9 (W-O). ჯკს კოორდინატები: T 04 353269; UTM4630576; H – 876

სახლი N 5 (სურ. 97,98). ზომები: 6,3 (N-S) x 7,9 (W-O). ჯკს კოორდინატები: T 04 353247; UTM46300574 – N-დან; T 04 353251; UTM 4630563 H – 864 – S-დან.

სახლი N 7 (სურ. 99,100). ზომები: 6,4(N-S) x 7,2 (W-O). ჯკს კოორდინატები: T 04 353238; UTM 4630590 – N-დან; T 04 353244; UTM 4630571 S-დან. H – 869

სრული სურათის აღდგენა შესაძლებელი იქნება მხოლოდ სრულფასოვანი არქეოლოგიური გათხრების შედეგად.

II უბანი. ერთიანი დასახლების II უბანი, პირველთან შედარებით გაცილებით დიდია. არქეოლოგიური დაზვერვის შედეგად დავადგინეთ, რომ ვიცხის ნამოსახლარის ითანე ნათლისმცემლის ეკლესიის დაყოლებაზე არსებული უბანი (ჩვენი ნუმერაციით - უბანი - II) 82460 კმ. მ. ფართობზეა (W – O – 380,0 მ.; N – S – 217 მ.) გავრცელებული და გამოირჩევა მჭიდრო განაშენიანებით.

უბანი მდ. ვიცხის მარცხენა ნაპირზე, 5 ბუნებრივ ტერასაზეა გაშენებული. ზედა, ფართობით დიდი ორი ტერასა, გამოყენებულია საცხოვრებლად, ხოლო მათგან სამხრეთით არსებული სამი - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენებოდა. ყველა ტერასის ძირი გამაგრებული იყო კლდისა და რიყის (შედარებით იშვიათად) სხვადასხვა ზომის ქვებით (სურ.105-108).

მერაბ გაზაშვილის ინფორმაციით, ამ ტერასებზე, გასული საუკუნის 70-80-იან წლებშიც თესავდნენ ქერს. თუმცა, ვიცხას დასახლება იმ დროისათვის დიდი ხანია რაც ნასოფლარად იყო ქცეული. მისი თქმით, „ივანენიში“ (როგორც მას ოსი მოსახლეობა უწოდებდა) პაპამისის მახსოვრობაშიც უკაცრიელი ადგილი იყო. სხვათა შორის, მე-3 ტერასის W - O ხაზზე საკმაოდ კარგადაა შემორჩენილი ძველი ხნულების კვალი (სურ..).

უბანს, დასავლეთიდან საზღვრავდა განიერი და მშრალი, კლდოვანი კანიონის მაგვარი დამრეცი ხევი; აღმოსავლეთით, უბანი მოქცეული ვიცხას დასახლების ერთიანი ზღუდის შიგნით, რომელიც N – S ღერძზე დაუყვებოდა მკვეთრად დამრეც კალთებიან, განიერი, მშრალი წყობით კარგად ნაგები კედელი. აღნიშნული კედელი ხევის პირს კი არ მიუყვებოდა, არამედ მისგან დაშორებული იყო 3-4 მეტრით (დაშორება ხევის ნაპირის მოხაზულობის მიხედვით). დასახლებას ჩრდილოეთიდან გააჩნდა ბუნებრივი ზღუდე - კლდოვანი მასივი (სურ. 105).

დასახლების უბნებიც გამოიჯნული იყო ერთმანეთისაგან ბუნებრივი საზღვრით - კლდოვანი ხევით (სურ. 101-103). დაზვერვების შედეგად გაირკვა, რომ დასახლებას, რომელიც რამდენიმე, შეიძლება ითქვას, დამოუკიდებელი სეგმენტისაგან შედგებოდა, ჰქონდა საკმაოდ რთული და კარგად გააზრებული გეგმარება.

თავისი მდებარეობით ერთგვარად დომინანტური მდგომარეობა უჭირავს დასახლების საკულტო ცენტრს - მოსახლეობაში „ნათლისმცემლის ნიშად ცნობილ, იოანე ნათლისმცემლის სახელზე აგებულ ეკლესიას, რომელიც დგას ზედა N ტერასის, უკიდურეს NO მხარეს და ნასახლარს საზღვრავს ჩრდილოეთიდან (სურ. 112-113-ა) *). ეკლესიის აღმოსავლეთით, 9-10 მ. დაშორებით დიდი ზომის ქვების წყობა, რომელიც უდავოდ, ეკლესიის ასაგებად მომზადებული ტერასის ძირის გასამაგრებლად იყო შექმნილი (სურ. 113-ა,113-ბ). კონსტრუქციის ფაქტობრივი სიგრძე - 31,0;სიმაღლე - 1,2 მ. ცალკეული ქვების ზომები: 1,6 x 1,1; 1,3 x 1,0; 1,7 x 1,2; 0,9 x 0.7 და სხვ. კომპლექსის ჯკს კოორდინატები: P 0 -38 T 04 351 52; UTM 46 305 40; H - 896; P 2 -38 T 04 351 46; UTM 46 305 39; H - 894 მ.; P 2 -38 T 04 358 46; UTM 46 305 47; H - 895 მ.;

ცენტრალური ტერასის (ნათლისმცემლის S მხარეს 1-ლი ტერასა) დამცავი ყორიდან ჩრდილოეთით, მთელ სიგრძეზე გარკვეული ინტერვალებით, ერთმანეთისაგან არათანაბარი მანძილით დაშორებული, მეტ-ნაკლებად დამუშავებული მონოლითებია ჩადგმული (სურ. 115-117) : I-სა და II-ს შორის მანძილი 42,5 მ.; II-სადა III-ს შორის - 35 მ.; III-სა და IV-ს შორის - 79,4 მ.; IV-დან V მდე - 51,0 მ.; V -VI - 62,0 მ. ასევე არათანაბარია ცალკეული ქვების დაშორება ტერასის დამცავი კედლიდან; ასე მაგალითად, II ქვიდან ტერასის პირამდე მანძილი 20,5; III -დან -33,8; IV-დან -15; V-დან -10,0 მ-ია; ცხადია, ასეთი სხვაობა განპირობებულია რელიეფის მოხაზულობით, რადგან მონოლითები ერთ ხაზზეა განლაგებული.

მონოლითების ჯკს კოორდინატები: I - 38 T 04 351 97; UTM 46 305 79; h - 872 მ.;

II - 38 T 04 351 66; UTM 46 305 52; h - 870 მ.;

III - 38 T 04 351 34; UTM 46 305 34; h - 868 მ.;

IV - 38 T 04 35014; UTM 46 30480; h - 864 მ.

1-ელ და მე-2 მონოლითს შორის მივაკვლიეთ ქვების წყობას, რომელიც თავდაპირველად მივიჩნიეთ ორ მონოლითს შორის არსებულ დამცავი კედლის ნაწილად, თუმცა გაწმენდის შემდეგ გაირკვა, რომ ესაა დიდი ზომის ორი ნაგებობების ნაშთი. ამაზე ქვემოთ.

ძალზედ საინტერესო ჩანს დასახლების II უბნის დასავლეთი მონაკვეთი, სადაც შემორჩენილია დი-

*) ნათლისმცემლის ეკლესიის კვლევა განახორციელა ხელოვნებათმცოდნე სალომე გოგოლაურმა. ქალბატონ სალომეს ნაშრომი წინამდებარე ანგარიშს ერთვის.

დრონი ქვებით შექმნილი სხვადასხვა ტიპის კონსტრუქციების ნაშთები (სურ. 115,116). დიდი ქვები გამოყენებულია რამდენიმე შენობის ასაგებადაც. მათი დანიშნულების გარკვევა მომავალი კვლევის საქმეა. და კიდევ. აქ დავაფიქსირეთ ისეთივე მონოლითი, როგორც დასახლების I უბნის NO კუთხეში

სურ. 117). ზომები: L- 4,7 ; Q-1,4; H-1,64-1,71.

ჯპს კოორდინატები: 38 T 04 349 41; UTM 46 304 95; H – 871 მ.

დასახლების II უბანს სამხრეთიდან ესაზღვრება სამი, განსხვავებული სიგანის ტერასა, რომელიც გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის, უპირატესად მაინც, ხორბლეულის დასათესად. ამ მიზნით, ეს ტერასები, დასახლების გაუკაცრიელებიდან საუკუნეების შემდეგაც იმავე მიზნით გამოიყენებოდა ჯერ თემძის ხეობის ამ მონაკვეთის ქართველი მოსახლეობის, ხოლო XIX ს. მე-2 ნახევრიდან მოსული უცხო ეთნოსის - ოსების მიერ.

თავდაცვითი სისტემა. „ადრე შუა საუკუნეების „ხერთვისებში“ (ორი მდინარის შესაყარში) აგებული ციხეები მარტო იმიტომ კი არ შენდებოდნენ აქ, რომ ორი მხრიდან მდინარით იყვნენ მოზღუდულ-მიუვალნი, არამედ იმიტომაც, რომ ამ ორ მდინარეს ორი გზა მოჰყვებოდა, ე.ი. აქ გზასაყარაც იყო (ხერთვისი, სამშვილდე, დმანისი, ლორე და სხვა.) [ბერძენიშვილი დ.1968:51] და „ადრე და შუა ფეოდალური ხანის საქართველოს ციხეთა უმეტესობას ზედ ეკრა მეტ-ნაკლები სიდიდის სოფელი (ხაზი ჩემია-თ. ბ.).... [იქვე. 53].

ვიცხას დასახლებას, როგორც უკვე ვთქვი, აღმოსავლეთიდან აკრავს ბუნებრივი საზღვარი - საკმაოდ განიერი და მკვეთრად დამრეცი ღრმა ხევის სახით. თუმცა, ვიცხელები არ დაკმაყოფილებულან ბუნებრივი ზღუდით - კლდისა და რიყის სხვადასხვა ზომის ქვით აუგიათ საკმაოდ მძლავრი კედელი, რომელიც სამხრეთით უშუალოდ ებჯინებოდა მდ. ვიცხას შვეულ ნაპირს; ჩრდილო მხარეს I უბანს საზღვრავს, კი ზემოთ, არაერთგზის ნახსენებ იმ კლდის მასივს (გნებავთ - მცირე პლატოს), რომლის N მხარეს აღმართავთ საკერპო ქვა (სურ. 128,129); II უბანს საზღვრავდა - ასევე კლდოვანი მასივი. ზედაპირული დაკვირვებით ისე ჩანს, რომ აღმოსავლეთის ზღუდეს ჰქონდა ორი, შიდა და გარე პერანგი, ხოლო მათ შორის სივრცე ამოვსებული იყო მცირე ზომის რიყის ქვით. თუ რამდენად მართებულია ჩემი ეს ვარაუდი, ამის გარკვევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ სრულფასოვანი არქეოლოგიური კვლევის შემდეგ.

ერთი მომენტი, რომელმაც მიიქცია ყურადღება -კედელი აგებულია არა ხევის პირზე, არამედ მისგან 3-4 მეტრის დაშორებით.

ვიცხას დასახლებას დასავლეთის მხრიდან საზღვრავს განიერი (18-24 მ.), საშუალო სიღრმისა (3-5 მ.) და სირთულის მშრალი, კლდოვანი ხევი (სურ. 130,131). თუმცა, სახელი „მშრალი ხევი“ ძალზედ პირობითია. ჩემი ვარაუდით, ნალექის დროს, ამ ხევისათვის წყალმოვარდნა უცხო არ უნდა იყოს.

ჯპს კოორდინატები: 38 T 04 34824; UTM 46 30557; H – 876-883 მ.

ხევის მარჯვენა, კლდოვან ნაპირზე, ორიოდ მცირედი ზომის ნაგებობის ნაშთი დავაფიქსირეთ (სურ. 134,135). ჯკს კოორდინატები: 38 T 04 349 41; UTM 46 304 95; H – 876 მ. ნაგებობის ნაშთებიდან 10-0დე მეტრში, მისგან SSO მხარეს, მ. გურგენიძემ აღმოაჩინა ღია ჩალისფრად გამომწვარი მცირე ზომის ჯამის ძირ-გვერდის 3 ნატეხი (სურ. 136).

საცხოვრებლად სრულიად გამოუსადეგარი კლდოვანი, უსწორმასწორო ფერდობი მავარაუდები

ეხს, რომ აქ საქმე გვაქვს არა ჩვეულებრივ საცხოვრისთან, არამედ სადარაჯო ან რაღაც ამდაგვარი ნაგებობის ნაშთებთან.

ხევის მარცხენა ნაპირზე დავაფიქსირეთ ქვის, მშრალი წყობით ნაგები, კედლის მონაკვეთი (N – S, N-დან O-კენ 41 გრად.). წყობის ხილული ნაწილის სიგრძე - 14,5 მ. კედლის ერთი მონაკვეთი დაფარულია მიწით. არ გამოვრიცხავ, რომ გათხრის შემთხვევაში შევძლებთ ვიცხას დასახლების დასავლეთის დამკავი კედლის ხელშესახები ნაწილის გამოვლენა-შესწავლას (სურ.132,133).

ჯკს კოორდინატები: 38 T 04 34890; UTM 46 305 43; H – 876 მ.

კედლის ამ წყობიდან აღმოსავლეთით, 40-დე მეტრში - N-S ღერძზე (18 გრდ. W-კენ), ერთ რიგად განლაგებული სამი, საშუალო ზომის ქვა. ზომები: N – 0,7x0,6; შუა - 1,0 x 0,7; S – 1,1 x 0.8 მ. ჯკს კოორდინატები: 38 T 04 34995; UTM 46 305 60; H – 894 მ.

ამ შემთხვევაშიც, შემდგომი კვლევის გარეშე, შეუძლებელია გავიგოთ ამ ქვების დანიშნულება. ამ, მეტად საინტერესო და არც თუ მცირე ინფორმაციის შემცველი საფორთიფიკაციო სისტემის მაქსიმალურად სრული სურათის აღდგენა, ისევ და ისევ მხოლოდ გათხრების მეშვეობითაა შესაძლებელი.

უბანზე დავაფიქსირეთ რამდენიმე ათეული ნაგებობის ნაშთი (ეს წინასწარული მონაცემები, დიდი ალბათობით, ეს მონაცემები სრულფასოვანი გათხრების შემდეგ შეიცვლება,) რომლებიც განლაგებულია იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სამხრეთით, სამხრეთ-დასავლეთითა დასამხრეთ-აღმოსავლეთით. მათი ფუნქციის შესახებ დასკვნების გაკეთება, კვლევის ამ ეტაპზე ნაადრევად მიმაჩნია, თუმცა, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ნაგებობების უმეტესობა სწორედაც, რომ საცხოვრებელ სახლებს წარმოადგენდა. ზოგიერთი ნაგებობა, მათ ასაშენებლად გამოყენებულქვების ზომებიდან და გეგმარებიდან გამომდინარე, უდავოდ განსხვავებული მიზნითაა შექმნილი. **სახლი N 1** (სურ.118). მდებარეობს უბნის დასავლეთ მონაკვეთში, კანიონიდან 20 (+,- 3 მ.) დაშორებით. ზომები: N – S – 4,0; W – O – 4,6 მ.

სახლი N 2 (სურ. 119). მდებარეობს უბნის დასავლეთ მონაკვეთში, კანიონიდან 20 (+,- 3 მ.) დაშორებით, N 1 სახლის უშუალო სიახლოვეს, მისგან აღმოსავლეთით. ზომები: N – S – 4,0; W – O – 6,0 მ. ჯკს კოორდინატები: 38 T 04 351 78; UTM 46305 11; h – 881 მ.

სახლი N 3 (სურ. 120). მდებარეობს უბნის ცენტრალური მონაკვეთის სამხრეთ ნაწილში. ისევე როგორც დასახლების ყველა სახლი, ნაგებია ადგილობრივი კლდისა და რიყის (იშვიათად) საშუალო

და მცირე ზომის ქვებით, ხსნარის გარეშე. ზომები: N – S – 4,2; W – O – 5,5 მ. ჯპს კოორდინატები: 38 T 04 351 71; UTM 46 305 10; h – 881 მ.

სახლი N 4 (სურ. 121). მდებარეობს უბნის ცენტრალური მონაკვეთის სამხრეთ ნაწილში, N 3 უშუალო სიახლოვეს. ისევე როგორც დასახლების ყველა სახლი, ნაგებია ადგილობრივი კლდისა და რიყის (იშვიათად) საშუალო და მცირე ზომის ქვებით, ხსნარის გარეშე. ზომები: N – S – 5,1; W – O – 7,2 მ. ჯპს კოორდინატები: 38 T 04 351 67; UTM 46 305 04; h – 881 მ.

სახლი N 5 (სურ. 122). მდებარეობს უბნის ცენტრალური მონაკვეთის სამხრეთ ნაწილში. მას სამხრეთიდან ესაზღვრება სახლი N 4. ისევე როგორც დასახლების ყველა სახლი, ნაგებია ადგილობრივი კლდისა და რიყის (იშვიათად) საშუალო და მცირე ზომის ქვებით, ხსნარის გარეშე. ზომები: N – S – 5,0; W – O – 6,0 მ. ჯპს კოორდინატები: 38 T 04 35022; UTM 46 305 03; h – 871 მ.

სახლი N 6 (სურ. 123). მდებარეობს უბნის ცენტრალური მონაკვეთის სამხრეთ ნაწილში. მას სამხრეთიდან ესაზღვრება სახლი N 5, აღმოსავლეთიდან - N 7. ისევე როგორც დასახლების ყველა სახლი, ნაგებია ადგილობრივი კლდისა და რიყის (იშვიათად) საშუალო და მცირე ზომის ქვებით.

ზომები: N – S – 3,5 (+,- 0,6); W – O – 4,7 (+,-0,3) მ. ჯპს კოორდინატები: 38 T 04 351 63; UTM 46 305 88; h – 879 მ.

სახლი N 7 (სურ. 124). მდებარეობს უბნის ცენტრალური მონაკვეთის სამხრეთ ნაწილში. მას დასავლეთიდან ესაზღვრება სახლი N 6. სამშენებლო მასალად გამოუყენებიათ ადგილობრივი კლდისა და რიყის (იშვიათად) საშუალო და მცირე ზომის ქვებით. ზომები: N – S – 3,2 ; W – O – 4,2 მ. ჯპს კოორდინატები: 38 T 04 351 47; UTM 46 305 78; h – 878 მ.

სახლი N 8 (სურ. 125). მდებარეობს უბნის ცენტრალური მონაკვეთის ცენტრალურ ნაწილში. ნაგებია ადგილობრივი კლდის საშუალო და მცირე ზომის ქვებით. ზომები: N-S-3,2; W – O – 4,2 მ. ჯპს კოორდინატები: 38 T 04 351 37; UTM 46 305 73; h – 876 მ.

სახლი N 11. (სურ. 126). ნათლისმცემლის ეკლესიიდან SW - მხარეს, 150 მეტრის დაშორებით. ასაგებად გამოუყენებიათ დიდი ზომის (0,9x0,85; 1,2x1,15...). კლდის ქვა. ჯპს კოორდინატები: 38 T 04 351 08; UTM 46 30618; h – 898 მ.

უბნის ცენტრალურ ნაწილში, უკიდურეს სამხრეთ მხარეს, ტერასის დამცავი ყორიდან 4,8 მ. გაიწმინდა მშრალი წყობით ნაგები შენობის ნაშთი. კერძოდ, სამხრეთის (სიგრძე-8,5, სიგანე -1,7 მ.) და აღმოსავლეთის (სიგრძე-3,0, სიგანე - 1,7 მ.) მონაკვეთები. ნაგებობას N მხრიდან ესაზღვრება კიდევ ერთი, საკმაოდ დიდი ნაგებობა (W-O – 15,0; N-S – 6,4 მ.) (სურ. 127,127-ა).

ვიცხას ნამოსახლარის II უბანზე ამ ეტაპზე ცნობილი შენობებიდან, ეს ორი უდავოდ გამოირჩევა ზომებით. ისინი მეტ სიახლოვეს იჩენენ ვიცხის ნამოსახლარის I უბანზე შესწავლილ NN 1, 2 და 1-ა სახლებთან.

დასკვნის მაგიერ.

ჩვენ სრულად გამოვიკვლიეთ ის ტერიტორია, რომელიც თემის წყალსაცავის პროექტის დასრულების შემდეგ დაიფარება წყლით. სხვაგვარად, ტექნიკური დავალების ძირითადი ნაწილი დასრულებულია და პროექტის განხორციელებას წინ არაფერი უდგას; თუმცა, სავსე სამუშაოების ანგარიშის ამ ნაკვეთს შემთხვევით არ ვუწოდებთ დასკვნის მაგიერ.

დასკვნის მაგიერ იმიტომ, რომ დასახლების შესახებ, რომლის ფართობი 114000 კვ. მეტრს აღემატება, ამასთან გამოირჩევა მოსახლეობის სიმჭიდროვითა და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობების სიმრავლით, კვლევის ამ ეტაპზე, მხოლოდ დაკვირვების პირველადი შედეგების მიწოდებაა შესაძლებელი დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

რეალური დასკვნების გაკეთება კი, მხოლოდ სკრუპულოზური სავსე-არქეოლოგიური კვლევის შედეგად გახდება შესაძლებელი

სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვათ, რომ შიდა ქართლის ტერიტორიაზე, შუასაუკუნეების დროის, მსგავსი სიდიდისა და რაც მთავარია, ჩვენს დრომდე ძალზედ კარგად შემონახული დასახლება, მეორე არ მეგულება.

ვიცხას დასახლება თავისი მასშტაბებითა და მნიშვნელობით გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ სოფლის ტიპის სამოსახლო. იმისათვის, რომ დაიდოს ხელშესახები და პირუთენელი ინფორმაციის შემცველი შედეგი, ჩვენი ღრმა რწმენით, აუცილებელია გაგრძელდეს ძეგლის კვლევა.

- ძეგლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, წყალსაცავის პროექტის განხორციელების პარალელურად, უნდა განხორციელდეს ვიცხას ნამოსახლარის სრულფასოვანი არქეოლოგიური კვლევა, რათა თავიდან ავიცილოთ ძალზედ მნიშვნელოვანი და დიდი ისტორიული ინფორმაციის მატარებელი ძეგლის მოსალოდნელი დაზიანებით გამოწვეული სრულიად გამოუსწორებელი შედეგები.

აღნიშნული ნამოსახლარის კვლევა მით უფრო საჭიროა და დავამატებდით - აუცილებელიც, რადგან ის სწორედაც, რომ იმ დროის ძეგლია, როდესაც თემის ხეობისა და მისი შენაკადები დასახლებულია მხოლოდ მკვიდრი, ქართული ეთნოსით და, რომ ნივთიერი კულტურის ყველა ძეგლი, ავთოხთონი მოსახლეობის ეთნოკულტურის შემოქმედების შედეგია...დასკვნების გამოტანა კოლეგებისა და საზოგადოებისადმი მიმინდვია.

არქეოლოგიური კვლევა უნდა გაგრძელდეს, რათა:

- არ განადგურდეს არქეოლოგიური ობიექტების გარკვეული ნაწილი. კერძოდ, წყლით დაიფარება ნაგებობების საკმაოდ დიდი რაოდენობა, მათ შორის აღმოსავლეთით არსებული თავდაცვითი ზღუდის ქვედა მონაკვეთი, ხოლო შუა ნაწილი ექცევა დატბორვის ზონის უშუალო სიახლოვეს, რაც ცხადია, ზრდის მათი დაზიანება - განადგურების საფრთხეს;

- შევისწავლოთ დატბორვის ზონაში მოქცეული ნამოსახლარის 1-3 და ნაწილობრივ, 4 ტერასები,

- გამოვავლინოთ დასახლების ადრეული დროის ფენები;

- განზღვროთ დასახლების ადგილი და როლი, თემის აუზის ზედა მონაკვეთში (და არა მხოლოდ) არსებულ დასახლებათა შორის;

- შესწავლილ იქნას დასახლების ეთნიკური ისტორია, რაც მოგვცემს გასაღებს თემის ხეობის მოსახლეობის წარსულის რეალური სურათის წარმოსაჩენად;

- სრულად გამოვიკვლიოთ წარმართულ სალოცავად მიჩნეული ადგილი, რომლის შესწავლაც არაერთ საინტერესო დეტალს გამოავლენს;

- შევისწავლოთ დასახლების საფორთიფიკაციო სისტემა. ეს ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენს სინამდვილეში არც თუ მრავლადაა შუასაუკუნეების დროის, ცალკე აღებული დასახლების თავდაცვითი ნაგებობები;

- მივაკვლიოთ ასეთი მჭიდრო და საკმაოდ ვრცელი დასახლების სამაროვანს.

-განხორციელდეს ვიცხას ნამოსახლარის ფუნქციონირების მთელი სპექტრის (რაგვარობა,სიმჭიდროვე, მეურნეობის უმთავრესი დარგები, დროითი ჩარჩოები) განსაზღვრა; ეს კი, მხოლოდ სტაციონალური არქეოლოგიური კვლევის შედეგადაა შესაძლებელი.

ვიცხას ნამოსახლარზე სრულფასოვანი არქეოლოგიური გათხრების ჩატარების შემთხვევაში, პირველად განხორციელდება:

ა) თემისა და მისი ზედა წელის შენაკადების აუზების სრულყოფილი არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული, ისტორიულ-გეოგრაფიული და სახელოვნებათმცოდნეობითი კვლევა;

ბ) კომპლექსურად და სრულად იქნება შესწავლილი შიდა და ზემო ქართლის მოსაზღვრე რაიონში არსებული შუასაუკუნეების კარგად შემონახული და, რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, მრავალმხრივ საინტერესო დასახლება;

გ) დასახლება, რომელიც არაერთი საყურადღებო ინფორმაციით გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას ეპოქის შესასწავლად;

დ) მომზადდება ნათლისმცემლის ერთნავიანი ეკლესიის კონსერვაცია-რესტავრაციის პროექტი;

და, ბოლოს - ექსპედიციის მუშაობის ყველა ეტაპზე, როგორც საველე, ასევე თეორიულ კვლევაში, ჩართული არიან თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის შესაბამისი სპეციალობების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები. ამადაც არის ეს პროექტი განსაკუთრებით ღირებული.

ბიბლიოგრაფია

ა. წერილობითი წყაროები

- ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქ-ს ც-ა; IV. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი. 1973
- ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. ქ-ს ც-ა; II . ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი. 1959
- გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გ. გელაშვილის გამოცემა. 1. თბილისი. 1962
- დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. ტ. 1. 1940
- ვახტანგაშვილი მ. ოსთა განსახლების საკითხისათვის XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში. სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი 2017
- მროველი ლეონტი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა ... ქ-ს ც-ა; -I. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი. 1955
- მროველი ლეონტი.მატიანე ქართლისაი. ქ-ს ც-ა; -I. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი. 1955
- ორბელიანი პ. ამბავი ქართლისანი. ელ. ცაგარეიშვილის გამოცემა. თბილისი. "მეცნიერება". 1981
- ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. ქ-ს ც-ა; -I. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი. 1955
- ტფილელი იოსებ. დიდმოურავიანი. გ. ლეონიძის გამოკვლევიტა და რედაქციით. თბილისი. 1939

ბ. ლიტერატურა

ბერიძე ვ. სამცხის ხუროთმოძღვრება. თბილისი. 1955;

ბერძენიშვილი დ.ციხეთა შესწავლის ზოგიერთი საკითხი. ძ. მ. 1968. N14

ბერძენიშვილი დ. ისტორიულ-გეოგრაფიული დაზვერვები თემის, ხოვლისა და ატენის მიდამოებში. ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა XIII სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი. 1971

ბერძენიშვილი დ. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი - თორი, ჯავახეთი. გამ. "მეცნიერება". თბილისი. 1985

ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. I. თბილისი. 1963

- ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის. მეორე გამოცემა. რედ. დ. ბერძენიშვილი. გამ. "მეცნიერება". თბილისი. 1990

გამრეკელი ვ. სავაჭრო კავშირები აღმოსავლეთ საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის XVIII ს-ში. თბილისი. 1968

გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები - შიდა ქართლი“, თბ., 1983

გვრიტიშვილი დ. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV-XVII სს.). ტ. 2. თბილისი.1965

ვახტანგაშვილი მ. ოსთა განსახლების საკითხისათვის XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში. სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი 2017

მაკალათია ს. თემის ხეობა. თბილისი.1960

თოფჩიშვილი რ. საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები. თბილისი. 1997.

მაკალათია ს. ბორჯომის ხეობა. თბილისი.1955

მაკალათია ს. ლეხურას ხეობა. თბილისი.1967

მაკალათია ს. ატენის ხეობა. თბილისი. 1957

მაკალათია ს. კავთურას ხეობა. თბილისი.1960

მელიქსეთ-ბეგი ლ.. არქეოლოგიური მოგზაურობიდან კავთურას ხეობაში 1923 წელს. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. ტფილისი. 1925

მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. 1.თბილისი.1977

მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. 2. თბილისი. 1980

მუსხელიშვილი ლ. თორელთა გენეალოგიის გარკვევის ცდა. სსმმ. X-B. თბილისი. 1940

მუსხელიშვილი ლ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები ნ. ბერძენიშვილის შრომებში. "მაცნე". N 2. თბილისი. 1965

რჩეულიშვილი ლ. ძველი ნასახლარები ბორჯომ-ბაკურიანის მიდამოებში. ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები.თბილისი.1994

ტატიშვილი თ. მასალები ტანას ხეობის ისტორიული გეოგრაფიისათვის. საქართველოს ისტორიულ- გეოგრაფიული კრებული. ტ. 2. თბილისი. 1964

ყუბანეიშვილი ს. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია. ტ.1, თბილისი. 1996.

ჩიტაია გ. ქსნის ხეობის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში. მოამბე, IV, თბილისი. 1939

ხარაძე კ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი. თბ., 1992.

ჯავახიშვილი ივ. საქართველოს მეფე და მისი უფლებები.თხზ. 12 ტომად. ტ. 12. თბილისი. 1998

ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია. თხზ. 12 ტომად. ტ. 3. თბილისი. 1982

Гакстгаузен. Закавказский край, ч. II, СПб, 1857.

Думбадзе М., Ломидзе Б., Лорткипанидзе М. К истории нагорной Картли в V-XVIII вв. კრებ. „საქართველოს მთიანეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი ფეოდალიზმის ხანაში“, თბ., 1983

Новейшие географические и исторические известия о Кавказе, собранные и пополненные Семеном Броневским. Часть первая. Москва, 1823

Харадзе К., Происхождение и развитие топонимов Шида Картли, сб. Осетинский вопрос, Тб., 1994.



სურ. 5. ჩაჩუბეთი. მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია. თ.ზიბილურის ფოტო



სურ. 6. სოფ. ჩაჩუბეთი. ხედი SO-დან
თ.ზიბილურის ფოტო



სურ. 7. ჩაჩუბეთი. სააგარაკო დასახლება. ხედი -SOO




სურ.8 „გრძელი ქვყრილი-I“. თ.ბიბილურის ფოტო



სურ. 9.„გრძელი ქვყრილი-II“. თ.ბიბილურის ფოტო



სურ.10. „გრძელი ქვაყრილი-III“. მცენარული საფარის მოხსნამდე.



სურ.11. არქ. ბაზე.



სურ.12. საფარის მოხსნის პროცესი



სურ.13. პრეპარაციის შემდეგ

თ.ბიბილურის ფოტო



სურ. 14. „გრძელი ქვარილი-IV“.



სურ.15. „გრძელი ქვარილი-V“.



სურ. 16. „გრძელი ქვარილი-VI“.

თ.ბიბილურის ფოტო



სურ. 17,18. კედლის ნაშთი -I. ვიცხას ნამოსახლარის პირდაპირ. მდ. თემშის მარჯვენა ნაპირზე.



სურ. 19. კედლის ნაშთი -II.



სურ. 20. ყორეს ნაშთი



სურ. 21,22. კედლის ნაშთი -III.



თ.ბიბილურის ფოტო



სურ. 23. ნამოსახ. I (ტყემლანა-I).



სურ. 24. ნამოსახ. I (ტყემლანა-I), სახლი N 2



სურ. 25. ნამოსახ. I (ტყემლანა-I), სახლი N 4



სურ. 26. ნამოსახ. I (ტყემლანა-I), სახლი N 7



სურ. 27. ნამოსახ. II (ტყემლანა-II), სახლი N 1



სურ.28. ნამოსახ. II (ტყემლანა-II), სახლი N 2



სურ. 29. ნამოსახ. II (ტყემლანა-II). სახლი N 3



სურ.30. ნამოსახ. II (ტყემლანა-II). სახლი N 4



სურ. 31. ნამოსახ. II (ტყემლანა-II). სახლი N 5



სურ.32 ნამოსახ. II (ტყემლანა-II). სახლი N 6



სურ. 33, 33-ა. ნამოსახ. III (ტყემლანა-III). სახლი N 1, N 2. თ.ბიბილურის ფოტო



სურ. 34. ნამოსახ. IV (ტყემლანა-IV). სახლი N 1 სურ. 35. ნამოსახ. IV (ტყემლანა-IV). სახლი N 2



სურ. 36. ნამოსახ. IV (ტყემლანა-IV). სახლი N 3 სურ. 37. ნამოსახ. IV (ტყემლანა-IV). სახლი N 4



სურ. 38. ნამოსახ. IV (ტყემლანა-IV). სახლი N 5 სურ. 39. ნამოსახ. IV (ტყემლანა-IV). სახლი N 6

თ.ბიბილურის ფოტო



სურ. 40. ნამოსახ. IV (ტყემლანა-IV). სახლი N 7



სურ. 41,42. ნამოსახ. V (ტყემლანა-V). სახლი N 1, სახლი N 2. თ.ბიბილურის ფოტო



სურ. 43. ნამოსახ. VI (ტყემლანა-VI). საერთო ხედი.



სურ. 44. ნამოსახ. VI (ტყემლანა-VI). სახ. N 1



სურ. 45. ნამოსახ. VI (ტყემლანა-VI). სახ. N 2

თ.ზიზილურის ფოტო



სურ. 46. ნამოსახ. VI (ტყემლანა-VI). სახ. N 3



სურ. 47. ნამოსახ. VI (ტყემლანა-VI). სახ. N 4



სურ. 48. ნამოსახ. VI (ტყემლანა-VI). დიდი ოვალური ნაგებობა N 5

თ.ბიბილურის ფოტო



სურ. 49-51. ნამოსახ. VIII. დიდი ოვალური ნაგებობის ნაშთი. N 1. თ.ზიბილურის ფოტო



სურ. 52-55. ნამოსახ. IX.



სურ.56,57. ეკლესიის გორა I. ზღუდის მონაკვეთი. თ. ბიბილურის ფოტო



სურ. 58. ეკლესიის გორა I. მდინარისპირა ტერასა. დასახლების სასოფლო-სამეურნეო უბანი.



სურ. 59. ეკლესიის გორა - I. სახლი N 1.
კ. ფაჩოშვილის ფოტო



სურ. 60. ეკლესიის გორა - I. სახლი N 5



სურ. 61. ნამ. 11. ეკლესიის გორა - II. სახლი N 2.



სურ.62. ეკლესიის გორა - II. სახლი N 3.

თ.ბიბილურის ფოტო



სურ. 63. ეკლესიის გორა - II. სახლი N 5.

სურ. 64. ეკლესიის გორა - II. სახლი N 6.



სურ. 65,66. XX ს. 80-იან წლებში მდ. თემძის ადიდების შედეგად მოჭრილ-მოწყვეტილი ნიადაგის დიდი მასივი. თ. ბიბილურის ფოტო



სურ. 67, 68. თემძის მარცხენა ნაპირი. ადგილი ნაწისქვილარი. ნამოსახლარს საერთო ხედი და N1 ნაგებობის ნაშთი. კ. ფაჩოშვილის ფოტო



სურ. 69-69-ბ. თემის მარჯვენა ნაპირი. -ნამოსახლარი N 14. სოფ. რკონის მახლობლად
თ.ბიბილურის ფოტო



სურ. 70. მდ.თეძმისა და მდ. ვიცხას ორხევი. ხედი N-დან. თ.ბიბილურის ფოტო



სურ. 71. ვიცხას ნამოსახლარი. ხედი სამხრეთიდან. თ.ბიბილურის ფოტო



სურ. 71-ა. ვიცხას ნამოსახლარი. ხედი NNW-დან. თ. ბიბილურის ფოტო



სურ. 72. ვიცხას ნამოსახლარის ბუნებრივი საზღვარი N-დან. თ. ბიბილურის ფოტო



სურ. 73. ვიცხას ნამოსახლარის ბუნებრივი საზღვარი O-დან- მშრალი ხევი.უკანა პლანზე - კერპი



სურ. 74.74-ა მდ. ვიცხა - დასახლების ბუნებრივი საზღვარი S-დან და SW-დან



სურ. 75, 75-ა. ვიცხა - დასახლების ბუნებრივი საზღვარი W მხრიდან



სურ. 76,77. წარმართული კერპი. ხედი ნათლისმცემლის ეკლესიიდან. თ. ბიბილურის ფოტო



სურ.78. წარმართული კერპი. ხედი NOO - დან. თ. ბიბილურის ფოტო



სურ. 79-81. წარმართული კერპი. საკერპო ქვის საფუძველში ჩასმის დეტალები.ხედი ა.-ბ. -N-დან; გ. -NNO - დან. თ. ბიბილურის ფოტო



სურ. 82. წარმართული კერპი. შორ პლანზე: მდ. თეძამი, სოფ. რკონი და რკონის ციხე. ხედი NOO -დან. თ. ზიბილურის ფოტო



სურ. 83,84. კლდის მასივი, რომლის N დაბოლოებაზე აღმართულია კერპი



სურ. 85,86. ვიცხას დასახლების აღმოსავლეთით არსებული ხევი.



სურ. 87, 87-ა. მშრალი წყობით ნაგები კედელი კერპის SW-მხარეს.



სურ. 88. მშრალი წყობით ნაგები კედლის S მხარეს მდებარე მონოლითი



სურ. 89. ვიცხას ნამოსახლარი. I უბანი. სახლი NN 1,2. ხედი ნათლისმცემლიდან. თ. ბიბილურის ფოტო



სურ. 90,91. ვიცხას ნამოსახლარი. I უბანი. სახლი N1 და N2 მწვანე საფარისა და ზედა-პირული გაწმენდის შემდეგ. ხედი ნათლისმცემლიდან. თ. ბიბილურის ფოტო



სურ. 92,92-ა. ვიცხას ნამოსახლარი. I უბანი. სახლი N 2, კედლის წყობის დეტალები.



სურ. 93,94. ვიცხას ნამოსახლარი. I უბანი. სახლი N2 კონსერვაციის პროცესი. სახლი 1-ა .



სურ. 95 . I უბანი. სახლი N 3.

სურ. 96 . I უბანი. სახლი N 4.

ხედი NNW-დან. თ. ბიბილურის ფოტო



სურ. 97. ვიცხას ნამოსახლარი. I უბანი. სახლი N 5. ხედი NNW- დან.

სურ. 98. სახლი N 5. N კედლის. წყობის ნაშთი. ხედი SSW-დან. თ. ბიბილურის ფოტო




სურ. 99. ვიცხას ნამოსახლარი. სახლი N 6.



სურ. 100. მწვანე საფარისაგან ნაწილობრივ გაწმენდის შემდეგ. ხედი NNW-დან. თ. ბიბილურის ფოტო



სურ. 101-103 ვიცხას დასახლება. უბნების გამყოფი ხევი



სურ. 104. ვიცხას ნამოსახლარი-II.ნათლისმცემლის ეკლესიის მონაკვეთი. ტოპო-გეგმა. ტოპოგრაფი ნ. ყავლაშვილი



სურ.105,106. ვიცხას ნამოსახლარი. II უბანი. ტერასები



სურ. 107,108. ცენტრალური ტერასის გასამაგრებელი ქვის წყობა.



სურ.109,110. ქვედა, 1-ლი ტერასის გასამაგრებელი ქვის წყობა.



სურ. 111,111-ა. ქვედა, 1-ლი ტერასის ტერასის გასამაგრებელი ქვის წყობა.



ვიცხას ნამოსახლარი.ნათლისმცემლის ეკლესია („ნათლისმცემლის ნიში“). სურ. 112- W-დან;
112-ა- ხედი S-დან. თ. ბიბილურის ფოტო



ვიცხას დასახლება. ნათლისმცემლის ეკლესია.სურ. 113 -ხედი NNW სურ113-ა - ხედი SOO-დან.
წინა პლანზე -ტერასის, მონოლითებით შექმნილი საფუძველი. თ. ბიბილურის ფოტო



სურ. 113-ბ, ვიცხას დასახლება. ნათლისმცემლის ეკლესია.
მონოლითებით შექმნილი საფუძველი. თ. ბიბილურის ფოტო



სურ. 114-114-ბ. ვიცხას ნამოსახლარი. II უბანი. მონოლითები O – W ღერძზე . ხედი O-დან.
თ. ბიბილურის ფოტო



სურ.115-117. მონოლითები დასახლების W-ნაწილში



სურ. 118. ვიცხა. II უბანი. W ნაწ. სახლი N 1



სურ. 119. ვიცხა. II უბანი. W ნაწ. სახლი N 2



სურ. 120. ვიცხა. II უბანი. W ნაწ. სახლი N 3



სურ. 121. ვიცხა. II უბანი. S ნაწილი. სახლი N 4



სურ.122. ვიცხა. II უბანი. S ნაწილი. სახლი N 5



სურ.123. ვიცხა. II უბანი. S ნაწილი. სახლი N 6



სურ. 124.ვიცხა. II უბანი.SW ნაწილი. ნაგ. N 7 სურ. 125.ვიცხა. II უბანი.SW ნაწილი. ნაგ. N 8



სურ. 126.ვიცხა. II უბანი. SW ნაწილი. ნაგ. N 11



სურ.127.ვიცხა. II უბანი.დიდი ნაგებობა



სურ.127-ა. კონსერვაცია-რეკულტივაციის პროცესი



სურ. 128,129. ვიცხას დასახლება. გალავნის O მონაკვეთი



სურ. 130,131. ვიცხა. II უბანი. W მხარის მოსაზღვრე ხევი



სურ. 132,133. ვიცხა. II უბანი. W მხარის გალავანი.



სურ. 134, 135. ვიცხას დასახლება. W მხარე, კანიონის მარჯ. ნაპირი, ნაგებობა N 0



სურ. 136. ჯამის ძირ-გვერდის ფრაგმენტი



სურ. 137 . სოფ. საორბოსში (დღ. ფიცესი) გადასასვლელი გზა

თემურ ბიბილური, ივანე ბიბილური

ოდრხის (აბასთუმნის) სამონასტრო კომპლექსი.
არქეოლოგიური კვლევის ანგარიში-2019

„ზემო ქართლი არა თუ შიდა ქართლი არს. ზემო ქართლი სამცხისა, ესე იგი სამეცხეთოსო ადგილნი არიან, [თეიმურაზ ბატონიშვილი. დაწყებით-გან ივერიისა, ესე იგი გეორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოდსა.]

ოდრხის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ისტორიულ სამცხეში, მდინარეების ოცხისა და კურცხანისწყლის ხერთვისის ხელმარჯვნივ არსებულ მაღალ კლდოვან გორაზე (დაბა აბასთუმანი, ადიგენის მუნიციპალიტეტი, სამცხე-ჯავახეთის რეგიონი).

სამონასტრო კომპლექსის წინასწარული არქეოლოგიური კვლევა, სამომავლოდ (მომავალი წლიდან), მასში შემავალი ცალკეული ნაგებობების აღდგენის წინაპირობაა.

საკვლევი საკითხის აღწერა და ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სულიერი და ნივთიერი ობიექტების/ძეგლების ზოგადი მიმოხილვა.

„ოდრხის ხევი“, სამცხისა „...რომელ არს ზემო ქართლი“, და საზოგადოდ, საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-გეოგრაფიული რაიონია.

საკვლევი ტერიტორია ადამიანის მიერ ათვისებულია უძველესი დროიდან (აბასთუმნის ენეოლითური ხანის ნამოსახლარი) და ცხოვრება, სხვადასხვა ინტენსივობით, რიგ შემთხვევაში, ისევე როგორც საქართველოს არაერთ კუთხეში, გარკვეული დროითი ხარვეზებით, დღემდე გრძელდება.

ძალზედ მინიშვნელოვანია კვლევა ონომასტიკური კუთხით. ოდრჯის ქვეყანა ყურადღებას იქცევს ძალზედ მეტყველი ტოპონიმებითა და ჰიდრონიმებით, რომლებიც თვალნათლივ მიუთითებენ ერთის მხრივ, ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონში, უძველესი დროიდან ადამიანის სამეურნეო საქმიანობის მრავალფეროვნებასა და მრავალმხრივობაზე; მეორეს მხრივ, სხვადასხვა ქართველური ნაკადების შეხვედრებსა და ურთიერთკავშირებზე; გეოგრაფიულ სახელთა ერთი, სამწუხაროდ არც თუ მცირე ნაწილი, უცხო ეთნოკულტურების მოძალების სავალალო რეალობის ამსახველია.

უძველესი დროიდან „ოდრხის ქვეყნის“ მნიშვნელობა განისაზღვრებოდა მისი უაღრესად ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობით, რამაც განაპირობა სხვადასხვა სახისა და მნიშვნელობის გზების სიმრავლე. მათი მეშვეობით ოდრხელები უკავშირდებოდნენ ჯავახეთსა და თორს, იმერეთს, გურია-აჭარას...სამცხეზე, კერძოდ კი ოდრხის ხევიზე გადიოდა გვიანანტიკური ხანის რომაელი კარტოგრაფის კასტორიუსის

რუკაზე დატანილი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზის მონაკვეთი; ხოლო აქ აღნიშნული პუნქტი, პროფ. ნ. ლომოურის მოსაზრებით, ოძრხეს უნდა წარმოადგენდეს 1958:108].

„ოძრხის ქვეყანა“ ადრეული ეტაპიდანვე ჩანს ჩართული ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და შემდგომი ცხოვრების ბევრ მნიშვნელოვან მოვლენაში; ეს ვითარება, კარგად აისახა წერილობით ნარატიულ თუ დოკუმენტურ წყაროებში; საქართველოს უძველეს ქალაქებს შორის, ეროვნული საისტორიო ქრონიკები ასახელებენ ოძრხეს: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ადრეელისური ხანისათვის ქართლის სამეფოს ქალაქთა შორის ასახელებს ოძრხეს: „... სარკინე-ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრაცე, და ციხენი მათნი: ციხე დიდი სარკინისაჲ, უფლისციხე კასპისა, ურბნისისა და ოძრაცისაჲ“ [შატერდის კრებული X საუკუნისა.1979:320]; დროის თვალსაზრისით კიდევ უფრო სიღრმეში გადააქვს ოძრხის დაარსება ლეონტი მროველს: ქართლოსის ძემ მცხეთოსმა შუათანა ვაჟს ოძრჯოს მისცა ტერიტორია „ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა, ქუეყანა კლდოვანი. ამან ოძრჯოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: ოძრჯე და თუხარისი“ [ცხოვრება ქართუელთა მეფეთა ..., 1955:9,23-24].

ქალაქი ოძრჯე, მეფე ფარნავაზის მიერ საქართველოს ტერიტორიული მოწყობის დროიდან, დამოუკიდებელი საერისთავოს პოლიტიკური და სამხედრო-ადმინისტრაციული ცენტრია: ფარნავაზმა „მეექვსე გაგზავნა ოძრჯის ერისთავად, და მისცა ტასისკარითგან ვიდრე არსიანთამდის, ნოსტის თავითგან ვიდრე ზღუამდის, რომელ არს სამცხე და აჭარა“ [ცხოვრება ქართუელთა მეფეთა ..., 1955:24].

ოძრხის საერისთავო რამდენიმე მაკრო და მიკრორაიონად იყოფა, რომელთაგან ჩვენთვის კვლევის ამ ეტაპზე საინტერესოა ოძრხის ხევი, კურცხანის ხეობა, ბენარა-ზადენგორა, უდე-არალი, ქვაბლიანის ხეობა. თითოეული მათგანი გამოირჩევა ძეგლების რაგვარობითა რაოდენობით.

სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ აქ ჩატარებული სამიუბო-კვლევითი საქმიანობა (არა მხოლოდ არქეოლოგიის მიმართულებით) ძალზედ ღირებული ინფორმაციის შემცველი სულიერი და ნივთიერი კულტურის ახალი ობიექტებით გაამდიდრებს ქართველოლოგიურ მეცნიერებას.

წერილობით წყაროებში აღწერილ რეალობას, ამტკიცებენ სხვადასხვა დროისა და დანიშნულების ნივთიერი კულტურის ობიექტები/ძეგლები, რომლებიც მრავლადაა შემორჩენილი საკვლევო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. თუმცა, უნდა ითქვას, რომ განსხვავებით ისტორიული სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შემავალი ახალქალაქის, ახალციხისა და ასპინძის რაიონებისაგან, ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორია ნაკლებადაა შესწავლილი, როგორც არქეოლოგიური, ასევე ეთნოგრაფიული კუთხით;

ვითარებას კარგად ასახავს კულტურისა და ძეგლთა დაცვის (ამჟამად სპორტისაც) სამინისტროს მიერ ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების ჩამონათვალი, რომელთაც ძეგლის სტატუსი მიენიჭათ 2006-2010 წწ.. ამ, საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალში უპირატესად ვხვდებით საკულტო ნაგებობებს, მათ შორის XIX ს. მე-2 ნახ.

დათარიღებულ მეჩეთებს და ორიოდ საფორთიფიკაციო კომპლექსს. სიის უდიდესი ნაწილი უჭირავს დაბა ახასთუმანში XIX ს. მე-2 ნახ. და XX ს. დასაწყისში აგებულ საერო შენობებს.

სამაგიეროდ, ამ სიაში ვერ მოხვდა კურცხანის ხეობაში არსებული ვერცერთი ობიექტი, მათ შორის X ს. დარბაზული ტიპის ეკლესიები, ბოდოკლდეზე არსებული ციხე, მრავალგზის მოხსენიებული საისტორიო წყაროებში, სოფ. უდის მიდამოებში დაფიქსირებული ძვ. წ. IV-III ათასწ. ყორღანები და ხანდაკის შუა საუკუნეების ციხე-კოშკი...

სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია, საქართველოს სინამდვილეში სრულიად უნიკალური მიწისქვეშა კომპლექსები - დარნები (დარანი), რომლებიც სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით არის „... სახლი მიწას ქვეშ ნაგები, გინა მიწა და კლდე შეთხრილი უჩინრად...“ [1991:197]. ქართულ ვიკიპედიაში ვკითხულობთ, რომ მესხეთ-ჯავახეთში დარნები მიკვლეულია ახალციხისა (ნასოფლარი დუმეილა) და ასპინძის (ზ. თმოგვი, ბერთაყანა, ხიზაბავრა, აწკვიტა და ა. შ.) მუნიციპალიტეტებში. ადიგენის მუნიციპალიტეტი ნახსენები არაა; ვერც იქნებოდა, რადგან ამ რაიონში ამ სახის ძეგლების არათუ კვლევა, აღრიცხვაც არასდროს ჩატარებულა; თუმცა, დარნები სამცხის ამ კუთხეშიც ჩვეულებრივი მოვლენა იყო (თუნდაც. სოფ. ზემო ენთელში არსებული 1986 წელს შემთხვევით, მიწის სამუშაოებისას აღმოჩენილი დიდი და კეთილნაშენი დარანი რად ღირს).

ცალკე საკითხია ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის (უფრო ზუსტად - შეუსწავლელობის) საკითხი. თუ არ ჩავთვლით გასული საუკუნის 30-იან წწ. პროფ. ლევან (ლენკო) მუსხელიშვილის მიერ განხორციელებულ სადაზვერვო მარშრუტებს, რომელთა შედეგები ასახულია მის, დიდწილად გამოუქვეყნებელ დღიურებში, აგრეთვე 50 – 60-იან და 70-80-იან წწ. განხორციელებულ მცირე მოცულობის გათხრებს, რომელთაც ასევე უფრო დაზვერვითი ხასიათი ჰქონდათ, ისტორიული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო რეგიონი, არქეოლოგიურად სრულიად შეუსწავლელია. მიუხედავად რაიონის ფაქტობრივი შეუსწავლელობისა, ყანობილის მთის ფერდობზე მიკვლეულ და გათხრილ იქნა ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის ძალზედ საყურადღებო ინფორმაციის შემცველი ნასახლარი [იხ. Каландадзе К. С. 1973; Пхакадзе Г. Г. და სხვ. 1982]; საინტერესო შედეგები დაფიქსირდა ზადენგორასა და მის მიდამოებში ჩატარებული მცირე მასშტაბის გათხრების დროს [Бибилури Т. и др. 1987].

სრულიად შეუსწავლელია რაიონი ეთნოგრაფიული კუთხით. არადა, ამ ტერიტორიაზე საუკუნეების მანძილზე მომხდარა არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც თან სდევდა ავთოხთონი მოსახლეობის ურთიერთობა სხვადასხვა დროსა და ვითარებაში მოსულ ეთნოსებთან; ამ ხანგრძლივი და მრავალმხრივი (ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ძალადობრივი) ურთიერთობების შედეგები, აისახა

მხარის მკვიდრთა თუ მოსულთა (უმეტესწილად, მართებული იქნებოდა - მომხდურთა) ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე (რელიგია, საყოფაცხოვრებო ლექსიკა, ტოპონიმები, ჰიდრონიმები, ხუროთმოძღვრება და ა. შ.).

აღნიშნულის თქმის საფუძველს გვაძლევს როგორც ნივთიერი კულტურის ცნობილი ძეგლები და ზემოთ ნახსენები კვლევების შედეგები, ასევე უმდიდრესი, ათასწლეულების წიაღიდან მომინარე (არალი, უდე, ზადენგორა, ზანავი, ლელოვანი, ბოდოკლდე, ყანობილი, დათვიეთი, თუთაჯვარი, მოხე, ოძრჳე-ოცხე, ალობილი, კურცხანა, ფხერო, ქიქინეთი, ურემა ქედი, ჩორჩანი, ხევაშენი, ჭელა, ჭიხელი...); თუ შედარებით ახალი, თურქულენოვანი ეთნოსის მოძალეების შედეგად გაჩენილი (ენტელი, ბენარა (თურქულად „ბელნარა“), აბასთუმანი, ადიგენი, ჩილდარი, ხათუნ ბეგლარი, ხათუნ-ყალა, ტამლარ კუცხარი ...) ტოპონიმები და ჰიდრონიმები. ამ ლაკონურ სახელებში დამალულია ასწლოვანი, რიგ შემთხვევაში კი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის არც თუ მცირე დეტალები, რომელთა გამომზეურება

მხოლოდ კომპლექსური და სისტემური საველე გასვლებითა და შემდგომი თეორიული კვლევითაა შესაძლებელი.

ერთი კონკრეტული მაგალითი. ვახუშტი ბაგრატიონი, ოძრხის მდებარეობის განსაზღვრისას, იხსენიებს პანტოვანს, მდ. კურცხანის მარცხენა შენაკადს: „ ... ოცხისწყალს ერთვის ვაშლობს, პანტოვანის ხევი, გამოდინარე ფერსათისა, და მოდის ჩრდილო-დასავლეთს შუადან და აღმოსავლეთ-სამხრით“.

დღეისათვის მსგავსი სახელწოდების არა თუ მდინარე, ნაკადულიც არ იძებნება კურცხანისწყლისა და ოცხის აუზებში. სამაგიეროდ, 1982-85 წლებში, ზადენგორის დამოუკიდებელი რაზმის (ხელ. თ. ბიბილური) მიერ, არაერთგზის დაფიქსირდა ჰიდრონიმი „ალმასური“, ვარიანტებით („ალმასოური“, „ალმასაური“). საინტერესოა, რომ ამ სახელწოდებით ცნობილია როგორც მდინარე (= ხევი, წყალი), ასევე ადგილი.

1931 წ. ლევან მუსხელიშვილმა დღიურში ჩაწერა „ალმანარეს ხეობა“ (ქართულად „ვაშლნარი“, ან „ვაშლოვანი“ (საჭირო განმარტება მოგვაწოდა თურქოლოგმა ბატონმა მამუკა სარალიძემ, რისთვისაც მას წრფელ მადლობას მოვახსენებთ).

1985 წ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის სადაზვერვო ექსპედიციის მიერ დამოწმდა ჰიდრონიმი „ალმასური“. მეტი სიზუსტისათვის დავიმოწმებ ვრცელ ამონარიდს ხსენებული ანგარიშიდან: „მთავარი გზის გადასახვევიდან (იგულისხმება ახალციხე-აბასთუმნის გზა-თ. ბ.) მეათე კილომეტრზე, ხე-ტყის დამამზადებელი პუნქტია გაშენებული. როგორც პუნქტის მთავარმა ოსტატმა იური დემეტრაძემ გვითხრა, კურცხანის ხეობის საექსპლოატაციო ტერიტორიას „ალმასური“, ჰქვია, რაც თურქულად „ვაშლის წყალს“ ნიშნავს. აქ არსებულ ყველა ნამოსახლარსა და სალოცავს, ადგილობრივი ხალხი (იგულისხმება, მკვიდრი, მესხი მოსახლეობა; ი. დემეტრაძე გვიანაა მოსული - თ. ბ.) ჩვეულებრივად „ალმასურს“ უწოდებს“ [ც. ლაფაჩი, ნ. მოხევიშვილი, თ. სულაქველიძე, ზ. ფეიქრიშვილი. 1986:54].

ვახუშტი ბაგრატიონის საენციკლოპედიო ნაშრომში დაცული ცნობისა და მხარის დღევანდელი მოსახლეობის ზეპირსიტყვიერებაში შემონახული სახელწოდების ურთიერთშეჯერებით, აგრეთვე, საქართველოს ამ კუთხის რელიეზის გათვალისწინებით, შემდეგი ვითარება გვესახება.

თავდაპირველად იყო „პანტოვანის ხევი“ (=წყალი, მსგავსად „ოცხისწყლისა“). გარკვეული დროიდან, სამხრეთ საქართველო, მათ შორის საკვლევი მიკროერთეულიც, მოექცა თურქულენოვანი სამყაროს ძლიერი გავლენის ქვეშ; მეტიც, ადგილ-ადგილ ხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის თურქული მოდგმის თემებით იძულებით ჩანაცვლება. შედეგი მომხდურთა ხანგრძლივი „სტუმრობისა“ ერთობ სავალალოა - სხვა ბევრ უბედურებასთან ერთად, მრავალი გეოგრაფიული სახელი გადაკეთდა, ან პირდაპირ ითარგმნა ქართულიდან თურქულად (მარტო ოქროს ციხე - ალთუნყალას მაგალითი რად ღირს). იგივე ბედი ეწია პანტოვანის ხევსაც (=წყალს, მდინარეს), რომელიც იქცა „ალმა-სუდ“, ვარიანტი „ალმანარე“ (ვაშლის წყალი, მდინარე). ეს სახელი დამკვიდრა კიდევ; 1944 წელს, მუსლიმანური აღმსარებლობისა და ნაწილობრივ, საკუთრივ თურქული ეთნოსის წარმომადგენელთა გასახლების შემდეგ, სამცხე-ჯავახეთის ბევრ სოფელში ჩამოასხალეს ქართველობა სხვადასხვა რაიონიდან. ადიგენის რაიონში, ძირითადად მთიანი იმერეთიდან და ნაწილობრივ რაჭიდან. მათთვის „ალმასუ“, სრულიად ბუნებრივად აჟღერდა, როგორც „ალმასოური“, „ალამასაური“, ნაწარმოები „ალმასიდან“.

ამრიგად, მივიღეთ შემდეგი სურათი: იყო :პანტოვანის ხევი“ (ჰიდრონიმი დამოწმებულია ვახუშტი ბაგრატიონის მიერ XVIII საუკუნეში) – „ალმა-სუ“ (თურქულ ენაზე ნათარგმნი) – „ალმასაური“, ვარიანტებით (ახლად დასახლებული ქართველობა); ამასთან, როგორც ვნახეთ, შემორჩენილია ჰიდრონიმის თავდაპირველი მნიშვნელობაც („...იური დემეტრადემ გვითხრა, კურცხანის ხეობის საექპლოატაციის ტერიტორიას „ალამასური“,რაც თურქულად „ვაშლის წყალს“ ნიშნავს“).

ამ ერთ კონკრეტულ მაგალითზე ვრცელი საუბარი იმად დამჭირდა, რომ მეჩვენებინა, თუ რამდენადაა შეცვლილ-შერყვნილი ისტორიული ზემო ქართლის (და არა მხოლოდ) არაერთი ჰიდრონიმი თუ ტოპონიმი; რამდენად შრომატევადი და რთული სამუშაოა ჩასატარებელი, რათა მოძიებულ იქნას ისტორიული რეალობის ამსახველი ფაქტები, მაქსიმალურად მოხერხდეს საერთო მასიდან თავდაპირველი შრეების გამოყოფა. სწორედ ამ მძიმე ვითარებაზე მიუთითებდა აკად. ივანე ჯავახიშვილი: „...სახელები ხშირად ისეა დამახინჯებული, რომ უცბად ადამიანი დამახინჯებულის ნამდვილ სახეს ვერც კი მიჰხვდება“ [1930:128]

სრული დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დიდი ნაწილი მულტიდისციპლინარული კვლევების მიღმაა დარჩენილი.

ჩვენი ექსპედიციის წინაშე გაცილებით მოკრძალებული, დროსა და სივრცეში შეზღუდული ამოცანა იდგა - ერთი კონკრეტული, მნიშვნელოვანი, თუმცა, საისტორიო ქრონიკებში არ მოხსენიებული და დღემდე გამოუკვლეველი სამონასტრო კომპლექსის, ორი ნაგებობის არქეოლოგიური კვლევა-მომზადება სარეაბილიტაციო პროექტისათვის.

განსახორციელებელი სამუშაოების ეტაპების ჩამონათვალი და თანმიმდევრობა

1. მოსამზადებელი სამუშაოები.

ა) წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული კვლევა. კვლევის ამ ეტაპზე, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად შევისწავლეთ წერილობითი წყაროები (ქართული, სომხური, თურქული და რუსული საისტორიო ქრონიკები, სამართლის ძეგლები, ოფიციალური მიმოწერა, საგაზეთო წერილები, სხვადასხვა სახის სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის პუბლიკაციები, ცალკეულ მკვლევართა დღიურები და სხვ. ვფიქრობ, ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არის სამუშაო.

- ძეგლის სახელისა და ისტორიისათვის. საკვლევი კომპლექსი, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოირჩევა, რომ მის შესახებ საისტორიო წყაროებში არავითარი ცნობა არ მოიპოვება.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ შედგენის დროს (1595 წ.), ისტორიული ოცხე და მიმდებარე სოფლები შედიოდა ახალციხის ლივის ოცხის ნაჰაიეში [ჯიქია ს. 1958:163 და შმდ.];

მოგვიანოდ, 1694-1732 წწ. „ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარ“-ში კი, ოცხეს ნაჰაიე გამოყოფილია ახალციხის ლივიდან და შექმნილია ახალი ადმინისტრაციული ერთეული - ოცხის ლივა [1979].

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“, აბასთუმნის მიდამოებში იხსენიება „მონასტერი“, თუმცა მისი ზუსტი ადგილმდებარეობა არაა მითითებული; მოსახლეობაში, რომლის უმრავლესობა 1944 წლის შემდეგაა მოსული საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან (უპიტარესად მთიანი იმერეთიდან), ცხადია, ასევე არაა შემორჩენილი კომპლექსის თავდაპირველი სახელი.

კვლევის ობიექტად შერჩეული სამონასტრო კომპლექსის შესახებ მოკლე ინფორმაცია დაცულია გაზეთ „დროებაში“ და კვლავ სახელის გარეშე: „იქ სადაც ოცხეს და [კ]ურცხანის მდინარეები შეერთვიან ერთმანეთს, მხარ-მარჯვნივ, ტყით შემოსილ მაღალ კლდიან გორაზე დგას ნახევრად მონგრეული ძველი ქართული მონასტერი“ [1879, N 187; ვუთითებ პროფ. სერგი ჯიქიას ნაშრომის მიხედვით - ჯიქია ს.1958:176].

განსვენებულმა მკვლევარმა ლევან მუსხელიშვილმა, 1931-1933 წწ., მიმოიხილა საკვლევი სამონასტრო კომპლექსი, რომელსაც დღიურებში დარეჯანის მონასტრად მოიხსენიებს [ლ. მუსხელიშვილის არქივი. საქართველოს აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; შდრ. დ. ბერძენიშვილი. 2006:206];

1984-86 წწ., ჩემთან საუბარში, ადგილობრივები აღნიშნულ კომპლექსს, ასევე დარეჯანის მონასტერს უწოდებდნენ. თუმცა, ვერ აკონკრეტებდნენ, რომელ დარეჯანს

გულისხმობდნენ. 2019 წელს კი, ამ მონასტრის სახელი ვერავინ მითხრა. სახელწოდების გარეშე, „სამონასტრო კომპლექსად“ მოიხსენიებს აღნიშნულ ძეგლს, ისტ. მეცნ. დოქტ. დევი ბერძენიშვილი [დ. ბერძენიშვილი. 2006:299, 309];

სამცხისადმი მიძღვნილ ისტორიულ-ხუროთმოძღვრულ გზამკვლევში, „ოცხისწყლისა და კურცხანას ხეობების შესაყართან მდებარე კომპლექსი...რუსუდანის მონასტრის“ სახელით მოიხსენიება [1998:202].

საინტერესოა, რომ ნახსენები გზამკვლევის ერთ-ერთი ავტორი, აწ განსვენებული ი. მ. დ. დევი ბერძენიშვილი, მომდევნო წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში საკვლევ მონასტერს სახელის გარეშე მოიხსენიებს [დ. ბერძენიშვილი. 2006: 299, 309, 311]. მეტიც, ლევან მუსხელიშვილისადმი მიძღვნილ სტატიაში იგი წერდა, რომ მკვლევარი **დარეჯანის მონასტერზე** ასულა (ხაზი ჩემია - თ. ბ.). ამ შემთხვევაში, თუნდაც კომენტარის სახით არ ახსენებს რუსუდანის სახელს: ლევან მუსხელიშვილს „მაშინ (1931-1933 წწ.-თ. ბ.), უნახავს...ძველი თაღოვანი ხიდი და წყარო ამ ორი ხევის (იგულისხმება მდინარეები ოცხე და კურცხანა - თ. ბ.) შესაყარის მარჯვნივ, სადაც მან ძველი სამოსახლო ივარაუდა. ხიდიდან წყაროზე გამოვლილი ბილიკით მკვლევარი **დარეჯანის მონასტერზე** (ხაზი ჩემია - თ. ბ.) ასულა, სადაც უნახავს 6 დარბაზული ეკლესიის ნანგრევი, დიდი სატრაპეზოს შენობა და 9 სენაკი ბერებისათვის...“ [დ. ბერძენიშვილი. 2006:367].

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სატენდერო მასალებში აღნიშნული სამონასტრო კომპლექსი იხსენიება, როგორც „**წმიდა უბანი**“, რომელიც „გურჯისტანის ვილაიეთის დავთრის“ მიხედვით, შედიოდა ახალციხის ლივის ოცხის ნაჰაიეში:1. სოფ. ოცხის რაბათი წმინდა უბნითა და კურდღელათუბან (?-ს. ჯიქიას შენიშვნა) და ყანუბარ (?- ს. ჯიქიას შენიშვნა) სათესველებით [ჯიქიას.1958:162].

„დავთრის“ პირველ გამომცემელსა და მკვლევარს, აწ განსვენებულ აკად. სერგი ჯიქიას უჭირდა ნახსენები ტოპონიმის ზუსტი ლოკალიზება: „ოცხის რაბათთან წმინდა უბანი „იხსენიება; **ძნელია გაირკვეს რას ნიშნავს ან სახელდობრ სად იყო ეს უბანი**, რომელსაც შეიძლება ანანურწმინდა (?) რქმეოდა“ (ხაზი ჩემია - თ. ბ.) [იქვე. 166].

ამდენად, საკვლევ მონასტრის უპირობოდ გაიგივება ტოპონომ „წმიდა უბან-“ თან, მაინცდამაინც დამაჯერებელი არ ჩანს.

„დავთარში“ იხსენიება სოფ. მონასტერი; არქივისეულ სიებშიც „Монастер-ი გვაქვს“ – 6 კომლიანი სოფელი, რომლის „მოსახლეობა დაბეგრული ყოფილა, მაგრამ თურქებს „მონასტერი“ საკუთარ სახელად მიაჩნდათ და თვით მონასტერს ან ამ ადგილს რა ერქვა, როგორც სხვაგან, აქაც დაწერილი არ არის“ [ჯიქია ს. 1958:175]. აკად. სერგი ჯიქიას ადგილზე ჩაუწერია: „აბასთუმნის (იგულისხმება აბასთუმან სოფელი) პირდაპირ - მონასტერი, სათიბი ადგილია“ [ჯიქია ს.1958:175].

თუმცა, მკვლევარი იქვე უშვებს ვარაუდს, რომ „შესაძლებელია, აგრეთვე ეს იყოს ის მონასტერი, რომელზეც გაზეთი „დროება“ წერს: „იქ სადაც ოცხეს და [კ]ურცხანის მდინარეები შეერთვიან ერთმანეთს, მხარ-მარჯვნივ, ტყით შემოსილ მაღალ კლდიან გორაზე დგას ნახევრად მონგრეული ძველი ქართული მონასტერი“ [1879,N 187]“;

აკად. სერგი ჯიქიას ამ უკანასკნელ მოსაზრებას, ეთანხმება ისტ. მეც. დოქტ. დევი ბერძენიშვილი: „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ექვსკომლიანი მონასტერი „...აღმწერლებს საკუთარ

სახელად მიუჩნევიათ (8,162). ესაა ზემოთ ხშირად ნახსენები მონასტერი კურცხანისა და ოცხისწყლის შესართავთან“ [დ. ბერძენიშვილი. 2006:311].

ვფიქრობ, აკად. სერგი ჯიქიას პირველი ვარაუდი, „დავთარის“ „მონასტრის“ სოფ. აბასთუმნის მახლობლად მდებარეობის შესახებ უფრო მართებულია, რადგან 1. „დავთარის“ მიხედვით, მონასტერი მდებარეობს სწორედ სოფელ აბასთუმნის პირდაპირ; 2. მონასტრის მიდამოები „სათიბი ადგილია“ [ჯიქია ს.1958:175].

საკვლევი სამონასტრო კომპლექსი კი, მდებარეობს დაბა აბასთუმნის შესასვლელის სიახლოვეს, სოფ. აბასთუმნიდან დაახ. 2,5-3,0 კმ. დაშორებით; თანაც მონასტრის მიდამოებს, გამომდინარე მკვეთრად დამრეცი და კლდოვანი რელიეფიდან, აღმწერელი „სათიბ ადგილად“ ვერანაირად ვერ მოიხსენიებდა.

2006 წ. გამოქვეყნებულ სამცხე-ჯავახეთის ძეგლების სიაში ის სახელის გარეშე მოიხსენიება როგორც „სამონასტრო კომპლექსი“.

დღეისათვის, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების გათვალისწინებით, შეიძლება ვთქვათ, რომ საკვლევი სამონასტრო კომპლექსის სახელწოდება უცნობია; თუ არ ჩავთვლით გვიანდელ რეალობას - (დარეჯანის მონასტერი), ან წყაროს მითითებების გარეშე სახელის („რუსუდანის მონასტერი“) გაჟღერებას.

ისტ. მეცნ. დოქტ. დევი ბერძენიშვილის მოსაზრებით, მეფე თამარის მიერ ბასიანში საომრად გაგზავნილი ჯარის მტერზე გამარჯვებისა და შინ უვნებლად დაბრუნებისათვის ლოცვა-ლიტანიობა „...აღბათ ოძრხესთან მდებარე მონასტერში ტარდებოდა, სადაც ბერ-მონაზონთა სენაკები მრავლად იყო“ [დ. ბერძენიშვილი. 2006:309].

სრულად ვიზიარებ განსვენებული მკვლევარის მოცემულ თეზას. მართალია, ოძრხის სამონასტრო კომპლექსის შესახებ წერილობით წყაროებში პირდაპირი ჩვენება არაა, მაგრამ მკვლევარის მოსაზრების მართებულობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ავტორი გვაუწყებს: ვარძიიდან „...მეფე თამარ მოვიდა ოძრჯეს. და მოცალა ლოცვად და მარხვად. მუნ წინაშე მისსა თევდორე, ქართლისა კათალიკოზი, კაცი წმინდა და სახიერი, და მას თანა მრავალი ეპისკოპოსნი და მონაზონნი, ღმრთისა სათნონი, რომელთა თანა იყო იოანე შავთელი...და ევლოგი სალოსად წოდებული...“ [1959:95]; ბასილი ეზოს მოძღვარი, აღნიშნულს უმატებს: „...იყვნეს მიმდემნი ღამისთევანი და ლიტანიობანი“ [1959:136,18]

და იქვე, „...მეფისა თამარისა ოძრჯეს ყოფასა შინა იყვნეს რა მიმდევარნი ლოცვანი და ღამისთევანი ლაშქართა გამარჯვებისათვის...“ [1959:138,8].

ვფიქრობ, თამარის ისტორიკოსთა მიერ აღწერილი ვითარება (...ღამისთევანი და ლიტანიობანი“... ლოცვანი და ღამისთევანი), სწორედაც რომ მონასტერში თუ იქნებოდა შესაძლებელი და მთავარია, სასურველი.

- **კვლევის ისტორია.** ცხადია, განვლილი ასწლეულების განმავლობაში, მიზეზთა და მიზეზთა

გამო, ძეგლი განიცდიდა არცთუ უმნიშვნელო ცვლილებებს. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ, კომპლექსზე არანაირი კვლევა არ განხორციელებულა (აქ არ ვგულისხმობ, ზემოთ ნახსენებ, უმთავრესად მიმოხილვითი ხასიათის ნაშრომებს) ამ ცვლილებათა შესახებ, ამ დროისათვის, დაბეჯითებით არაფრის თქმა არ შეიძლება. ვიზუალური დათვალიერებით, რაიმე სახის არქეოლოგიური ან სხვა სახის კვლევის კვალი არ ჩანს; იგივე ითქმის სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების შესახებაც, თუ არ ჩავთვლით, სახელდახელოდ, ხის ლარტყებით დარბაზული ეკლესიის (ჩვენი ნუმერაციით VI ნაგებობა) სახურავის ჩრდილო ქანობის გამაგრებას.

თარიღის შესახებ. ოძრხის სამონასტრო კომპლექსი არაერთმა მკვლევარმა ნახა და გარკვეული მოსაზრებები გამოთქვა.

XX ს. დასაწყისში, არაუგვიანეს 1905 წ, კურცხანისა და ოცხის ხერთვისში აღმოჩნდა ორი ფილა, ძალზედ მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი ლაპიდარული წარწერით, რომელიც არაერთგზის გახდა მსჯელობის საგანი. ტექსტი პირველად გამოაქვეყნა აკად. ექვთიმე თაყაიშვილმა [1905, II:63-66]. „ფილები ე. თაყაიშვილის ცნობით, აღმოჩნდა აბასთუმანთან, ეკლესიის ნანგრევების პირდაპირ, მდინარეების კურცხანისა და აბასთუმნისწყლის შესართავთან“ [ნ.შოშიაშვილი. 1980:გვ.101]

ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ, სხვადასხვა დროს, წარწერა შეისწავლეს და გამოსცეს პროფ. სარგის კაკაბაძემ, ვასილ ცისკარიშვილმა, ვალერი სილოგავამ, ნოდარ შოშიაშვილმა თეიმურაზ ბარნაველმა, დევი ბერძენიშვილმა.

აღნიშნული წარწერა მკვლევართა მიერ სხვადასხვაგვარდაა დათარიღებული. აკად. ექვთიმე თაყაიშვილმა, ზოგიერთი პალეოგრაფიული ნიშნის მიხედვით, კონკრეტული თარიღის გარეშე, ის მიიჩნია „ძალიან ძველად“; სარგის კაკაბაძე, ნოდარ შოშიაშვილი და დევი ბერძენიშვილი ათარიღებდნენ VII-VIII სს. მიჯნით [ს. კაკაბაძე. 1924:104,105; ნ. შოშიაშვილი. 1980:36,37; დ. ბერძენიშვილი. 2006:298,299]; თეიმურაზ ბარნაველი, წარწერის წარწერის შექმნის თარიღად მიიჩნევდა ახ. VI საუკუნეს [1969:138-141]. განსვენებულ მკვლევარს, ამ თარიღის საფუძვლად მიაჩნდა ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს I მოხსენიება წარწერაში: „ღვსტინიანე მეფესა ზე ჰყავ ღმერთმან განდიდებული ნათესავთა [შორის] (?) ბრძანებითა ღმრთივ დაცულსა მამფალისა არშუშა პატრიკიოზისა და ნებითა ღმრთისათა, ქავთარისა ერისთავისა ქრიზეპოლის ციხისთავობასა, მოწოდებულ ვიყავ და აღვმართევ პატიოსანი ჯვარი-წმინდისა

ღმრთისმშობლისა სახელსა (ზედა), სალოცველად ჩემდა ძმათა ჩემდა, მეოხებისათვის ყოვლისა სახელსა ზედა, სალოცველად ჩემდა ძმათა ჩემდა მეოხებისათვის ყოვლისა (?) ამის საწუთროდსა, და საუკუნოდ ავგ კხს (?) ლოცვასა მოიკსენებდეთ“ [თ. ბარნაველი. 1969:141]; ყველაზე გვიანი დროით, X საუკუნით ათარიღებდა ვალერი სილოგავა [1970].

ორიოდ სიტყვით ფილების აღმოჩენის ადგილის შესახებ. ერთი შეხედვით, კონკრეტულობასაა მოკლებული აკად. ექვთიმე თაყაიშვილის ცნობა იმის თაობაზე, რომ „ფილები...აღმოჩნდა აბასთუმანთან, ეკლესიის ნანგრევების პირდაპირ, მდინარეების კურცხანისა და აბასთუმნისწყლის შესართავთან“ [1905, II:63].

ისტ. მეცნ. დოქ. დევი ბერძენიშვილის მოსაზრებით, ლაპიდარული ძეგლი „...კურცხანა - ოძრხის

წყლის შესართავთან არსებული სამონასტრო კომპლექსიდან უნდა იყოს წამოღებული“ [დ. ბერძენიშვილი. 2006:298,299];

ჩვენი ვარაუდით, აღნიშნული ქვაჯვარი აღმართული იყო სამონასტრო კომპლექსის პირდაპირ, მდ. ოცხის მარჯვენა ნაპირზე არსებულ კლდოვან მთაზე, სადაც შემორჩენილია დუღაბზე ტეხილიქვით ნაშენი გაურკვეველი კომპლექსის ნაშთი. თითქოს ამაზე მიუთითებს აკად. ექვთიმე თაყაიშვილის ცნობაც: „ფილები...აღმოჩნდა აბასთუმანთან, ეკლესიის ნანგრევების პირდაპირ, მდინარეების კურცხანისა და აბასთუმნისწყლის შესართავთან“ [1905, II:63]. ანუ, მონასტრის ტერიტორიაზე კი არა, არამედ, მის პირდაპირ. მონასტრის პირდაპირ კი, სწორედაც რომ ჩვენს მიერ ნახსენები მაღალი კლდოვანი გორაა. ეს უკანასკნელი გაცილებით მოსახერხებელი ადგილი იქნებოდა ქვაჯვარის აღსამართავად, რადგან ის ჩანს თითქმის ყველა მხრიდან.

1931-1933 წწ., ლევან მუსხელიშვილს, აბასთუმანში მკურნალობისას, „...უნახავს ძველი თაღოვანი ხიდი და წყარო ამ ორი ხევის (იგულისხმება მდინარეები კურცხანა და ოცხე - თ. ბ.) შესაყარის მარჯვნივ, სადაც მან ძველი სამოსახლო ივარაუდა (ამ, მეტად საყურადღებო მინიშნებას, ოდნავ მოგვიანებით, კიდევ დავუბრუნდები-თ. ბ.). ხიდიდან წყაროზე გამოვლილი ბილიკით მკვლევარი "დარეჯანის მონასტერზე ასულა, სადაც უნახავს 6 დარბაზული ეკლესიის ნანგრევი, დიდი სატრაპეზოს შენობა და 9 სენაკი ბერებისათვის...“ [დ. ბერძენიშვილი. 2006:367].

ჩანს, რომ განსვენებულ მკვლევარს, საკმაოდ ყურადღებით და მაქსიმალურად სრულად (რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო გაუვალისა და შერეული ტყის პირობებში) დაუთვალიერებია ნამონასტრალისა და მიმდებარე ტერიტორია.

1997 წ. სამონასტრო კომპლექსი ნაწილობრივ მოიხილა მკვლევართა ჯგუფმა; კერძოდ, მათ აღწერეს და განახორციელეს ჩვენს მიერ გამოყოფილ III ტერასაზე არსებული ნაგებობების გრაფიკული ფიქსაცია. თუმცა, ნაგებობების დახასიათებისას, დაუშვეს რამდენიმე უზუსტობა [ბერძენიშვილი დ., ნემსაძე თ., ელიზბარაშვილი ი., ზაზაძე ე., რაზმაძე კ.1998].

ასევე, მხოლოდ თეორიული შტუდიებითა თუ უბრალოდ, ფაქტის კონსტატაციით შემოიფარგლებოდა ყველა იმ მკვლევართა საქმიანობა, ვინც შეეხო აღნიშნულ სამონასტრო კომპლექსს.

ვიდრე სრული კვლევა არ ჩატარებულა, სამონასტრო კომპლექსის საწყისი პერიოდის, ცალკეული ეტაპებისა და ქრონოლოგიური საზღვრების შესახებ, დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით. აქ, მხოლოდ მოვითმანთ სამეცნიერო პუბლიკაციებში გაქდერებულ მოსაზრებებს.

ლევან მუსხელიშვილი თავის დღიურში, შემოიფარგლა ძალზედ ზოგადი ფრაზით და ოძრხის მონასტერი მიიჩნია - „დიდი სიძველის“ ძეგლად [დ. ბერძენიშვილი. 2006:307];

ზემოთ დამოწმებულ, ავტორთა ჯგუფის მიერ მომზადებულ სამცხის ისტორიულ-ხუროთმოძღვრულ გზამკვლევში, მონასტრის ოთხი ეკლესია დათარიღებულია XIV-XV სს. [1998:202].

ისტ. მეცნ. დოქტ. დევი ბერძენიშვილი, როგორც უკვე ვთქვი, სამონასტრო კომპლექსის საწყის პერიოდად VII-VIII სს. მიჯნას ვარაუდობს [დ. ბერძენიშვილი. 2006:298,299]. მკვლევარი თავისი მოსაზრების საბუთად იხმობს ზემოთ ნახსენებ და მკვლევართა ნაწილის მიერ დროის სწორედ ამ მონაკვეთით დათარიღებულ ლაპიდარულ წარწერას, რომელიც მისი აზრით, „კურცხანა-ოძრხის წყლის შესართავთან არსებული სამონასტრო კომპლექსიდან უნდა იყოს წამოღებული“ [იქვე].

2006 წ. სამცხე-ჯავახეთის ძეგლების ნახსენებ სიაში, კამპლექსის თარიღად დასახელებულია განვითარებული შუა საუკუნეები.

ჯერჯერობით მაინც, სხვა რამ ხელჩასაჭიდი არგუმენტი, სამონასტრო კომპლექსის დათარიღებისა არ გაგვაჩნია; თუმცა, ამ დიდი მასშტაბის კომპლექსის კვლევა, მხოლოდ საწყის ეტაპზეა და დარწმუნებული ვართ, რომ მთავარი აღმოჩენები ჯერ კიდევ წინაა.

დღეისათვის, ჩვენს ხელთ არსებული ნივთიერი საბუთები, იძლევა იმის საშუალებას, რომ საკვლევი სამონასტრო კომპლექსის წარსულის ერთ-ერთი (ხაზს ვუსვამ - ერთ-ერთი) მონაკვეთი შესაძლოა დავათარილოთ, სწორედაც, რომ თამარის ეპოქითა და მომდევნო დროით.

ბ) ძეგლთან მისასვლელი გზის მოწყობა. სამონასტრო კომპლექსთან მისასვლელი რამდენიმე ბილიკიდან, ჩვენი იქ მისვლისას, ერთი მეტ-ნაკლებად მისაღები და ერთისაც მცირედი კვალი იყო შემორჩენილი. ამ ბილიკით (უფრო ზუსტი იქნება - ნაბილიკარით) სარგებლობა არა მარტო მოუხერხებელი, არამედ მომეტებული ხიფათის შემცველიც იყო. შესაბამისად, საველე სამუშაოების დაწყებამდე, გადავწყვიტეთ 381 (+,-2) მ. სიგრძისა და ხუთ მოსახვევიანი ნაბილიკარის აღდგენა-მოწესრიგება (სურ. 11-14);

გზის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობდა წყაროთმცოდნეობითი და ისტორიო-გრაფიული კვლევის პარალელურად და ნაწილობრივ, მისი დასრულების შემდეგაც; მისი გამაგრება-გაფართოება ხორციელდებოდა საველე სამუშაოების კვალად - ამ მიზნით გამოყენებულ იქნა მოხსნილი მიწა, ღორღი და მცენარეული საფარი.

ჩატარებული სამუშაოს შემდეგ, ბილიკი არა მარტო საგრძნობლად გაგანიერდა, არამედ, სადაც ხელი მიგვიწვდა, დამცავი მოაჯირებიც გაკეთდა. თუმცა, სრული უსაფრთხოების მიზნით, საჭიროა (მეტიც - აუცილებელი) ამ სახის მოაჯირების საცალფეხო გზის თითქმის მთელ სიგრძეზე გაკეთება და საცალფეხო გზის ცალკეული მონაკვეთების გაგანიერება-გამაგრება.

მხოლოდ ამ, საკმაოდ შრომატევადი და მძიმე სამუშაოს შესრულების შემდეგ გახდა შესაძლებელი, ძეგლზე შრომის იარაღებისა და საჭირო ხელსაწყოების ატანა და რაც მთავარია, ექსპედიციის წევრების ყოველდღიური უსაფრთხო გადაადგილება (განსაკუთრებით ნაწვიმარზე).

საცალფეხო გზის აღდგენით, კიდევ ერთი საქმე გაკეთდა - რეალურად გამოჩნდა ისტორიულად მონასტერთან მისასვლელი გზებიდან ერთ-ერთის სრული კონფიგურაცია. ვიმედოვნებთ, სამომავლოდ კვლევის გაგრძელების შემთხვევაში, შეძლებისდაგვარად სრულად აღვადგინოთ, ჩვენს მიერ დავაფიქსირებული კიდევ ერთი ბილიკი.

ამ გარემოებაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ისეთი კომპონენტების გარეშე, როგორებიცაა გზის, სამშენებლო ქვის მოსაპოვებელ-დასამუშავებელი კარიერებისა და ა. შ., შესწავლის გარეშე, საკვლევ (და არა მარტო) ძეგლზე მსჯელობა ბოლომდე საფუძვლიანი ვერ იქნება.

გ) საკვლევ ტერიტორიის მწვანე საფარისაგან გაწმენდა. სამონასტრო კომპლექსი და მიმდებარე ტერიტორია დაფარულია წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებით, სხვადასხვა ჯიშის ბუჩქნარით, ბალახითა და ხავსის სქელი ფენით. ბიოსაფარი იმდენად ხშირია, რომ რიგ შემთხვევაში ჭირს გავლა; მეტიც, ამა თუ იმ ნაგებობის მეტ-ნაკლებად სრულად დანახვა. აქა-იქ, ხეები ამოსულია პირდაპირ ნაგებობის სახურავზე (სურ.22,23); აღარაფერს ვამბობთ სხვადასხვა სახეობის ხავსზე, რომელსაც სქელი ფენით აქვს დაფარული თითქმის ყველა ქვა.

სრულფასოვანი საველე სამუშაოების დასაწყებად, აუცილებელი იყო ხე-ბუჩქნარის გამოხშირვა, რიგ შემთხვევაში სრულად გაკაფვა. ნაკაფი ხეები და ბუჩქნარი გამოვიყენეთ ისევ და ისევ, გზის გასაფართოებლად და გასამაგრებლად.

დ) საველე კვლევა. მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ განხორციელდა: 1. ტერიტორიის გულდასმითი ვიზუალური შესწავლა; 2. ძეგლისა და მიმდებარე ტერიტორიის ფოტოფიქსაცია; 3. აგეგმვა-დაკვალვა; 4. გადმოქცეული კედლებისა და ცალკეული ხუროთმოძღვრული დეტალ ების გაწმენდა-ფიქსაცია; 5. ფენებისა და კვადრატების მიხედვით მონიშვნა.

GPS კოორდინატები და სიმაღლე ზღვის დონიდან. ერთის მხრივ, რთული რელიეფისა და სამონასტრო კომპლექსის ხელოვნურად ტერასებზე განაშენიანების გამო, და მეორეს მხრივ, განსჯისათვის მეტი მასალის მოპოვების მიზნით, მაქსიმალურად ბევრ წერტილში

ავიღეთ GPS კოორდინატები და სხვა მონაცემები. აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია კონკრეტული ადგილის დახასიათებისას.

და კიდევ ერთი. ბატონი ნოდარ ყავლაშვილი, ტოპოგრაფიული აზომვის დროს იყენებდა ჯკს ნავიგატორს, ხოლო ჩვენ საველე სამუშაოების დროს სტანდარტულ ჯკს (Dacota-20). ამ ორი, სხვადასხვა ხელსაწყოთი გაზომილი სიმაღლეები განსხვავდებიან. წინამდებარე ანგარიშში, ისევე

როგორც მომდევნო პუბლიკაციებშიც ვიყენებთ ჩვენს მიერ აღებულ მონაცემებს.

საკვლევი კომპლექსი მდებარეობს მდინარეების ოცხისა და კურცხა ნის ხერთვისში, კურცხანის მარჯვენა ნაპირზე არსებული კლდოვანი მთის დამრეც კალთებზე ხელოვნურად შექმნილ ტერასებზე; შესაბამისად, სიმაღლეთა სხვაობა აქ თვალში საცემია - 1192 მეტრიდან (მთის ძირის უკიდურესი აღმოსავლეთი წერტილი, მდინარე ოცხის მარჯვენა ნაპირზე) და - 1209 (+,- 2) მ. (ასევე, მთის ძირი, N მხარე, მდ. კურცხანის მარჯვენა ნაპირი) და 1287 მეტრამდე (III ტერასის უმაღლესი წერტილი, N 2 დარბაზულ ეკლესიასთან).

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სიმაღლის თვალსაზრისით, ეს არაა ზღვარი. მომდევნო (IV, V და ...) ტერასები კიდევ უფრო მაღლა მდებარეობენ.

ტერასების ზოგადი დახასიათება. სამონასტრო კომპლექსის ამშენებლებს (თუ აქ არსებული თავდაპირველი დასახლების შემქმნელებს - ამაზე ვრცლად, სხვა დროს) ძალზედ დიდი მოცულობის სამუშაო განუხორციელებიათ - კლდის მკვეთრად დამრეც კალთებზე შეუქმნიათ სხვადასხვა სიგანისა და სიგრძის ტერასები, რომლებზეც აუცილებლად როგორც საკულტო ნაგებობები, ასევე კელიები და სამონასტრო ცხოვრებისათვის აუცილებელი სხვა შენობები.

ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ საკმაოდ რთულ, კლდოვან რელიეფზე 5-6 (შემდგომი კვლევის შედეგად, შესაძლოა მათი რიცხვი გაიზარდოს) სხვადასხვა სიგრძის, სიგანისა და სიმაღლის ტერასების შექმნაზე დახარჯული შრომა, მთლად თანაბარზომიერი არ უნდა იყოს სამონასტრო კომპლექსში შემავალი ნაგებობების რაოდენობასა და მათ მასშტაბებთან.

მშენებლებს, ნაგებობების ასაგებად უპირატესად, გამოუყენებიათ ადგილობრივი კლდის ქვა, რომელსაც ერთის მხრივ, საგანგებოდ ამზადებდნენ ადგილობრივ კარიერებში (სურ.), მეორეს მხრივ კი, სამშენებლო ქვა უხვად დარჩებოდათ კლდის მასივის ტერასებად მოჭრის პროცესში.

ისტორიული ოძრხის მიდამოებში დაფიქსირებული ქვის კარიერების მსგავსი სახელოსნოები 2016 წ. დავაფიქსირეთ ბორჯომის ხეობის ორ პუნქტში - ლიკანსა და ქვაბისხევში [თ. ბიბილური. 2018:128,129,147,148].

საპირე და მოსართავად გამოყენებული ქვების ნაწილი უდავოდ მოტანილია (უნწის ქვა, ბაზალტი, შირიმი) და სხვ. ქვების ნაწილი კი, შესაძლოა, გაცილებით ადრეული ნაგებობების ნაშთებიდანაა აღებული.

კვლევის საწყის ეტაპზე გამოვყავით ოთხი ტერასა. საწყისი კოორდინატები ავიღეთ კურცხანის მარჯვენა ნაპირზე, მთის ძირში. N 41.727,62; O 04283939; H – 1209 (+, - 2) მ.

I ტერასა. ქვის კარიერი N 1. N 41.727,20; O 04283862; H – 1217 (+, - 2) მ.; 2. მე- 2 მოსახვევი. N 41.727,92; O 04283787; H – 1233 (+, - 2) მ.; 3. მე- 3 მოსახვევი. N 41.727,97; O 04283843; H – 1263 (+, - 2) მ.

მე-2 და მე-3 მოსახვევებს შორის სიმაღლეში სხვაობა საკმაოდ დიდია - 30 მ.; ეს, მით უფრო თვალში საცემია, რომ გზის აღნიშნული მონაკვეთი გაცილებით მოკლეა სხვებთან შედარებით.

ტერასა მდებარეობს მდ. კურცხანის მარჯვენა ნაპირიდან ათიოდ მეტრში. ტერასის სიგანე 3-4, ადგილ-ადგილ 5-6 მეტრია. ტერასა შეუქმნიათ საგანგებოდ კლდის ქვის მოსაჭრელად და დასამუშავებლად. აქ ხდებოდა კლდის მასივიდან სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის ქვის ბლოკების მოჭრა და პირველადი დამუშავება (სურ. 15-21).

II ტერასა. სიმაღლე ზ. დ. – 1233 (+, - 2) მ. ტერასის სიგანე - 20-32 მეტრამდე; აქაც და სხვა შემთხვევაშიც, ყურადღებას იქცევს სიმაღლეთა სხვაობა ტერასებს შორის: ქვედა დონესთან დაახლ.

15-16 მ.; ზედა დონესთან - 28-30 მ.;

ტერასის სიგრძის დადგენა კვლევის ამ ეტაპზე ვერ მოვახერხეთ. მიზეზი ორია: ა) ძალზედ ხშირი მწვანე საფარი, რომელიც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის მეტ-ნაკლებად ზუსტი პარამეტრების დადგენას; ბ) რამდენიმე ადგილას ძალზედ მოუხერხებელი და სახიფათო მონაკვეთია, რომლებიც ასევე ართულებენ აზომვითი სამუშაოების განხორციელებას. ხეების, ბუჩქნარისა და ნეომომპალის საკმაოდ სქელი ფენის მოშორებისა და ნაღვარელებისაგან ცალკეული მონაკვეთების გაწმენდის გაგარეშე I და II ტერასების შესწავლა პრაქტიკულად შეუძლებელია.

- დიდი ნაგებობა. N 41.726,86; O 04283859; H – 1273 (+, - 2) მ.

- სენაკი N 0. N 41.726,70; O 04283802; H – 1272 (+, - 2) მ. ფაქტობრივად, დიდი ნაგებობა და სენაკი N 0, ერთ დონეზე მდებარეობენ - სხვაობა -1 მ.

- დიდრონი ქვის კვადრებით ნაგები შენობა N 1. მდებარეობს N 1 სენაკის აღმოსავლეთით, მისგან 1,5-2,0 მ. დაშორებით. S კედლად ნაწილობრივ კლდის მასივია გამოყენებული. W კუთხე. N 41.726,77; O 04283810; H – 1272 (+, - 2) მ.; SO კუთხე. N 41.726,82; O 04283817; H – 1275 (+, - 2) მ.;

SW კუთხე. N 41.726,75; O 04283813; H – 1275 (+, - 2) მ.; NO კუთხე. N 41.726,79; O 04283815; H – 1272 (+, - 2) მ.; ზედა ნაწილი, S მხრიდან. N 41.726,72; O 04283864; H – 1282 (+, - 2) მ.

III ტერასა. ტერასაზე, რომლის სიგრძე 176 (+, -5-6) მ., ნაგებობათა მთელი წყებაა: სამნავიანი ბაზილიკა (სურ. 25-27), სამი დარბაზული ეკლესია, მათგან ერთი, კლდოვანი მთის უკიდურეს O წერტილში მოხატულობის ფრაგმენტებითა და წყალგაყვანილობის სისტემის მონაკვეთით (სურ. 74-79). ეს უკანასკნელი აღმოაჩინეს ექსპედიციის წევრებმა

ივანე ბიბილურმა და ნიკოლოზ ბერიძემ; ამავე ტერასაზეა წყარო (სურ. 70-73), სატრაპეზო (სურ. 40-62), ჯერჯერობით გაურკვევლი ნაგებობების ნაშთები და სათავდაცვო სისტემის ნაწილი.

აღნიშნული სათავდაცვო სისტემა კარგად ზღუდავს სამონასტრო კომპლექსს N და NNO მხრიდან; თუმცა, აღნიშნულ მონაკვეთზე, რელიეფიდან გამომდინარე, დამცავი კედელი აუცილებლად III ტერასაზე. O მხარეს ბუნებრივი ზღუდეა, ვერტიკალური, ფრიალო კლდის სახით.

სიმაღლეთა სხვაობა ქვედა დონესთან - 3-4 მ.;

სწორედ III ტერასაზე არსებული ნაგებობებიდან ორი - დარბაზული ეკლესია (ჩვენი საერთო ნუმერაციით ნაგებობა N VI) და სატრაპეზო წარმოადგენდა, ტექნიკური დავალების თანახმად, ჩვენი კვლევის ობიექტს.

დარბაზული ეკლესია (სურ. 29-38). GPS კოორდინატები: NW კუთხე - N 41,726.81; O 042,838.73; ზ/დ.

- 1281; SW კუთხე - N 41,726,73; O 042,838.75. ზ/დ. - 1281. NO კუთხე - N 41,726,80 O 042,83880. ზ/დ. - 1282. SO კუთხე - N 41,726,73. O 042,83881. ზ/დ. - 1284. ტერასის დასაწყისში (ქვემოდან, W მხრიდან) მდებარეობს მცირე ზომის დარბაზული ეკლესია, ნაგები უპირატესად ადგილობრივი კლდის ქვით. ეკლესია შემოსილი იყო საკმად კარგად დამუშავებული ქვის სქელი ფილებით. პერანგის ცალკეული ნაწილები შემორჩენილია შენობის N კედლის ქვედა რიგებში. ეკლესიას ზღურბლიანი და ერთსაფეხურიანი შესასვლელი ჩრდილოეთიდანა აქვს დატანილი (სურ. 30. ა,ბ); 3 სარკმლიდან ერთი დატანილია შენობის N კედლის აღმოსავლეთ ზედა კუთხეში, ხოლო ორიც ერთმანეთის საპირისპიროდ, O და W კედლების ასევე ზედა ნაწილში. სამივე სარკმელი თაღოვანია (სურ. 31. ა-გ);

ნაგებობის ზომები: გარე: სიგრძე - 5,94; სიმაღლე - 5,15 (+-0,1) მ. შიდა - სიგრძე - 5,485; სიგანე -3,21; სიმაღლე - 4,83 მ. კედლების სისქე - 0,8; სარკმლების ზომები: N -სიმაღლე - 1,3; O - სიმაღლე - 0,75; W - სიმაღლე - 1,18; სიგანე - 0,61 მ.

ნაგებობა დაზიანებულია - თითქმის მთლიანადაა მონგრეული N კედელი; შემოცლილი აქვს საპირე ქვები და სახურავის ზედა ფენა (სურ. 28).

ნაგებობის პერანგის დიდი ნაწილი და სხვა არქიტექტურული დეტალები დავაფიქსირეთ როგორც ეკლესიის ინტერიერში, ასევე მის გარეთ N და W მხარეს. შესაძლოა, ქვების გარკვეული რაოდენობა ჩაგორებულია ქვედა ტერასაზე.

ბიოსაფარის მოხსნის შემდეგ, ნეშომპალისა და მიწისაგან გავწმინდეთ ეკლესიის N მხარის ცენტრალური და W მონაკვეთი; N კედლის სამხრეთი მონაკვეთი ხელუხლებლად დავტოვეთ, რადგა ძალისმიერი შეხებისას N კედლის დარჩენილი ნაწილისა და სახურავის N ქანობის ჩამონგრევის საფრთხე იზრდება.

ასევე ნაწილობრივ გავწმინდეთ S კედელიც; ნაწილობრივ იმიტომ, რომ ა) შურფების მეშვეობით მივიღეთ ჩვენთვის და არქიტექტორებისათვის საჭირო ინფორმაცია; ბ) S

კედლის სრულად გაშიშვლების შემთხვევაში, მკვეთრად გაიზრდებოდა კონსტრუქციულად საკმაოდ დასუსტებული შენობის დაზიანება-დანგრევის საფრთხე.

О კედელიც ნაგებია ტეხილი კლდის ქვით და შემოსილი იყო პერანგით, ამჟამად შემოძარცვულით. კედელი ნაშენია, წინასწარ, კლდეში ჩაჭრილ- მოსწორებულ ზოლზე;. ზესაპირკვლის ქვები - გულდასმით და დიდი ხელოვნებით დამუშავებული კვადრები (სურ. 31)

ინტერიერი - საკურთხევლის ადგილი გამოყოფილია საკმაოდ მაღალი ოსტატობით დამუშავებული ქვის კვადრებით ნაგები პილასტრით (სურ. 32, 33).

ინტერიერი გავწმინდეთ ნაწილობრივ, რადგან აბსიდის ნაწილში, არცთუ შორეულ წარსულში, მოუწყვიათ საკურთხევლის მაგვარი კონსტრუქცია, რომელშიც დასვენებულია ხატები და იყენებენ სანთლების დასანთებად (სურ. 34).

ვამჯობინეთ დროებით, სარესტავრაციო სამუშაოების დაწყებამდე, ხელი არ გვეხლო ადგილობრივთა მიერ მოწყობილი ამ კუთხისათვის. მოვერიდეთ ადგილობრივ მცხოვრებთა ცუდ-უბრალოდ გაღიზიანებას.

ეკლესიის ინტერიერში, ექსპედიციის წევრებმა (ი. ბიბილური, ნ. კობერიძე), იატაკის გაწმენდის დროს, დააფიქსირეს დიდი ალბათობით, წყალგაყვანილობის სისტემის მონაკვეთი. სამონასტრო კომპლექსის წყალგაყვანილობის სისტემის შესახებ, მომავალი სავლე სეზონის დასრულების შემდეგ შეგვეძლება საგნობრივი საუბარი.

ეკლესიის ოთხივე კუთხეში ამოვიღეთ საცდელი შურფები (სურ.). მათგან ორი - О კედლის გარ -

ეთ. სრულად დადასტურდა წინასწარული ვარაუდი იმის თაობაზე, რომ მშენებლებმა ნაგებობის საფუძვლად კლდე გამოიყენეს.

NW ამოღებულ შურფში დავაფიქსირეთ კედლის შესამკობი ქვის ჰორელიეფები გირჩი და ვერძის თავის ქანდაკება, რომლებიც გვერდიგვერდ, საგანგებოდ იყო დამარხული (სურ.).

ტაძრების შემკობა ვერძისა და გირჩის ჰორელიეფებით ლიხაურის XIV ს. ეკლესიის სამრეკლო, აშენებული 1422 წ.

ნაგებობის ორკალთიანი და საბურველ მოხსნილი სახურავი, ამჟამად დაფარულია ხავსისა და ბალახის სქელი ფენით (სურ. 28, 29-გ). სახურავის სამხრეთი კალთის SO მონაკვეთზე უწესრიგოდ აწყვია სხვადასხვა მოყვანილობისა და დანიშნულების ქვები (სურ. 29-გ).

ეკლესიის W მხარეს არსებული ქვები სათითაოდ გადავარჩიეთ და შემდეგ დავაბრუნეთ უკან, რათა ხანგრძლივი და მკაცრი ზამთრის პირობებში დამატებითი სირთულეები არ შეგვექმნა ნაგებობისათვის.

გადარჩევის პროცესში, მოხერხდა რამდენიმე ათეული პროფილირებული ქვისა და არქიტექტურული დეტალის გამორჩევა, რომელთა ილუსტრირებული კატალოგი ერთვის ანგარიშს საზოგადოდ, საკმაოდ უცნაურ სურათს ვხედავთ. ერთის მხრივ, სამონასტრო

კომპლექსში შემავალი ყველა ნაგებობა დაზიანებულ-დანგრეული, პერანგ და სახურავის საბურველ შემოცლილია; მეორეს მხრივ, ქვების ნაწილი, მათ შორის არქიტექტურული ელემენტები, რამდენიმე ადგილას თითქოსდა საგანგებოდაა დაწყობილი. სამნავიანი ბაზილიკის და სხვა დანარჩენი ეკლესიებისათვის საკმარისი საპირე ქვები და ლორფინები (გნებავთ მათი ნაწილები) ნამონასტრალის ტერიტორიაზე არ ჩანს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქვების ნაწილი დროთა განმავლობაში მოექცა მიწის ქვეშ, ნაწილიც ჩაგორდა ქვედა წერასაზე. სხვა ლოგიკურ ახსნას ვერ ვპოულობთ. თუ ეს ასე არაა, რისთვის დაჭირდათ და სად წაიღეს ამ რაოდენობის საპირე ქვა?

მონასტრის ახლო-მახლო, რაიმე, მეტნაკლებად ღირებული შენობა არ დგას, რომლის საჭიროებისათვის სამონასტრო კომპლექსიდან აღებულ ქვებს ძალზედ მოუხერხებელი და რთული გზით ქვემოთ ჩაიტანდნენ...

„სამცხის ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევის შემდგენლები, განსახილველი ეკლესიის შესახებ წერენ, რომ „ N 2 ეკლესიაში საძვალე იყო გამართული“ [1998:202]. უდავოდ რაღაც შეცდომაა...

შენობის S მხარეს მიწისა და სამშენებლო ნარჩენების ნაწილობრივი მოხსნის შემდეგ, კარგად გამოჩნდა რომ III და IV ტერასები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ საკმაოდ განიერი გზით (სურ. 39).

სატრაპეზო (სურ. 40-62). GPS კოორდინატები: NW კუთხე - N41,726.77. O 04283894; სიმაღლე - 1279 მ.; NO კუთხე - N 41.726,96. O 04283899; სიმაღლე - 1276 მ.; SOO კუთხე - N 41.726,60. O 04283901; სიმაღლე - 1276 მ.

სამონასტრო კომპლექსში შემავალი ნაგებობებიდან, სიდიდით გამოირჩევა სატრაპეზო დარბაზი. ნაგებობა ასიმეტრიულია. ზომები: ა) გარე სიგრძე N კედლის - 14,2; სიგანე-8,0; სიმაღლე (შემორჩენილი) - 2,9 მ. კედლის სიმაღლეზე გარედან მიწის ფენა ახდენს გავლენას - შურფების ამოღებისას, მიწის ფენის მოხსნის შემდეგ, კედლის სიმაღლემ შეადგინა 3,15-3,25 მ.; ბ) შიდა: სიგრძე N კედლის -11,92; S კედლის -11,43; სიგანე - W კედლის -7,2; O კედლის -5,2; სიმაღლე - N კედლის -4,0 მ.; კედლების სისქე მერყობს - 0,77 - 0,9 მ-დე.

ნაგებობას ორი კარი ჰქონდა დატანილი - W და N მხრიდან. დასავლეთის კარების სიგანე - 1,55; დასავლეთის მხრიდან სატრაპეზოში შემსვლელს უნდა ჩაეარა ოთხ საფეხურიანი კიბე რომელიც მოწყობილი იყო ადგილობრივი კლდის ქვის თხელი და საშუალო სისქის, მოგრძო ფილებით (სურ. 52,53). იმგვარადვე იყო მოყობილი შესასვლელი N 1 (ნაგ. VI) სამნავიან ბაზილიკაში; ჩრდილო კარი, რომელსაც ჰქონდა ადგილობრივი კლდის ქვისაგან გამოჭრილი თავზე (სიგრძე-1,4; სიმაღლე-0,32; სიგანე-0,45 მ.). კარების სიმაღლე - 1,4 მ. (სურ. 54).

სატრაპეზოს შიდა მხრიდან, O - W გრძივ ღერძზე მიუყვება 2,8 მ. სიგანის ტერასა (სურ. 40,55), რომლის SO კუთხეში გაუმართავთ დიდი ზომის სათავსი, ტექნიკური დავალების თანახმად, მაცივრად მიჩნეული; თუმცა, გამომდინარე მისი ისეთი კონსტრუქციული

ელემენტიდან, როგორცაა გამწოვი, რომელიც ერთდროულად საჰაეროსა და საკვამურის დანიშნულებას ასრულებდა, ჩვენი ვარაუდით, ბუხარი უნდა ყოფილიყო, რომელიც ნაწილობრივ კლდეშია გამოკვეთილი. ბუხრის ზომები: სიმაღლე ძირიდან საკვამურამდე - 4,0; სიგანე (შიდა) – 3.0; სიღრმე-2,4 მ. (სურ. 49-51).

სატრაპეზოს ინტერიერში სხვადასხვა სახის სამუშაოები იყო ჩასატარებელი: 1. ბიოსაფარის მოშორება, რაზეც ზემოთ უკვე ვთქვი; 2. ნეშომპალის საკმაოდ სქელი ფენის (0,5-08 მ.) მოხსნა; 3. მიწისა და ღორღის (სამშენებლო ნარჩენები, წარმოშობილი ნგრევის შედეგად) 0,7-0,9, რიგ შემთხვევაში - 1,0 - 1,2 მ. სისქის ფენის აღება; 4. სატრაპეზოს ინტერიერის ორ კუთხეში (NW, NO) საკონტროლო შურფების ამოღება; 5. ინტერიერში, შენობის ნგრევის შედეგად წარმოშობილი სამშენებლო ქვების გროვის შესწავლა და არქიტექტურული დეტალების გამორჩევა (სურ. 55-60).

სატრაპეზო, ისევე როგორც კომპლექსში შემავალი ნაგებობების აბსოლუტური უმრავლესობა, აგებულია წინასწარ მოსწორებულ-მოშანდაკებულ კლდოვან ზედაპირზე. ყოველგვარი დამატებითი კითხვებისა და ყოვლად უსარგებლო ვარაუდების თავიდან ასაცილებლად, სატრაპეზოს ოთხ სხვადასხვა ადგილას ამოვიღეთ საცდელი შურფები (სურ. 63-69). ცხადია, ჩვენი ვარაუდი დადასტურდა - სატრაპეზო, ისე როგორც კომპლექსში შემავალი შენობების უმეტესობა, აგებულია წინასწარ მოსწორებულ-მოშანდაკებულ კლდოვან ზედაპირზე.

ქვების შესწავლა ადგილზევე განვახორციელეთ, რადგან მათი გადაადგილებისა და თუნდაც დროებით დასაწყობებისათვის საჭირო ტერიტორია იქვე ახლო-მახლო არ არის. ერთადერთი ადგილი, სადაც შეიძლებოდა აღნიშნული ქვების დაწყობა, სამნავიანი ბაზილიკის ტერიტორიაა.

ამ აზრისაგან თავი შევიკავეთ, რადგან ნემვის სამონასტრო კომპლექსის შემთხვევა ცუდ პრეცედენტად დარჩა - მოსახლეობას, ფაქტობრივად, გზა გადავუკეტეთ, კვლევის გაგრძელება კი, ჩვენგან და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვეღარ გავაგრძელებთ...

სატრაპეზოს შიდა სივრცის ორად გამყოფი ტერასის აღმოსავლეთი მხარე სრულად გავწმინდეთ; რაც შეეხება მის დასავლეთ ნაწილს, აქ აქტიური გაწმენდითი სამუშაო არ ჩავატარებია. მიზეზი ისევ და ისევ ნაგებობის, ამჯერად, S კედლის მოცემული მონაკვეთის ძლიერი დაზიანებაა.

სატრაპეზოს გაწმენდის პროცესში ერთი საინტერესო დეტალი დაფიქსირდა - თიხის ქურჭლის უმეტესობა აღმოჩენილ იქნა ბუხრის წინ ან მის უშუალო სიახლოვეს.

სამონასტრო კომპლექსის III ტერასაზე, დარბაზულ ეკლესიასა და სატრაპეზოს შუაში ორი ნაგებობაა - ეკლესია და წყარო. მართალია, მათი კვლევა არ შედიოდა ჩვენს 2019 წ. სამუშაო გეგმაში, მაგრამ საჭიროდ ვთვლით მოკლედ მიმოვიხილო ისინი.

დარბაზული ეკლესია N 2. (სურ. 28,69). GPS კოორდინატები: NW კუთხე- N41,726.80. O 04283879; სიმაღლე - 1282 მ.; SO კუთხე - N 41.726,78. O 04283887; სიმაღლე - 1283 მ. სიმაღლე აღებულია კლდის „პოსტამენტის“ ძირიდან.

დარბაზული ეკლესიის აღმოსავლეთით, მისგან 1,2-1,3 დაშორებით, მდებარეობს მე-2 ეკლესია (ჩვენი ნუმერაციით - VII ნაგებობა), რომელიც აუგიათ კლდის წინასწარ შემზადებულ მაღალ ბაქანზე. აქ არაფერი განსაკუთრებულად აღსანიშნავი არ იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება - ზემოთ განხილული N 1 დარბაზული ეკლესიისა (ჩვენი ნუმერაციით - VI ნაგებობა) და წყაროსათვის შექმნილი ნაგებობისათვის, რომელთა შორისაც მდებარეობს მე-2 ეკლესია, საგანგებოდ მოუსწორებიათ კლდოვანი ქანები და ისინი ჩაუდგამთ ნიველირებულ ფართობზე;

განსახილველი ეკლესიის საფუძვლად კი, გამოუყენებიათ, ასევე საგანგებოდ მომზადებული კლდის შემადგენელი მასივი.

მისი გარე პერიმეტრის გაწმენდისას, კლდის ძირში, მუშები წააწყდნენ ადამიანის უწესრიგოდ განლაგებულ ძვლებს (სურ.), რომელსაც ზემოდან ნაწილობრივ ფარავდა ნაგებობის დიდრონი ქვები. ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ ადამიანი დაიღუპა შენობის ნგრევის შედეგად.

წყარო. აღმოსავლეთიდან, მე-2 ეკლესიის (N 7) მომიჯნავე ნაგებობა წყაროსთვისაა განკუთვნილი (სურ. 70-73). თაღისებრი მოყვანილობის შენობის სამხრეთ და ნაწილობრივ აღმოსავლეთ კედლებად გამოყენებულია ბუნებრივი კლდის მასივი. მარცხენა, ქვედა კიდეში დავაფიქსირეთ თიხის მილი, დიდი ალბათობით, იმ წყალგაყვანილობის ნაწილი, რომლითაც სამონასტრო კომლექსი მარაგდებოდა სასმელი წყლით.

აღნიშნული წყალგაყვანილობის უკიდურეს აღმოსავლეთ მონაკვეთს, ექსპედიციის წევრებმა ივანე ბიბილურმა, ნიკა ბერიძემ და ნოდარ კობერიძემ, მიაკვლიეს ფრესკებიანი დარბაზული ეკლესიის იატაკის ქვეშ მოწყობილ სასარდაფო ნაწილში (სურ. 74-79). ვიმედოვნებთ, რომ კვლევის გაგრძელების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ამ საკმაოდ საინტერესო საინჟინრო-ჰიდროლოგიური სისტემის კიდევ რამდენიმე მონაკვეთისა და განშტოების შესწავლა.

სამივე ეს ნაგებობა (ორი ეკლესია და წყარო), ისევე როგორც სატრაპეზო, ერთმანეთის მიყოლებით, მიჯრით აუშენებიათ.

ნაგებობის ინტერიერის მწვანე საფარისა და ნეშომპალა-ღორდიანი მიწის ამოღებისას, მუშები წყალგაყვანილობის მილის დონეზე ოდნავ მაღლა წააწყდნენ ადამიანის ჩონჩხს. ნეშთი იმდენად არაბუნებრივ მდგომარეობაში იყო, რომ უდავოდ აქ რაიმე რიტუალზე საუბარი ზედმეტია. ყველა ნიშნით, პიროვნება დაღუპული ჩანს ნაგებობის ნგრევის შედეგად - სხეულის ნაწილზე აშკარად გადმოვარდნილი ორი ქვა ეგდო (სურ. 69-გ).

ადამიანის ჩონჩხები და ცალკეული ნაწილები ფიქსირდებოდა სამონასტრო კომლექსის ცენტრალური და მომდევნო, ზედა ტერასის ცალკეულ მონაკვეთებზე; რამდენიმე

ინდივიდის ნაშთი, ჩვენს მისვლამდე, შეუგროვებია მამა იობს სამნავიანი ბაზილიკის ერთ ერთ მონაკვეთზე.

მსგავსი ვითარება შეიძლება მხოლოდ მოულოდნელ ნგრევის შედეგად შექმნილიყო. თუ რამ გამოიწვია ასეთი მძიმე შედეგების მომტანი ნგრევა-დაზიანება, კვლევის ამ ეტაპზე ამის თქმა შეუძლებელია. ერთი დანამდვილებით შემოძლია ვთქვა - ნამოსტრალის ტერიტორიის იმ მონაკვეთებზე, რომლებიც ჩვენ გავწმინდეთ ან გულდასმით დავათვალიერეთ, ხანძრის რაიმე კვალი არ დაგვიფიქსირებია.

ვიმედოვნებთ, რომ ცენტრალურ ტერასაზე არსებულ სამნავიანი ბაზილიკის, N 2 და N 3 დარბაზულ ეკლესიების, წყაროსა და რაც მთავარია, საფორთიფიკაციო სისტემის მონაკვეთების სრული შესწავლის საშუალება მოგვეცემა მომავალ წელს.

დასკვნის მაგიერ.

„შუა საუკუნეთა ქალაქ ოძრხისგან, ძველ ციხეთა ნანგრევების გარდა დღემდის აღარაფერს მოუღწევია...საგანგებო არქეოლოგიური კვლევა ძიება, უეჭველია, თვით ძველი ქალაქის ნაკვალევსაც აღმოაჩენდა, მაგრამ იგი ჯერ არ ჩატარებულა“ [აკად. ვახტანგ ბერიძე, 1970:79]

ოძრხის სამონასტრო კომპლექსის შემსწავლელი ექსპედიციის წლევანდელმა კამპანიამ, მნიშვნელოვანი დასკვნებისა და სამუშაო ჰიპოთეზების გამოთქმის საშუალება მოგვცა.

1. ოძრხის სამონასტრო კომპლექსის ცალკეული პერიოდებისა და ზოგადი თარიღის განსაზღვრა, ჯერ კიდევ წინაა.

საკუთრივ მონასტერი, ჩვენი წინასწარული ვარაუდით, დააფუძნეს არა უადრეს XI საუკუნის მე-2 ნახევრისა; XII – XIII ს. დასაწყისი ოძრხის მონასტრის აღზევების პერიოდია. სწორედ ამ დროს, კონკრეტულად კი 2002 წ., ბასიანის ომის დროს ჩერდება აქ მეფე თამარი ამალითა და სამღვდლო იერარქებით.

შემდგომი მოვლენების (მონღოლთა არაერთგზის ლაშქრობა, 1319 წლის მიწისძვრა და სხვ.) მეტ-ნაკლებად რეალური სურათის აღდგენა შესაძლოა მოხდეს ოძრხის დიდი სამონასტრო კომპლექსის სრული და კომპლექსური კვლევის დასრულების შემდეგ.

აქვე მინდა, კიდევ ერთხელ შევეხო „სამცხის ისტორიულ-ხუროთმოძღვრულ გზამკვლევში“ მოცემულ თარიღს. შემდგენელთა მიერ, მონასტრის ტერიტორიაზე ნანახ-აღწერილი ოთხივე ეკლესია, დათარიღებულია XIV-XV სს. [1998:202].

ვფიქრობ, სწორედ ესაა ოძრხის სამონასტრო კომპლექსის ფუნქციონირების ფინალური ეტაპი, რის შემდეგაც, დიდი ალბათობით, მოკლე დროში, სამონასტრო კომპლექსი წყვეტს არსებობას.

2. ოძრხის სამონასტრო კომპლექსის საზღვრების დადგენა და მასში შემავალი შემავალი ერთეულების რაოდენობის, დანიშნულებისა და ისევ და ისევ, დათარიღების საკითხი მომავალი კვლევის საქმეა.

3. ჩვენი ვარაუდით, ტერიტორია, სადაც XI- XII სს. მონასტერი დაფუძნდა, ათვისებული იყო გაცილებით ადრეულ პერიოდში და სულ სხვა ფუნქციის მატარებელი დასახლება იყო.

ამის თქმის საფუძველს მაძლევს: ა. ტერიტორიის მიმოხილვა, რომელიც გაცილებით მეტ ფართობზე ჩანს დატერასებულ-ათვისებული, ვიდრე გამოყენებული აქვს სამონასტრო კომპლექსს;

ბ. ზემოთაც ავლნიშნე და აქაც განვმეორდები - ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ საკმაოდ რთულ, კლდოვან რელიეფზე 5-6 (შემდგომი კვლევის შედეგად, შესაძლოა მათი რიცხვი გაიზარდოს) სხვადასხვა სიგრძის, სიგანისა და სიმაღლის ტერასების შექმნაზე დახარჯული შრომა, მთლად თანაბარზომიერი არ უნდა იყოს სამონასტრო კომპლექსში შემავალი ნაგებობების

რაოდენობასა და მათ მასშტაბებთან.

გ. ამას თუ დავუმატებთ იმას, რომ სამონასტრო კომპლექსის სხვადასხვა შენობაში გამოყენებული დამუშავებული ქვების ნაწილი, გაცილებით ადრეული პერიოდის ნაგებობებიდან უნდა იყოს „ნასესხები“, ჩნდება საცთური, ვივარაუდოდ, რომ სამონასტრო კომპლექსი აქ მეორადი მოვლენაა; თავდაპირველად კი, ამ ტერიტორიაზე, სულ სხვა ფუნქციის მატარებელი დასახლება იყო.

ცხადია, ეს მხოლოდ და მხოლოდ წინასწარული სამუშაო თეზაა, რომელსაც ჯერ კიდევ სჭირდება სათანადო საფუძვლიანობით დასაბუთება.

ერთი კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას - სამონასტრო კომპლექსი, რომელიც გაუგებარი მიზეზებით საერთოდ არაა საისტორიო ქრონიკებში ნახსენები, მეტიც, მისი სახელწოდებაც კი არ ვიცით დანამდვილებით, სრულფასოვანი, აუჩქარებელი, ყოველგვარი კონიუტურისაგან თავისუფალი კვლევის შემთხვევაში, ოძრხისა და „ოძრხის ქვეყნის“ წარსულის, ბევრს საინტერესო და საყურადღებო მოვლენის გაგებაში დგევხმარება.

სხვა შემთხვევაში, სამუდამოდ დავკარგავთ „ოძრხის ქვეყნისა“ და უფრო ფართოდ, ზემო ქართლის ისტორიის, ჯერ კიდევ შემორჩენილი რეალური ვითარების ამსახველ ფაქტებს.

ბიბლიოგრაფია

- ალხაზიშვილი ილია. გაზეთი „დროება“. ტფილისი. 1879, N 191
- ბარნაველი თეიმურაზ. აბასთუმნის ერთი წარწერის შესახებ. მაცნე. თბილისი. „მეცნიერება“. 1969. N5
- ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. IV. თბილისი. 1973
- ბერიძე ვახტანგ. სამცხის ხუროთმოძღვრება. თბილისი. 1955
- ბერიძე ვახტანგ. სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები. თბილისი. 1975
- ბერძენიშვილი დევი. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან. ზემო ქართლი - თორი, ჯავახეთი. თბილისი. „მეცნიერება“. 1985
- ბერძენიშვილი დევი, ნემსაძე თამარ, ელიზბარაშვილი ირინე, ზაზაძე ელვარდ, რაზმაძე კოტე.
- სამცხე. ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი. ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პროგრამა: საანგაროშო კრებული.- თბილისი. 1998. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.
- ბერძენიშვილი დევი. ოძრხევი. ნარკვევები. თბილისი. გამ. „სამკალი“. 2006
- ბერძენიშვილი დევი. ლევან მუსხელიშვილის საველ დღიურები. ნარკვევები. თბილისი. გამ. „სამკალი“. 2006
- ბიბილური თ. ზადენგორა. ენციკლოპედია „საქართველო“
- ბიბილური თეიმურაზ. ოძრხე (ლოკალიზაციის ცდა). (თანაავტორობით). ძმ. N 3 (108). თბილისი. 1998
- ბიბილური თეიმურაზ. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური ძეგლების ინვენტარიზაცია. I.
- ბოჭორიძე გიორგი. მოგზაურობა მსამცხე-ჯავახეთში. თბილისი. 1992
- ვინძე მესხი (ივანე გვარამაძე). ისტორიული მასალები. გაზ. „დროება“. 1879. N 187
- კაკაბაძე სარგის. ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები. საისტორიო მოამბე, I. 1924
- ლაპიდარული წარწერები. I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბილისი. „მეცნიერება“. 1983
- ლაფაჩი ციური, მოხევიშვილი ნოდარ, სულაქველიძე თამაზ, ფეიქრიშვილი ზურაბ. კურცხანის ხეობის საიდუმლოებანი. ძმ. N 2. თბილისი. 1986
- ლევან მუსხელიშვილის არქივი. საქართველოს აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
- ლომოური ნოდარ. საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IV ნაკვ. I. თბილისი. 1958
- მაკალათია სერგი. მესხეთ-ჯავახეთი. თბილისი. 1938

მოქცევაი ქართლისაი. შატბერდის კრებული X საუკუნისა. თბილისი. „მეცნიერება“. 1979

მროველი ლეონტი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა... ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. I. თბილისი. 1955

მროველი ლეონტი. მათიანე ქართლისაი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. I. თბილისი. 1955

ორბელიანი პაპუნა. ამბავი ქართლისანი. ელ. ცაგარეიშვილის გამოცემა. თბილისი. „მეცნიერება“. 1981

ორბელიანი სულხან-საბა. ლექსიკონი ქართული. წ. 1. თბილისი. 1966

საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი. ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე. თბილისი. 2009

საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე. თბილისი. 2009

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი შედგენილი ა. ბაქრაძისა და ს. ბოლქვაძის მიერ. 1953

ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა. შეადგინა ალექსანდრე ლლონტმა. თბილისი. „განათლება“. 1974

სამცხე. ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი. შემდგენლები: თ. ნემსაძე, დ. ბერძენიშვილი, ი. ელიზბარაშვილი, ე. ზაზაძე, კ. რაზმაძე. ეროვნული მემკვიდრეობის პროგრამა. საანგარიშო კრებული. თბილისი. 1998

სილოგავა ვალერი. აბასთუმნის წარწერის წაკითხვისა და დათარიღებისათვის. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის XII სამეცნიერო სესია. თეზისები. თბილისი. 1970

სილოგავა ვალერი. ქართული საართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში. „მაცნე“. თბილისი. 1972. N 4

ცისკარიშვილი ვასილ. ჯავახეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო. თბილისი. 1959

ილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი 1694-1732 წწ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა (სსანა აბულაძემ ; გამოკვლევა დაურთო მიხეილ სვანიძემ).

საქართველოს ისტორიის წყაროები, 16. (საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები, 10. "მეცნიერება", 1979

შუბითიძე ვ. ქართული ციხესიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები.-თბ.,2012

ჭინჭარაული ალ. "ოდრხის" ეტიმოლოგიისათვის. „საქართველო“. I. თბილისი. 1998
ჯავახიშვილი ივანე. საქართველოს ეკონომიური ისტორია. I. თბილისი. 1930

ჯავახიშვილი ივანე. ქართველი ერის ისტორია. თხზულებები XII ტომად. თბილისი. თსუ გამომცემლობა. 1983


ჯიქია სერგი. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. III. თბილისი. 1958

Бибилури Г. и др. Работы Заденгорского отряда (Месхет – Джавахетская экспедиция). ПАИ. 1984-1985. Тбилиси. 1987


Каландадзе К. С. Древнейшее поселение в Абастумани. ПАИ в 1972 году. Тбилиси. 1973;

Пхакадзе Г. Г., Каландадзе К. С., Орджоникидзе А. З. Результаты работ Абастуманской экспедиции. ПАИ в 1980 году. Тбилиси. 1982

Такаишвили Эквтиме. Археологические экскурсии, розыскания и заметки, в. II, Тифлис, 1905




სურ. 1. ფოტო თანამგზავრიდან.



მისამართი	დაბა აბასთუმანი, კურცხანის ხეობა, სამონასტრო კომპლექსი	ნაკვეთის ფართობი	8000 კვ.მ	
დანიშნულება	არასასოფლო-სამეურნეო	ხაზობრივი ნაგებობის ფაქტობრივი სიგრძე:	მეტრი	
პირობითი აღნიშვნები: ⊕ წერტილი — ნაკვეთის შიქსირებული საზღვარი - - - ნაკვეთის არაშიქსირებული საზღვარი ვალდებულება შენიშნული ნაგებობა მდებარეობს კონსტრუქციის შენობის ნომერი/სართული/ანოვა ღანბრული/ნაგებობა მშენებარე მიწისკვეთი — ხაზობრივი ნაგებობა ● ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი	ხაზობრივი ნაგებობის გეგმარებითი სიგრძე:	მეტრი		
	ხაზობრივი ნაგებობის წერტილოვანი ობიექტი:	რ-ბა		
	საკადასტრო აზომვაზე უფლებამოსილი პირი	ზურაბ პეტრიაშვილი 47001001297		
	დაინტერესებული პირი	საქართველოს საპატრიარქო		
	თარიღი:	25.06.2017		
	შენიშვნა:			

სურ. 2. საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი



სურ. 3. ტოპოგეგმა

საერთო ხედები



სურ. 4-5. ოცხისა და კურცხანისწყლის ხერთვისი



სურ. 6. აბასთუმნის შესასვლელი. XIX - XX სს. ლეონ კაპოანის ფოტო.




სურ. 7. აბასთუმნის ხედი XIX - XX სს. ლეონ კაპოანის ფოტო.



სურ. 8. დაბა აბასთუმნის საერთო ხედი. 2019 წ. ივლისი



სურ. 9. მუშაობის პროცესი




სურ. 11-14. ჩვენს მიერ აღდგენილი საცალფეხო გზა

ქვის კარიერები



სურ. 15. ახალციხე-აბასთუმნის გზის პირას. მდ. ოცხის მარცხენა ნაპირი.



სურ. 16-21. I ტერასა. ქვის სამტეხლო და ქვების პირველადი დაბუზავება




სურ. 22,23. II. ტრასა. ნაგებობის ნანგრევებზე ამოსული ხეები. თ. ბიბილურის ფოტო



სურ. 24. II ტრასა. დიდი ნაგებობა



სურ. 25-27. სამნავიანი ბაზილიკა



სურ. 28. დარბაზული ეკლესიები და წყარო. ხედი N-დან. თ. ბიბილურის ფოტო



ა)

ბ)

გ)

სურ. 29. დარბაზული ეკლესია: ა)ხედი N-დან; ბ) W-დან; გ) SO-დან. თ. ბიბილურის ფოტო



სურ. 30. ა,ბ. N დარბაზული ეკლესია.შესასვლელი. კიბის საფეხური



ა)



ბ)



გ)

სურ. 31. დარბაზული ეკლესია (ნაგებობა N VI). ინტერიერი. სარკმლები: ა) O; ბ) W; გ) N



სურ. 32-34. ინტერიერი



ა)



ბ) - გ)



სურ. 35. საკონტროლო შურფი O კედლის ძირში: ა) NO კუთხე; ბ) - გ) ცენტრალური ნაწილი



სურ. 36-38. საკონტროლო შურფი N კედლის NW კუთხის ძირში; NO კუთხე;



სურ 39. გზა III და IV ტერასებს შორის.


სატრაპეზო



სურ 40. სატრაპეზო გეგმა. ზედად



სურ 41. სატრაპეზო O კედელი. ჭრილი 1:1



სურ. 42. სატრაპეზო W კედელი. ჭრილი 1: 2



სურ. 43. სატრაპეზო. S კედელი ჭრილი 1: 3



სურ. 44. N კედელი გარედან. ხედი N00-დან. სურ. 45. N კედელი გარედან. ხედი NW-დან.



სურ. 46-48. სატრაპეზო სამუშაოების დაწყებამდე. თ. ბიბილურის ფოტო



სურ. 49-51. სატრაპეზო. ბუხარი



სურ. 52,53. შესასვლელი W-დან. ქვის საფეხურები. სურ. 54. N კარების თავზე



სურ. 55-60. სატრაპეზო სამუშაოების სხვადასხვა ეტაპზე. თ. ბიბილურის ფოტო



სურ. 61,62. სატრაპეზო მწვანე საფარისა და მიწის მოხსნის შემდეგ. თ. ბიბილურის ფოტო



სურ. 63-65. შურფი. NO კუთხე



სურ. 66,67. შურფი. NW კუთხე

68. შურფი. ინტერიერის NW კუთხე



ა)

ბ)-გ)

სურ. 69. დარბაზული ეკლესია კლდის საფუძველზე: ა) საერთო ხედი ნ-დან; ბ(-გ). ქვების ქვეშ მოყოლილი ადამიანის ჩონჩხი



სურ. 70-73. წყარო, კედლის მხატვრობის ნაშთით



სურ. 74-79. დარბაზული ეკლესია კედლის მხატვრობის ნაშთით

მოძრავი ძეგლების კატალოგი

ა) არქიტექტურულ-დეკორატიული-სამშენებლო-საინჟინრო



სავ. N ომ-20. კარნიზი. ზომები: 0,48 x 0,37 (ჩამოტეხილია); h – 0,44; 0,33 მ. აღმოჩნდა დარბაზული ეკლესიის ინტერიერში (ნაგებობა VI).



სავ. N ომ-1. ვერძის თავი. დგილობრივი კლდის ან ბაზალტის ქვა. მკვეთრად გამოყვანილი ყურისა რქის მოხაზულობა. ოთხი ოვალური ნახვრეტი შუბლსა და გვერდებზე. ზომები: სიგრძე - 0,18; სიგანე, ზურგის მხრიდან - 0,18; ზურგიდან პირის დაბოლოებამდე - 0,19; დარბაზული ეკლესია (ნაგებობა VI);



სავ. N ომ-2. გირჩი, მუქი ყავისფერი შირიმის (?) ქვისაგან დამზადებული. სიგრძე- 0,22; გირჩის-0,17; დმ. თავთან-0,22; -0,25; ფოსოს სიღრმე-0,05; ბორღურის სიგანე-0,06; სიმაღლე-0,04 მ. დარბაზული ეკლესია (ნაგებობა VI).



სავ. N ომ-3. კუთხის ქვა. კირქვა (?). სიგრძე-0,52; სიგანე-0,31; შიდა კუთხის ზომები: - 0,12; 0,19; სისქე-0,14 მ. დარბაზული ეკლესია (ნაგებობა VI)



სავ. N ომ-11. არქიტექტურული დეტალი. ადგილობრივი კლდის ქვა. სიგრძე-0,2; სიმაღლე-0,13; სიგანე-0,15 მცირე დარბაზული ეკლესია (ნაგებობა VI)



სავ. N ომ-6. კუთხის ქვა. სიგრძე-0,3; სიგანე-0,2; სიმაღლე-0,22 მ. დარბაზული ეკლესია (ნაგებობა VI)



სავ. N ომ-5. კეხი. ადგილობრივი კლდის ქვა. სიგრძე-0,65; კალთების სიმაღლე- 0,18; 0,19; ძირის სიგანე-0,24 სიგანე-დარბაზული ეკლესია (ნაგებობა VI)



სავ. N ომ-7. კეხი. სიგრძე-0,47; გადასაბმელის გარეშე-0,44; გვერდების სიმაღლე-0,21 მ. N 1 დარბაზული ეკლესია (ნაგებობა VI)



სავ. N ომ-5. კეხი. ნაკლული. დარბაზული ეკლესიის (ნაგებობა N VI)



სავ. N ომ-5,7. კეხის შეერთება. რეკონსტრუქციის ცდა. მცირე დარბაზული ეკლესია (ნაგებობა VI)



სავ. N ომ-8. ლორწინის ლილვი. სიგრძე-0,35; სიგანე, ძირის-0,16; სიმაღლე-0,1; - 0,12 მ. დარბაზული ეკლესია (ნაგებობა VI)-



სავ. N ომ-22. ლილვი, ნაკლული. სიგრძე-0,28; სიგანე, ძირის-0,15; სიმაღლე-0,1; - 0,12 მ. დარბაზული ეკლესია (ნაგებობა VI)



სავ. N ომ-21. ლორფინი. ნაკლული. ზომები: სიგრძე-0,56; სიგანე- 0,26; სისქე-0,2 მ. დარბაზული ეკლესია (ნაგებობა VI)



სავ. N ომ-9. ლორფინის ფრაგმენტი ლილვით. სიგრძე-0,37; სიგანე, ძირის-0,13; სიმაღლე-0,1; კეხის სიმაღლე-0,04; ლორფინის სისქე-0,040,05; ბორდურის სიგანე-0,06 მ. დარბაზული ეკლესია (ნაგებ. VI)



სავ. N ომ-14. ლორფინი. სიგრძე-0,37; სიგანე-0,31; სისქე 0,055; ბორდურის სიგანე-0,08; სიმაღლე-0,001 მ.დარბაზული ეკლესია (ნაგებობა VI)



სავ. N ომ-19. პილასტრის ნაწილი. სიმაღლე-0,23; სიგანე-0,2; სისქე ძირთან-0,13 მ. დარბაზული ეკლესია (ნაგებობა VI)



სავ. N ომ-18. ლორფინის ლილვი. ნაკლული. სიგრძე-0,35; სიგანე-0,16; სიმაღლე-0,1; -0,12 მ. დარბაზული ეკლესია (ნაგებობა VI)



სავ. N ომ-25. ლორფინის ლილვი. ნაკლული. მცირე დარბაზული ეკლესია (ნაგებობა VI)



სავ. N ომ-10. ლორფინის ნაწილი(?). დარბაზული ეკლესია (ნაგებობა VI)



სავ. N ომ-12.არქიტექტურული დეტალი.
წვერკვეთილი ტოლფერდა სამკუთხედის ფორმის. სიმაღლე-0.36; სიგანე ფუძის-0,26; წვერთან-0.16;
სისქე-0,16 მ.




სავ. N ომ-23. ლილვი. სიგრძე-0,62; სიგანე-0,29; სიმაღლე-0,2 მ.
დარბაზული ეკლესია (ნაგებობა VI)



სავ. N ომ-12. არქიტექტურული დეტალი (თაღის ნაწილი?). სიგრძე-0,8;
სიმაღლე-0.34; სისქე-0,15 მ.

სატრაპეზოში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლედი



მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევი (ბარათაშვილი) ქართული ნუმიზმატიკის ფუძემდებელი

ქართული სამეცნიერო ნუმიზმატიკის ფუძემდებლად სამართლიანად არის მიჩნეული თავადი მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევი¹ (1784-1856). ის დაიბადა რუსეთში, ქალაქ სიმბირსკში, ამ მხარის მეფის ნაცვალის, გუბერნატორის გენერალ-პორუჩიკის პეტრე მიხეილის ძე ბარათაევის ოჯახში. მისი პაპა მედიქსედევ (მიხეილ) ბარათაშვილი 1724 წელს ვახტანგ VI-ის ამაღლაში ყოფილა და საქართველოში აღარ დაბრუნებულა. მისთვის უბოძებიათ მამულები სიმბირსკში, რომელიც „ბარათაეკას“ სახელით არის ცნობილი. მის პირმშოს, პეტრე მიხეილის ძეს, შესაფერისი განათლება მიუღია. 1820-1835 წწ. ის სიმბირსკის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლია, მანამდე მონაწილეობდა 1809 წლის სამხედრო კამპანიაში ევროპაში² – თანაუგრძნობდა დეკაბრისტებს, რისთვისაც მცირე ხნით პეტერბურგში დაუკავებიათ. ის სიმბირსკის მასონთა ლოჟის დამაარსებელია. ბროკჰაუზის ენციკლოპედიის თანახმად, გარდა ამისა პეტრე მიხეილის ძე ცნობილი ყოფილა „როგორც არქეოლოგი და ნუმიზმატი“. მონეტების შეგროვებას ის ახალგაზრდობიდანვე შესდგომია. ჩვენ არ ვიცით, ჰქონდა თუ არა მიხეილ ბარათაევის ოჯახს კავშირი საქართველოსთან, ფლობდა თუ არა ის სრულყოფილად მშობლიურ ენას, საქართველოში ჩამოსვლამდე. ერთი კი ცხადია, წინაპართა სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარულით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ 1839 წელს მას მოუხერხებია საქართველოში სამსახურში განწესება. ის ინიშნება „ამიერკავკასიის ოლქის საბაჟოს უფროსად“ და ამ თანამდებობაზე „დეისტეიტელნი სტატსკი სოვეტნიკ“ (სამოქალაქო გენერალი) ჩინით მან არა სრული სამი წელიწადი იმსახურა და პენსიაზე გავიდა.³ აქ მნიშვნელოვნად უნდა შეევესო ქართული მონეტების კოლექცია. მ. ბარათაევს თბილისში უცხოვრია სოლოლაკში, შადინოვების სახლში და ამისათვის ფინანსთა სამინისტროს საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტი 25 მანეთს უხდიდა თვიურად.

ეს სახლი, რომელიც მაშინ ახლადამენებული გახლდათ, დღემდეა შემონახული. (ყოფილი ბებუთოვის ქუჩა, შემდეგ ენგელსის, დღეს ლადო ასათიანის № 30). შემდგომში აქ ბინა დაუდია (1860-1868 წწ.) გერმანული ფირმის “სიმენსი და ჰალგეს” წარმომადგენელს ვალტერ სიმენსს. სახლი შეუძენიათ ხატისოვებს (სურ. 1).

¹ დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, მეორე გამოცემა. თბ. 1969, გვ. 23.

² Ф. А. Брокгауз, И. А. Еффон, Энциклопедический словарь под редакцией проф. И. Андреевского, т. III, Спб., 1891.

³ 1842 წლის 20 ნოემბერს ალექსანდრე II-ის უხენაესი განკარგულებით ამიერკავკასიის საბაჟო ოლქის უფროსის თანამდებობა გაუქმებულ ქნა (“упразднена”), რასაც მოჰყვა “оставление его за штатом” საქ. სახ. საისტ. არქივი., ფ. 378, აღწ. 1, ფ. 149

მ. ბარათაევს აღუდგენია ნათესაური კავშირები ბარათაშვილების და ჭავჭავაძეების არისტოკრატიულ ოჯახებთან, მათ შორის მელიტონ და ნიკოლოზ ბარათაშვილებთან. ნიშანდობლივია, რომ სწორედ მას მიუძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“, რომელიც 1842 წლით არის დათარიღებული.⁴ უშუალოდ მ. ბარათაევს მოღვაწეობას საქართველოში ეხება პოეტის შემდეგი სტრიქონები: „ჟამ-ვითარებით გარდახვეწილთ, შენ შვილთ მიდამო, მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო“.

ამ „გარდახვეწილმა“, საქართველოსთან სამუდამო განშორების შემდეგ, 1844 წლის მიწურულს პეტერბურგში გამოსცა სერიოზული სამეცნიერო გამოკვლევა, ქართული მონეტებისადმი (V-XVIII სს.) მიძღვნილი მონოგრაფია: „Нумизматические факты грузинского царства“ (წიგნის თავსართის ფოტოები იხ. სურ. 2-4), რუსულ და ფრანგულ ენებზე, ვრცელი ქართული კომენტარებით. როგორც ჩანს, ამ წიგნის, ყოველ შემთხვევაში მისი ქართული ვარიანტის, მომზადებაში პროფ. დ. ჩუბინაშვილთან ერთად ნიკოლოზ ბარათაშვილსაც უნდა მიეღო გარკვეული მონაწილეობა; თუმცა ბარათაევს წიგნის წინასიტყვაობაში ამაზე არაფერია ნათქვამი. ამ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა მხოლოდ მიხეილ ბარათაევს მელიტონ ბარათაშვილისადმი მიწერილი ერთი ჩვენამდე მოღწეული წერილის შემდეგი პასაჟი: „მეტისმეტად გამახარებდა ჩვენი საერთო საყვარელი ნიკოლოზ მელიტონის-ძე, თუ კი შეავსებდა თავისი უხვი ცოდნითა და ნიჭით თავისი მოხუცი პაპის პირველ ნაშრომს.“ გარდა ამისა, შემოინახა კიდევ ერთი ბარათის ფრაგმენტი, ამჯერად ნ. ბარათაშვილის მიერ მიწერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, სადაც ნათქვამია:⁵ “აი, ჩემი უკანასკნელი ლექსი, რომელიც კნიაზ ბარათაევს ალბომში ჩავუწერე მისი თხოვნით.⁶ ისიც ორ დღეს უკან მიდის პეტერბურგში: „с большим запасом сведения об исторической Грузии“. აღნიშნულ გარემოებას პირველმა მიაქცია ყურადღება სწავლულმა ფილოლოგმა შ. გოზალიშვილმა, რომელმაც გ. ლეონიძის, მ. ჩიქოვანის კვალდაკვალ წარმოაჩინა ნიკოლოზ ბარათაშვილის პროფესიული დაინტერესება საქართველოს ისტორიის პრობლემებით.⁷

სავსებით დასაშვებია – “ისტორიული საქართველოს შესახებ ცნობების მარაგის შექმნა” -ში ნიკოლოზ ბარათაშვილსაც მიუძღვის გარკვეული წილი. აქ ალბათ საქართველოში მოძიებული მონეტებიც იგულისხმება.

ობიექტურად, მ. ბარათაევს 1844 წლის ბოლოსა და 1845 წლის დასაწყისში გამოსულ წიგნს, მიუხედავად იმისა რომ ის ნიკოლოზ I-ს ეძღვნებოდა, ეროვნული თვითშეგნებისა და ქართული საზოგადოების გამოფხიზლების საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა. წიგნში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ XIX ს. საქართველოს ყველა ეპოქაში თავისი ფული ანუ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა ჰქონდა. ამ წიგნის – “ნუმიზმატიკური ფაქტები ანუ ძველნი ფულნი საქართველოს სამეფოსანი” – ავტორმა შესავალში მოვალედ ჩათვალა თავი, უშუალოდ ქართველებისადმი მიემართა შემდეგი სიტყვებით: “თქვენს საუცხოვო და დიდად მშვენიერ ქვეყანაში ჩემმა მცირე ხნით ყოფნამ გულში

⁴ ლექსნი თქმულნი თ. ნ. ბარათაშვილისაგან, ტფილისი, 1876, გვ. 55

⁵ ნ. ბარათაშვილი, თხზულებები, თბ., 1945, გვ. 96

⁶ ბარათაევს აღნიშნული ალბომი დაცულია მოსკოვის სახელმწიფო საისტორიო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში, შ. გოზალიშვილი, მიხეილ ბარათაშვილი, თბ. 1987, გვ. 70

⁷ შ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 68-71

ღრმად ჩამინერგა გრძნობა უწრფელესი სიყვარულისა და მადლობისა... ეს ჩემი ნაშრომი დარჩება, როგორც მხოლოდ თქვენი სახსოვარი ჩემს გულში და მეც იმედი მექნება, გამიხსენებთ თქვენდამი პატივისცემის გრძნობით აღსავსე წინაპარს.” ჩვენ არ ვიცით, რა გამოხმაურება მოჰყვა ამ წიგნს საქართველოში. თანამედროვეთა შეფასება რუსეთში ბროკჰაუზის ენციკლოპედიის თანახმად მეტი რომ არაფერი ვთქვათ, საკმაოდ უცნაურია: “ეს შესანიშნავი ნაშრომი არასათანადოდ შეფასებული საქართველოში (ხაზგასმა ჩვენია გ.ლ., გ. გ.) დიდი თანაგრძნობით იქნა მიღებული ევროპაში” (Б.Э., III, с. 38). ამ წიგნის გამოსვლიდან ორი წლის შემდეგ სანკტ-პეტერბურგში დაიბეჭდა აკად. მარი ბროსეს რეცენზია სათაურით “გამოხმაურება შრომაზე “ნუმიზმატიკური ფაქტები საქართველოს სამეფოსი” და ქართული ნუმიზმატიკის მიმოხილვა”.⁸ მოგვიანებით ცნობილმა ფრანგმა ნუმიზმატმა ვ. ლანგლუამ ბარათაევზე დაყრნობით გამოსცა წიგნი “საქართველოს ნუმიზმატიკა”.⁹

1846 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრებმა, აკადემიკოსებმა უსტლიაროვმა, დორნმა და ბროსემ პეტერბურგში კრებულში: “XV присуждение учрежденных П Н Демидовым наград.” გამოაქვეყნეს რეცენზია სათაურით -- “Разбор сочинения князя Баратаева под названием “Нумизматические факты Грузинского царства,” составленный академиками Устлиаровым, Дорном и Броссе.” (გვ. 237-246), რაც ღირსშესანიშნავ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

თუ რა იგულისხმება „недостаточно оцененный на Родине“-ს ქვეშ, ჩვენ არ ვიცით, რადგან ამ ნაშრომზე გამოხმაურებებს იმ დროინდელ ჩვენს პერიოდიკაში ჯერ-ჯერობით ვერ მივაკვლიეთ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1857 წელს ჟურნალ ცისკარში დაბეჭდილ დ. ბაქრაძის ერთ წერილს, სადაც საქართველოს ისტორიის წყაროების მიმოხილვისას მაღალ შეფასებას აძლევს მ. ბარათაევის სამეცნიერო მოღვაწეობას.¹⁰ ყოველ შემთხვევაში დასაფიქრებელია ის გარემოება, რომ სულ მალე წიგნის გამოსვლის შემდეგ, მიხეილ ბარათაშვილი სამსახურიდან გადადგა, სამუდამოდ მიატოვა საქართველო, დაბრუნდა რა თავის მამულში -- ბარათაევკაში, სიმბირსკში (ულიანოვსკი). იქნებ მიხეილ ბარათაევი, ისევე როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი, თავისი პატრიოტული მოღვაწეობის გამო, მუდმივ ჩუმ დევნას განიცდიდა. 1845 წელს ამ დევნის მსხვერპლი გახდა განჯაში განწესებული ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელსაც არ ეღიროსა მ. ბარათაევის სანუკვარი წიგნის ხილვა. ბარათაევის მოღვაწეობის ბოლო პერიოდი ჩვენთვის უცნობია. უნდა ვივარაუდოთ, რომ ის განაგრძობდა თავისი კოლექციის შევსება-დამუშავებას, რაც ჩანს შ. გოზალიშვილის გამოვლენილი საარქივო მასალიდან. კერძოდ, 1898 წელს სიმბირსკის (ულიანოვსკი) 250 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე წარმოდგენილი ყოფილა მ. ბარათაევის სამტომიანი ხელნაწერი ნაშრომი “ლითონური ფაქტები საქართველოს ისტორიისათვის”.¹¹

იგი გარდაიცვალა 1856 წლის 30 ივლისს, მისი საფლავი დაკარგულია.

⁸ M. Brosset., Rapport sur l'ouvrage intitulé "Нумизматические факты Грузинского царства" et Revue de Numismatique georgienne., Spb, 1847

⁹ V. Langlaas, Numismatic de la Georgie, Paris, 1852

¹⁰ ცისკარი, 1857, 32, გვ. 57-58

¹¹ შ. გოზალიშვილი, დას. ნაშრომი, გვ. 56

მ. ბარათაევის სიკვდილს ქართული საზოგადოებრიობა არ გამოხმაურებია, რუსული პერიოდიკისაგან განსხვავებით. აღსანიშნავია ავტორიტეტული სამეცნიერო ორგანო „სახალხო განათლების სამინისტროს ჟურნალში“ რუბრიკით „ახალი ამბები და ნარევი“ დაბეჭდილი საკმაოდ ვრცელი უავტორო ნეკროლოგი¹² მისი ქართული თარგმანი, მცირე შემოკლებით, აქ მოგვყავს: „კნიაზ მ. პ. ბარათაევი. 30 ივლისს სიმბირსკთან, თავის მამულ ბარათაევკაში, 76 წლის ასაკში გარდაიცვალა ერთ-ერთი უპატივცემულესი აზნაური, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი კნიაზ მიხეილ პეტრეს-ძე ბარათოვი. საზოგადოებისთვის ის ცნობილია თავისი სამსახურით გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თანამდებობაზე 1820-1835 წლებში, შემდეგ, როგორც ქრისტიანული ქველმოქმედების საზოგადოების თავმჯდომარე, სიმბირსკის სამების ტაძრის სამშენებლო კომიტეტის და კეთილშობილთა საგიმნაზიო პანსიონის საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე. სამეცნიერო წრეებისათვის გარდაცვლილი ცნობილია იმპერატორ ნიკოლოზ პავლეს-ძისადმი მიძღვნილი წიგნით: „საქართველოს სამეფოს ნუმიზმატიკური ფაქტები“, რუსულ, ქართულ და ფრანგულ ენებზე 1844წ. მისი მოღვაწეობა არაერთხელ აღუნიშნავთ უზენაესი რესკრიპციებით. ის გახლავთ წევრი რუსული და უცხოური სამეცნიერო საზოგადოებებისა. მისი ნუმიზმატიკური გამოკვლევების ნაყოფს, გარდა ნახსენები ნაშრომისა, წარმოადგენს უძველეს მონეტათა და მედლების კოლექცია. აქედან, ბევრი მათგანი მხოლოდ და მხოლოდ აქ არის თავმოყრილი და მის კაბინეტში ინახება, სადაც სხვა იშვიათობებიც არის წარმოდგენილი. ნუმიზმატიკური მოღვაწეობისა და მონეტების პირების აღების ხერხის გამოგონებისათვის პარიზის მეცნიერებათა აკადემიამ ის თავის წევრად მიიღო“.

ნიშანდობლივია, რომ მონეტების პირების გადაღების მის მიერ გამოგონილი ხერხი, რომელიც დაწვრილებით არის აღწერილი აღნიშნულ წიგნში, დღესაც პოპულარულია ნუმიზმატებში (ფოლგის მეშვეობით ანაბეჭდის აღება და თაბაშირით ზუსტი პირის ჩამოსხმა. პირადად მე ეს შემასწავლა ცნობილმა რუსმა ნუმიზმატმა კ. გოლენკომ -- გ. ლორთქიფანიძე). გარდაცვალებიდან 15 წლის შემდეგ, 1871 წელს მის მემკვიდრე ქალბატონებს მამისეული მონეტებისა და მედლების კოლექცია, საიმპერატორო ერმიტაჟისთვის შეუთავაზებიათ. ბნელით მოცული ვითარების გამო, მ. ბროსეს ექსპერტიზის შემდეგ ერმიტაჟს უარი უთქვამს მ. ბარათაევის კოლექციაზე, რომელიც უმაღლესი შეუძენია ბერლინის მუზეუმს!¹³ დღეს მისი ადგილსამყოფელი უცნობია.

სხვა მონაცემების თანახმად ამაში ბრალი ნუმიზმატს, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტს ი. ა. ბართოლომეის (1813-1870) მიუძღვის. ის კავკასიაში მოღვაწეობდა. იყო რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან 1854 წ. დაარსებული მუზეუმის დირექტორი. მუზეუმს ჰქონდა სხვადასხვა, 384 მონეტისაგან შემდგარი ნუმიზმატიკური კოლექცია. “Кавказский календарь“ თბილისში გამომავალი ოფიციალური კოლონიური ორგანო XIX ს. სამოციან წლებში რეგულარულად აქვეყნებდა ცნობებს მუზეუმში შემოსული მონეტების შესახებ. ბართოლომეის კავშირი ჰქონდა პეტერბურგის “ერმიტაჟთან”, რომელსაც მონეტებით, მათ შორის ქართული

¹² ЖМР, СПб, 1856, VII განვ. გვ. 107-108

¹³ И. Спасский. Нумизматика в эрмитаже. СПб. «Нумизматика и эпиграфика», VIII, М. 1970, с. 176, 180

საფასებებითაც, ამარაგებდა. მას 1857 წელს დაუწერია უარყოფითი დასკვნა მიხეილ ბარათაევის კოლექციის შესახებ, რომელიც ჯერ კავკასიის განყოფილების მუზეუმისათვის შეუთავაზებიათ მემკვიდრეებს. „დანიშნული ფასის სიდიდის გამო“, „და უფრო იმიტომაც, რომ ის შეადგენს საგანს სრულიად შეუსაბამოს განყოფილების მიზნებისათვის“ ?! (დაწვრ. იხ. დუნდუა გ. დუნდუა თ. I. 2006წ., გვ. 20). როგორც იტყვიან “კომენტარები ზედმეტია”. საქართველომ მართლაც დაკარგა კიდევ ერთი თავისი ფასდაუდებელი ეროვნული მემკვიდრეობის ნაწილი...

ცნობილია იმ დროის მეორე, ქართული მონეტების კოლექცია, რომელიც კავკასიაში დიდხანს მოღვაწე, არქეოლოგიისა და ნუმიზმატიკის მოყვარულ მეფის ნაცვლის კანცელარიის მაღალ ჩინოსანს გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე კომაროვს (1823-1904 წწ.) ეკუთვნოდა.¹⁴ მისი კოლექცია 1892 წელს ერმიტაჟს უყიდა 25 000 მანეთად.¹⁵

მ. პ. ბარათაევის უნიკალური კოლექციის მეორე ნაწილი – ბერძნულ-რომაული და აღმოსავლური, მათ შორის სომხური მონეტები დაიქსაქსა, გაიფანტა სხვადასხვა კერძო კოლექციებში და პრაქტიკულად შეუძლებელია დღეს მათი გამოვლენა... მაგალითად, ცნობილი რუსი ნუმიზმატიკისა და კოლექციონერის ა. გ. გოლიკოვის კოლექციაში მარტო თამარ მეფის 20 იშვიათი მონეტა ყოფილა.¹⁶

გვაქვს ბედნიერი გამონაკლისიც. ქართული მონეტების უძვირფასესი კოლექცია, რომელშიც უნიკუმებიც შედიოდა, ბაქოში მოღვაწე რუსმა მეცნიერმა და კოლექციონერმა პროფ. ე. ა. პახომოვმა (1890-1965 წწ.) უანდერძა საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმს; როგორც აღნიშნავდა პროფ. დ. კაპანაძე,¹⁷ ე. პახომოვის მიერ მემკვიდრეობით დატოვებულმა კოლექციამ საგრძნობლად შეავსო ხარვეზები, გამოამხეურა მანამდე უცნობი და მიუწვდომელი მონეტები.

ე. პახომოვი მიხეილ პეტრეს-ძე ბარათაევის (ბარათაშვილი) საქმის გამგრძელებლად წარმოგვიდგება. 1910 წელს პეტერბურგში მან გამოსცა წიგნი „საქართველოს მონეტები, I“, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა სახელმძღვანელო წიგნად ქართულ ნუმიზმატიკაში.¹⁸ მისი მეორე შევსებული გამოცემა გამოვიდა თბილისში 1970 წელს, პროფ. დ. კაპანაძის წინასიტყვაობით და კომენტარებით.¹⁹ ის ე. პახომოვს თავის მასწავლებლად, ხოლო თავს მ. პ. ბარათაევის საქმის მემკვიდრედ მიიჩნევდა.²⁰

მიუხედავად იმისა, რომ მ. პ. ბარათაევმა (ბარათაშვილმა) მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში, სამშობლოში ის მართლაც არ აღმოჩნდა სათანადოდ დაფასებული. მაგალითად, მისი მოღვაწეობის შესახებ არაფერია ნათქვამი ისეთ სოლიდურ გამოკვლევაში, როგორცაა

¹⁴ მის შესახებ იხ.: Военная энциклопедия, т. XIII, СПб. 1913, с. 64., Сборник неизданных грузинских монет из собрания А.В. Комарова, Ф. Байера и В.Н. Вырубаева. М. 1997.с. 5

¹⁵ И. Спаский. Нумизматика в эрмитаже.

¹⁶ Л.А. Заворотная. Коллекционер Александр Григорьевич Голиков (1865-1940), Сб. Монеты и медали, II М. 2004, с. 259

¹⁷ დ. კაპანაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 3

¹⁸ იხ. ს. ჯანაშია, თსუ პროგრამა პალეოგრაფიისა და ნუმიზმატიკაში, შრომები, V, თბ. 1987, გვ. 182.

¹⁹ Е.А. Пахомов, Монеты Грузии. Тб., 1970.

²⁰ Д. Капанадзе, Грузинская нумизматика. М. 1955. с. 8

„საქართველოს ისტორიის ნარკვევები“²¹ და ეს, მიუხედავად რუსეთში უკვე არსებული პრეცედენტისა, როდესაც აკად. მ. ტიხომიროვის რედაქტორობით გამოსულ „საბჭოთა კავშირის ისტორიული მეცნიერების ისტორიის ნარკვევების“ პირველ ტომში²² “ბურჟუაზიული ეპოქის” ამ ქართველ ისტორიკოსს მაღალი შეფასება ჰქონდა მიცემული, როგორც ქართული მონეტების შესწავლის პიონერს.

დღეს საყოველთაოდ ცნობილია მ. ბარათაშვილის (ბარათაევი) ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე. მან პირველმა აღწერა, დააჯგუფა და დაათარიდა ქართული მონეტები, რითაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ ნუმიზმატიკას, მის მეცნიერულ ტერმინოლოგიას. აკად. ა. აფაქიძის დაკვირვებით, მან პირველმა მიაქცია ყურადღება VI ს კლასიკურ საისტორიო წყაროებში დაცულ ცნობას თბილისის შესახებ. მის შრომას ახასიათებს ღრმად პატრიოტული და პროგრესული კონცეფცია ქართველთა და ქართველთა სამეფოს, საქართველოს ერთიანობის შესახებ.²³ ქართულ ისტორიოგრაფიაში მ. ბარათაევის მოღვაწეობის შეუსწავლელობით გამოწვეული ხარვეზი შეავსო შ. გოზალიშვილმა, ჩვენს მიერ არაერთხელ ციტირებული ნაშრომით – “მიხეილ ბარათაშვილი” თბ. 1987. გაზეთმა “ქართული წიგნი” 2002 წლის 2 ნოემბრის (№2, 14) ნომერში (გვ. 7) დაბეჭდა გ. სარაჯიშვილის წერილი სათაურით: “მიხეილ ბარათაშვილი ნუმიზმატიკური კატალოგების ბეჭდვის გამომგონებელი”, რომელიც ძირითადად შ. გოზალიშვილის მონოგრაფიას ეყრდნობა მითითების გარეშე. ასევე გაუგებრობაა ის, რომ თითქოს მ. ბარათაშვილი ნუმიზმატიკური კატალოგების ბეჭდვის გამომგონებელია! ასევე არ არის აღნიშნული ის ფაქტი, რომ მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევის სურათი პირველად ჩვენში შ. გოზალიშვილმა გამომამზეურა და ამით კიდევ ერთხელ დაუბრუნა საქართველოს სახელოვანი შვილი.

მ. ბარათაევის მონოგრაფიამ: “ნუმიზმატიკური ფაქტები ანუ ძველნი ფულნი საქართველოს სამეფოსანი” შეასრულა თავისი წამყვანი როლი ქართული კულტურის ისტორიაში. წიგნის შესავალში მ. ბარათაევი წერდა: ”მე თავს ბედნიერად ვთვლი, თუ ჩემი პირველი ნაშრომი თქვენს მშვენიერ მამულში გააღვიძებს სურვილს ამგვარი მუშაობის განგრძობისას, ჩემგან დაწყებული საქმის შესავსებად და გასაღრმავებლად... მაშინ ეს ჩემი ნაშრომი დარჩება, როგორც მხოლოდ თქვენი სახსოვარი ჩემს გულში და მეც იმედი მექნება გამიხსენებთ თქვენდამი პატივისცემის გრძნობით აღსავსე წინაპარს”.

შემდეგი ეტაპი ქართული ნუმიზმატიკის განვითარებაში დაკავშირებულია თბილისში 1881 წლის 8-21 სექტემბერს ჩატარებულ რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობასთან, სადაც არაერთხელ გაიჟღერა პეტრე ბარათაშვილის სახელმა. ყრილობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი ნუმიზმატიკის მოყვარული და კოლექციონერი გენერალ-ლეიტენანტი კომაროვი გახლდათ.


²¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V. საქართველო XIX ს. 30-90 წლებში, თბ. 1970, იხ. პარაგრაფი “მეცნიერება”, გვ. 818-823. იხ. აგრეთვე А. Сургуладзе. Очерки по истории грузинской культуры XIX в. Тб. 1980

²² Очерки истории исторической науки в СССР, т. 1. М. 1955. с. 638

²³ ა. აფაქიძე. ბარათაშვილი (ბარათაევი), მ.პ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ. 1977. ტ. 2, გვ. 199



სურ. 1 შადინოვების სახლი სოლოლაკში (ყოფილი ბებუთოვის, დღეს ლადო ასათიანის ქუჩაზე), რომელშიც ცხოვრობდა მიხეილ პეტრეს ძე ბარათაევი (ბარათაშვილი).


DOCUMENTS
 NUMISMATIQUES
 D U
Royaume de Géorgie.
 ...cela s'est perpétué jusqu'à nous; quant à l'avenir, Dieu le connaît; que Sa volonté s'accomplisse.
Wakhous,ht.

გ ო ჯ ი ნ ზ ე რ ი ე ს ფ რ ე რ ე რ ე ე ს
 ა ნ უ
ა რ ქ ი ლ ი რ ი ფ ო ლ ი რ ი
ს ზ ფ ი ე მ თ ყ რ თ ს ლ ი ზ შ ყ რ თ ო ლ ი რ ი.
 ... და ამჟამად ესენ ქრები არსებდენ.
 ხოლო წლებითი უწყობა აღწერაჲს,
 და კითხვი ნებისა უფრო.
 1844
 ა ნ უ
 შუბნისხედავს: ფ. ჯ. ნ. წელიწადის ქართულად ქართონიკონიანისს.

НУМИЗМАТИЧЕСКІЕ
ФАКТЫ
Грузинскаго Царства.
 ... და ამჟამად ესენ ქრები არსებდენ.
 ხოლო წლებითი უწყობა აღწერაჲს,
 და კითხვი ნებისა უფრო.
 1844
 ა ნ უ
 ... такъ было до нашихъ времени;
 будущее известно Богу, да будетъ воля Его.
Вакхушій.

სურ. 2-4 მ. ბარათაევის წიგნის თავსართები
 Pic. 2-4 introduction to M. Barataevs book




სურ. 5. მიხეილ პეტრეს ძე ბარათევი (ბარათშვილ)

გოგა გაბაშვილი

ტრესუდანი დედოფლის
სპილენძის მონეტების განბი
დაბა წყნოთიდან

რას ვკითხულობთ რუსუდან დედოფლის მონეტებზე



წინასიტყვაობა

ბოლო 2014–2019 წლების განმავლობაში ქართული და უცხოელი ნუმიზმატების კერძო კოლექციები, დილერების დახმარებით, შეივსო შავი არქეოლოგიების მიერ მოპოვებული მონეტებით, როგორც ქართული ასევე უცხოური ნუმიზმატური არტიფაქტებით.

ძაან სამწუხაროა ასეთი მდგომარეობა, რადგან მუზეუმის ფონდებში ეს მონეტები არ შედის და მათი შესწავლა ვერ ხერხდება.

დილერების ხელში ასევე ხშირად ხვდება სამონეტო განძები, უმეტეს შემთხვევებში ეს განძები იფანტება კოლექციონერებსა და მოყვარულ ნუმიზმატებს შორის, კარგავს თავის ისტორიულ მნიშვნელობას და განძში ჩართული მონეტები უკვე არაფერს წარმოადგენს ისტორიისათვის.

ასეთი სერიოზული პრობლემის წინაშე მდგომისათვის წინააღმდეგობის გაწევა მზგავსი უკანონო ქმედებისადმი ძალზე ძნელია, პრობლემა კი ისევ ჰაერში ჩამოკიდებულ მდგომარეობაში რჩება, ამდენად მიწევს ყოველგვარი ეთიკური და მორალური პრობლემების გადაფარვა.

დილერებსა და შავ არქეოლოგებთან შეთანხმებით მცირედი ანაზღაურების შემდეგ, სრულად ვაფიქსირებ მათ მიერ აღმოჩენილ სამონეტო განძებს და ზოგიერთ საინტერესო მონეტას.

ჩემს მიერ დაფიქსირებული ფოტო მასალები მისაწვდომია ნებისმიერი ნუმიზმატისათვის, მხოლოდ არაკომერციული გამოყენების მიზნით. კონკრეტული მასალების მიღებაზე სურვილის გამოთქმის შემდგომ, აუცილებელი გასაუბრების მერე მოკლე ვადაში სრულად გადმოგეცემათ სასურველი მასალები.

რუსუდან დედოფალი (1223 – 1245)

რუსუდან დედოფალი დაიბადა დაახლოებით 1194 წ. ტახტზე აღზევდა 1223 წ. გიორგი IV ლაშას ვაჟის დავითის ჩვილობის გამო, დიდებულებმაც რუსუდანი აღიაც დედოფლად. საქართველოს რუსუდანის პერიოდში ახლო ურთიერთობები ჰქონდა მცირე აზიის სელჩუკებთან; თავად რუსუდანმა 1223 წელს იქორწინა ერზურუმის სულთნის თოდრულ შაჰის¹ ძე მოლის ედ–დინზე² რომელიც პირობის თანახმად წინასწარ გაქრისტიანდა.

რუსუდან დედოფალს შეემინა ქალიშვილი რომელსაც დაარქვეს ბებიის სახელი თამარი³ და ვაჟი დავითი. 1236 წელს თამარი, შემდგომში გურჯი–ხათუნად წოდებული მიათხოვეს რუმის სულთან ყაის ედ–დინ ქეი ხოსროვ II–ეს.⁴ თამარმა კარგი განწყობა დაიმსახურა სულთანის კარზე და 1136 წელს მოჭრილ ფულზე სულთანმა ამოატვიფრინა მისი სახე (მზე ლომის ზოდიაქოში). ასე გაჩნდა აღმოსავლეთში ცნობილი ემბლემა შირ–უ–ხირშიდ (ლომი და მზე), რომელიც შემდგომ სხვა სულთნებმა გამოიყენეს, ასევე ეს ტიპი მონეტისა გამოიყენეს მონგოლებმა სპილენძის ემისიის დროს, მოგვიანებით კი სპარსეთშიც დამკვიდრდა როგორც ვერცხლზე ისე სპილენძზე. 1239–1231 წელს რუსუდანმა თავისი ვაჟი დავითი 5 წლის ასაკში გომოაცხადა თავის თანამოსაყდრეთ და აკურთხებინა იმერეთში⁵ ქალაქ ქუთაისში.

XIII საუკუნის პირველ წლებში ხორეზმშახთავრცელისახელმწიფო ტრანს–კასპის სანაპიროზე მონღოლთა ძლიერი დაწოლის შემდეგ დაეცა და ხვარეზმ შახის ალაადინ მუჰამად II–ის⁶ ვაჟი ჯალალ ად–დინ მანგუბერდი (ან მანკბურნი)⁷ თავს უშველა გაქცევით და რიგი თავგადასავლების შემდეგ შეაგროვა უშველებელი ურდო დაეუფლა დასავლეთ სპარსეთს და ადერბაიჯანს, შემდგომ თავს დაესხა სასომხათის ქართულ პროვინციებს. დაბანაკდა ადერბაიჯანში.⁸

1. თოდრულ შაჰის, მმართველობის პერიოდი (1188–1225).

2. მასალები მოლის ედ–დინზე დასაზუსტებელია!

3. დაბადების და გარდაცვალების წლები უცნობია.

4. ყაის ედ–დინ ქეი ხოსროვ II, მმართველობის პერიოდი (1236–1245).

5. იმერეთი, დასავლეთ საქართველოს ერთ–ერთი ისტორიულ–გეოგრაფიულ მხარე.

6. ალაადინ მუჰამად II, ხვარაზმის იმპერიის შახი (1200–1220). 1220 წელს ჩინგიზ ყანის შემოტევის დროს ვერ შეძლო ორგანიზირებული წინააღმდეგობის გაწევა.

7. ჯალალად–დინ მანგუბერდი (ან მანკბურნი) მმართველობის პერიოდი (1220–1231) 1231 წელს იგი სელჩუკების მიერ დაქირავებულმა მკვლელმა მოკლა.

8. თანამედროვე აზერბაიჯანი.

1225 წელს მიმართა რუსუდანს წინადადებით, რომ გაჰყოლოდა მას ცოლად და ელიარებინა საქართველოს მეფედ, მას შემდეგ რაც პასუხად მიიღო უარი, ჯალალ ად-დინი შემოიჭრა საქართველოში, დაამარცხა საქართველოს ლაშქარი, რომელსაც ივანე⁹ ათაბაგ¹⁰–ამირსპასალარი¹¹ მეთაურობდა და ხვარაზმელებმა 1226 წელს თბილისს ალყა შემოარტყა. ჯალალ ედ-ინმა 1226 წლის 9 მარტს თბილისი აიღო. ხვარაზმელებმა გაწყვიტეს ქალაქის ქრისტიანული მოსახლეობა (ქართველები და სომხები) და დიდძალი ქონება იგდეს ხელთ. დედოფალი რუსუდანი და სამეფო კარი ქუთაისში გადავიდა.

ჯალალ ედ-დინი თბილისში ორი წელი გაჩერდა, ამ დროის განმავლობაში განაგრძობდა მარცვავს და ანადგურებდა აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს. 1228 წელს რაღაც სხვა საქმეებით დაკავდა და თავის ურდოსთან ერთად სამხრეთით წავიდა, თბილისში სუსტი გარნიზონი დატოვა. ქართველებმა ისარგებლეს ამით და ხორეზმელები განდევნეს ქალაქიდან, მაგრამ დროებით, რადგან 1229 წელს ჯალალ ად-დინი უკან დაბრუნდ და ქართული ლაშქარი კვლავ განდევნა თბილისიდან. 1230 წელს ჯალალ ად-დინი ისევ გაილაშქრა სამხრეთით ქალაქ ხლათის¹² მიმართულებით და აიღო იგი, მაგრამ მალე მონგოლებისაგან შევიწროვებულმა, რომლებმაც უკვე აიღეს ადარბაიჯანი, დამარცხდა ალ-ედდინ კაიკუბათის¹³ მოკავშირე ჯარებთან, გაიქცა ქურტისტანში და 1231 წელს იქნა მოკლული.

ჯალალ ად-დინის სიკვდილის შემდეგ მისი ჯარი საქართველოში გაიფანტა, ქართველებმა ადვილად გაანადგურეს ისინი და დაიბრუნეს თბილისი. 1226–1231 წლებში სულ რაღაც 5–ი წლის განმავლობაში ხორეზმელებმა დიდი ეკონომიკური ზარალი მიაყენეს საქართველოს, დახოცეს მრავალი ქრისტიანი, გაიტაცეს საქონეი, გადაწვეს ყანები და ბალები. ჯალალ ედ დინის ლაშქრობამ კვალი საქართველოს ნუმისმატიკასაც დაატყო, აღმოსავლეთ და

9. ივანე I მხარგრძელი (გ. 1227) — საქართველოს დიდებული XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის პირველ მესამედში. იყო დავით IV ლაშას აღმზრდელი.

10. საქართველოში ათაბაგი იყო ერთ-ერთი ვეზირი. მის ფუნქციებში შედიოდა ტახტის მემკვიდრის აღზრდა.

11. ამირსპასალარი (არაბ.-სპარს. ამირ — უფროსი, სპარს. სეფაჰსალარ — სარდალი) — გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ვეზირი, მთავარსარდალი. განაგებდა მუდმივ ჯარს.

12. ხლათი ქალაქი სასომხეთში ეკუთვნის თურქეთის ვილაიეთ ერსრუმსხ, მდებარეობს ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით.

13. ალ-ედდინ კაიკუბათი (1288–1237) მმართველობდა (1220–1237) იყო რომის შელჩუკების სულთან.

სამხრეთ საქართველოში მხოლოდ მისი ფული იყო მიმოქცევაში რასაც კიდევ ხელს უწყობდა ამ ტერიტორიის იზოლაცია.

ჯალალ ად-დინის შემდგომი მცირე პერიოდი გამოირჩეოდა სიმშვიდით. დაახლოებით 1235 წელს რუსუდანი სამეფო კართან ერთად თბილისში დაბრუნდა, ისარგებლა რა სიმშვიდით ჩაატარა პატარა დავითის კორონაცია და მას გვირგვინი დაადგა, ხოლო ლაშაგიორგის ვაჟი დავითი გაგზავნა თავის სიძესთან, რუმის სელჩუკ სულთან ყიას ედ-დინ ქეი ხოსრო II-ის კარზე სადაც ის რუსუდან დედოფლის იბტრიგების შემდეგ სიძემ დილეგში ჩასვეს, გაანთავისუფლეს მხოლოდ 1235–1236წ. მას შემდეგ რაც მონგოლებმა საქართველო დაიპყრეს.

1235 წელს მონღოლებმა აიღეს საქართველოს ყმადნაფიცი განძა¹⁴ (განჯა) და თბილისისკენ დაიძრნენ. დედოფალმა თბილისი დატოვა და კვლავ იმერეთში გაიხიზნა. ჩაატარა ფულის რეფორმა; განაახლა ვერცხლის მონეტების მოჭრა.

ორმოციანი წლების დასაწყისში მონღოლები მთლიანად იმორჩილებენ საქართველოს, დედოფალს აიძულებენ, რომ გადასცეს მათ შვილი და რუსუდანს გადააყენებენ ტახტიდან.

1245 წელს რუსუდან დედოფალი სასოწარკვეთისგან დასნეულდა და გარდაიცვლა.

14. ქალაქი აზერბაიჯანში ყოფილი (განჯის სახანო)

რუსუდან დედოფლის მონეტები

ისტორიული წყაროებიდან ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ რუსუდან დედოფალი 1223 წ. დაქორწინდა მოლის ედ-დინიზე და ამავე წელს სამეფო ტახტზე აღზევდა, მიუხედავად მისი მეფობისა პირველი თავისი სპილენძის მონეტა მოჭრა ქორონიკონის¹⁵ 447 წ. =1227 წ. ხოლო ვერცხლის დრამი ქორონიკონის 450 წ.=1230 წ. რითაც განაახლა საქართველოში ვერცხლის ფულის მოჭრა, რომელიც სპილენძის დეფიციტის გამო დაახლოებით 100 წლით ადრე შეწყდა.

როგორც ჩანს მეფომის პირველ წლებში რუსუდანს სახელმწიფოში არსებული სპილენძის მონეტების მასა ყოფნიდა სავაჭრო ბრუნვისათვის როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ, სპილენძის ფულის მოხმარება არ წარმოადგენდა არანაერ პრობლემას, რადგან აღმოსავლეთის ქვეყნებს და ბიზანტიასაც კი ეტყობოდა ვერცხლის დეფიციტი, ამავე დროს საქართველოს აშკარად დომინირებდა გარშემო მყოფ მეზობელ ქვეყნებზე.

ჯალალ ედ-დინის მიერ თბილისის აღების შემდეგ დედოფალი იმერეთში გაიხიზნა და ალბათ ხაზინის ნაწილი თან გაიყოლია, მაგრამ წარმოქმნილი ფულის დეფიციტის გამო დასავლეთ საქართველოში დაიწყო ფულის ჭედვა. ჯალალ ედ-დინმა, რომელსაც სპილენძის ფულის უშველებელი მასა დარჩა ანექსიის შემდე, დაიწყო ამ ფულის გადაჭედვა. მისი მონეტები დათარიღებულია მხოლოდ ერთი თარიღით ჰიჯრის¹⁶ 623წ.=1126 წ. კერძო კოლექციებში და სახელმწიფო მუზეუმებში არის დაცული ჯალალ ედ-დინის მონეტები რომლებზეც, გადაჭედვის მიურედავად ჩანს; დემეტრე I¹⁷-ის, გიორგი III¹⁸-ის, თამარ დედოფლის¹⁹-ის და გიორგი IV ლაშას²⁰ მონეტების კვალი.

15. ქორონიკონი, (ბერძ. Χρῖστος – დრო, ჟამი, წელიწადი) წელთაღრიცხვის ძველი სისტემა, რომელიც მიღებული იყო ქრისტიანულ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც.

16. 622 წელს მექას მოსახლეობა, უკმაყოფილონი იყვნენ მუჰამედის ქადაგებით, რის გამოც იგი მექადან მედინაში განდევნეს, ჰიჯრას წელი გახდა ისლამური, მთვარის კალენდრის პირველი წელი.

17. დემეტრე I – საქართველოს მეფე 1125-1156, დავით აღმაშენებლის უფროსი ვაჟი და მემკვიდრე.

18. გიორგი III დაბადების წელი უცნობია, გარდაიცვალა 1184 საქართველოს მეფე 1156 წლ იდან, დემეტრე I-ის ძე, ბაგრატიონთა გვარის შთამომავალი.

19. თამარი, თამარ მეფე დაიბადა დაახლოებით 1160 გარდაიცვალა 1213, შესაძლოა 1210 ან 1207 საქართველოს მონარქი 1184 წლიდან, გიორგი III-იე ასული.

20. გიორგი IV ლაშა (დ. 1192 — გ. 18 იანვარი, 1223) საქართველოს მეფე 1213-1223 წლებში. თამარ მეფის და დავით სოსლანის ძე.

რუსუდან დედოფლის მონეტებზე ისევე როგორც მის წინამორბედი მეფეების მონეტებზე აღნიშნულია მოჭრის პირველი წელია და შემდგომ წლებში მონეტები ამავე თარიღით იჭრება.

საინტერესო საკითხია რუსუდან დედოფლის სამონეტო დამღები. ჩვენთვის ცნობილია მისი 5 დამღა, რომელშიც ქვემოთ არის წარმოდგენილი, მაგრამ ამ საკითხზე გავამახვილებ ყურადღებას მას მერა რაც რუსუდან დედოფლის მონეტების სრულ აღწერას წარმოგიდგენთ.



№ 3



№ 7



№ 8



№ 9




№ 10

როგორც უკვე ვიცით რუსუდანის პირველი მონეტა სპილენძისაა და გამოიყურება შემდეგ ნაირად;



Obv. ცენტრში მოთავსებულია დედოფლის დაქარაგმებული სახელი ასომთავრული²¹ ანბანით **სსნ** (რსნ)(რუსუდან), მის თავზე უკვე ორნამენტში ჩაქსოვილი მისივე ქარაგმა;



კვადრატის გარეთ, ზედა სეგმენტში მოთავსებულია ისევ რუსუდანის სახელის ქარაგმა რომელიც გადმოცემული არაბულად;



رسو (რსუ) (რუსუდან).

დანარჩენ სამ სეგმენტში იკითხება ასომთავრულით გადმოცემული თარიღის ქარაგმა;



(+45) (ქვნ) (476) (უმზ) (ქორონიკონსა)

(447=1227).

Rev. მონეტის ცენტრში არაბული ზედწერილი;


الملكة الملوك و الملكات جلال الدنيا و الدولة و الدين روسدان بنت تamar ظهير المسيح اعز الله انصاره

21. ასომთავრული, ქართული დამწერლობის უძველესი სახეა. თავად სიტყვა „ასომთავრული“ გვიანდელია და XVI საუკუნიდან გვხვდება, უფრო ადრეულ ძეგლებში იგი „მრგლოვანის“ სახელწოდებითაა ცნობილი — ეს სახელწოდება ასოთა მომრგვალებულ მოხაზულობებზე მიუთითებს.

(დედოფალი მეფეთა და დედოფალთა, შვენება ქვეყნისა, სამეფოსი და სარწმუნოებისა, რუსუდანი, ასული თამარისა, თაყვანისმცემელი მესიისა, განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისი).

ჩემს მიერ აწონილი რუსუდან დედოფლის სპილენძის მონეტების რემედიოსი ძალზე უცნაურია, რადგან დაბალი წონა 1.8 იყო ხოლო ყველაზე დიდი 8.9გ იწონიდა, კოლექციონერები ამბობენ, რომ უფრო დიდი ნომინალებიც უნახიატ. (ასეთი მონეტების არსებობა ჩემთვის დაუდასტურებელია). ამ ტიპის სპილენძის მონეტებზე გვხვდება მხოლოდ ერთი სახის დამდა № 3 ამ საკითხს მიუბრუნდეთ შემდგომში.

სპილენძის მონეტებისგან განსხვავებით რუსუდან დედოფლის ვერცგლიც მონეტები უფრო მრავალსახოვანია მცირე ნიუანსების გამო რევერსზე. წარწერები მონეტის ორივე მხარეს სტანდარტულია და მეორდება ყველა მონეტაზე.



Obv. ცენტრში მაცხოვრის გამოცახულება, გვერდებზე ბერძნული წარწერა (ΙΣ ΧΣ). გარშემო ასომთავრული წარსეწა;

საქუზოთა იმსაოთა ოსუზნა +ჟი სჰუზოთა იმსაოთა ოსუზნა +ჟი (სახელითა ღვთისაითა იქედა ქორონიკონსა (ჟი)(უნი) (450=1230წ)

Rev. ცენტრში ასომთავრულით რუსუდანის დაქარაგმებული სახელი; (ქსჩ) (რსნ) (რუსუდან). გარშემო არაბული ზედწერილი; (الملكة الملكات جلاله الدنيا و الدين روسدان بنت تامار ظهير المسيح) (დედოფალი დედოფალთა, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, რუსუდანი ასული თამარისა, თაყვანისმცემელი მესიისა).



Obv. ცენტრში სხვა მონეტებისაგან განსხვავებული მაცხოვრის გამოსახულება. გვერდებზე ასომთავრულთან შერეული ბერძნული წარწერა; ἸϞ ϞϚ. მაცხოვრის გარშემო ასომთავრული წარწერა;

სქზოზ იოსო ჯოზა :ჰ:ჟ:ჩ: (სქზოზ იოსო ჯოზა :ჰ:ჟ:ჩ:)

(სახელითა ღვთისაითა იჰედა ქორონიკონსა ულ – 450=1230წ).

Rev. ცენტრში ასომთავრულით რუსუდანის დაქარაგმებული სახელი; (სსჩ) (რსნ) (რუსუდან). გარშემო არაბული ზედწერილი; (الملكة الملكات جلاله الدنيا و الدين روسدان بنت تamar ظهير المسيح) (დედოფალი დედოფალთა, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, რუსუდანი ასული თამარისა, თაყვანისმცემელი მესიისა).

იშვიათად გვხვდება ნახევარ დრამიანი მონეტები, იწონიან დაახლოებით 1,20გ.–1,25 გრამს.



Obv. ცენტრში მაცხოვრის გამოცახულება, გვერდებზე ბერძნული წარწერა (ΙΣ ΧΣ).

Rev. ცენტრში ასომთავრულით რუსუდანის დაქარაგმებული სახელი; (სსჩ) (რსნ) (რუსუდან).

როგორც მოგახსენეთ ამ მონეტებს აქვს განსხვავებული რევერსები, წარმოგიდგენთ;



№1



№2



№3



№4



№5

მონეტის ეს რევერსი ყველასაგან განსხვავებულია და არცერთ სხვა მონეტაზე არ გვხვდება, დედოფლის სახელი საინტერესოა და დაქარაგმებული (სსჩ) (რუსუდან) როგორც ზემოთაა ნაჩვენები.

ე. პახომოვი წერს, რომ რუსუდანი და დედოფლის დრამები და მუსულმანური დირხემები წონაში ძალიან ცოტათი განსხვავდებიან. სანქტ პეტერბურგის საიმპერატორო ერმიტაჟის კოლექციის

საუკრთესოდ შენახული მონეტების საშუალო წონა 2,6 გრამის ფარგლებშია, მაშინ როდესაც სელჩუკური მონეტების საშუალო 2,8გ. იქონის.

რუსუდან დედოფლის დამლები ქართულ და უცხოურ მონეტებზე

რუსუდანის დედოფლის დამლები უზომოდ დიდი რაოდენობით გვხვდება თავისი წინამორბედი ქართველი მეფეების მონეტებზე, როგორც ჩანს რუსუდანი 1223–1226 წლებში შემოიფარგლა უკვე არსებული მონეტების გადაჭედვით. ყველაზე ხშირად გამოიყენებადა დამლა № 10 შემდეგ № 9, ხშირია შემთხვევები როდესაც ორივე ეს დამლა ერთადაა დაკრული ერთ მონეტაზე. მან იშვიათად გვხვდება დამლები № 8, № 7, რომლებიც დაკრულია მხოლოდ თამარ და დავით სოსლანის²² ეგრეთწოდებულ დვინში²³ (ეს მონეტები ბევრ შეცდომებს შეიცავს, განსხვავდება არაბული ასოების დაწერილობით) მოჭრილ მონეტებზე.



22. დავით სოსლანი თამარ მეფის მეორე მეუღლე, იქორწინეს 1187 წელს დიდუბის სასახლეში. სახელმწიფო მოღვაწე, მემატიანე ახასიათებს როგორც ზნეობრივი და რაინდული თვისებებით შემკულ, სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცს. (გარდაიცვალა, 1205 წ.).

23. დვინი შუა საუკუნოვანი სომხეთის დედაქალაქი. აშენებული დიდი სომხეთის მეფის ხოსროვ III კოტაკის მიერ 335 წელს. ამავე წლიდან არშაკიანების სამეფო რეზიდენცია სწორედ ამ ქალაქში გადავიდა.



დედოფალი თამარი,
დამლა
№ 9



გიორგი IVლაშა,
დამლა
№ 9



გიორგი IVლაშა,
დამლა
№ 9



№ 10



ქალალ ალ-დინი,
დამლა
№ 10







ილდეგიზიდი,
დამლა
№ 10




მოცემული მასალის გათვალისწინებით დასტურდება, რომ ქვემოთ მოცემული ოთხი დამლა 1223 წლიდან 1227 წლამდე იყო გამოყენებული, რადგან ეს დამლები რუსუდანის ვერცხლის მონეტებზე გამოყენებული არ არის.



ძან საინტერესოა დამლა  №1, რომელსაც ვკითხულობ როგორც ასომთავრულ ასო (Φ) (ფ), ეს დამლა ძირითადად გვხვდება რუსუდანის სპილენზის მონეტებზე და როგორც ჩანს დაკრულია 1230 წლის რეფორმის შემდეგ, რადგან მოცემული № 3 დამლა გვხვდება რუსუდანის ვერცხლის მონეტებზე;



დამლა № 1 

თუ ამ დამლას გადავებრუნებთ და ჰორიზონტალურად მდგომარეობაში შევხედავთ შეიძლება წავიკითხოთ როგორც არაბული ასო (ف) (ბ), მაგრამ ეს მოსაზრება გაქარწყლდა მას შემდეგ რაც აღმოჩნდა რუსუდანის ვერცხლის მონეტა რომლის სიქაზე ოსტატს ასო (Φ)(ფ) თავიდანვე ამოუჭრია;



დამლა (Φ) (ფ) ასევე გაცოცხლებული აქვს უცხოური მონეტები;



ილდეგიზიდი,
დამლა
№ 5



ბიზანტია,
დამლა
№ 2



მოცემული ნუმიზმატური არტიფაქტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსუდანის ამ დამლის მოხმარება დაიწყო 1230 წელს ხოლო რომელ წლამდე იყო ხმარებაში პრაქტიკულად შეუძლებელია.

რუსუდან დედოფლის სპილენძის განძი დაბა წყნეთიდან

2019 წლის ზაფხულში, აგვისტოს თვეს დაბა წყნეთში (საქართველოს რესპუბლიკა) იქნა ნაპოვნი რუსუდად დედოფლის მონეტების განძი, რომელიც შეიცავდა 97 მონეტას. განძი შედგებოდა ეგრეთწოდებული (სწორად ნაჭედ) რუსუდან დედოფლის სპილენძის მონეტებისაგან, აქედან განძში არის ჩართული მხოლოდ 8 უცხოური მონეტა. დანარჩენი რუსუდან დედოფლის მონეტებია, მათ შორის 43 მონეტა გადადამღულია მისივე Φ (ფ) დამლით, უცხოური მონეტებიდან 2 ცალი იგივე დამლით არის გადაჭედილი. განძში დამლა Φ (ფ)-ს რამდენიმე ვარიანტია, წარმოგიდგენთ;



№1



№2



№3



№4



№5

წარმოგიდგენთ დაბა წყნეთში ნაპოვნი
განძის ფოტო მასალას



№1

Weight: 4.11g. Size: 25-24mm.



№2

Weight: 3.64g. Size: 24-23mm.



№3

Weight: 3.64g. Size: 25.5-25mm.



№4

Weight: 3.38g. Size: 25.5-25mm.



№5

Weight: 4.86g. Size: 25-24mm.



№6

Weight: 4.78g. Size: 25mm.



№7

Weight: 4.29g. Size: 24-23mm.



№8

Weight: 5.29g. Size: 26-24mm.



№9

Weight: 5.26g. Size: 23-22mm.



№10

Weight: 5.18g. Size: 25mm.



№11

Weight: 5.10g. Size: 25-24mm.



№12

Weight: 5.05g. Size: 25-24mm.



№13

Weight: 6.13g. Size: 24-23mm.



№14

Weight: 6.7g. Size: 24mm.



№15

Weight: 5.55g. Size: 24mm.



№16

Weight: 5.39g. Size: 24.5mm.



№17

Weight: 7.06g. Size: 25mm.



№18

Weight: 6.79g. Size: 25-24mm.



№19

Weight: 3.47g. Size: 24mm.



№20

Weight: 7.18g. Size: 25mm.



№21

Weight: 3.13g. Size: 25-24mm.



№22

Weight: 1.67g. Size: 19-17mm.



№23

Weight: 2.96g. Size: 25mm.



№24

Weight: 2.94g. Size: 25mm.



№25

Weight:3.55g. Size:25-23.5mm.



№26

Weight: 3.82g. Size: 25mm.



№27

Weight: 3.92g. Size: 25mm.



№28

Weight: 4.28g. Size: 26-24mm.



№29

Weight: 4.28g. Size: 24.5mm.



№30

Weight: 4.32g. Size: 25-23mm.



№31

Weight: 4.37g. Size: 25-24mm.



№32

Weight: 4.56g. Size: 24-23mm.



№33

Weight: 6.24g. Size: 24-22mm.



№34

Weight: 6.78g. Size: 23mm.



№35

Weight: 7.28g. Size: 24mm.



№36

Weight: 7.44g. Size: 24mm.



№37

Weight: 7.91g. Size: 24-23mm.



№38

Weight: 1.67g. Size: 22-18mm.



№39

Weight: 2.92g. Size: 25-23mm.



№40

Weight: 3.88g. Size: 25mm.



№41

Weight: 3.14g. Size: 25-23.5mm.



№42

Weight: 3.31g. Size: 24-23mm.



№43

Weight: 3.93g. Size: 25mm.



№44

Weight: 5.7g. Size: 24-21mm.



№45

Weight: 5.41g. Size: 25-24mm.



№46

Weight: 6.19g. Size: 25-24mm.



№47

Weight: 7.28g. Size: 25-21mm.



№48

Weight: 8.78g. Size: 25-24mm.



დადამღული მონეტები

Coins with stamps



№49

Weight: 2.23g. Size: 25-24mm.

On the coin a stamp №1



№50

Weight: 2.62g. Size: 26-25mm.

On the coin a stamp №2



№51

Weight: 2.96g. Size: 25-23mm.

On the coin a stamp №3



№52

Weight: 3.07g. Size: 25.24mm.

On the coin a stamp №3





№53

Weight: 3.13g. Size: 22-17mm.

On the coin a stamp №5



№54

Weight: 3.19g. Size: 26-25mm.

On the coin a stamp №2



№55

Weight: 3.37g. Size: 23-21mm.

On the coin a stamp №1



№56

Weight: 3.39g. Size: 24-23mm.

On the coin a stamp №1



№57

Weight: 3.56g. Size: 24-23mm.

On the coin a stamp №1





№58

Weight: 3.73g. Size: 25-23mm.

On the coin a stamp №3



№59

Weight: 3.87g. Size: 25-24mm.

On the coin a stamp №1



№60

Weight: 4.02g. Size: 25-23mm.

On the coin a stamp №1



№61

Weight: 4.02g. Size:
28-27mm.

On the coin a stamp №4



№62

Weight: 4.5g. Size: 24mm.

On the coin a stamp №3





№63

Weight: 4.09g. Size: 25mm.

On the coin a stamp №5



№64

Weight: 4.11g. Size: 26mm.

On the coin a stamp №2



№65

Weight: 4.46g. Size: 24-23mm.

On the coin a stamp №2



№66

Weight: 4.51g. Size: 25-23mm.

On the coin a stamp №1



№67

Weight: 4.72g. Size: 25-24mm.

On the coin a stamp №1





№68

Weight: 4.77g.

Size: 26mm.

On the coin a stamp №2



№69

Weight: 4.78g. Size: 24-22mm.

On the coin a stamp №3



№70

Weight: 5.06. Size: 26mm.

On the coin a stamp №3



№71

Weight: 5.07g. Size: 27-25mm.

On the coin a stamp №2



№72

Weight: 5.32g. Size: 24mm.

On the coin a stamp №4





№73

Weight: 5.38g. Size: 24mm.

On the coin a stamp №4



№74

Weight: 5.38g. Size: 24-23mm.

On the coin a stamp №1



№75

Weight: 5.42g. Size: 25mm.

On the coin a stamp №5



№76

Weight: 5.69g. Size: 26-24mm.

On the coin a stamp №2



№77

Weight: 6.03g. Size: 25mm.

On the coin a stamp №2





№78

Weight: 6.05g. Size: 25-23mm.

On the coin a stamp №3



№79

Weight: 6.10g. Size: 26-24mm.

On the coin a stamp №3



№80

Weight: 6.13g. Size: 25-24mm.

On the coin a stamp №4



№81

Weight: 6.17g. Size: 24mm.

On the coin a stamp №1



№82

Weight: 6.28g. Size: 24mm.

On the coin a stamp №5





№83

Weight: 6.36g. Size: 27-25mm.

On the coin a stamp №3



№84

Weight: 6.67g. Size: 24mm.

On the coin a stamp №1



№85

Weight: 6.82g.

Size: 30-28mm.

On the coin a stamp №4



№86

Weight: 6.99g. Size: 25-24mm.

On the coin a stamp №5



№87

Weight: 7.3g.

Size: 27-24mm.

On the coin a stamp №2





№88

Weight: 7.09g. Size: 27-26mm.

On the coin a stamp №5



№89

Weight: 7.39g. Size: 27-24mm.

On the coin a stamp №5



რუსუდან დედოფლის დამღები უცხოურ მონეტებზე



№90

Weight: 6.86g.

Size: 26-25mm.

On the coin a stamp №5



№91

Weight: 2.67. Size: 20mm.

On the coin a stamp №3



უცხოური მონეტები



№92

Weight: 6.37g.

Size: 28-25mm.



№93

Weight: 4.86g. Size: 26-23mm.



№94

Weight: 4.92g.

Size: 29-25mm.



№95

Weight: 2.33g. Size: 25-24mm.



№96

Weight: 6.87g. Size: 25-23mm.



№97

Weight: 3.45g. Size: 27-26mm.



გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის ჩამონათვალი

1. Е. А. Пахомов. Монеты Грузии.
2. Баратаев М.П. «Нумизматические факты Грузинского царства».
3. დ.კაპანაძე. საქართველოს ნუმისმატიკა.
4. ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია წგნ. 3, თბ., 1966.
5. ჯანმთამრიცხველი, ქართლის ცხოვრება II.
6. ე. თაყაიშვილი, სომხით–საორბელის წარწერები, ნაწილი II, პარისი, 1929.
7. ე. სილოგა, ქვემო ქართლის წარწერები, დმანისი II, გამომცემლობა „მეცნიერება“ თბილისი, 2000წ.
8. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, თბილისი, 1979.

გურამ ფილიპაშვილი

ოლიმპიური სპორტი
და ნუმიზმატიკა

II ნაწილი



XV ზაფხულის ოლიმპიადა, ჰელსინკი, ფინეთი 1952 The XV Summer Olympic Games, Helsinki, Finland, 1952



XV ზაფხულის ოლიმპიური თამაშები ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში 1952 წლის 19 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით გაიმართა. ეს იყო პირველი და უკანასკნელი ოლიმპიური თამაშები, რომელიც ფინეთში ჩატარდა. ოლიმპიური თამაშების ფინეთში ჩატარებას უდუდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. ჰელსინკი ადრე, 1940 წელს ოლიმპიური თამაშების ჩატარების ადგილად იყო არჩეული, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის გამო აქ ოლიმპიური თამაშები არ ჩატარებულა. ეს არის ყველაზე ჩრდილო ქალაქი, სადაც ჩატარდა ოლიმპიური თამაშები. ეს იყო პირველი თამაშები, რომელიც არაინდოევროპულ ენაზე მოლაპარაკე ქვეყანაში ჩატარდა. 1952 წლის ოლიმპიადაზე თავიანთი პირველი დებიუტი ჰქონდათ საბჭოთა კავშირს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, ინდონეზიას, ისრაელს, ტაილანდს და საარს.

ემბლემის მარცხენა მხარეს სტადიონის გუმბათია გამოსახული. მის ზემოთ კი ოლიმპიური რგოლებია მოთავსებული. შუაში, მარჯვნივ, ციფრი "1952" - ოლიმპიური თამაშების ჩატარების წელია მინიშნებული. ქვემოთ წარწერა: "XV OLYMPIA HELSINKI", "ჰელსინკის XV ოლიმპიადა", რითაც აღმნიშვნელია სად და მერამდენე ოლიმპიადა ტარდებოდა. ოლიმპიური თამაშების პერიოდში, როგორც განმასხვავებელი ნიშანი, მას ატარებდნენ ოფიციალური პირები და ოლიმპიადის სტუმრები.

ფინეთის სახელმწიფომ, 1951 წელს სანქცია გასცა, რომ ოლიმპიურ თამაშებთან



დაკავშირებით მოეჭრათ საიუბილეო სამახსოვრო 500 მარკიანი მონეტები. 1951 წელს 18 500 ცალის რაოდენობით, ხოლო 1952 წელს 586 000 ცალის რაოდენობით იყო გამოშვებული. ორივე წელს გამოშვებული მონეტების შემადგენლობა და დიზაინი ერთნაირია. მონეტა დამზადებული იყო ვერცხლის (სინჯი 0,500), სპილენძის (0,400) და ნიკელის (0,100) შემადგენლობით. მისი დიამეტრია 32,0 მმ., წონა - 12,000 გრამი, სისქე - 2 მმ. მხატვრობა შესრულებულია ა. ალტონენისა და მ. ვიშანტის მიერ. **მონეტის ავერსი:** შუაში გამოსახულია ოლიმპიური თამაშების სიმბოლო ხუთი რგოლით. მის ზემოთ, რომელიც ციფრით აღნიშნულია "XV" და სულ ზემოთ მონეტის ზედა წრეში, ნახევარ რკალში, ჩაწერილია "ოლიმპია". ოლიმპიური რგოლების ქვემოთ აღნიშნულია გამოშვების წელი "1951" ან "1952". სულ ქვემოთ მონეტის ნახევარ წრეში ჩაწერილია "ჰელსინკი". მონეტის **რევერსი,** შუაში ჩაწერილია ციფრი "500", რაც აღნიშნავს მონეტის ნომინალს, მოთავსებული ხის ფოთლებიან ტოტებში. მონეტის ზედა მხარეს ნახევარ წრეში ჩაწერილია "სუომი" და "ფინლანდია". (ფინელები თავიანთ ქვეყანას მოიხსენიებენ, "სუომი", იგივე "ფინეთი"). სულ ქვემოთ, მონეტის ნახევარ წრეში ფინურ ენაზე ჩაწერილია ფულის ნიშანი "მარკა". მონეტა მოჭრილია ფინეთის სამონეტო ეზოში.



1956 წლის XVI ოლიმპიური თამაშების დროს, მელბურნი-ავსტრალია და სტოკჰოლმი- შვედეთი და 1960 წლის, XVII - ოლიმპიური თამაშების დროს, რომი-იტალია, არც ერთი ოლიმპიური სამახსოვრო მონეტა არ გამოსულა.

During the 1956 XVI Olympic Games, Melbourne (Australia) and in Stockholm (Sweden), and during the 1960 XVII Olympic Games in Rome (Italy), no single Olympic commemorative coin was issued.

XVIII ზაფხულის ოლიმპიადა. ტოკიო, იაპონია 1964
The XVIII Summer Olympic Games, Tokyo, Japan, 1964



1964 წლის 10 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით პირველად აზიურ ქვეყანაში, იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში ჩატარდა ოლიმპიური თამაშები. თუმცა ჯერ კიდევ 1940 წელს იაპონიას უნდა ჩატარებინა XII ოლიმპიური თამაშები, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის გამო მოიხსნა მისი ჩატარება.

XVIII ოლიმპიური თამაშების ემბლემა შედგება ოლიმპიური რგოლებისაგან, რომლის ზემოთ გამოსახულია ამომავალი მზის სიმბოლო, იაპონიის დროშა, მისი ავტორია იუსაკი კამეკურა (იაპონურად - Yusaku Kamekura), რომლის პროექტიც საორგანიზაციო კომიტეტის მიერ, უამრავი პროექტებისაგან იქნა ამორჩეული.

1964 წლის, ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშების დროს 2 სხვადასხვა სახეობის ოლიმპიური მონეტა 100 და 1000 იენის ნომინალით იქნა მოჭრილი.

The Olympic Games were held in the capital city of Tokyo in Japan from 10 October to 28 October 1964, for the first time in the Asian country. In 1940, however, Japan had to host the XII Olympic Games, but it was canceled due to World War II.

The logo of the XVIII Olympic Games consists of the Olympic rings, above which there are the images of the rising sun symbol, the flag of Japan, and the author is Yusaku Kamekura, whose project was selected by the Organizing Committee from other numerous projects.

During the 1964 Tokyo XVIII Olympic Games, 2 different types of Olympic coins were minted of values 100 and 1000 yen.

100 იენი. შემადგენლობა: ვერცხლი 0.600 სინჯით, სპილენძი 0.300 სინჯით და ცინკი 0.100 სინჯით. მისი დიამეტრი არის 22,6 მმ, წონა - 4.800 გრამი, სისქე - 1,7 მმ. გამოშვებულია 80 000 000 ცალი. **მონეტის ავერსი:** გამოსახულია ოლიმპიური ჩირაღდანი და ოლიმპიური რგოლები. **რევერსი:** ცენტრში გამოსახულია ციფრი "100" (ნომინალის რაოდენობა), ამომავალი მზე და ზეთისხილის ფოთოლი, მონეტის ზემოთ, ნახევარწრეში, წარწერაა "ტოკიო - 1964". მონეტის ქვემოთ ნახევარწრეში, იაპონური ლეგენდა, რომელიც აღნიშნავს "სევას" მეფობის 39 წელს. მხატვრობა შესრულებულია



მის შოკო მაეჯიმას მიერ.



1000 იენის შემადგენლობა: ვერცხლი 0,925 სინჯით და სპილენძი 0,075 სინჯით. მისი დიამეტრია 35.0 მმ, წონა - 20,000 გრამი, სისქე - 2.5 მმ. გამოშვებულია 15 000 000 ცალი. **ავერსი:** გამოსახულია მთა ფუძი და ორივე მხარეს ალუბლის ტოტები. **რევერსი:** ცენტრში გამოსახულია ციფრი "1000 YEN " (იენი) და ოლიმპიური რგოლები. იაპონური ლეგენდა, რომელიც აღნიშნავს "სევას" მეფობის 39 წელს. (მხატვარი მითითებული არ არის. ოფიციალურად კი ზარაფხანაა აღნიშნული).



XIX ზაფხულის ოლიმპიადა. მეხიკო, მექსიკა 1968 **The XIX Summer Olympic Games, Mexico, 1968**



1968 წლის XIX ზაფხულის ოლიმპიადა ჩატარდა მექსიკის დედაქალაქ მეხიკოში 12 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრის ჩათვლით. ეს იყო პირველი საერთაშორისო სპორტული შეჯიბრება, რომელიც ჩატარდა მექსიკაში. ასევე იყო პირველი, რომელიც ჩატარდა ლათინურ ამერიკულ და ესპანურ ენოვან ქვეყანაში. პირველად ამ ოლიმპიადაზე მინდვრის სარბენი ბილიკების ნაცვლად, სილის ბილიკები იყო გამოყენებული.

ემბლემა შედგება ოლიმპიური ხუთი რგოლის კომბინაციისგან და წარწერა



"MEXICO68"-გან. ციფრ "68"-ზე ზემოდან ოლიმპიური რგოლებია გამოსახული. ემბლემის დიზაინზე მუშაობდნენ მექსიკის სამი არქიტექტორ - მხატვარი: პედრო, რამირესი და ბასკესი, ასევე ოლიმპიური თამაშების ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი ედუარდო ტერასასი (მექსიკა) და ლანს ვაიმენი (აშშ). ემბლემის დიზაინი გაგვახსენებს ინდიელთა უიჩოლის ნართებს.

ოლიმპიური თამაშებისათვის მექსიკის ბანკმა გამოუშვა ერთადერთი საიუბილეო მონეტა.

25 პესო. შემადგენლობა: ვერცხლი, (0.720 სინჯი), სპილენძი (0.280 სინჯი). დიამეტრი არის 38.0 მმ, წონა - 22.500 გრამი, სისქე - 2,0 მმ. გამოშვებულია 30 000 000 ცალი. მხატვარობა რიკარდო ლუნა ი ვასკოს მიერაა შესრულებული. **ავერსი:** გველის შებრძოლება არწივთან, ლეგენდა "Estados Unidos Mexicanos", სიტყვებით "LEY 0.720" და "25 პესო". **რევერსი:** აცტეკის ბეისბოლისტი, ოლიმპიური რგოლები, მონეტის ქვედა მხარეს და მონეტის ირგვლივ წარწერა: ლეგენდა "JIUGOS DE LA OLIMPIADA MEXICO 1968". "1968 წლის მექსიკის ოლიმპიადა". მხატვარი როლენცო რაფაელი.



XX ზაფხულის ოლიმპიადა. მიუნჰენი, გერმანია 1972 **The XX Summer Olympic Games, Munich, Germany 1972**



Munich1972



XX ზაფხულის ოლიმპიადა ჩატარდა მიუნჰენში, (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა). 1972 წლის 26 აგვისტოდან 10 სექტემბრის ჩათვლით.

ემბლემა გამოხატავს სხივების თაიგულს და მიუნხენის ოლიმპიური თამაშების სულს, სინათლეს, სიახლესა და სიკეთეს, რომელიც ასახულია დიზაინში "განათებული მიუნჰენი". ავტორია ოტო აიხერი, რომლის პროექტიც 2 000 წარდგენილი პროექტებიდან იქნა ამორჩეული.

გერმანიის მთავრობამ ოლიმპიური თამაშების გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩატარების აღსანიშნავად გამოუშვა 6 სხვადასხვა სახეობის საიუბილიო მონეტა. ნომინალით 10 გერმანული მარკა. შემადგენლობა ყველა სახეობის იყო ერთნაირი. მონეტის შემადგენლობა - ვერცხლი (0.625 სინჯი) და სპილენძი (0.375 სინჯი). მისი დიამეტრია 32.5 მმ., წონა - 15.500 გრამი, სისქე - 2.25 მმ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გერმანიაში ოდითგანვე მონეტების მოჭრას აწარმოებდა 11 ქალაქის ბანკი, მაგრამ ოლიმპიადის დროს მოიჭრა 4 ქალაქში და ყველა ქალაქს ჰქონდა მიკუთვნებული თავისი ალფაბიტის ასოები. D - მიუნჰენი, F - შტუტგარდი, G - კარლსრუე და J - ჰამბურგი. ეს ასოები ჩაბეჭდილია მონეტებზე, გამოშვების წელთან ერთად.

პირველი სერია: წინა მხარე (ავერსი), მიუნჰენის 1972 წლის ოლიმპიადის ემბლემა. მეტსახელად "ფორტუნის რგოლი" და ლეგენდა წარწერით "გერმანიის XX ოლიმპიური თამაშები" ("SPIELE-DER-XX OLYMPIADE DEUTSCHLAND"). **რევერსი:** სტილიზებული გერმანული არწივი და ლეგენდა "10 გერმანული მარკა, გერმანიის ბუნდეს რესპუბლიკა" ("10 Deutsche Mark Bundesrepublik Deutschland"). მხატვრობა შესრულებულია გრეტა ლიპი ჰაინსენის მიერ. თარიღი აწერია 1972 წელი (გამოშვებულია 1970 წლის იანვრის თვეში). არწივის მარჯვენა კლანჭის ქვემოთ წერია ასოები D, F, G ან J. გაუმჯობესებული ხარისხით (Proof) გამოშვებულია 125 000 ცალი, ხოლო ჩვეულებრივი - 2 375 000 ცალი. ოთხივე ქალაქის ბანკიდან მოჭრილი მონეტების რაოდენობა ერთნაირია.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ პირველი სერიის გამოშვების დროს შეიქმნა დავა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ლეგენდის თაობაზე სადაც ეწერა "გერმანიაში" ("In Deutschland"). შემდგომ სერიებში, შეცვლილ იქნა ლეგენდა გერმანია მიუნჰენად ("In Munchen"). ე.ი. ოლიმპიური თამაშების ჩატარების ადგილად მითითებული იყო გერმანია, რაც შეიცვალა მიუნჰენად, რადგან დემოკრატიული რესპუბლიკაც გერმანიად მოიხსენიებოდა.



მეორე სერია: ავერსი: დადარულ დისკზე ჯაჭვები ეხლართება ერთმანეთს და ლეგენდა წარწერით "ოლიმპიური თამაშები 1972 მიუნჰენში" ("Olympische Spiele 1972 in München"). **რევერსი:** სტილიზებული გერმანული არწივი და "10 გერმანული მარკა, გერმანიის ბუნდეს რესპუბლიკა" ("10 Deutsche Mark Bundesrepublik Deutschland"). მხატვრობა შესრულებულია რეინჰარტ ჰეინსდორფის მიერ. თარიღი აწერია 1972 წელი (გამომშვებულია 1971 წლის ივლისის თვეში). არწივის მარცხენა კლანჭის ქვემოთ წერია ასოები D, F, G ან J. გაუმჯობესებული ხარისხით (Proof) გამოშვებულია 125 000 ცალი, ხოლო ჩვეულებრივი - 4 875 000 ცალი. ოთხივე ქალაქის ბანკიდან მოჭრილი მონეტების რაოდენობა ერთნაირია.



მესამე სერია: ავერსი: მოთამაშე კაცი ბურთით, ტანმოვარჯიშე ქალი და ლეგენდა წარწერით "ოლიმპიური თამაშები 1972 მიუნჰენში". ("Olympische Spiele 1972 in München"). **რევერსი:** სტილიზებული გერმანული არწივი და ლეგენდა "10 გერმანული მარკა, გერმანიის ბუნდეს რესპუბლიკა" ("10 Deutsche Mark Bundesrepublik Deutschland"). მხატვრობა შესრულებულია ზიგმუნდ შიუტცის მიერ. თარიღი აწერია 1972 წელი (გამომშვებულია 1971 წლის დეკემბრის თვეში). არწივის მარჯვენა ფრთის ქვემოთ წერია ასოები D, F, G ან J. გაუმჯობესებული ხარისხით (Proof) გამოშვებულია 150 000 ცალი, ხოლო ჩვეულებრივი - 4 850 000 ცალი. ოთხივე ქალაქის ბანკიდან მოჭრილი მონეტების რაოდენობა ერთნაირია.





მეოთხე სერია: ავერსი: ფრინველის ფრენის სიმაღლიდან მიუნჰენის სტადიონი და ლეგენდა წარწერით "ოლიმპიური თამაშები მიუნჰენი 26.8-10.9 1972". ("Olympische Spiele Munchen 26.8-10.9 1972"). **რევერსი:** სტილიზებული გერმანული არწივი და ლეგენდა: "10 გერმანული მარკა, გერმანიის ბუნდეს რესპუბლიკა" ("10 Deutsche Mark Bundesrepublik Deutschland"). მხატვრობა შესრულებულია დორის ვასშკ-ბალცის მიერ. გამოშვების თარიღი აწერია 1972 წელი (გამოშვებულია 1972 წლის მაისის თვეში). ლეგენდის ქვემოთ წერია D, F, G ან J. გაუმჯობესებული ხარისხით (Proof) გამოშვებულია 150 000 ცალი, ხოლო ჩვეულებრივი - 4 850 000 ცალი. ოთხივე ქალაქის ბანკიდან მოჭრილი მონეტების რაოდენობა ერთნაირია.



მეხუთე სერია: ავერსი: მიუნჰენის 1972 წლის თამაშების ემბლემა და ლეგენდა წარწერით "ოლიმპიური თამაშები 1972 მიუნჰენში" ("Spiele der XX Olympiade 1972 in München"). **უკანა მხარე (რევერსი),** სტილიზებული გერმანული არწივი და ლეგენდა "10 გერმანული მარკა, გერმანიის ბუნდეს რესპუბლიკა" ("10 Deutsche Mark Bundesrepublik Deutschland"). მხატვრობა შესრულებულია გრეტა ლიპი ჰაინსენის მიერ. თარიღი აწერია 1972 წელი (გამოშვებულია 1972 წლის ივლისის თვეში). ლეგენდის ქვემოთ წერია D, F, G ან J. გაუმჯობესებული ხარისხით (Proof) გამოშვებულია 150 000 ცალი, ხოლო ჩვეულებრივი - 2 350 000 ცალი. ოთხივე ქალაქის ბანკიდან მოჭრილი მონეტების რაოდენობა ერთნაირია.



მეექვსე სერია: ავერსი: ცეცხლის ალი და მიუნჰენის პატარა ემბლემა ზემოთ, ქვემოთ რგოლები და 1972 წელი. სტადიონი და ლეგენდა წარწერით "ოლიმპიური თამაშები 1972 მიუნჰენში" ("Spiele der XX Olympiade 1972 in München"). **რევერსი:** სტილიზებული გერმანული არწივი და ლეგენდა "10 გერმანული მარკა, გერმანიის ბუნდეს რესპუბლიკა" ("10 Deutsche Mark Bundesrepublik Deutschland"). მხატვრობა შესრულებულია დორის ვასშკ-ბალცის მიერ. გამოშვების თარიღი აწერია 1972 წელი (გამოშვე-



ბულია 1972 წლის ივლისის თვეში). ლეგენდის ქვემოთ წერია D, F, G ან J. გაუმჯობესებული ხარისხით (Proof) გამოშვებულია 150 000 ცალი, ხოლო ჩვეულებრივი - 4 850 000 ცალი. ოთხივე ქალაქის ბანკიდან მოჭრილი მონეტების რაოდენობა ერთნაირია.



XXI ზაფხულის ოლიმპიადა, მონრეალი, კანადა 1976 **The XXI Summer Olympic Games, Montreal, Canada 1976**



XXI ზაფხულის ოლიმპიური თამაშები, კანადის ქალაქ მონრეალში, 1976 წლის 17 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით ჩატარდა.

მონრეალის ოლიმპიური თამაშების ემბლემა შედგება ოლიმპიური რგოლებისაგან, რომელიც დამაგრებულია ოლიმპიურ პედესტალზე და ამავე დროს, წარმოადგენს მონრეალის პირველი "M" ასოს გრაფიკულ ინტერპრეტაციას. ემბლემა არის მეგობრობის სიმბოლო, როგორც ოლიმპიური იდეალი, ასევე გამარჯვებულის დიდება, შეჯიბრებაში თავაზიანობა და მონრეალის ოლიმპიურ ქალაქებთან შეერთება.

1973 წლის თებერვლიდან დაწყებული შეიქმნა ამბიციური პროგრამა. ფედერალური მთავრობის თხოვნით, მაშინდელმა პრემიერ მინისტრმა პიერ ელიოტე ტრიუდომ გადაწყვიტა, რომ გამოშვებული მონეტები დააფინანსებდნენ 1976 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს. გეგმა შედგებოდა შემდეგში, რომ უნდა გამოცემულიყო 30 სახეობის ოლიმპიური მონეტა. ვერცხლის (0.925 სინჯით), 14 სხვადასხვა სახეობის 5 დოლარიანი, 14 სხვადასხვა სახეობის 10 დოლარიანი და ორი სახეობის 100 დოლარიანი ოქროს მონეტა. მონეტების გამოშვება განისაზღვრა შვიდი თემატიკის მიხედვით: 1. გეოგრაფიული 2. ოლიმპიური მოტივები 3. კანადის ადრინდელი სპორტის სახეობები 4. ოლიმპიური მძლეოსნობა 5. ოლიმპიური ზაფხულის სპორტის სახეობე-



ბი 6. ოლიმპიური ნაკრები და სპორტი 7. ოლიმპიური სუვენირები.

I სერია (სახეობა), მონეტა № 1. 10 დოლარი. შემადგენლობა: ვერცხლი 0.925, სპილენძი 0.075. მისი დიამეტრია 45.00 მმ და წონა 48.600 გრამი. **ავერსი:** გამოსახულია "ელიზაბედ II"-ს. პორტრეტი სახით მარჯვნივ. მის ქვემოთ, მარცხენა მხარეს წრიულად, ინგლისურად წერია "ELIZABED II" და ქვემოთ მარჯვენა მხარეს ასევე წრიულად წერია "CANADA 1973", რომელიც მიუთითებს მონეტის გამოშვების წელზე. წარწერებს შორის, ქვემოთ შუაში გამოსახულია კანადის სიმბოლო ნეკერჩხლის ფოთოლი. **რევერსი:** ცენტრში, ქვემოთ მსოფლიო რუკაა გამოსახული, სადაც ამერიკის კონტინენტის ზემოთ წერია "მონრეალი 1976". სულ ზემოთ მონრეალის ოლიმპიური თამაშების ემბლემა და წარწერა "ოლიმპიადა". მის ქვემოთ "XXI" და "ოლიმპიადა", რომელიც გამოხატავს ოლიმპიადის რიგითობას. მსოფლიო რუკის ქვემოთ წერია ნომინალის ღირებულება "10 დოლარი". მონეტის ირგვლივ გამოკვეთილი კანტი რელიეფური გამოსახულებისაა. მხატვრობა შესრულებულია არნოლდ მაჰრინის მიერ. 1973 წელს გამოშვებულია 103 426 ცალი, გაუმჯობესებული ხარისხით - 165 203 ცალი. 1974 წელს 320 ეგზემპლარი.



I სერია. მონეტა № 2. 5 დოლარი. შემადგენლობა: ვერცხლი (0.925 სინჯის), სპილენძი (0.075 სინჯის). მისი დიამეტრია 38,00 მმ. წონა - 24.300 გრამი. **ავერსი:** გამოსახულია ახალგაზრდა "ელიზაბედ II"-ს. გრავიურა სახით მარჯვნივ. მის ქვემოთ, მარცხენა მხარეს წრიულად, ინგლისურად წერია "ELIZABED II" და ქვემოთ მარჯვენა მხარეს ასევე წრიულად წერია "CANADA 1973", რომელიც მიუთითებს მონეტის გამოშვების წელზე. წარწერებს შორის, ქვემოთ შუაში გამოსახულია კანადის სიმბოლო ნეკერჩხლის ფოთოლი. გრავიურა შესრულებულია არნოლდ მაჰრინის მიერ. **რევერსი:** ცენტრში, ქვემოთ პორტის ფონზე გამოსახულია სამი აფრიანი ნავი



"კინგსტონი". ზემოთ მარცხნივ წერია "მონრეალი 1976", ოლიმპიადის ჩატარების წელი. სულ ზემოთ მონრეალის ოლიმპიური თამაშების ემბლემა და წარწერა "ოლიმპიადა". მის ქვემოთ "XXI" და "ოლიმპიადა", რომელიც გამოხატავს ოლიმპიადის რიგითობას. აფრიანი ნავების ქვემოთ შუაში გამოსახულია ნომინალის ღირებულება 5 დოლარი. მონეტის ირგვლივ გამოკვეთილი კანტი რელიეფური გამოსახულებისაა. მხატვრობა შესრულებულია გეორგეს ჰუელის მიერ.

გეორგ ს. კუჰაჯის, თომას მიჰაილის რედაქტორობით მსოფლიო მონეტების სტანდარტული კატალოგის 1901 - 2000 წლები, 43 გამოშვება, გამოცემული 2016 წელს, 5 დოლარიანის გამოშვების თარიღად მითითებულია 1973 წელი, რომლის პირველი გრაფა ცარიელია ე.ი. არ არის აღნიშნული გამოშვებული მონეტების რაოდენობა. იმავე, 1973 წლის მეორე გრაფაში გაუმჯობესებული ხარისხით (Proof) გამოშვებული მონეტების რაოდენობა მითითებულია 165.203. ვიკიპედია ენციკლოპედიის "ზაფხულის ოლიმპიური მონეტები"-ს მიხედვით, ხსენებული სახეობის 537.898 ცალი მონეტაა გამოშვებული.

I სერია. მონეტა № 3. 10 დოლარი. შემადგენლობა: ვერცხლი (0.925 სინჯის), სპილენძი (0.075 სინჯის). მისი დიამეტრია 45,00 მმ. წონა - 48.600 გრამი. ავერსი: გამოსახულია ახალგაზრდა "ელიზაბედ II"-ს. გრავიურა სახით მარჯვნივ. მის ქვემოთ, მარცხენა მხარეს წრიულად, ინგლისურად წერია "ELIZABED II" და ქვემოთ მარჯვენა მხარეს ასევე წრიულად წერია "CANADA 1973", რომელიც მიუთითებს მონეტის გამოშვების წელზე. წარწერებს შორის, ქვემოთ შუაში გამოსახულია კანადის სიმბოლო ნეკერჩხლის ფოთოლი. გრავიურა შესრულებულია არნოლდ მაჰრინის მიერ. რევერსი: ცენტრში, ქვემოთ გამოსახულია მონრეალის ღირშესანიშნავი არქიტექტურული შენობები ცის ფონზე. მათ ქვემოთ გამოსახულია სამგზავრო ხომალდი და ტანკერი. ზემოთ მარცხნივ წერია "მონრეალი 1976", ოლიმპიადის ჩატარების წელი. სულ ზემოთ მონრეალის ოლიმპიური თამაშების ემბლემა და წარწერა "ოლიმპიადა". მის ქვემოთ "XXI" და "ოლიმპიადა", რომელიც გამოხატავს ოლიმპიადის რიგითობას. სულ ქვემოთ შუაში გამოსახულია ნომინალის ღირებულება 10 დოლარი. მონეტის ირგვლივ გამოკვეთილი კანტი რელიეფური გამოსახულებისაა. მხატვრობა შესრულებულია გეორგეს ჰუელის მიერ.

გეორგ ს. კუჰაჯის, თომას მიხაილის რედაქტორობით მსოფლიო მონეტების სტანდარტული კატალოგი 1901 - 2000 წლები, 43 გამოშვება, გამოცემული 2016 წელს, 10 დოლარიანის გამოშვების თარიღად მითითებულია 1973 წელი, რომლის პირველი გრაფაში მითითებულია გამოშვებული 103.426 მონეტების რაოდენობა. მეორე გრაფაში გაუმჯობესებული ხარისხით (Proof) გამოშვებული მონეტების რაოდენობა მითითებულია 165.203. 1974 წელი კი გამოშვებულია 320 ცალი. ვიკიპედიის



ენციკლოპედიის "ზაფხულის ოლიმპიური მონეტები"-ს მიხედვით, მითითებულია მხოლოდ 1973 წელია მითითებული და ხსენებული სახეობის 543.098 ცალი მონეტაა გამოშვებული.



I სერია. მონეტა № 4. 5 დოლარი. შემადგენლობა: ვერცხლი (0.925 სინჯის), სპილენძი (0.075 სინჯის). მისი დიამეტრია 38,00 მმ. წონა - 24.300 გრამი. ავერსი: გამოსახულია ახალგაზრდა "ელიზაბედ II"-ს. გრავიურა სახით მარჯვნივ. მის ქვემოთ, მარცხენა მხარეს წრიულად, ინგლისურად წერია "ELIZABED II" და ქვემოთ მარჯვენა მხარეს ასევე წრიულად წერია "CANADA 1973", რომელიც მიუთითებს მონეტის გამოშვების წელზე. წარწერებს შორის, ქვემოთ შუაში გამოსახულია კანადის სიმბოლო ნეკერჩხლის ფოთოლი. გრავიურა შესრულებულია არნოლდ მაჰრინის მიერ. რევერსი: ცენტრში, ქვემოთ გამოსახულია ჩრდილო ამერიკის რუკა. ზემოთ მარცხნივ წერია "მონრეალი 1976", ოლიმპიადის ჩატარების წელი. სულ ზემოთ მონრეალის ოლიმპიური თამაშების ემბლემა და წარწერა "ოლიმპიადა". მის ქვემოთ "XXI" და "ოლიმპიადა", რომელიც გამოხატავს ოლიმპიადის რიგითობას. რუკის ქვემოთ გამოსახულია ნომინალის ღირებულება 5 დოლარი. მონეტის ირგვლივ გამოკვეთილი კანტი რელიეფური გამოსახულებისაა. მხატვრობა შესრულებულია გეორგეს ჰუელის მიერ.

გეორგ ს. კუჰაჯის, თომას მიჰაილის რედაქტორობით მსოფლიო მონეტების სტანდარტული კატალოგის 1901 - 2000 წლები, 43 გამოშვება, გამოცემული 2016 წელს, 5 დოლარიანის გამოშვების თარიღად მითითებულია 1973 წელი, რომლის პირველი გრაფა ცარიელია ე.ი. არ არის აღნიშნული გამოშვებული მონეტების რაოდენობა. იმავე, 1973 წლის მეორე გრაფაში გაუმჯობესებული ხარისხით (Proof) გამოშვებული მონეტების რაოდენობა მითითებულია 165.203. ვიკიპედია ენციკლოპედიის "ზაფხულის ოლიმპიური მონეტები"-ს მიხედვით, ხსენებული სახეობის 537.898 ცალი მონეტაა გამოშვებული.



2 სერია (სახეობა), მონეტა № 5. 10 დოლარი. შემადგენლობა: ვერცხლი 0.925, სპილენძი 0.075. მისი დიამეტრია 45.00მმ და წონა 48.600 გრამი. სერიის **წინა მხარე ავერსი:** გამოსახულია ელიზაბედ II. პორტრეტის ქვემოთ, მარცხენა მხარეს ინგლისურად წერია: "ELIZABED II" და ქვემოთ მარჯვენა მხარეს "CANADA 1974". წარწერებს შორის გამოსახულია ნეკერჩხლის ფოთოლი (კანადის სიმბოლო). **უკანა მხარე რევერსი:** ცენტრში, ქვემოთ გამოსახულია ზევსის თავი, რომლის მარცხნივ, ზემოთ წერია "მონრეალი 1976". სულ ზემოთ ოლიმპიური რგოლები და წარწერა "ოლიმპიადა". მის ქვემოთ "XXI" და "ოლიმპიადა". ზევსის ქვემოთ 10 დოლარი ნომინალის ღირებულება. მონეტის ირგვლივ გამოკვეთილი კანტი რელიეფური გამოსახულებისაა. მხატვრობა შესრულებულია ანტონი მანის მიერ. ტირაჟი შეადგენს 1 990 570 ცალს.



2 სერია (სახეობა), მონეტა № 6. 5 დოლარი. შემადგენლობა: ვერცხლი 0.925, სპილენძი 0.075. მისი დიამეტრია 36.00 მმ და წონა 24.300 გრამი. სერიის **წინა მხარე (ავერსი)** გამოსახულია ელიზაბედ II. პორტრეტის ქვემოთ, მარცხენა მხარეს ინგლისურად წერია: "ELIZABED II" და ქვემოთ მარჯვენა მხარეს "CANADA 1974". წარწერებს შორის გამოსახულია ნეკერჩხლის ფოთოლი (კანადის სიმბოლო). **უკანა მხარე რევერსი:** ცენტრში, ქვემოთ, გამოსახულია ათლეტი ანთებული ჩირაღდნით ხელში, რომლის ზემოთ მარცხნივ წერია "მონრეალი 1976". სულ ზემოთ ოლიმპიური რგოლები და წარწერა "ოლიმპიადა". მის ქვემოთ "XXI" და "ოლიმპიადა". ათლეტის ქვემოთ 5 დოლარი ნომინალის ღირებულება. მონეტის ირგვლივ გამოკვეთილი კანტი რელიეფური გამოსახულებისაა. მხატვრობა შესრულებულია ანტონი მანის მიერ. ტირაჟი შეადგენს 1 974 939 ცალს.



2 სერია (სახეობა), მონეტა № 7. 10 დოლარი. შემადგენლობა: ვერცხლი 0.925, სპილენძი 0.075. მისი დიამეტრია 45.00 მმ და წონა 48.600 გრამი. სერიის **წინა მხარე ავერსი:** გამოსახულია ელიზაბედ II. პორტრეტის ქვემოთ, მარცხენა მხარეს ინგლისურად წერია: "ELIZABED II" და ქვემოთ მარჯვენა მხარეს "CANADA 1974". წარწერებს შორის გამოსახულია ნეკერჩხლის ფოთოლი (კანადის სიმბოლო). **უკანა მხარე რევერსი:** ცენტრში, ქვემოთ, გამოსახულია ზევსის ტაძარი, რომლის მარცხნივ, ზემოთ წერია "მონრეალი 1976". სულ ზემოთ ოლიმპიური რგოლები და წარწერა "ოლიმპიადა". მის ქვემოთ "XXI" და "ოლიმპიადა". ტაძრის ქვემოთ 10 დოლარი ნომინალის ღირებულება. მონეტის ირგვლივ გამოკვეთილი კანტი რელიეფური გამოსახულებისაა. მხატვრობა შესრულებულია ანტონი მანის მიერ. ტირაჟი შეადგენს 1 990 570 ცალს.



2 სერია (სახეობა), მონეტა № 8. 5 დოლარი. შემადგენლობა: ვერცხლი 0.925, სპილენძი 0.075. მისი დიამეტრია 36.00 მმ და წონა 24.300 გრამი. სერიის **წინა მხარე ავერსი:** გამოსახულია ელიზაბედ II. პორტრეტის ქვემოთ, მარცხენა მხარეს ინგლისურად წერია: "ELIZABED II" და ქვემოთ მარჯვენა მხარეს "CANADA 1974". წარწერებს შორის გამოსახულია ნეკერჩხლის ფოთოლი (კანადის სიმბოლო). **უკანა მხარე რევერსი:** ცენტრში, ქვემოთ, გამოსახულია ოლიმპიური რგოლები და მასზე დადებული გვირგვინი, რომლის ზემოთ მარცხნივ წერია "მონრეალი 1976". სულ ზემოთ ოლიმპიური რგოლები და წარწერა "ოლიმპიადა". მის ქვემოთ "XXI" და "ოლიმპიადა". ოლიმპიური რგოლების ქვემოთ 5 დოლარი ნომინალის ღირებულება. მონეტის ირგვლივ გამოკვეთილი კანტი რელიეფური გამოსახულებისაა. მხატვრობა შესრულებულია ანტონი მანის მიერ. ტირაჟი შეადგენს 1 974 939 ცალს.



3 სერია (სახეობა), მონეტა № 9. 10 დოლარი. შემადგენლობა: ვერცხლი 0.925, სპილენძი 0.075. მისი დიამეტრია 45.00 მმ და წონა 48.600 გრამი. სერიის **წინა მხარე ავერსი:** გამოსახულია ელიზაბედ II. პორტრეტის ქვემოთ, მარცხენა მხარეს ინგლისურად წერია: "ELIZABED II" და ქვემოთ მარჯვენა მხარეს "CANADA 1974". წარწერებს შორის გამოსახულია ნეკერჩხლის ფოთოლი (კანადის სიმბოლო). **უკანა მხარე რევერსი:** ცენტრში, ქვემოთ, გამოსახულია ლაკროსეს (კანადის სპორტის ძველი სახეობა) მოთამაშეები, ჩოგნებით ხელში თამაშის დროს, რომლის მარცხნივ, ზემოთ წერია "მონრეალი 1976". სულ ზემოთ, ოლიმპიური რგოლები და წარწერა "ოლიმპიადა". მის ქვემოთ "XXI" და "ოლიმპიადა". ქვემოთ 10 დოლარი ნომინალის ღირებულება. მონეტის ირგვლივ გამოკვეთილი კანტი რელიეფური გამოსახულებისაა. მხატვრობა შესრულებულია კენ დანბის მიერ. ტირაჟი შეადგენს 1 990 570 ცალს.



3 სერია (სახეობა), მონეტა № 10. 5 დოლარი. შემადგენლობა: ვერცხლი 0.925, სპილენძი 0.075. მისი დიამეტრია 36.00 მმ და წონა 24.300 გრამი. სერიის **წინა მხარე ავერსი:** გამოსახულია ელიზაბედ II. პორტრეტის ქვემოთ, მარცხენა მხარეს ინგლისურად წერია: "ELIZABED II" და ქვემოთ მარჯვენა მხარეს "CANADA 1974". წარწერებს შორის გამოსახულია ნეკერჩხლის ფოთოლი (კანადის სიმბოლო). **უკანა მხარე რევერსი:** ცენტრში, ქვემოთ, გამოსახულია კანოეთი მოცურავე, რომლის ზემოთ მარცხნივ წერია "მონრეალი 1976". სულ ზემოთ ოლიმპიური რგოლები და წარწერა "ოლიმპიადა". მის ქვემოთ "XXI" და "ოლიმპიადა". კანოეთი მოცურავის ქვემოთ 5 დოლარი ნომინალის ღირებულება. მონეტის ირგვლივ გამოკვეთილი კანტი რელიეფური გამოსახულებისაა. მხატვრობა შესრულებულია კენ დანბის მიერ. ტირაჟი შეადგენს 1 974 939 ცალს.



3 სერია (სახეობა), მონეტა № 11. **10 დოლარი**. შემადგენლობა: ვერცხლი 0.925, სპილენძი 0.075. მისი დიამეტრია 45.00 მმ და წონა 48.600 გრამი. სერიის **წინა მხარე ავერსი**: გამოსახულია ელიზაბედ II. პორტრეტის ქვემოთ, მარცხენა მხარეს ინგლისურად წერია: "ELIZABED II" და ქვემოთ მარჯვენა მხარეს "CANADA 1974". წარწერებს შორის გამოსახულია ნეკერჩხლის ფოთოლი (კანადის სიმბოლო). **უკანა მხარე (რევერსი)**: ცენტრში, ქვემოთ გამოსახულია სამი ველოსიპედისტი, რომლთა მარცხნივ, ზემოთ წერია "მონრეალი 1976". სულ ზემოთ ოლიმპიური რგოლები და წარწერა "ოლიმპიადა". მის ქვემოთ "XXI" და "ოლიმპიადა". ველოსიპედისტების ქვემოთ 10 დოლარი ნომინალის ღირებულება. მონეტის ირგვლივ გამოკვეთილი კანტი რელიეფური გამოსახულებისაა. მხატვრობა შესრულებულია კენ დანზის მიერ. ტირაჟი შეადგენს 1 990 570 ცალს.



3 სერია (სახეობა), მონეტა № 12. **5 დოლარი**. შემადგენლობა: ვერცხლი 0.925, სპილენძი 0.075. მისი დიამეტრია 36.00 მმ და წონა 24.300 გრამი. სერიის **წინა მხარე ავერსი**: გამოსახულია ელიზაბედ II. პორტრეტის ქვემოთ, მარცხენა მხარეს ინგლისურად წერია: "ELIZABED II" და ქვემოთ მარჯვენა მხარეს "CANADA 1974". წარწერებს შორის გამოსახულია ნეკერჩხლი ფოთოლი (კანადის სიმბოლო). **უკანა მხარე რევერსი**: ცენტრში, ქვემოთ გამოსახულია მენიჩზე ცურვის დროს, რომლის ზემოთ მარცხნივ წერია "მონრეალი 1976". სულ ზემოთ ოლიმპიური რგოლები და წარწერა "ოლიმპიადა". მის ქვემოთ "XXI" და "ოლიმპიადა". მის ქვემოთ 5 დოლარი ნომინალის ღირებულება. მონეტის ირგვლივ გამოკვეთილი კანტი რელიეფური გამოსახულებისაა. მხატვრობა შესრულებულია კენ დანზის მიერ. ტირაჟი შეადგენს 1 974 939 ცალს.



4 სერია (სახეობა), მონეტა № 13. 10 დოლარი. შემადგენლობა: ვერცხლი 0.925, სპილენძი 0.075. მისი დიამეტრია 45.00 მმ და წონა 48.600 გრამი. სერიის **წინა მხარე ავერსი:** გამოსახულია ელიზაბედ II. პორტრეტის ქვემოთ, მარცხენა მხარეს ინგლისურად წერია: "ELIZABED II" და ქვემოთ მარჯვენა მხარეს "CANADA 1975". წარწერებს შორის გამოსახულია ნეკერჩხლი ფოთოლი (კანადის სიმბოლო). **უკანა მხარე რევერსი:** ცენტრში, ქვემოთ გამოსახულია მამაკაცი ბარიერების გადალახვის დროს, მარცხნივ ზემოთ წერია "მონრეალი 1976". სულ ზემოთ ოლიმპიური რგოლები და წარწერა "ოლიმპიადა". მის ქვემოთ "XXI" და "ოლიმპიადა". სულ ქვემოთ 10 დოლარი ნომინალის ღირებულება. მონეტის ირგვლივ გამოკვეთილი კანტი რელიეფური გამოსახულები-საა. მხატვრობა შესრულებულია ლეო იერჰას მიერ. ტირაჟი შეადგენს 1 985 000 ცალს.



4 სერია (სახეობა), მონეტა № 14. 5 დოლარი. შემადგენლობა: ვერცხლი 0.925, სპილენძი 0.075. მისი დიამეტრია 36.00 მმ. წონა 24.300 გრამი. სერიის **წინა მხარე ავერსი:** გამოსახულია ელიზაბედ II. პორტრეტის ქვემოთ, მარცხენა მხარეს ინგლისურად წერია: "ELIZABED II" და ქვემოთ მარჯვენა მხარეს "CANADA 1975". წარწერებს შორის გამოსახულია ნეკერჩხლის ფოთოლი (კანადის სიმბოლო). **უკანა მხარე რევერსი:** ცენტრში, ქვემოთ, გამოსახულია მარათონელი სირბილის დროს, რომლის ზემოთ მარცხნივ წერია "მონრეალი 1976". სულ ზემოთ ოლიმპიური რგოლები და წარწერა "ოლიმპიადა". მის ქვემოთ "XXI" და "ოლიმპიადა". მის ქვემოთ 5 დოლარი ნომინალის ღირებულება. მონეტის ირგვლივ გამოკვეთილი კანტი რელიეფური გამოსახულები-საა. მხატვრობა შესრულებულია ლეო იერჰას მიერ. ტირაჟი შეადგენს 2.476.217 ცალს.



4 სერია (სახეობა), მონეტა № 15. **10 დოლარი**. შემადგენლობა: ვერცხლი 0.925, სპილენძი 0.075. მისი დიამეტრია 45.00 მმ და წონა 48.600 გრამი. სერიის **წინა მხარე ავერსი**: გამოსახულია ელიზაბედ II. პორტრეტის ქვემოთ, მარცხენა მხარეს ინგლისურად წერია: "ELIZABED II" და ქვემოთ მარჯვენა მხარეს "CANADA 1975". წარწერებს შორის გამოსახულია ნეკერჩხლის ფოთოლი (კანადის სიმბოლო). **უკანა მხარე რევერსი**: ცენტრში, ქვემოთ, გამოსახულია ქალთა გასროლის დაყენება, (Women's Shot Put), რომელთა მარცხნივ, ზემოთ წერია "მონრეალი 1976". სულ ზემოთ ოლიმპიური რგოლები და წარწერა "ოლიმპიადა". მის ქვემოთ "XXI" და "ოლიმპიადა". სულ ქვემოთ 10 დოლარი ნომინალის ღირებულება. მონეტის ირგვლივ გამოკვეთილი კანტი რელიეფური გამოსახულებისაა. მხატვრობა შესრულებულია ლეო იერჰას მიერ. ტირაჟი შეადგენს 1 985 000 ცალს.



4 სერია (სახეობა), მონეტა № 16. **5 დოლარი**. შემადგენლობა: ვერცხლი 0.925, სპილენძი 0.075. მისი დიამეტრია 36.00 მმ და წონა 24.300 გრამი. სერიის **წინა მხარე ავერსი**: გამოსახულია ელიზაბედ II. პორტრეტის ქვემოთ, მარცხენა მხარეს ინგლისურად წერია: "ELIZABED II" და ქვემოთ მარჯვენა მხარეს "CANADA 1975". წარწერებს შორის გამოსახულია ნეკერჩხლის ფოთოლი (კანადის სიმბოლო). **უკანა მხარე რევერსი**: ცენტრში, ქვემოთ გამოსახულია ქალის მიერ შუბის ტყორცნის მომენტი, რომლის ზემოთ მარცხნივ წერია "მონრეალი 1976". სულ ზემოთ ოლიმპიური რგოლები და წარწერა "ოლიმპიადა". მის ქვემოთ "XXI" და "ოლიმპიადა". სულ ქვემოთ 5 დოლარი ნომინალის ღირებულება. მონეტის ირგვლივ გამოკვეთილი კანტი რელიეფური გამოსახულებისაა. მხატვრობა შესრულებულია ლეო იერჰას მიერ. ტირაჟი შეადგენს 2 476 217 ცალს.



5 სერია (სახეობა), მონეტა № 17. **10 დოლარი**. შემადგენლობა: ვერცხლი 0.925, სპილენძი 0.075. მისი დიამეტრია 45.00 მმ და წონა 48.600 გრამი. სერიის **წინა მხარე ავერსი**: გამოსახულია ელიზაბედ II. პორტრეტის ქვემოთ, მარცხენა მხარეს ინგლისურად წერია: "ELIZABED II" და ქვემოთ მარჯვენა მხარეს "CANADA 1975". წარწერებს შორის გამოსახულია ნეკერჩხლის ფოთოლი (კანადის სიმბოლო). **უკანა მხარე (რევერსი)**: ცენტრში, ქვემოთ, გამოსახულია კანოეით მოცურავე, რომლის მარცხნივ, ზემოთ წერია "მონრეალი 1976". სულ ზემოთ ოლიმპიური რგოლები და წარწერა "ოლიმპიადა". მის ქვემოთ "XXI" და "ოლიმპიადა". სულ ქვემოთ 10 დოლარი ნომინალის ღირებულება. მონეტის ირგვლივ გამოკვეთილი კანტი რელიეფური გამოსახულებისაა. მხატვრობა შესრულებულია ლინდა კუპერის მიერ. ტირაჟი შეადგენს 1 985 000 ცალს.



5 სერია (სახეობა), მონეტა № 18. **5 დოლარი**. შემადგენლობა: ვერცხლი 0.925, სპილენძი 0.075. მისი დიამეტრია 36.00 მმ და წონა 24.300 გრამი. სერიის **წინა მხარე ავერსი**: გამოსახულია ელიზაბედ II. პორტრეტის ქვემოთ, მარცხენა მხარეს ინგლისურად წერია: "ELIZABED II" და ქვემოთ მარჯვენა მხარეს "CANADA 1975". წარწერებს შორის გამოსახულია ნეკერჩხლის ფოთოლი (კანადის სიმბოლო). **უკანა მხარე რევერსი**: ცენტრში, ქვემოთ გამოსახულია დაივერის პლათფორმა, რომლის ზემოთ მარცხნივ წერია "მონრეალი 1976". სულ ზემოთ ოლიმპიური რგოლები და წარწერა "ოლიმპიადა". მის ქვემოთ "XXI" და "ოლიმპიადა". მის ქვემოთ 5 დოლარი ნომინალის ღირებულება. მონეტის ირგვლივ გამოკვეთილი კანტი რელიეფური გამოსახულებისაა. მხატვრობა შესრულებულია ლინდა კუპერის მიერ. ტირაჟი შეადგენს 2 4217 ცალს.



5 სერია (სახეობა), მონეტა № 19. 10 დოლარი. შემადგენლობა: ვერცხლი 0.925, სპილენძი 0.075. მისი დიამეტრია 45.00 მმ და წონა 48.600 გრამი. სერიის **წინა მხარე ავერსი:** გამოსახულია ელიზაბედ II. პორტრეტის ქვემოთ, მარცხენა მხარეს ინგლისურად წერია: "ELIZABED II" და ქვემოთ მარჯვენა მხარეს "CANADA 1975". წარწერებს შორის გამოსახულია ნეკერჩხლის ფოთოლი (კანადის სიმბოლო). **უკანა მხარე რევერსი:** ცენტრში, ქვემოთ გამოსახულია აფრიანი ნავით მოცურავეები, რომლთა მარცხნივ, ზემოთ წერია "მონრეალი 1976". სულ ზემოთ ოლიმპიური რგოლები და წარწერა "ოლიმპიადა". მის ქვემოთ "XXI" და "ოლიმპიადა". სულ ქვემოთ 10 დოლარი ნომინალის ღირებულება. მონეტის ირგვლივ გამოკვეთილი კანტი რელიეფური გამოსახულებისაა. მხატვრობა შესრულებულია ლინდა კუპერის მიერ. ტირაჟი შეადგენს 1 985 000 ცალს.



5 სერია (სახეობა), მონეტა № 20. 5 დოლარი. შემადგენლობა: ვერცხლი 0.925, სპილენძი 0.075. მისი დიამეტრია 36.00 მმ და წონა 24.300 გრამი. სერიის **წინა მხარე ავერსი:** გამოსახულია ელიზაბედ II. პორტრეტის ქვემოთ, მარცხენა მხარეს ინგლისურად წერია: "ELIZABED II" და ქვემოთ მარჯვენა მხარეს "CANADA 1975". წარწერებს შორის გამოსახულია ნეკერჩხლის ფოთოლი (კანადის სიმბოლო). **უკანა მხარე რევერსი:** ცენტრში, ქვემოთ გამოსახულია ქალის მიერ შუბის ტყორცნის მომენტი, რომლის ზემოთ მარცხნივ წერია "მონრეალი 1976". სულ ზემოთ ოლიმპიური რგოლები და წარწერა "ოლიმპიადა". მის ქვემოთ "XXI" და "ოლიმპიადა". მის ქვემოთ 5 დოლარი ნომინალის ღირებულება. მონეტის ირგვლივ გამოკვეთილი კანტი რელიეფური გამოსახულებისაა. მხატვრობა შესრულებულია ლინდა კუპერის მიერ. ტირაჟი შეადგენს 2 476 217 ცალს.



6 სერია (სახეობა), მონეტა № 21. 10 დოლარი. შემადგენლობა: ვერცხლი 0.925, სპილენძი 0.075. მისი დიამეტრია 45.00 მმ და წონა 48.600 გრამი. სერიის **წინა მხარე ავერსი:** გამოსახულია ელიზაბედ II. პორტრეტის ქვემოთ, მარცხენა მხარეს ინგლისურად წერია: "ELIZABED II" და ქვემოთ მარჯვენა მხარეს "CANADA 1976". წარწერებს შორის გამოსახულია ნეკერჩხლის ფოთოლი (კანადის სიმბოლო). **უკანა მხარე რევერსი:** ცენტრში, ქვემოთ გამოსახულია ბალახის ჰოკეისტები თამაშის მომენტში, რომლის მარცხნივ, ზემოთ წერია "მონრეალი 1976". სულ ზემოთ ოლიმპიური რგოლები და წარწერა "ოლიმპიადა". მის ქვემოთ "XXI" და "ოლიმპიადა". სულ ქვემოთ 10 დოლარი ნომინალის ღირებულება. მონეტის ირგვლივ გამოკვეთილი კანტი რელიეფური გამოსახულებითაა. მხატვრობა შესრულებულია შიგეო ფუკადის მიერ. ტირაჟი შეადგენს 1 887 630 ცალს.



